ფილიპე გოგიჩაიშვილი

წერილები
მოგონებები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1993

83. 3 ქ
გ 604

წიგნში თავმოყრილია ცნობილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის — ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილები და მოგონებები. წერილები დაბეჭდილი იყო საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში საუკუნის დასაწყისში და ამოკრეფილი სახით პირველად ქვეყნდება უცვლელად. აქვეა მოტანილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული მწვავე პუბლიცისტური წერილი „უკვდავი ბოროტება". მოგონებები შეეხება ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და პეტრე უმიკაშვილს. კრებულს წინ უძღვის ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, რომელიც მოამზადა მეცნიერის შვილიშვილმა ნიკო გამყრელიძემ. წიგნს დართული აქვს აკად. ვ. ჩანტლაძის მოგონება.

ნაშრომი გამოდის თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საიუბილეო (75-ე) წელს და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

შემდგენლები: ლ. გუგუშვილი, ი. აბაშიძე
წინასიტყვაობა ნ. გამყრელიძისა
რედაქტორები: აკად. პ. გუგუშვილი
აკად. ვ. ჩანტლაძე

Гогичайшвили Филипп Габриелович
ПИСЬМА. ВОСПОМИНАНИЯ
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1993

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993

4702170104
გ ———
608(06)-93

ISNB 5—511—00559—2

ფილიპე გოგიჩაიშვილი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი ეკუთვნის ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე წარმატებით ემსახურებოდა ხალხს. ამ თაობამ მეტად რთული ეპოქა განვლო — პირველი რევოლუცია და რეაქციის მძიმე წლები, როცა ცეცხლს მისცეს საქართველოს სოფლები და ქალაქები და სახრჩობელაზე დაჰკიდეს ან შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს მისი საუკეთესო შვილები: პირველი მსოფლიო ომი, თებერვლის რევოლუცია, ოქტომბრის რევოლუცია, ოსმალთა, გერმანელთა და ინგლისელთა ოკუპაცია, დამოუკიდებელი ხელისუფლების დამყარება საქართველოში, მისი ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ, შემდეგ სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდი.

ფილიპე გოგიჩაიშვილი, ამ პლეადის ღვიძლი შვილი, უმცროსი თანამედროვეა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძისა. ის იყო ცნობილი ეკონომისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის დიდი მკვლევარი საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი დაიბადა გურიაში, ლანჩხუთში, 1872 წლის 20 იანვარს. მისი მშობლები — მამა გაბრიელი და დედა სოფიო ჩაგუნავა ღარიბი ოჯახის პატრონები იყვნენ. მათ ხუთი შვილი შერჩათ: ფილიპე მათ შორის უფროსი იყო (ფილიპეს უმცროსი ძმა დავითი მუშაობდა უნივერსიტეტის საქმეთა მმართველად და მას იცნობდნენ როგორც სერიოზულ, შრომისმოყვარე, საქმიან და ყურადღებიან ახალგაზრდას).

პატარა ფილიპემ დაწყებითი განათლება ლანჩხუთის სამრევლო სკოლაში მიიღო და 1880 წლიდან ქალაქ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. ოზურგეთში სწავლის პერიოდში ფილიპე, როგორც თვითონ იგონებს, ცარიელ მჯადზე და ბალასის შეკამანდზე გადადიოდა, მაგრამ სასწავლებელი მაინც წარმატებით დაამთავრა. 1887 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, რომელიც 1893 წელს დაამთავრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, მაგრამ ამისათვის სათანადო მატერიალური სახსრები იყო საჭირო, რაც ფილიპეს არ გააჩნდა. იგი იძულებული იყო დროებით ხელი აეღო თავის განზრახვაზე, სადმე სამსახური დაეწყო და ფული შეეგროვებინა საწადელის ასასრულებლად. მან მუშაობა დაიწყო შავი ქვის ცნობილი მრეწველის — ნიკოლოზ ღოღობერიძის კანტორაში, ზესტაფონში, სადაც ახალგაზრდა ფილიპეს მიენდო უცხოური კორესპონდენციის წარმოება. ეს მისთვის საკმაოდ ძნელი საქმე აღმოჩნდა, რადგანაც ენები მას ბავშვობიდან არ შეუსწავლია და მხოლოდ მოგვიანებით დაეუფლა დამოუკიდებლად. იგი ამასთან დაკავშირებით იგონებდა ერთ შემთხვევას:

1920 წელს იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გაიგზავნა, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ფილიპე გოგიჩაიშვილიც შედიოდა. დელეგაციას მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა უცხოეთის დიდ საწარმოო და სავაჭრო ფირმებთან საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისა და ურთიერთვაჭრობის საკითხებზე. ერთ სააქციო საზოგადოებაში მოლაპარაკებისას ნიკო ნიკოლაძემ სათანადო ინფორმაცია ვერ მიაწოდა საზოგადოების პრეზიდენტს და საუბარში ფილიპე გოგიჩაიშვილის ჩარევა გახდა საჭირო. საკითხი ეხებოდა მარგანეცის საბადოების განლაგებას ჯიათურაში, აგრეთვე წყალტუბოს რადიაქტიური წყაროების დებეტს და სამკურნალო თვისებებს. „ნიკომ მხრები აიჩეჩა და მე გადმომხედა, თითქოს თვალებით მანიშნებდა, — მიშველეო"; ფილიპე გოგიჩაიშვილი არ დაიბნა და საუბარიც აეწყო; ყველაფერმა კარგად ჩაიარა. როცა სასტუმროში დაბრუნდნენ, ნიკომ ფილიპესთან ერთად ზურაბ ავალიშვილის ნომერში შეიარა, რომ მისთვის მოლაპარაკების ამბავი მოეთხრო. „ამ დიაკვნის შვილმა გაჭირვებიდან მიხსნაო, — სიცილით უთხრა ნიკომ ზურაბ ავალიშვილს. მე ვიცოდი, რომ ჯიათურისა და წყალტუბოს

საქმეები ფილიპემ კარგად იცოდა, მაგრამ ინგლისურად თუ ასე გამართულად ილაპარაკებდა, მართალი გითხრათ, არ ველოდიო".

„ჯერ ვიფიქრე, — განაგრძობს ფილიპე მოგონებას, — იქნებ დამცინის, რადგან ნიკო ნიკოლაძეს და ზურაბ ავალიშვილს ჩემი ინგლისურით რას გავაკვირვებდი, თვითონ მათ შესანიშნავად იცოდნენ უცხო ენები. მე მორიდებით შევკადრე: ბატონო, ჩემი ინგლისური რა სახსენებელია, როცა თქვენ მშობლიურ ენაზე არანაკლებ გესმით ეგ უცხო ენა მეთქი. ამაზე ნიკომ მომიგო: ჩვენ — ზურაბსა და მე, უცხო ენებს ხუთი წლის ასაკიდან გვასწავლიდნენ გუვერნიორები და რა დიდი საქმეა, რომ თავისუფლად ვლაპარაკობდეთ; საკვირველი ისაა, შენ რომ ასე შეგისწავლია უცხო ენა გუვერნიორისა და მასწავლებლის გარეშე და ასე შესანიშნავად მომეშველე ამ გაჭირვებაში ჩავარდნილ გუვერნიორების მიერ გაწაფულ კაცსო".

ნიკო ღოლობერიძის კანტორაში, მიუხედავად მუყაითი მუშაობისა, საზღვარგარეთ მისი წასვლისათვის საჭირო სახსრები ვერ მოიძებნა; ამ დროს ფილიპეს მფარველად მოევლინა ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც იკისრა ახალგაზრდა ფილიპეს გერმანიაში გაგზავნა და სწავლის პერიოდში მისი შენახვა (ძირითადად დავით სარაჯიშვილის დახმარებით). ის სწავლობდა გერმანიაში, ჯერ მიუნხენის, ხოლო შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტში.

1897 წლის აპრილში იგი ჩავიდა მიუნხენში და გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში ესწრებოდა პროფესორების ბრენტანოს და რიჰლის ლექციებს. იმავე წლის შემოდგომიდან ჩაირიცხა ლაიფციგის უნივერსიტეტში. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ბიუხერი, კირხნერი, ლამპრეხტი, ვუნდტი და სხვები. ერთდროულად გადიოდა ბუხჰალტერიის კურსს.

გერმანიაში სწავლის პერიოდი ჩამორჩენილი, უცნობი პატარა ევეყნის შვილისათვის, მატერიალური სივიწროვის გარდა, ეროვნულ დამცირებასთანაც იყო დაკავშირებული.

ამის შესახებ საინტერესო ფაქტს იგონებდა მოხუცი ფილიპე.

„როცა პირველად მიუნხენის უნივერსიტეტის აუდიტორიაში შევედი და ლექცია მოვისმინე, სტუდენტები (ძირითადად გერმანელები) შეჯგუფდნენ და მუდმივი ადგილი მიგვიჩინეს ყველას, ე. ი. ვინ სად უნდა მჯდარიყო ყოველი ლექციის დროს. მიჩენილი ადგილის აღსანიშ-

ნავად ჩვენ სადარბაზო ბარათები უნდა მიგვეტანა და მაგიდაზე დაგვე-მაგრებინა.

მეც ასე მოვიქეცი, სადარბაზო ბარათი ჩემი გვარით, სახელითა და მისამართით ჩემს მაგიდაზე დავამაგრე. როცა მეორე დღეს ლექციაზე მივედი, სადარბაზო ბარათში ვიღაცას შესწორება შეეტანა ხელით და ნაცვლად ჩემი გვარისა, სახელისა და მისამართისა, ასე გაეკეთებინა: „გოგიჩაიშვილი ფილიპე — აზია". მე პირველად ვერ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს; ერთმა სტუდენტმა ამიხსნა: ენციკლოპედიებში ასე წერენ ყოველი ცხოველის შესახებ, თუ რომელი კონტინენტიდან არის, მაგალითად: „ნიანგი — აფრიკა", ამან ჩემი და სხვა სტუდენტების, განსაკუთრებით არაქერმანელების, გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ რას ვიზამდით".

1901 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება და შრომისათვის „ხელოსნობა საქართველოში" მიიღო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამის შემდეგ ის ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, 1902 წელს კი დაბრუნდა საქართველოში.

სამშობლოში დაბრუნებული ფილიპე გოგიჩაიშვილი პეტრე უმიკაშვილის მეშვეობით დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძეს და სხვა ცნობილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. განათლებული, ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო. 1907 წელს მან ცოლად შეირთო ნიკო ცხვედაძის ასული, ი. გოგებაშვილის ნათლული ელენე (1884 — 1942).

ნიკო ცხვედაძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილის მსგავსად, სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ უმაღლესი განათლება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მიიღო. ცხვედაძის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობის საშვილიშვილო საქმეს.

სიყვარულით და პატივისცემით იგონებდა მოხუცი ფილიპე ნიკო ცხვედაძეს და აღწერდა მისი ცხოვრებიდან ერთ შემთხვევას, ეს იყო 1911 წელს.

„ნიკო მძიმე ავადმყოფი მომყავდა კავთისხევიდან თბილისში. ეტლის რბილ სავარძელში მწოლიარეს ხელით ვამაგრებდი მის პირდაპირ სკამ-

ზე მჯდომი და მთელი გზა დაძაბული ვიყავი, მეშინოდა ეტლიდან არ გადმოვარდნილიყო. ვაკეზე ჩამოსვლისას (მაშინ ამ გზით დავდიოდით), როცა უნივერსიტეტის მშენებარე სახლი გამოჩნდა, ეს სიცხით გათანგული ადამიანი, რომელსაც ცნობიერება თითქმის აღარ ჰქონდა, ისე შეტორტმანდა, რომ კინაღამ ეტლიდან გადმოვარდა. ხელებით მაგრა ჩავებღაუჭე, ის მაინც თავს შენობისკენ აბრუნებდა და ცდილობდა წამოწეულიყო. სამწუხაროდ, ეს შენობა ნიკოს მეტჯერ აღარ უხილავს".

სოფელ კავთისხევში, ცხვედაძეების სააგარაკო სახლში, ხშირად სტუმრობდა ნიკო ცხვედაძის განუყრელი მეგობარი და პატივისმცემელი იაკობ გოგებაშვილი. აქ მას ხშირად ხვდებოდა ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ილიამ „ივერიის" რედაქტორობას თავი რომ დაანება, გაზეთი ფილიპეს გადასცა. პაპაჩემი სიკვდილამდე ინახავდა „ივერიის" სათაურის კლიშეს, როგორც უძვირფასეს რელიკვიას და მუდამ თავის საწერ მაგიდაზე ედო.

ილია ჭავჭავაძემ თავისი ანდერძის ერთ-ერთ აღმსრულებლად ფ. გოგიჩაიშვილი დანიშნა. ანდერძის დამწერი პირები ანდერძის აღმსრულებლად, ჩვეულებრივ, ირჩევდნენ ყველასაგან პატივცემულ და უპატიოსნეს ადამიანებს. თავიანთი ანდერძის აღმსრულებლად დატოვეს ფ. გოგიჩაიშვილი აგრეთვე დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა და ცნობილმა მეცენატმა ნიკო ღოღობერიძემ.

უაღრესად განათლებული ეკონომისტი საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩაება მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. 1903 წლიდან 1913 წლამდე იგი განაგებდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს თბილისში, 1905—1906 წლებში იყო გაზეთ „ივერიის" რედაქტორი, 1914—1916 წლებში მუშაობდა სრულიად რუსეთის საერობო კავშირის მთავარი კომიტეტის რწმუნებულად ამიერკავკასიაში, 1917—1918 წლებში იყო კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარე (მაშინ ეს რკინიგზა კერძო საზოგადოებას ეკუთვნოდა), 1918—1920 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორად.

საინტერესოა ფილიპეს ამ თანამდებობაზე არჩევის ისტორია. ნოე ჟორდანია თურმე თვითონ მისულა ფილიპესთან და უთხოვნია დათანხმებულიყო მთავრობაში სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობის შესრულებას. ფილიპე სასტიკ უარზე იყო. ბოლოს იმაზე მორიგდნენ, რომ, თუკი პარლამენტი ერთხმად აირჩევდა მას, იგი დათანხმდებოდა.

როგორც ჩანს, ფილიპეს იმედი ჰქონდა, რომ იმდროინდელი მრავალ-პარტიული პარლამენტის რომელიმე დეპუტატი მაინც ჩაუგდებდა შავს, მაგრამ პარლამენტმა ერთხმად აირჩია იგი სახელმწიფო კონტროლიორად.

სტატისტიკურ ბიუროში მუშაობისას ფ. გოგიჩაიშვილმა დეტალურად დაამუშავა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხები საქართველოში და გამოაქვეყნა კაპიტალური სტატისტიკური კრებულები, რომლებიც უმდიდრეს მასალას შეიცავს იმდროინდელი ეკონომიკური ვითარების შესახებ.

1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა იგი მიიწვია თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფში, სადაც ფ. გოგიჩაიშვილს დაეკისრა იმ დროისათვის ყველაზე მძიმე მოვალეობა — უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი არსებობისათვის საჭირო მატერიალური სახსრების მოპოვება, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი მოწინავე ქართველი საზოგადოებისა და მთელი ქართველი ხალხის თანადგომით.

1918 წლიდან სიკვდილამდე იგი წარმატებით მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში სხვადასხვა კათედრის (პოლიტიკური ეკონომიის, ფინანსების, სტატისტიკის) გამგედ, შეთავსებით მსახურობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტშიც, იყო საფინანსო და საგეგმო ორგანოების კონსულტანტი.

ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ერთადერთმა მეცნიერ-ეკონომისტმა უნივერსიტეტის არსებობის პირველ პერიოდში, საფუძველი ჩაუყარა ჩვენში უმაღლეს ეკონომიკურ განათლებას. იგი მეტად ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. უცხოური ენებისა და მშობლიური ენის შესანიშნავმა მცოდნემ, ბრწყინვალედ თარგმნა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების ძირითადი შრომები, რითაც სამშობლოს შესძინა ცივილიზებულ ხალხთა ენებზე არსებული ეკონომიკური აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშები.

ფ. გოგიჩაიშვილმა იცოცხლა 78 წელი. გარდაიცვალა 1950 წლის 29 მარტს, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ნ. გამყრელიძე

სატერიტორიო სტუმართ-მოყვარეობა

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მკითხველი ნახავს ბ-ნ ა. ქალანთარის წერილს, რომელიც ჩვენს საპასუხოდ არის დაწერილი და ფრიად საყურადღებო საკითხს შეეხება.

2 მარტს ბ-ნმა ა. ქალანთარმა სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენება წაიკითხა სოხუმის ოლქში თამბაქოს მოყვანის შესახებ და ამ მოხსენებაში ის აზრი გაატარა, რომ შავი ზღვის პირად ოსმალეთიდან დროებით გადმოსახლებული 30 ათასი სომეხი, რომელთაც იქ თამბაქო მოჰყავთ, მთავრობამ, ადგილობრივ სამეურნეო კულტურის ასამაღლებლად ახლაც, ვადის გასვლის შემდეგ, უნდა დასტოვოს სოხუმის ოლქში და ოსმალეთში გადასახლება არ უნდა აიძულოსო. ჩვენმა გაზეთმა ამ მოხსენებისა და შუამდგომლობის შესახებ მაშინვე გამოსთქვა თავისი აზრი და გამოაცხადა, რომ უცხო ქვეყნებიდან კავკასიაში ხალხის გადმოსახლების ან კერძოდ საქართველოში უცხოელთა დასახლების მომხრე ვერასდროს ვერ გავხდებით და ამ შემთხვევაში ბ-ნ ა. ქალანთარსაც ოსმალეთის სომხებისათვის მხარს ვერ დაეუჭერთო. ამ აზრის წინააღმდეგ არის მომართული „მშაკ"-ის რედაქტორის დღევანდელი წერილი.

რა თქმა უნდა, ჩვენ კრინტი არ დაგვიძრავს ბ-ნ ა. ქალანთარის საალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ და ამიტომ მისი წერილის ის ადგილები, სადაც ავტორის ამგვარ მოღვაწეობასა და ამ მოღვაწეობის განსაზღვრულ მიმართულებაზეა ლაპარაკი, ჩვენს ნაწერს სრულიად არ შეეხება და ამიტომ არც არაფერს არღვევს. ჩვენ ყოველთვის დიდის მორიდებითა და პატივისცემით ვეპყრობით ყოველ პატიოსან მოწინააღმდეგეს და კერძოდ ა. ქალანთარიც პატივისცემით მოვიხსენიეთ.

მაგრამ პატივისცემა არ უშლის, რასაკვირველია, აზრისა და პრინციპების სხვადასხვაობას. ჩვენსა და ბ-ნ ქალანთარს შორის აქ აღძრულ საკითხში ძირითადი განსხვავებაა და დღესაც, — მისი განმარტების შემდეგაც, — ვერა ვსცნობთ შესაძლებლად მის აზრს დავეთანხმოთ და ავტორს იდეური სოლიდარობა გამოვუცხადოთ.

30 ათასი სულის დასახლება ისეთ პატარა ტერიტორიაზე, როგორიც ჩვენ გვიჭირავს, ისეთი მცირე საგანი არაა, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ თამბაქოს კულტურის მხრით განვსაჯოთ და ხალხსნური საკითხი მხედველობაში არ მივიღოთ. ბ-ნი ა. ქალანთარი ამ გადმოსახლებას უბრალო სტუმრობად სთვლის და ადგილობრივ მკვიდრთ სტუმართმოყვარეობას უქადაგებს. ცხადია, ასე მარტივი რომ იყოს საგანი, ჩვენს სტუმართმოყვარეობის წინააღმდეგი არ ვიქნებოდით და მოხსენებაზე საწინააღმდეგოს არაფერს ვიტყოდით.

მაგრამ საქმე ისაა, რომ საგანი უფრო რთულია, ვიდრე ერთის შეხედვით მოსჩანს. ეს პრინციპიალური საკითხია და ჩვენც სწორედ ამ მხრით შევხედეთ ამ საგანს.

არც ერთ ხალხს არ შეუძლიან უტერიტორიოდ ხალხსნური ცხოვრება და ეროვნული განვითარება. ამიტომ შეიძლება კაცი სულითა და გულით მთელის კაცობრიობის მოყვარული და კეთილის მსურველი იყოს, არც ერთ უცხო ერს არა მტრობდეს, არავის სძულდეს, მაგრამ იმავე დროს თავის ეროვნულ თვით—არსებობის გულისთვის თავის მიწა-წყალს იცავდეს და იმის შენარჩუნებისათვის ზრუნავდეს. ჩვენ იმ წერილშიაც ვამბობდით, რომელსაც ბ-ნ ა. ქალანთარის „პასუხი" შეეხება, რომ ადგილობრივ მკვიდრ სომხობას ქართველებისაგან არ ვარჩევთ და სრულიად ბუნებრივად და, უფლების მხრით, კანონიერად მიგვაჩნია, ქართლ-კახეთის სომეხი გლეხი, მაგალითად, იმერეთში გადავიდეს, იქ ნადელი მიიღოს ან უნადელოდ გადასახლდესო. მიგვაჩნია ეს კანონიერად, რადგან იმ პრინციპს ვადგივართ, რომ საქართველოს ფარგალში ისტორიულად ერთად მცხოვრებ ქართველობასა და სომხობას შორის თანასწორი უფლება უნდა იყოს აღიარებული.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ მცირე ტერიტორიაზე გარეშე სახელმწიფოდან უცებ მრავალი ხალხი შემოდის და მჭიდრო მოსახლეობას იჩენს. აქ გვგონია, ჩვენ შეგვიძლია არა ვსცნოთ ის უფლება, რომელსაც მკვიდრ სომხობის შესახებ საჯაროდ ვაღიარებთ. ის „დროებით"

გაღმოსახლებული ხალხი რამდენსამე წელიწადში მკვიდრ ბინას იჩენს და ამგვარად ადგილობრივ მცხოვრებთათვის მიწას ამცირებს. ამასთან, ვინ იცის, იქნება, რამდენისამე წლის შემდეგ, გამოჩნდეს ბ-ნ გ. თ-ის მსგავსი კაცი, რომელმაც, დასახლებულთა გვარ-ტომობის მიხედვით, ტერიტორიის ეროვნულ „განაწილებაზედაც“ იწყოს ლაპარაკი...

ერთის სიტყვით, ეს საკითხი მარტივი არ არის და ისე „ლიბერალურად“ ვერ გადაიჭრება, როგორც ამას ბ-ნი ა. ქალანთარი ჰლამობს...

ამიტომ ამ საგანს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და მის გარკვევას ერთ ერცელ წერილს ვუძღვნით.

„იეერია“, 1905, № 40, გვ. 1.

რა გამომჟღავნდა?

გუშინწინ თავად-აზნაურთა კომისიამ შეიმუშავა ხელმწიფისთვის წარსადგენი ადრესი, რომელშიაც გამოცხადებულია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. ამ ადრესმა გუშინდელ საგანგებო კრებაზე დიდი კამათი და შეტაკება გამოიწვია და ბევრი რამეც გამოამჟღავნა...

ადრესი შემდეგი შინაარსისაა:

ტფილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურები სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ პირველად შეიკრიბნენ საგანგებო კრებაზე და თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობასა და ხელმწიფე დედოფლებს თავის უქვეშევრდომილეს მოლოცვას გიძღვნით უმაღლეს სახლისა და რუსეთის სახელმწიფოსთვის სასიხარულო ამბის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე შინაც, მძიმე ამბები ეწვია, ქართველი თავად-აზნაურობა იმედითა და მტკიცე რწმენით შეპყურებს მომავალს და ხედავს რუსეთისთვის ბედნიერების ნიშანს იმაში, რომ ყრმა მემკვიდრის აკვანი ნათდება ახალ ცხოვრების განთიადით, რომელიც ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტმა აღნიშნა. ეს რესკრიპტი უბედურ ომისა და შინაურ უწესრიგობის დროს პირველი სხივი იყო ამ საგულისხმო ისტორიულ ხანაში, როცა მთელი რუსეთი შემომქმედ მუშაობისათვის არის მოწვეული. ქართველი თავად-აზნაურობა და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი, ერთგული დიდ რუსეთთან ძველთაგანვე ნაანდერძევ ერთობისა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო ცხოვრების განვითარებითა და ბრძოლის ველზე საერთო დროშის გულისთვის დანთხეულ სისხლითაც, რუსეთის ხალხთან ერთად არის მტკიცედ დარწმუნებული, რომ ახლა შორს აღარ არის ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში თავისუფლად არჩეული წარ-

მომადგენლები, განურჩეველად ეროვნებისა, მოაწესრიგებენ რუსეთსა და მის განაპირა ადგილებსა და, სხეათა შორის, საქართველოსაც, რომელსაც შეადგენენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ;მხარე და სოხუმის და ზაქათალის ოლქები.

სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებენ თავად-აზნაურობას გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნება-ყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ კენჭის ყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი.

ქართველი თავად-აზნაურობა ყველა ამას მოახსენებს თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ამით ხელმწიფისა და სამშობლოს წინაშე თავის წმიდა მოვალეობას ასრულებს.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ადრესის ფორმაზე და მასში ნახმარ ფრიად მორიდებულ სიტყვებზე. ყველაფერი დროსა და გარემოების მიხედვით უნდა გავსაჯოთ და ამიტომ ჩვენის თავად-აზნაურობისაგან, რომელიც მთელ საუკუნის განმავლობაში მორიდებისა და მორჩილების პოლიტიკას ადგა, ასე უცებ ნამეტან გაბედულებასა და სრულს გარდაქმნას ვერ მოვითხოვთ.

მიუხედავად ამისა, თავად-აზნაურობამ მაინც შესამჩნევი სიფხიზლე და ცნობიერება გამოიჩინა და ჩვენ კიდევ ერთხელ სიამოვნებითა და კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ გარემოებას.

რასაკვირველია, გუშინდელ კრებაში იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც არ ემხრობოდნენ ავტონომიის იდეას და ათასნაირ ხრიკებს იგონებდნენ, რომ უმრავლესობისათვის ნამდვილ პატრიოტულ საქმეში ხელი შეეშალათ. ბ. ბ. ივ. ჯაბადარმა, მ. ვ. მაჩაბელმა და გ. გაბაშვილმა ამ მხრით ძალიან იმეცადინეს და სწორედ უკვდავი სახელი მოიხვეჭეს. ამათ გამოილაშქრეს ავტონომიის წინააღმდეგ და კრებას ურჩევდნენ, ისეთი წეს-წყობილება მოითხოვეთ, სადაც ქართველი ხალხი, ვითარცა ერი, სამუდამოდ გათქვეფილი და გალესილი იქნებაო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ სამების ერთმა წევრმა ავტონომიის მოთხოვნა ბატონ-ყმობის შემოღების სურვილითაც კი ახსნა და თავად-აზნაურთა დემოკრატიულ ნაწილს ბატონ-ყმობის ტრფიალება დასწამა...

მაგრამ კრებამ ყურად არ იღო ქადაგებანი გახუნებული რადიკალისა, არც ცხარე კამათი ესკულაპისა და აზვირთებული მრავალმეტყველება ქართველ ჩინოვნიკისა. მან დაამტკიცა თავისი ცნობიერება და

ყველას ნათლად დაანახვა, რომ ამგვარ „პოლიტიკოსებს“ ჩვენში დღეს ნიადაგი აღარ აქვთ და სავსებით გარიყულნი არიან.

კრებამ 44 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-ისა ადრესი მიიღო და ამგვარად საყოველთაო, პირდაპირს, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ საარჩევნო უფლებაზე დაფუძნებული ავტონომიური თვითმართველობა მოითხოვა.

დამარცხდა სამება და ამ სამების ერთადერთი მოწაფე: მხოლოდ 4 ხმა აღმოჩნდა საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგე.

ამ სახით კრების დიდძალმა უმრავლესობამ ეროვნულ-პოლიტიკური მომწიფება და გონიერება დაგვიმტკიცა.

ვაშა!...

„ივერია“, 1905, № 43, გვ. 1.

მადაც ასეთი უნდა!..

I

მკითხველს, ალბათ, არ დავიწყებია ის კამათი, რომელიც ჩვენ ამ რამდენიმე კვირის წინად გაზ. „მშაკ“-ის რედაქტორ ა. ქალანთართან გექონდა გამართული. დღეს ვიგონებთ ამ ცოტათი მოძველებულ ამბავს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთის მხრით ახლაც საინტერესო და საგულისხმოა. . .

მარტის დამდეგს ბ-ნმა ქალანთარმა „მოხსენება“ წაიკითხა სამეურნეო საზოგადოებაში და „საზოგადოებას“ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღაძერევინა, რომ ის 30 ათასი სული სომეხი, რომელნიც ოსმალეთიდან დროებით გადმოსახლებულან სოხუმის ოლქში და იქ დაბანაკებულან, მთავრობამ აღარ გადაასახლოს ოსმალეთში და იქ დაანარჩუნოს, სადაც ახლა არიანო.

ასეთი შუამდგომლობა ჩვენ ვერ მოვუწონეთ ბ-ნ ქალანთარსა და სამეურნეო საზოგადოებას და ის აზრი გამოვსთქვით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც თავის თავადაც მჭიდროდ არის დასახლებული და ადგილობრივ ხალხს არ ჰყოფნის საცხოვრებლად, უცხო

სახელმწიფოდან ხალხის გადმოსახლებისა და დაბინავების მომხრე ვერ გავხდებით, — პირიქით, ამის წინააღმდეგი ვიქნებით ყოველთვისო.

ბ-ნმა ქალანთარმა დაიწყო თავის მართლება და გვარწმუნებდა, — მე მხოლოდ დროებით თავის შეფარების უფლებას ვთხოულობო და ფიქრად არ მომდის, ოსმალეთიდან გადმოსულ სომხებისათვის აქ, კავკასიაში, ნადელების ძებნა და სომხურ ტერიტორიის გაფართოება ვიწყოვო.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მადიანია ბურჟუაზია საზოგადოდ და ჩვენი მეზობელ ხალხის ბურჟუაზია კერძოდ, და ამიტომ განმეორებით გადაჭრილად ვუთხარით მოწინააღმდეგეებს, რომ არავითარი თანხმობა, არავითარი „ძმობა და ერთობა“ ჩვენსა და მათ შორის არ შეიძლება, თუ მათ ფანტასტიურ აზრებს თავი არ დაანებეს და საქართველოს ტერიტორიაზე ახალ ეროვნულ ტერიტორიის გამართვის სურვილს სამუდამოდ არ გამოემშვიდობენ.

„Конечно, конечно!“ გვეუბნებოდნენ ჩვენს გულახდილ ლაპარაკზე ჩვენი მეზობლები, თან „ძმობა-ერთობის“ და „სტუმართ-მოყვარეობის“ მოვალეობას გვაგონებდნენ, ხოლო გულში კი იღიმებოდნენ და საქმით სულ წინააღმდეგსა ფიქრობდნენ და სთხზავდნენ..

სწორედ იმ ხანებში, როდესაც ბ-ნმა ა. ქალანთარმა უშველებელი წერილი მოგვწერა და ვითომ თავისი პირდაპირობა და მეგობრულ განწყობილების ტრფიალება დაგვიმტკიცა, ტფილისის საბჭოში მოიყარა თავი აქაურმა და აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდენილმა ბურჟუაზიამ და თათბირი დაიწყო სომხის ხალხის საჭიროებათა გამოსარკვევად. არ ვიცით დაახლოებით, ვინ არიან თათბირში მონაწილეობის მიმღებნი და მართლა აირჩია თუ არა ისინი სომხის ხალხმა თავის წარმომადგენლებად, ვიცოდით მხოლოდ, რომ სამეურნეო საზოგადოებაში ერთ-ერთ კრებაზე ბ-ნმა ქალანთარმა გამოგვიცხადა და გაგვაგებინა, რომ ის „მოთათბირენი“ ხალხისაგან არიან არჩეულნი და დავალებული აქვთ — გამოიკვლიონ სომეხ ხალხის საჭიროებანიო. თუ არ ვსცდებით, მანვე თავის შესახებაც განაცხადა, რომ მე იმ თათბირში 30 ათას სომხისგან ვარ არჩეული წარმომადგენლადაო. ადგილობრივი რუსული გაზეთებიც ამასვე ამბობენ, რომ საბჭოში გამართულ კრებების წევრნი ხალხისგან არიან არჩეულნიო.

ყოველ შემთხვევაში, ასე იყო თუ ისე, სომეხთა ერთი თვალსაჩინო ჯგუფი შეიკრიბა ტფილისში და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ

შეიმუშავა „სომეხთა მოთხოვნილებანი“. ეს მოთხოვნილებანი უკანასკნელ დღეებში დაიბეჭდა ყველა ადგილობრივ გაზეთებში და „ამიერ-კავკასიის სომეხთა პეტიცია“ აწერია სათაურად.

ეს „პეტიცია“ ბევრის მხრით არის საინტერესო, და ჩვენ არც ერთ მხარეს არ დავივიწყებთ და აღვნიშნავთ თავის დროზე. განსაკუთრებით კი საინტერესოა ის პრინციპიალური საგანი, რომელსაც ჩვენი და ბ-ნ ა. ქალანთარის კამათი შეეხებოდა.

როგორ გგონიათ, — გამართლდა ჩვენი მოკამათის რწმუნება, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ჩვენ არ ვცდილობთ ოსმალეთის სომხობისათვის ჩვენში ტერიტორიის გაჩენასო? ჩვენ გულუბრყვილო არა ვართ, რომ ყველაფერი, რასაც გვეტყვიან, უსათუოდ დავიჯეროთ და თავი მოვიღოროთ. მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, ის, რაც „პეტიციაში“ ვნახეთ, ჩვენისთანა სკეპტიკებისთვისაც კი მოულოდნელი და საკვირველი იყო.

„პეტიციის“ შემდგენნი არც აციებენ, არც აცხელებენ და პირდაპირ თხოულობენ, რომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებს, რომელნიც რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებენ, კავკასიაში ნადელები უნდა მიეცეთ და დასახლებულ იქმნენო!..

უეჭველია, — გიკვირთ, მაგრამ კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, როცა ამ „საკვირველებას“ ღრმად ჩაუკვირდებით და მის აუცილებელ დასკვნას საკუთარ გაითვალისწინებთ.

რა დასკვნაა ეს? ამაზე ვთხოვთ — თვითონ მკითხველმა მოიფიქროს დღეს და ჩვენ წერილის შეწყვეტის ნება მოგვცეს...

„ივერია“, 1905, № 60, გვ. 1.

ჩვენებური „ლიბერალები“

კარგია, როცა რომელიმე ჯგუფი თავის აზრებსა და იდეებს საჯაროდ აღიარებს და მალულობანას არ თამაშობს, კარგია ეს იმიტომ, რომ ურთიერთობა ნათლად ირკვევა და ადგილი აღარ რჩება ორაზროვნობისა და ბუნდოვანობისათვის. ასეთ შემთხვევაში ყოველი კამათი და პრინციპიალური უთანხმოება გარკვეულად გამოთქმულ აზრებზეა ხოლმე აგებული და ამიტომ მოუხერხებელი ხდება სიტყვის ბანზე

აგდება და მოწინააღმდეგის ამა თუ იმ მხრივ უსიამოვნო აზრების „ცილისწამებად“ გამოცხადება და საფუძვლიანი მხილების ადგილად თავიდან მოშორება. კარგია ამიტომვე, რომ სომხის ბურჟუაზიამ in corpore თავის გულის ნადები საჯაროდ გამოაცხადა და ამით ყველას გაგვაგებინა, თუ რა სწადიან და თავის წადილის მისაღწევად რა პრაქტიკულ გზას ადგია. მათი „პეტიცია“ შეძლებას გვაძლევს, დოკუმენტზე დამყარებული აზრი შევადგინოთ მათს სოციალ-პოლიტიკურ იდეალსა და მისწრაფებაზე.

ჩვენთვის კი უფრო „პეტიციის“ ის მუხლებია საინტერესო და საყურადღებო, რომელიც არა მარტო სომხებს, არამედ საზოგადოდ კავკასიის ყველა ერებს შეეხება და მერმისში მოსალოდნელ ურთიერთობასა და განწყობილებას გვიხატავს.

„პეტიციის“ ერთი ასეთი მუხლია, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, ის, რომელშიაც ავტორებს ოსმალეთის სომეხთა შესახებ მოთხოვნილება აქვთ გამოცხადებული. მარტოოდენ ამ მუხლით — რომ სხვაზე ჯერ არაფერი ვთქვათ — დაამტკიცა ხსენებულმა ბურჟუაზიამ, თუ რაოდენ პოლიტიკური გამჭრიახობის მქონე და „ძმობა-ერთობის“ მოტრფიალე ყოფილა იგი...

სწორედ ის ინტელიგენცია, რომელმაც დღეს ეს „პეტიცია“ შეიმუშავა, თხოულობდა მუდამ, რომ მთავრობას კავკასიის მკვიდრთა გარუსების პოლიტიკისთვის ადგილობრივ მცხოვრებთა არსებითი ინტერესები არ შეეწირა მსხვერპლად და ცხოვრება არ გაეძნელებინა. იგი მუდამ ეწინააღმდეგებოდა ხსენებულ „პოლიტიკას“, ეწინააღმდეგებოდა შიდაგუბერნიებიდან რუს—გლეხების გადმოსახლებას და ყველას იმას უმტკიცებდა, რომ კავკასიაში მიწა ცოტაა და ჩვენ — ადგილობრივ მცხოვრებთაც არ გვყოფნისო.

დღეს კი, ეტყობა, მიწა გაზრდილა კავკასიაში და იმოდენა გამხდარა, რომ არა თუ კავკასიელებისთვის, უცხო სახელმწიფოებიდან მოსულებისათვისაც კმარა დასარიგებლად. რასაკვირველია, მიწის გაზრდა-გაფართოებას საღი გონების კაცი თავის დღეში არ დაიჯერებს, მაგრამ ასე არ უცქერიან საგანს ჩვენი „პოლიტიკოსები“. ისინი, ეტყობა, თავის თავს გარდა, ყველას უტვინოებად სთვლიან და ფიქრობენ, რომ რაც უნდა ვთქვათ, დაგვიჯერებენ და დაგვეთანხმებიან, რომ ის, რაც რუსის გლეხს არ ეკუთვნის კავკასიაში, ეკუთვნის ოსმალეთიდან გადმოსახლებულსო...

არ ვიცი, შემდეგში რა იქნება, და დღეს კი არ მგონია, რომ ყოველმა რუსმა გულიანად არ გაიცინოს, როცა ამგვარ სიბრძნეს წაიკითხავს „პეტიცია“-ში: თურმე მიწა მაშინ არ არის კავკასიაში, როცა რუსის გლეხს უნდა, და ბლომად არის, როცა ოსმალეთიდან რომელიმე სომეხი გადმოვა, — აი, აზრი, რომელსაც გულში გაივლებს და თან ირონიულ ღიმილს დაატანს ყოველი რუსი.

მაგრამ ამას, ალბათ, არად აგდებენ ჩვენი მეზობლები და პრინციპად აღიარებენ, რომ ორჯერ ორი ხუთია, როცა ეს მათ სარგებლობას აძლევს და — ოთხი ან სამი, როცა სხვა ანგარიშობს თავისთვის. . . მაგალითად, ხვალ გერმანიიდან მოვიდნენ უმამულო გლეხები და მოითხოვეს ნადელები. „პეტიციის“ ლოლიკა იმას ამბობს, რომ მოსულებს მიწა უნდა მიეცეს. ავტორები კი ამ შემთხვევაში, იმედია, როგორც ჩვეულებრივ, ლოლიკას არ გასდევენ და „ჩვენც ვიწროობაში ვართო“, ეტყვიან. ზეგ, ვთქვათ, ჩინელები მოვიდნენ, რომელთაც „პეტიციის“ ლოლიკით უფლება აქვთ, ნადელები მოითხოვონ. ავტორები, უეჭველია, აქაც ხელს აიღებენ მსჯელობის ფილოსოფიურ კანონებზე და მოსულებს ეტყვიან: ეს ლოლიკა მხოლოდ ჩვენთვის არის და სხვას არ შეეხებაო. . .

ეს ლოლიკის კოჭაობა და „აბრუნდ-ჩაბრუნდი“ უფრო იმ მხრივ არის საინტერესო, რომ იგი გამოწვეულია განსაზღვრული სურვილით და მისწრაფებით. ეს სურვილია: სომხობისათვის ტერიტორიის გაფართოება კავკასიაში. ამ დასკვნას ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს „პეტიციის“ აღნიშნული მუხლი. . .

„ივერია“ №№ 61 და 62.

ძველი ჭირი

ვინც უკვირდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურულ ვითარებას, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენში, — მცირერიცხოვან ხალხში, — განსაკუთრებით ადვილად შესამჩნევი და მწვავედაც საგრძნობია. ეს არის — მომზადებულ და მშრომელ კაცების ნაკლებობა მოქმედების ყველა დარგში საერთოდ და საზოგადო სარბიელზე — კერძოდ. ეჭვი არაა, — ჩვენს

საზოგადოებას ყოველ წელიწადს ემატება ნასწავლი ხალხი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ წელს ასრულებს სწავლას რამდენიმე ქართველი, მაგრამ ცხოვრებაში ვერ ვხედავთ, რომ ეს შემატება თვალსაჩინოდ გამოიხატებოდეს და ჩვენს კულტურულ განვითარებას ბარაქიანობის აღმნიშვნელ დაღს ამჩნევდეს. ყოველ დარგსა და სფეროში მცოდნე და გამრჯელი კაცი სანთლით საძებნელია, განსაკუთრებით კი ისეთ დარგში, რომელსაც უფრო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, ბევრ შრომას მოითხოვს და მშრომელს კი მარტოოდენ უმადურობით უმასპინძლდება. . .

რასაკვირველია, ამ მოვლენას ბევრი მიზეზები აქვს, რომელთა ფესვები რეალურ ცხოვრებაში იმალება. აღზრდა, იმ წრეების საზოგადოებრივ-კლასობრივი ხასიათი, საიდანაც გამოდიან ჩვენი ინტელიგენტები, ჩვენი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, საერთო პოლიტიკური წესწყობილება და მრავალი სხვა, — არის მიზეზი, რომ ჩვენებურ „ნასწავლი“ კაცების შედარებით მცირე ნაწილი ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმეებს, არ კმაყოფილდება მარტო თავის კერძო არსებობის დამაკმაყოფილებელი საქმიანობით და ცდილობს მონაწილეობა მიიღოს იმ სფერაში, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებისათვის ბრძოლისა და მოქმედების სარბიელი არის.

ესრეთ წოდებული „საზოგადო მოღვაწეობა“, როგორც ეს დღეს ჩვენში ესმით, ჩვენ არ მიგვაჩნია ერთადერთ და არც მთავარ მიზეზად საზოგადოების კულტურულ განვითარებისა. ამ „მოღვაწეობას“ იმდენი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოების განვითარებისათვის, რამდენადაც მას ზოგიერთნი ჰბერავენ და იმ ზომამდის აზვიადებენ, რომ ყოველგვარ წინმსვლელობის შემქმნელად, ყოველგვარ წარმატების წარმომშობად აღიარებენ. შეიძლება კაცი მონაწილეობას არ იღებდეს გამოსაჩენ „საზოგადო საქმეებში“ და ამიტომ საზოგადოებაშიაც დიდებულად არა სჩანდეს, მაგრამ იგი თავის ცოდნითა და „კერძო“ მოქმედებით საზოგადოებისათვის დიდად სასარგებლო იყვეს და თავის საზოგადოებრივ მნიშვნელობით ზოგიერთ „მოღვაწეს“ სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდეს. ეს ასეა სახელდობრ მაშინ, როცა თითოეული კაცი, რომელსაც განათლება მიუღია და ნასწავლად ითვლება, — თავის სფერაში, თავის ხელობაში ვარგა, ამორჩეულ პროფესიის შესაფერი საფუძვლიანი ცოდნა აქვს და ცხოვრებითაც ისე ცხოვრობს, რომ თავის ბედნიერებისთვის სხვის უბედურებას არა ხდის საფუძვლად.

ამიტომ ჩვენის ინტელიგენციის უმრავლესობა ნაკლებ დასაგმობი და ასათვალწუნებელი იქნებოდა, რომ იგი თავის კერძო მოქმედების სფერაში მაინც ყოჩაღი იყოს და მას ცოდნის მაგივრობის გამწევად დიპლომი არ მიაჩნდეს. სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ მხრით ქართველები ძალიან ვკოპლობთ და ამ სიკოპლეს განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობთ, როცა რაიმე საყურადღებო საკითხია გასარკვევი და საჭირო ხდება სპეციალისტთა დახმარება და მათის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში ყველანი ნათლად ვრწმუნდებით, რომ ცოდნაზე ძალიან მწყრალად ბრძანდებიან ჩვენი დიპლომიანი ინტელიგენტები.

და რახან ცოდნა და მომზადება მცირეა, ამიტომ მათი კერძო ცხოვრება და მოქმედებაც უფერულია, შინაარსით ღარიბია და ამის გამო საზოგადოებას არაპირდაპირადაც ვერ აძლევს თვალსაჩინო სარგებლობას. მცირე ცოდნისა და მომზადების პატრონი ადამიანი, თუ იგი მარტო კერძო ცხოვრებით დაკმაყოფილდა, თანდათან უფრო და უფრო ილესება, განმასხვავებელი კულტურული სახე ეკარგება და თავის „რუხ“ მეზობლებს ემსგავსება.

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი ინტელიგენცია, ძალიანაც რომ იყოს საზოგადო საქმეებით გატაცებული, მაინც ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს და ცხოვრებას კვალს ვერ დაამჩნევსო, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება.

ჩვენი ცხოვრება კულტურულად ჯერ კიდევ ისე ჩამორჩენილია, ხალხის კულტურულ განვითარების დონე ჯერ კიდევ ისე დაბალია, რომ ყოველ მცირედ განათლებულ კაცსაც შეუძლიან სარგებლობის მოტანა, თუკი მას იდეალური მისწრაფება ექნება და თავის ძალღონის შესაფერად მუშაობას არ გაექცევა, ისიც კი, ვინც ვიწრო კერძო ცხოვრების ფარგალში ვერ იჩენს შესაფერ მოხერხებას, და იქელება მისივე ხელობის კაცებთან კონკურენციაში, — საზოგადო საქმეების სარბიელზე მაინც, ასე თუ ისე, გამოსაყენებელი იქნება, რადგან ჩვენს ხალხს, ვიმეორებთ, იმდენი რამ ესაჭიროება, რომ უბრალო იდეურ სალდათისთვისაც კი საქმე გამოჩნდება.

საფუძვლიან ცოდნის შესაძენად საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა, რაც ადვილი საქმე არაა და დაგვიანებულად ბევრს აღარც შეუძლია, მაგრამ ასევე ძნელი არ არის თავის არსებაში საზოგადოებრივ გრძნო-

ბიერების გაღვიძება და თავის მცონარა ცხოვრებაში ცოტათი სიცოცხლის წყალის მოპკურება. დღეს მთელი ჩვენი ხალხი ძლიერმა მოძრაობამ მოიცვა, და მართლა სულით მკვდარი უნდა იყოს კაცი, რომ ამ მოძრაობამ არ გამოაფხიზლოს და გული არ აუძგეროს. თითთეული, ცოტად თუ ბევრად, შეგნებული ინტელიგენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში და, თავის ძალ-ღონის მიხედვით, ხალხოსნურ გზის გასაკაფავად ცნობიერება გააძლიეროს ხალხში.

ძველი ჭირია ქართველი ინტელიგენციის უმოქმედობა. მაგრამ დღეს ისეთი დროა, რომ ეს ჭირი, თუ იგი არ განიკურნა, სიკვდილის მომასწავებლად ჩაითვლება. . .

„ივერია", 1905, № 131, გვ. 1.

ტფილისი, 29 ნოემბერი

ეს რამდენიმე დღეა, ტფილისში ისეთი ამბები ხდება, რომ შეუძლებელი შეიქმნა მოქალაქობრივი ცხოვრება და კულტურული საქმიანობა. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ დასამთავრებელია რევოლუციის საქმე და დასამყარებელია მოქალაქობრივი თავისუფლება, ორი ხალხი — სომეხი და თათარი — ერთმანეთს წასევია, ერთი მეორეს სასიკვდილოდ არ ინდობს და მთელ ქალაქს ეროვნულ ომის ასპარეზად ხდის. იმ დროს, როცა მთელი საქართველო უკეთეს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებისათვის იბრძოდა, როცა ყველას ყურადღება ცხოვრების ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე იყო მოქცეული, როცა კერძოდ ჩვენ, ქართველებს, ათასი საზრუნავი და საჭირო საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ქალაქში იწყება თოფების გრიალი, იღვრება ადამიანთა აუარებელი სისხლი, იხშვება მოქალაქობრივი ცხოვრება და ყველას საზრუნავ საგნად ეს-ღა გვიჩნდება, რომ ადამიანის სიცოცხლე როგორმე უზრუნველვყოთ სწორედ იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც — შეგნება რომ ჰქონდეთ — იარაღი ხელში სულ სხვა საწადელისა და მიზნისთვის უნდა ეჭიროთ.

სიტყვის დახარჯვაც კი არაა საჭირო იმაზე, რომ ქართველობა პასიური და უმონაწილო მაყურებელი ვერ იქნება ტფილისის ამბებისა, ქართველ ხალხს არ ჰქონდა უფლება, ენერგიულად ჩარეულიყო ხოც-

ვა-ჟლეტაში, როცა ეს ხოცვა-ჟლეტა კავკასიის სხვა ადგილებში ხდებოდა, სადაც მცხოვრებნი უმთავრესად თათრებისა და სომხებისაგან შესდგებიან, მაგრამ ასევე არაა საქმე საქართველოში, სადაც ქართველობა ისტორიულად და ფაქტიურად მასპინძელი იყო და არის ეხლაც. თათრები და სომხები თუ დამღუპველ მტრობასა და ერთმანეთის ხოცვას თავს არ ანებებენ, თუ მათ სურთ გასწირონ თავიანთი მერმისი და გაანადგურონ კულტურული ასპარეზი ხალხოსნურ განვითარებისა, — ეს სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენის ძალღონით ხელი შევუშალოთ სომხებსა და თათრებს მთელს კავკასიაში და არ დავანებოთ, რომ მათ თვითმკვლელობა ჩაიდინონ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან და მოვალენიც ვართ მათს ბრძოლას საზღვარი დავუდოთ თვით საქართველოში. აქ ჩვენთვის შეუძლებელი ხდება ყოველგვარი კულტურული მუშაობა ამ ხოცვა-ჟლეტის მიზეზით, და ამიტომ, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტოოდენ ხალხოსნურ თვითარსებობის შეგნება გვავალებს ჩვენ, ორსავე მხარეს — როგორც თათრებს, ისე სომხებს — რეალური ძალა დავანახვოთ და გამოვუცხადოთ, რომ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას აქ, ჩვენში, მათ ვერ დავანებებთ, ჩვენ, ვითარცა ნეიტრალური მხარე, არც ერთს მეომარ „პარტიას“ არ ვემხრობით, მაგრამ მოვითხოვთ, რომ სისხლის ღვრა შესწყვიტონ და აუცილებელი პირობები მოქალაქობრივ ცხოვრებისა არ შეგვირყიონ. ჩვენ არ გვინდა, რომ საქართველოზედაც ასე ილაპარაკოს მთელმა ქვეყანამ: იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად შეუგნებელი ბრბოა, რომელიც პოლიტიკურ რევოლუციის დროს ერთი მეორეს ჟლეტს და არბევსო.

ამიტომ საჭიროა ხალხის შეიარაღება, საჭიროა ნეიტრალ ქართველ ჯარის შედგენა როგორც თავის დასაცავად, ისე მებრძოლთა შესაჩერებლად და სამარცხვინო სისხლის ღვრის მოსასპობად. ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყველა პარტიებს აინტერესებს და ამიტომ მასში ყველა პარტიებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

თორემ ეროვნულ შოვინიზმით გაჟღენთილი და დაბრმავებული ბრბო არ დასცხრება და არ გაჩერდება, თუ მან ნამდვილი ძალა არ დაინახა.

„ივერია“, 1905, № 214, გვ. 1.

საქართველოს აკლება

სწორედ 2 1/2 თვე შესრულდა, რაც „ივერია“ სხვადასხვა მიზეზთა გამო არ გამოსულა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საშუალება არ გვქონდა მკითხველთან გვეგაასნა და მისთვის ჩვენი საერთო საზოგადოებრივი ჯირი და ლხინი გაგვეზიარებია. დროებით შეჩერებული „ივერია“ დღეიდან ისევ განაგრძობს არსებობას და ჩვენც ვკიდებთ ხელს ჩვენს ჩვეულებრივ საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში სალხინოს და სასიამოვნოს ვერას ვხედავთ და ამ პირველ ნომრიდანვე მკითხველთან მარტოოდენ ჯირსა და უბედურებაზე უნდა ვიწყოთ ლაპარაკი.

ყველა მიხვდება, თუ რა უბედურებას ვგულისხმობთ აქ. ესაა ის საშინელი აკლება და აოხრება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს სამშობლოს ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში და რომლის მსგავსი მომხდარა მხოლოდ, და ისიც იშვიათად წინანდელ შავბნელ და ბარბაროსულ საუკუნეებში. ამ აკლება-აოხრების ამბავი მკითხველმა კარგად იცის: რეაქციამ ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა საქართველოს მთელი სოფლები და ქალაქები, გასწყვიტა განურჩევლად დიდნი და პატარები, გააუპატიურა ქალები, აავსო ტუსაღებით საპყრობილეები და ამგვარად მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ რუსეთის მხედრობას შეუძლია გამარჯვება, — თუ შეიარაღებულ იაპონელებზე არა, უიარაღო ხალხსა და უმწეო ქალებზე მაინც.

არიან ჩვენში ისეთი კაცები, რომელნიც უკანასკნელ საშინელ ამბების გამო სრულს უიმედობას ეძლევიან ჩვენი ხალხის მერმისის შესახებ, უნდა აღვიაროთ, ჩვენ ასე პესიმისტურად და უიმედოდ არ ვუცქერით ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას. არ ვუცქერით ასე არა იმიტომ, ვითომ სამშობლოს საშინელი აოხრება გულს არ გვიწამლავდეს, — აბა ვინ იქნება ისეთი, გარდა ზნეობით მახინჯისა, რომ ამაზე გული არ დაეწვას, — არამედ იმის გამო, რომ ვიხსენებთ წარსულ ისტორიულ მაგალითებს და ვიცით, რომ აწიოკება და განადგურება წინათაც გამოუცდია ჩვენს მხარეს. ის ხალხი, რომელმაც მთელი ორი ათასი წლის უბედური ტანჯვითა და ვაებით აღსავსე ისტორია საქართველოსი გადაიტანა თავის თავზე, გაუძლებს და გადაიტანს იმ აოხრებასაც, რომელიც მას ეწია „განათლებულ“ მეოცე საუკუნეში. გადამეტებული, სრულიად იმედს მოკლებული პესიმიზმი ნიშანია ან სილაჩრისა და ან

მიმდინარე ცხოვრების შინაარსის გაუგებრობისა. რევოლუცია არ ნიშნავს მოკირწყლულ ტროტუარზე მშვიდად სეირნობას. მართალია, ჩვენ, ქართველებს ფაქტიურად აჯანყება არ მოგვიხდენია და შეიარაღებული მთავრობის ჯარებს პირისპირ არ დავდგომივართ საბრძოლველად, მაგრამ სწორუფლებიანი მონაწილენი მაინც ვიყავით საერთო რუსეთის რევოლუციისა. და ასეთ გარემოებაში მეტად გულუბრყვილო უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც მოწინააღმდეგის გამარჯვების დროს არ მოელის თავისთვის არავითარ ზარალს, პირველ ცეცხლისა და სისხლის დანახვისთანავე იწყებს მოთქმას და ეძლევა სასოწარკვეთილებასა და გაკვირვებას. ასეთი ცალმხრივი პოლიტიკოსი მოგვაგონებს იმ ახალგაზრდა გასათხოვარ ქალს, რომელსაც ბავშვი შეეძინა და ძალიან უკვირდა ეს მოვლენა, ვინაიდან ეგონა, რომ ბავშვები მხოლოდ ქმრებს მოაქვთ ცოლებთან საჩუქრად.

დიდია ის ზარალი და შეურაცხყოფა, რომელიც გამოაცდევინა ქართველ ხალხს გამარჯვებულმა რეაქციამ, მაგრამ ცარიელ მოთქმით, რომ კიდეც დავიწყოთ მოთქმა-ტირილი, მდგომარეობა არ შეიცვლება, და იგი ჩვენის აზრით არც შეშვენის მწერლობას. ჟურნალისტის მოვალეობაა ცხოვრების მოვლენათა აკინძვა, ფაქტისა და მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირება და იქიდან გამომდინარე შედეგთა გარკვევა და გათვალისწინება. მაშ, გადავხედოთ ამ მხრივ უკანასკნელ დამარცხებას და გავიგოთ, რას გვეუბნება იგი წარსულში და რას გვეტყვის მომავალში.

საქართველოს ეხლანდელი აოხრება, უეჭველია, მჭიდროდ არის შეკავშირებული მთელი რუსეთის რევოლუციის სვე-ბედთან. როგორც რევოლუციის პირველი გამარჯვება ოქტომბერში ჩვენც გვხდა წილად, ისევე მეორე — დეკემბრის გაფიცვის დამარცხების შემდეგ მთელს რუსეთში გამეფებული რეაქცია არ აგვცდა და წინანდელ დამარცხებისთვის მძიმე და თან უაზრო ხარკი გაგვაღებინა. ოქტომბრის საერთო პოლიტიკურ გაფიცვას, რომელსაც, შეიძლება ვთქვათ, მთელი რუსეთი ემხრობოდა, თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა, მთავრობა შეხვდა სრულიად მოუმზადებელი და ამიტომ, ე. ი. საწინააღმდეგოდ მოუმზადებლობისა და გაფიცვის ზნეობრივ ძლიერების გამო, იძულებული გახდა დაეთმო და ლიბერალური მანიფესტი გამოეცა. მაგრამ როგორც კი დემოკრატიულმა პარტიებმა იწყეს გამოცხადებულ თავისუფლებით სარგებლობა და თავის აზრების საჯაროდ გავრცელება, სამინისტრო მა-

შინვე თავისუფლების შეკვეცას შეუდგა და ხელად შესაფერი უთვალავი „დროებითი კანონები“ გამოსცა.

რევოლუციონურმა პარტიებმა შეიარაღებულ ბრძოლის საყვირი დაჰკრეს და ენერგიულ შეტაკებისთვის დაემზადნენ, მაგრამ ახლა მათ აღარ ჰყავდათ თავის მხარეზე დიდი ნაწილი იმ ხალხისა, რომელიც მათ პირველ გაფიცვის დროს მხარს უჭერდა. 17 ოქტომბრის მანიფესტით ლიბერალურმა ბურჟუაზიამ და თავად-აზნაურობამ მოიპოვა ის მთავარი უფლებები, რომლებიც მათ ხმასა და გავლენას აძლევს სახელმწიფოში, ხოლო რაც შეეხება დემოკრატიის განვითარებას, ეს მათ მისწრაფებას არ შეადგენს, — პირიქით, ეს მათის კლასობრივ საქმიანობის ხელის შემშლელია. გარდა ამისა, ისინი დააფრთხო სოციალიზმმაც, რომელსაც პირველ გამარჯვებით გატაცებული რევოლუციონერები ახლავე ხელს ჰკიდებდნენ განსახორციელებლად. და ასე, ბურჟუაზია და მემამულეთა კლასი, ლიბერალურ კონსტიტუციონურ წესიერების მონატრე, სამინისტროსკენ გადაიხარა. ასეთივე ალღო აიღო აფიცრობამაც, რომელიც უმთავრესად იმავე ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის წრიდან გამოსულ კაცებისაგან შესდგება. დარჩნენ მარტო რევოლუციონური პარტიები, რომელთაც გაფიცვის მოსახდენად საკუთარ ლაშქარშიაც შეუმცირდათ მომხრეები, რადგან პირველმა გაფიცვამ მუშა ხალხი ნივთიერად დაასუსტა და შიმშილის შიშმა მეორე გაფიცვისთვის სურვილი დააკარგვინა. ასეთ პირობებში, ცხადია, დეკემბრის გაფიცვა უნდა დამარცხებულიყო და კიდეც დამარცხდა. მოსკოვის ერთი მუჯა ხალხის აჯანყებაც მალე ჩააქრო აფიცრების მეთაურობით ჯარმა და რეაქციის სამოქმედოდ თავისუფალი გზა გაეხსნა. დაიწყო მთელს რუსეთში რევოლუციონერთა სასტიკი დევნა, რომელიც ყველას გაგებული ექნება გაზეთებიდან.

ხშირად გაბრაზებული მეგაზეთეები ვიტტეს უნიჭოს ეძახიან და მის უნიჭობას ასაბუთებენ იმით, რომ ვიტტეს კაბინეტი თითქმის არავითარ შემოქმედებით შრომას არ ეწევა ახალ წესწყობილების დასამყარებლად. ჩვენის აზრით, ვიტტეს ნიჭის ასეთი უარყოფითი დიაგნოზი დიდი შეცდომაა. ვიტტემ კარგად იცის, რაც მას უნდა, და შესაფერადაც იქცევა. 17 ოქტომბრის მანიფესტის საშუალებით მან გათიშა და გააცალკევა ოპოზიციონური ელემენტები რუსეთში, დაახანა განგებ სათათბიროს მოწვევა, დასტოვა საკმაო დრო, რომ პოლიტიკურ გაფიც-

ვას ხალხის თვალში მიმზიდველობა მოჰკლებოდა და რევოლუციონერი ენერგია სათათბიროს შეკრებამდის დახარჯულიყო. შემდეგ გაამეფა მთელს სახელმწიფოში გენერალ-გუბერნატორების დიქტატურა და ამგვარად სწადიან მთავრობის ტერორის ზეგავლენით გააჩუმოს ოპოზიცია არჩევნებისა და პარლამენტის მოქმედების პირველ ხანებში. მისი სურვილია რუსეთში „კონსტიტუციურ თვითმპყრობელობის“ დამყარება, რომელთანაც, რა თქმა უნდა, შეუთანხმებელია დემოკრატია, და რომ ეს უკანასკნელი არ ახმაურდეს და ზომიერებს დინჯად საქმიანობა არ დაუშალოს, მის წინააღმდეგ არ ზოგავენ არც ტყვია-წამალს და არც ზარბაზნების ყუმბარებს.

ამგვარად, რამდენადაც რეაქცია საზოგადო მოვლენაა დღეს მთელ რუსეთის შინაურ ცხოვრებაში, იმდენადვე ქართველ ხალხის წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული ზომები მთავრობისა საერთო მოვლენის ნაწილს შეადგენს, რომელსაც იმ მთავარ მოვლენასთან ერთნაირი მიზეზი და საფუძველი აქვს. მაგრამ ზომა და ძალა რეპრესიულ ზომებისა ჩვენში დიდად განსხვავდება რეაქციის სისასტიკისაგან შიდა რუსეთში. იქ ისეთ ბარბაროსობამდის არ მისულა რეაქცია, რომ მთელი ქალაქები და სოფლები გადაეწვა და ხალხი უბინაოდ დაეტოვებინა. მოსკოვში მომხდარი დახვრეტა რევოლუციონერებისა აქ მაგალითად მოსატანი არ არის, რადგან იქ მაშინ შეიარაღებული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჩვენში კი თუმცა ეს არ ყოფილა, მაგრამ სამხედრო წესის ძალა მთელი სოფლების განადგურების წინაშეც კი არ შედრკა. და ამ გადამეტებულ სისასტიკის ასახსნელად კი მარტო რევოლუციონური აღტყინება ქართველ ხალხისა არ კმარა. რევოლუციონურ მოძრაობას ჩვენში ჰქონდა განსაკუთრებული, თავისებური ელფერი და გამოხატულება, რომელმაც საბაბი მისცა რეაქციას, რუსეთის საზოგადოებრივ აზრს სრულებით არ მორიდებოდა და აქ მეტის სისასტიკითა და დაუნდობლობით ემოქმედნა.

რევოლუციონური მოძრაობა, რომელიც გაღვივდა საქართველოში, დაფუძნებულია ჩვენი ხალხის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენებურ სოციალდემოკრატიულ პარტიის განვითარებასთან. სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთა გარკვევა ამ წერილის საგანს აგვაცდენს და ამიტომ აღარ გამოვუდგებით, ხსენებულმა პარტიამ დიდი გავლენა მოიპოვა არა თუ ქალაქის მუშებში, არამედ სოფლის გლეხობაშიაც. თუმცა გლეხობა ემხრობოდა ამ პარტიას

არა იმიტომ, ვითომ მის პროგრამაში ეპოვნა თავის ეკონომიურ ინტერესთა დაკმაყოფილება, არამედ იმის გამო, რომ სოციალდემოკრატია, ვითარცა დემოკრატიული პარტია, დემოკრატიულ და, მაშასადამე, გლეხობისთვის სიმპატიურ პრინციპებს აღიარებს, მაგრამ ჩვენი სოციალდემოკრატები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული და სხვებსაც არწმუნებდნენ, რომ მთელი ქართველი ხალხი მათ მხარეზე იყო და მათ პარტიულ ლაშქარს შეადგენდა. გარეგნობაც ხელს უწყობდა ასეთ რწმენას. იმის გამო, რომ ეს თითქმის ერთადერთი ენერგიული მომქმედი პარტია იყო, მან გავლენა მოიპოვა ბურჟუაზიაზედაც, ასე რომ მისი კომიტეტის გადაწყვეტილებას ვაჭარი ხალხიც ყველგან უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ამ გარემოებამ დაჰბადა გაზვიადებული წარმოდგენა და აზრი თავის პარტიის ძლიერებაზე სოციალდემოკრატებში და მოსალოდნელი გამარჯვების იმედით გააძლიერა სურვილი რევოლუციონური მოქმედებისა. ამის გამო, მალე საქართველო გახდა არა თუ ამყოლი, არამედ ძლიერი ავანგარდი მთელი რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობისა. ასეთი აზრი შესდგა და გავრცელდა ქართველ ხალხის მოძრაობის შესახებ რუსეთის მოწინავე პრესსაში და ასეთად სთვლიდა მას რუსეთის მთავრობაც.

ამ მოძრაობას ნიშანი დაამჩნია ერთმა ჩვენმა საერთო ქართულ თვისებამაც. უკაცრავად კი ნუ ვიქნები და ქართველებს გვიყვარს პრტყელპრტყელი და მაგარ-მაგარი ლაპარაკი, ხშირად სურვილს სინამდვილედ მივიღებთ და ჩვენს ანგარიშებს მასზე ვამყარებთ. ყოველ მიტინგზე, ყოველ სააგიტაციო კრებაზე მუდამ ლაპარაკი იყო შეიარაღებულ შეტაკებაზე და ორატორები წინდაწინვე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. სოციალდემოკრატიას 500 თოფი არ ჰქონდა ტფილისში რაზმების შესადგენად, იარაღისთვის ნამესტნიკს მიმართა, და იმავე დროს რუსეთის ლაშქარს უპირებდა იარაღით დამარცხებას. სურვილი გამარჯვებისა მან სინამდვილედ მიიჩნია. მთავრობა ამგვარ გაბერილ „რეჩებს“ ყურს უგდებდა, ზოგიერთ გაზეთებშიაც იმგვარსავე წერილებს კითხულობდა და რწმუნდებოდა, რომ „ტუზემცები“ მართლა აპირობენ მისი ლაშქრის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლას.

და აი, როცა მეორე გაფიცვა დამარცხდა და რეაქციამ თავისი საქმენი საგმირონი დაიწყო, ჩვენი მხარე არ დაივიწყა, — პირიქით, განსა-

კუთრებული ყურადღება მიაქცია ამ „აჯანყების ძლიერ ბუდის დამშ-ვიდებას“. აქ, „ტუზემცებთან“, საჭირო აღარ იყო ცერემონია, რადგან ოფიციალურად შეიძლებოდა მათი დასახვა მტრებად არა თუ არსებულ წესწყობილებისა, არამედ საერთოდ რუსეთის სახელმწიფოსიც. ბევრ ჩვენ მკითხველს ეცოდინება კიდეც, თუ როგორი წერილები იბეჭდება საქართველოს „დამშვიდების“ შესახებ ზოგიერთ სატახტო გაზეთებში მთავრობის აგენტებისაგან.

მართალია, თავისუფლების მოტრფიალე ხალხი დღეს დამორჩილე-ბული და დასჯილია, მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვინმემ იფიქრა, რომ ეს გარემოება მთავრობის ნამდვილ გამარჯვების მომასწავებელია. ჯერ არც ერთ მთავრობას დედამიწის ზურგზე ხიშტითა და ზარბაზ-ნებით ხალხის გული არ მოუგია და მასზე ზნეობრივად არ გაუმარჯვ-ნია. რეაქცია ცეცხლს აძლევს და ანადგურებს იმ სახლებს, სადაც პრო-პაგანდისტები ეგულება, მაგრამ ვერც ერთი პროპაგანდისტი, თუნდა ქრისტეს მეორედ მოსვლამდის ელაპარაკნა, თავის დღეში ვერ იტყო-და და ვერ აგრძნობინებდა ხალხს მთავრობის წინააღმდეგ იმას, რა-საც მთავრობა თავის წინააღმდეგ მოქმედებით შვრება. ეს ისეთი პრო-პაგანდაა, რომელმაც, თუ სადმე იყო მთელი შემაერთებელი ხიდი, ჩას-ტეხა და მისი ხელახლად გამთელება შეუძლებელი გახადა. ეს არის ზნეობრივი დამარცხება რეაქციისა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ზნეობრივად დამარცხდა არა მარტო მთავ-რობა, არამედ მისი მტერი პარტია — სოციალდემოკრატიაც. ხალხმა ნათლად დაინახა, რომ ამ პარტიის წევრთა ბევრი „დაპირება“ და „გან-მარტება“ ცარიელი სიტყვები იყო და არა ნამდვილ ურთიერთობასა და რეალურ ძალთა განწყობილებაზე დაფუძნებული ცოდნა. უეჭველია, უკანასკნელ ამბების შემდეგ ამ პარტიას გამოჩენილად ჩამოშორდე-ბიან ხალხის ის ელემენტები, რომელნიც პროგრამის შინაარსის შეგ-ნების საფუძვლით არ იყვნენ მასთან შეერთებულნი.

ვამბობთ ამას არა იმიტომ, ვითომ გვიხაროდეს ამ პარტიის და-მარცხება ამგვარად და ასეთ გარემოებაში, პირიქით, ეს დამარცხება სამწუხაროა, რადგან მასთან აუცილებლად შეკავშირებულია ხალხში იდეალურ მისწრაფების განელება. თავის მოტყუება იქმნება ვიფიქ-როთ, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იყოს განახლება იმ სუ-ლიერ აღფრთოვანებისა და რევოლუციონურ მისწრაფებისა, რომელიც განიცადა თითქმის მთელმა ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელ წელი-

წადში. ეს მით უფრო ნაკლებ არის საფიქრებელი, რომ თვით რუსეთში რევოლუცია, ჩვენის აზრით, კარგა ხნით დამარცხებულია და დემოკრატიას მხოლოდ მოსალოდნელ ლიბერალურ სახელმწიფო წესწყობილების ფარგალში მოელის უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლა და პოლიტიკური საქმიანობა.

გაზ. „იევერია", 1906 წ., № 1.

ინგლისური აღზრდა

(ლეკლერის თხზულებიდან)

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბავშვის აღზრდის საქმეში არსად ოჯახს ისეთი დიდი როლი და მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ინგლისში. ინგლისელის ხასიათის და ზნეობრივ ფიზიონომიის განვითარებას მტკიცე საფუძველი ეძლევა ოჯახშივე, და ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ინგლისური ოჯახი, მის წევრთა განწყობილებითა და ზნე-ჩვეულებით, მეტად თავისებურია და დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვის ნორჩ არსებაში მტკიცე და დამოუკიდებელი ადამიანის შემუშავებას.

ინგლისელისთვის ოჯახი, რომელსაც იგი „ჰომ"-ს უწოდებს, შეადგენს მის საკუთარს წმიდათაწმიდას, სადაც გარეშე კაცი ადვილად და ახირებულად ვერ შევა. ინგლისელი ძალიან შერჩევით იღებს თავის ოჯახში გარეშეებს და მხოლოდ რჩეულებს გადაუშლის თავის შინაურ ცხოვრებას. ბინადრობითაც ინგლისელი განკერძოებულად სცხოვრობს, — სოფელში თუ ქალაქ ადგილას თითო ოჯახი თითო სახლშია მოთავსებული და სრულებით უმეზობლოდ სცხოვრობს, რის გამოც არ მოხდება, რომ ერთმა ოჯახმა მეორე შეაწუხოს. მხოლოდ ამ თავის „ჰომ"-ში, სადაც იგი პირველი უფროსი და ავტორიტეტია, ჰპოვებს ინგლისელი მოსვენებას, მხოლოდ აქ ეძლევა იგი განცხრომას, ისვენებს სულიერად და ივიწყებს გარეშე საქმიანობის ფიქრსა და ვარამს.

ბავშვებს ინგლისელები არ ანებივრებენ, — პირიქით უალერსოდ ზრდიან. ისინი ცალკე ოთახში ჰყავთ მოთავსებული, იქ ასმევენ და აჭმევენ და დღეში მხოლოდ რამდენჯერმე ინახულებენ, საბავშვო ოთა-

ხი არის დიდი, ფართო, ნათელი, შიგ თითქმის არავითარი ავეჯი არა სდგას, გარდა საწოლისა და პირსაბანისა. ბავშვს ყოველ დღე ცივ წყალში აბანავებენ, რადგან ეს ძალიან ამაგრებს სხეულს, აცმევენ უბრალო და მოხერხებულად სატარებელ ტანისამოსს. ფეხს აიდგამს თუ არა, ბავშვს მომეტებულ ნაწილს გარეთ ამყოფებენ, წმინდა ჰაერზე, საცა იგი თავისუფლად თამაშობს გამდლის მეთვალყურეობით. პატარაობიდანვე მას ნელ-ნელა ასწავლიან ავკარგის გარჩევას, უნერგავენ გულში სიმართლის სიყვარულს, თვითმოქმედებას და რწმენას, რომ ცხოვრებაში იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ თავის თავისა. ამნაირად აღზრდილი ბავშვი საღი აგებულებისაა და, წლოვანობის დაგვარად, ყოველ მხრივ ზომიერად არის განვითარებული.

ოჯახურ აღზრდის შემდეგ იწყება სასკოლო აღზრდა, რომელსაც მიზნად აქვს განვითარება ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი. როგორც ოჯახში, ისე სკოლაშიაც ინგლისელი ცდილობს ბავშვი გამოიყვანოს ფიზიკურად მაგარი, მარდი და ჯან-ღონით სავსე და ამიტომ ყოველ სკოლაში მართავენ სხვადასხვაგვარ სავარჯიშოებსა და სათამაშოებს, სხეულის მუდმივი ვარჯიშობა წმინდა ჰაერზე ამაგრებს ბავშვის აგებულებას, სხვადასხვა გონიერ თამაშობის მეოხებით უვითარდება მას მხედველობა, ემატება გამბედაობა და თაოსნობა. ამის გამო ამ სხეულის სავარჯიშოებსა და სათამაშოებს ინგლისელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ფიზიკურ აღზრდასთან ინგლისში მჯიდროდ შეკავშირებულია ზნეობრივი აღზრდაც. აქაური სკოლა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვის ზნეობრივ განვითარებასაც, — ცდილობს ბავშვს შეუმუშაოს მაგარი ხასიათი და მის ნორჩ ბუნებაში თანდათან განავითაროს ადამიანი მართალი, პატიოსანი, მტკიცე და დამოუკიდებელი.

ბავშვი შედის სკოლაში თორმეტი წლისა, როცა იგი ცოტათი კიდეც მომზადებულია ცხოვრებისათვის. წინანდელ დროში სკოლა ვერ იყო კარგ ნიადაგზე დაყენებული, სანამ ამ ასპარეზზე სამოღვაწეოდ არ გამოვიდა ტომას არნოლდი (1828 წ.) და დიდი ცვლილება არ მოახდინა სასკოლო სწავლა-აღზრდის საქმეში. არნოლდმა თავის მთავარ მიზნად დაისახა ზნეობრივი აღზრდა მოწაფეებისა. იგი ყოველ ღონისძიე-

ბით ცდილობდა, რომ ბავშვებისათვის ჩაენერგა ზიზღი-სიძულვილი ტყუილისა, ამ მიზანს აღწევდა თითოეულ ბავშვის ინდივიდუალურ ხასიათის გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებულ ღონისძიების ხმარებით. თავის მოწაფეებს იგი ჯგუფებად ჰყოფდა და თითოეულ ჯგუფს ცალკე მასწავლებელს უნიშნავდა ხელმძღვანელად. არნოლდის სკოლაში ბავშვს ყველაფერში ენდობოდნენ, მხოლოდ, სამაგიეროდ, სრულს სიმართლეს ითხოვდნენ. ყველაზე საწყენ სიტყვად იქ მიაჩნდათ „ტყუილი“.

არნოლდის სკოლამ დიდი გავლენა იქონია და გახდა სამაგალითო სკოლად ყველა საერო სკოლებისათვის. არნოლდის სკოლის პრინციპები სხვა სკოლებმაც გადაიღეს და ახალთაობის აღზრდის საქმეში მიზნად გაიხადეს განვითარება ბავშვის კარგ თვისებათა და გასწორება ნაკლთა. დასჯა თითქმის არ იყო და არც ახლა არის. მოსწავლე იკავებდა თავს არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ დასაგმობ საქციელით არ შელახოს თავისი ღირსება და პატიოსნება.

სარწმუნოების სწავლებას ინგლისის სკოლებში საპატიო ადგილი უჭირავს. სკოლები თავის მოვალეობად სთვლიან „კარგად აღზრდილ ქრისტიანების“ გამრავლებას. წინად სასულიერო პირნი ახლო იდგნენ სკოლასთან და ეკკლესიის გავლენა სკოლაზე დიდი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში ეს გავლენა ეკკლესიისა ნელ-ნელა მისუსტდა და დღეს თითქმის სრულიად გამქრალია.

სკოლებში გაკვეთილებს ამზადებინებენ მოსწავლეებს, მაგრამ ისე კი, რომ ფიზიკური ვარჯიშობა და წმინდა ჰაერზე ყოფნა არ მოაკლდეთ, საზოგადოდ ინგლისელი აღმზრდელები ძალიან ერიდებიან მოსწავლეების გონებრივ მოქანცვას და ამიტომ ბავშვებს გონებრივად იმდენს ამუშავებენ, რომ ზიანი არაფერი მიეცეს სხეულის საღ განვითარებას. ამიტომ ახალგაზრდა ინგლისელი, როცა სასწავლებელს ათავებს და იქიდან გამოდის, ბევრი რამ არ იცის, მაგრამ ის, რაც იცის, — კარგად იცის, და ამასთან თვითმოქმედება და შეგნება ცოდნის შეძენის საჭიროებისა, რომელიც მან სკოლაში შეითვისა, ძალიან ხელს უწყობს და აწინაურებს მას ცხოვრებაში.

გაზ. „ივერია“, 1906 წ. № 5.

პოლიტიკა და კულტურა

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში, იქნება, მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში იმდენი არა დაწერილიყოს რა საქართველოს შესახებ, რამდენიც დაიწერა ამ უკანასკნელ ორ წელიწადში. ასეთი, წინანდელ დროსთან შედარებით, განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის პრესისა ჩვენდამი აიხსნება იმ გარემოებით, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენმა მხარემ, ხოლო რუსეთის მოწინავე პრესსა, რასაკვირველია, მხარს აძლევდა მთელს სახელმწიფოში ამ მოძრაობას და ამიტომ დიდის ყურადღებით ეკიდებოდა და მრავალ წერილს უძღვნიდა ყოველ კუთხეს, სადაც სარევოლუციო მოქმედების გაძლიერებას შეამჩნევდა ხოლმე. და ასე, ამ უკანასკნელ დროს, რუსეთის პრესსის ყურადღება არ მოჰკლებია ჩვენს მხარესაც და ეს ყურადღება ხშირად ისეთი სიტყვებით იყო გამოთქმული, რომ ჩვენს თავმოყვარეობას ელამუნებოდა და ასიამოვნებდა. გაზეთებმა ძალიან ზევით-ზევით აგვწიეს და, პოლიტიკურ ბრძოლის გამოისობით, ისეთი დიდი საზომით სჯიდენ ჩვენს თანამედროვე კულტურულ მდგომარეობაზე, რომ გარეშე ადამიანი უეჭველად ყალბ წარმოდგენას შეადგენდა ჩვენს გონებრივ განვითარებაზე.

უცხოთა გადაჭარბებული აზრი ქართველ ხალხის თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე, რასაკვირველია, მაინცა და მაინც მავნებელი არაა და ჩვენს საქმეს არას დაუშლის. მაგრამ ეგეევ არ ითქმის იმ შემთხვევაშიაც, როცა ასეთი გადაჭარბებული აზრი თვით ქართველობაშიაც ფეხს მოიკიდებს და გავრცელდება. საზოგადოდ ყალბი, სინამდვილის წინააღმდეგი წარმოდგენა თავის თავზე მავნებელია, ვინაიდან იგი ხელის შემშლელია რეალურ ძალღონესთან შეგუებულ სამოქმედო გზის ასარჩევად, მაგრამ განსაკუთრებით ხელის შემშლელი და მავნებელია იგი, როცა საკუთარი კულტურული დოვლათი და ძალღონე შეუფერებლად გადიდებული და გაზვიადებულია. ეს არის მავნებელი ნანინა, რომელსაც ცხოვრებაში ხშირად მოლოდინის გაცრუება და თავის უღონობის მწვავედ განცდა მოჰყვება ხოლმე შედეგად...

და დღეს სწორედ ისეთი ხანაა და ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯისცემა იმგვარად გამოიხატება, რომ ადვილად შეიძლება ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდეს ზემოაღნიშნულის მსგავსი გაბერილი წარმოდგენა შესახებ ქართველი ხალხის კულტურულ მდგომარეობისა და

სამოქმედო ლონის ძლიერებისა. ბევრია დღეს ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელიც საქმის ვითარებაში ღრმად დაუკვირვებელ ადამიანს საფუძველს მისცემს ამგვარ აზრის შესათვისებლად და, მაშასადამე, თავისი თავის მოსატყუებლად. ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში ვის არ უნახავს, მაგალითად, სახალხო მიტინგები და არ მოუსმენია იქ წარმოთქმული სიტყვები და რეზოლუციები. ერთიცა და მეორეც ხშირად ისეთის ხასიათისა ყოფილა, რომ მის გამოისობით მოწინავე ევროპის არც ერთი განათლებული კუთხე არ შერცხვებოდა. თითოეულ ჩვენგანს მოუსმენია ამ ბოლო დროს გატაცებითა და რწმენით აღსავსე კამათი სხვადასხვა კრებებსა და მიტინგებზე, რომელიც უნებურად ევროპულ პოლიტიკურ ცხოვრებას და იქაურ ხალხის გონებრივ სიფხიზლეს მოაგონებდა მაყურებელს: პარტიული დაყოფა და ბრძოლა ჩვენში ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ისე ენერგიულად სწარმოებს, რომ ამ მხრივ ევროპასაც კი არ ჩამოუვარდებით. ქართლის მიყრუებულ სოფლებშიაც კი გლეხები გუშინ სხვათა შორის პრესსის თავისუფლებას და სახელმწიფოსგან ეკლესიის განცალკევებას თხოულობდენ მათსავე კრებებზე შედგენილ რეზოლუციებში. დღეს ერთ-ერთი უკიდურესი დემოკრატიული პარტია, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკას და სოციალიზმს აღიარებს, მოდებულია მთელ საქართველოში და ბრწყინვალედ იმარჯვებს არჩევნებშიც. პარტიული ბრძოლა უკიდურესობამდის არის მიღწეული. ერთი სიტყვით, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, შეგვიძლია ვთქვათ, „დულს და გადმოდის“.

შეიძლება, ამიტომ, ეს გარემოება, რომელიც გარეგნად განათლებულ ევროპის ცხოვრებას ემსგავსება, ვინმეს ეგონოს ხალხის მაღალ კულტურისა და გონებრივ დაწინაურების მაჩვენებელი. მაგრამ ნამდვილად კი ეს პოლიტიკური ხმაურობა და ღრიანცელი, საუბედუროდ, არაა იმის უტყუარი მომასწავებელი, რომ ხალხი კულტურის მხრივ შესაფერად მომზადებული და განვითარებული არის. ერთსა და ორ წელიწადში ხალხი ვერ გარდაიქმნება გონებრივად და ვერ აღიჯურვება სწავლა-განათლებით., ქართლელი გლეხი, მაგალითად, ისევე წერა-კითხვის უცოდინარი იყო შარშან, „რეზოლუციების“ შედგენის დროს, როგორც შარშანწინ, და ამიტომ პრესსის თავისუფლების მოთხოვნა ამ გლეხის მიერ, რომელმაც კითხვა არ იცის და თავის დღეში გაზეთი ხელში არ აუღია და მისი გემო არ გაუცვნია, არ შეიძლება ისეთ მოთხოვნად ჩავთვალოთ, რომელიც ვითომ მას შარშან შეგნებული და

შესისხლხორცებული ჰქონოდეს. და ეგევე ითქმის ბევრ სხვა დემოკ-
რატიულ პრინციპზედაც, რომლებიც ჩვენებურ სოციალდემოკრატიის
ზოგიერთ მოძღვართ, არჩევნებში პარტიის გამარჯვების საფუძვლით,
ღრმად ჩანერგილი ჰგონიათ ხალხის გულსა და გონებაში. სოციალ-
პოლიტიკურ ბრძოლას და საქმიანობას მხოლოდ მაშინ აქვს ხასიათი
შეგნების და ცნობიერებისა, როცა მას წინ უძღვის რამოდენიმედ მა-
ინც სწავლა და გონებრივი განვითარება. მართალია, პოლიტიკური
ბრძოლა და რეფორმები თავის მხრივ ხელს უწყობს და ავრცელებს
ხალხში სწავლა-განათლებას, მაგრამ ეს ხდება არა ერთსა და ორ
დღეში, არამედ თანდათან დიდი ხნის განმავლობაში.

დღეს-დღეობით კი ჩვენში სწავლა-განათლება ძალიან მცირედაა
გავრცელებული, თუ კავკასიის სხვა კუთხეებს შევადარებთ, საქართ-
ველოში წერა-კითხვა უფრო მოდებულია, მაგრამ ჩვენს სამშობლოში
ეს დაწინაურება არის შედარებითი და არა — აბსოლუტური. ქართველ
ხალხის უმრავლესობა დღესაც წერა-კითხვის უცოდინარი არის. 1897
წელს, საყოველთაო აღწერის ციფრების თანახმად, ქუთაისის გუბერ-
ნიაში ითვლებოდა 868766 ქართველი, ამათგან წერა-კითხვის მცოდნე
(ორივე სქესისა) იყო — 122891 ანუ 14,2%., ტფილისის გუბერნიაში
ქართველების საერთო რიცხვი იყო 467631, ამათგან წერა-კითხვის
მცოდნე (ორივე სქესისა) იყო — 66211 ანუ 14,1%. საერთოდ, ორსავე
გუბერნიაში მცხოვრებ 1,336397 ქართველში წერა-კითხვა იცოდა
189102 ანუ 14,2%-მა. როგორც ვხედავთ, წერა-კითხვის მცოდნე
მცხოვრებთა მხოლოდ მეშვიდედი ნაწილი ყოფილა, — მეტი არა. და
მარტო წერა-კითხვის ცოდნა ხომ არაფერი საბუთია ადამიანის სწავ-
ლა-განათლებისა. იმავე აღწერის ცნობებით 1897 წელს მთელ საქა-
რთველოში ყოფილა მხოლოდ 12867 ადამიანი (მცხოვრებთა 0,9%),
რომელთაც პირველდაწყებითზე უმაღლეს სკოლებში ჰქონიათ სწავლა
დასრულებული. ცხადია, ასეთი მცირე ციფრი, რომელიც ჩვენში „ნას-
წავლთა" რაოდენობას გვიდგენს თვალ-წინ კონკრეტულად, ვერ ჩაითვ-
ლება მაინცდამაინც ჩვენი დიდი კულტურული განვითარების მაჩვე-
ნებლად. ვთქვათ, 1897 წლის შემდეგ, 9 წლის განმავლობაში, სწავ-
ლა-განათლებამ შესამჩნევად იმატა, მაგრამ ეს მატება დღეს წინან-
დელზე ერთი-ორად მეტიც რომ ვიგულისხმოთ, მაშინაც არ ითქმის,
რომ გონებრივ განვითარების აუცილებელი საშუალება — წერა-კითხ-
ვა — ვითომ საკმაოდ იყოს ხალხში გავრცელებული.

და უამისოდ კი, ე. ი. სანამ ხალხს ელემენტარული სასკოლო განათლება აკლია და საკითხავად შესაფერი მწერლობა არ მოეპოვება, ყოველად შეუძლებელია გარკვეულ ცნობიერების საფუძველზე იყოს დამყარებული მისი პოლიტიკური საქმიანობა. ამიტომ ეს საგანი ჩვენის მხრივ ღირსია განსაკუთრებული ყურადღების და მზრუნველობისა.

სახალხო სწავლა-განათლება სახელმწიფოებრივი საკითხია და ამიტომ ეს საქმე საკუთარი სახელმწიფომ უნდა მოაწყოს და ჩვენ ცალკე მეცადინეობა ალარ გვჭირიაო, იტყვის ვინმე. მართალია, სწავლა-განათლების საქმე მთელს სახელმწიფოს შეეხება და ამიტომ საკანონმდებლო დაწესებულებამ უნდა გახადოს სავალდებულოდ საკმაო სკოლების დაარსება და საყოველთაო სწავლება. შეიძლება ვიფიქროთ კიდეც, რომ რუსეთის სათათბირო დააკანონებს ამას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგივე სათათბირო ჩვენ არ შეგვიდგენს არც სასკოლო სახელმძღვანელოებს და არც საკითხავ წიგნებს წიგნთსაცავ-სამკითხველოებში დასაწყობად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პოლიტიკური უფლებები და რეფორმები საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ამასთანავე საჭირო და აუცილებელია ისიც, რომ ხალხმა გამოიჩინოს შემოქმედებითი ძალღონე და მოპოვებულ უფლებით სარგებლობა ისურვოს.

ამ მხრივ ჩვენში დღეს თითქმის არა კეთდება რა. ყველას პირი პარლამენტისაკენ გვაქვს მიქცეული, იქიდან ველით ყველაფერს და გვაიწყდება, რომ, რაც უნდა ნაყოფიერი იქნეს ამ პარლამენტის მუშაობა, იგი მაინც გონებრივ საზრდოს არ გამოგვიგზავნის მზამზარეულად. ამ საზრდოს ეჭირვება შექმნა და ამისათვის კი საჭიროა გარჯა და მუყაითობა. დღეს ქართულ ენაზე სამკაპიკიან ბროშურებს გარდა არავითარი მიზრდილი და საფუძვლიანი წიგნები არ იბეჭდება და თუ ხალხი შემდეგშიაც ამგვარი საზრდოს შემხედვარე დარჩა, იგი კულტურულად ნაბიჯს წინ ვერ გადასდგამს და ერთ ადგილას გაიყინება, თუნდა მას სხვადასხვა პარტიებმა ქრისტეს მეორედ მოსვლამდინაც სულ უქადაგონ და უმეორონ, თავიანთ პროგრამებისამებრ, ქვეყნად მომავალ სამოთხისა და ბედნიერების დამყარება.

და, აი, რათა ეს მოსალოდნელი კულტურული დაქვეითება თავიდან ავიშოროთ, აუცილებლად საჭიროა ენერგიული კერძო თაოსნობა. განსაკუთრებით ამ საქმეში გვმართებს კერძო თაოსნობის გაძლიერება და

დიდის გულმოდგინებითა და მუყაითობით წამართულ მხნე მუშაობის გაჩაღება.

გაზ. „იერია“, 1906 წ. № 12

დამოუკიდებელი სასამართლო

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო არსებობს, ყოველ მთავრობას სამნაირი დანიშნულება აქვს: საკანონმდებლო, სამმართველო და სამოსამართლო. სადაც არ არის კანონმდებლობა, მმართველობა და სასამართლო, იქ არც სახელმწიფოა. როგორც უნდა იყოს წარმომდგარი სახელმწიფო: დაპყრობით, უზურპაციით თუ კავშირით, სულ ერთია, იქ უეჭველად უნდა იყოს სამივე დარგი მთავრობისა. შეიძლება მათ შორის გაბატონდეს ერთი რომელიმე დარგი, რომელმაც შეიძლება დაიმორჩილოს მეორე მხარე, ან თავის უფლებას გადააჭარბოს, შეიძლება სამივე დარგის დანიშნულება ერთმა დაწესებულებამ მიითვისოს, მაგრამ ყოველთვის სჩანს მთავრობის ამა თუ იმ მოქმედებაში ან კანონმდებლობა, ან მმართველობა, ან მოსამართლეობა. ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა ეს მოვლენა, მაგრამ იმაზე კი არაფერი სთქვა, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შორის. ეს საკითხი დაწვრილებით გამოიკვლიეს მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის მოაზრეებმა და მეცნიერებმა, რომელნიც გულდასმით შეუდგნენ იმის ძიებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო, რაგვარი ურთიერთობა უნდა დამყარდეს მთავრობის სამნაირ დარგთა შორის, რომ შეიძლებოდეს უზრუნველყოფა მოქალაქეთა თავისუფლებისა და მმართველ წრეების ალაგმვა.

დიდებულ რევოლუციამდის საფრანგეთში მთავრობის ბოროტმოქმედებამ, თვითნებობამ და ძალმომრეობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და აზრი მთავრობის ალაგმვისაც პირველად იქ დაიბადა. ეს საკითხი საუცხოოდ და დაწვრილებით შეიმუშავა მონტესკიემ თავის განთქმულ თხზულებაში „კანონების სული“. მონტესკიე ბრწყინვალედ ამტკიცებს, რომ როცა ერთი და იგივე დაწესებულება ორნაირ დანიშნულებას ასრულებს, როცა იგი კანონმდებელიც არის და მისი აღმასრულებელიც, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეთა თავისუფლება შეუძლე-

ბელია. თავისუფლება შეუძლებელია აგრეთვე იქ, სადაც სასამართლო გამოყოფილი არ არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი მთავრობისგან. თუ მოსამართლეც და კანონმდებელიც ერთი და იგივე პირია, მოქალაქეთა თავისუფლებას საფრთხე მოელის, რადგან მოსამართლეს ყოველთვის შეუძლიან ამა თუ იმ შემთხვევაში კანონი შეცვალოს და ისეთი კანონი გამოსცეს, როგორიც საჭიროა მისთვის. სასამართლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი რომ ერთად აურიოთ, ყოველ მოსამართლეს შეუძლიან ტირანად გადაიქცეს, — მმართველობის დროს ის ყოველ ნაბიჯზე დაარღვევს კანონს და სასამართლოში თავის თავს თვითონ გაასამართლებს.

მონტესკიეს იდეა სავსებით შეითვისა საფრანგეთის რევოლუციის დროის მოწინავე თაობამ და 1791 წელს, როცა გამოცხადებულ იქმნა მოქალაქისა და ადამიანის უფლებები, ეროვნულმა კრებამ დაადგინა, რომ ის „საზოგადოება, კონსტიტუციური არ არის, სადაც უზრუნველყოფილი არაა უფლებები და დანაწილებული არ არის მთავრობა". ესე იგი, ასეთ საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი დაწესებულებანი.

იდეა სასამართლოს დამოუკიდებლობისა თანდათან ფეხს იკიდებდა და ახლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, თავისუფლება არ არსებობს. სასამართლოს დამოუკიდებლობა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ ყველა სადავო საქმე შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს. მთავრობის არც ერთ სხვა დარგს არ შეუძლიან სასამართლოს საქმეში ჩაერიოს. არ შეიძლება დაარსება ისეთ განსაკუთრებულ სასამართლოების, რომელნიც ჩვეულებრივ სასამართლოს ექიშპებიან, არც ერთ მოქალაქეს არ უნდა წაერთვას უფლება მიმართოს ჩვეულებრივ სასამართლოს იმ შემთხვევაში, როცა მისი უფლება დარღვეული და შელახულია. ყოველნაირ დავას არჩევს ჩვეულებრივი სასამართლო და მოქალაქენი თანასწორნი არიან მის წინაშე — ეს არის საფუძველი დამოუკიდებელ სასამართლოსი ყოველ განათლებულ და თავისუფალ ქვეყანაში.

სასამართლოს მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი — ტოკვილისა არ იყოს — შუამავალია მოდავეთა შორის. იგი შუამავალია აგრეთვე მთავრობასა და ხალხის შორის, იგი არკვევს და ანიჭებს უფლებას ამა თუ იმ მხარეს, როცა უფლება სადავო ხდება, იცავს

ამ უფლებებს, როცა იგი ვისიმე მხრით დარღვეულია და არ დასდევს იმას, თუ ვინ დაარღვია უფლება, — მთავრობამ თუ ხალხმა.

სასამართლო, მოქალაქეთა კერძო უფლებების გარდა იცავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებას და ამ შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენელი სასამართლოსგან თხოულობს უფლების დამრღვევის დასჯას და დარღვეულ უფლების აღდგენას. მაგრამ ხშირად თვითონ მთავრობაც არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, არღვევს მის თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობის უფლებას და სხვ. ამ შემთხვევაში მოქალაქეს ნება უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართოს და სთხოვოს მისი უფლების აღდგენა და მთავრობის წარმომადგენლის დასჯა.

იქ, სადაც ზემოხსენებული სამი დარგი სასამართლოსი ჩაბარებული აქვს ჩვეულებრივ სასამართლოს, იგი დამოუკიდებელ სასამართლოდ უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქვეყანაში სასამართლო დამცველია კანონიერებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციონური უფლებებისა. ასეთი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ინგლისსა და ამერიკაში. ეს უფლება ხალხმა მედგარ ბრძოლის შემდეგ მოუპოვა სასამართლოს. ფეოდალურ წესწყობილების დროს მოსამართლის დანიშნულებას თვითონ მეფეები ასრულებენ. შემდეგ ეს უფლება გადასცეს თავის მოხელეებს, რომელნიც მეფის სახელით ასამართლებდნენ ხალხს. აქედან წარმოსდგა მეფის უფლება შესახებ განსაკუთრებულ სასამართლოების დანიშვნისა. სწორედ აქედანვე იწყება აუარებელი ბოროტმოქმედება სასამართლოს მხრივ. XVII საუკუნეში ინგლისში გაძლიერდა საიდუმლო სასამართლო, რომელიც თავზარს სცემდა ხალხს. ასეთ სასამართლოს ხალხმა იმით დაუწყო ბრძოლა, რომ იგი უარჰყოფდა მეფის მხრით გასამართლების უფლებას და თხოულობდა მუდმივ და ჩვეულებრივ სასამართლოს.

ერთხელ მეფე იაკობ I-მა მოინდომა სასამართლოს საქმეში ჩარევა. მოსამართლე კუკმა ასეთი პასუხი გასცა მის წარმომადგენელს: „პირადად მეფეს არ შეუძლიან არც სისხლისა და არც სამოქალაქო საქმის გარჩევა, რადგან ყოველი სადავო საქმე უნდა გაარჩიოს მოსამართლემ, თანახმად ინგლისის კანონებისა და ჩვეულებისა. მეფეს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ უმაღლეს სასამართლოს კრებას, მაგრამ საქმეს მაინც ის კი არ გაარჩევს, არამედ სასამართლო". რევოლუციის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა დაადგინა, რომ არც მეფესა და არც მის

საბჭოს არავისი გასამართლება არ შეუძლიანთ და ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს.

საფრანგეთის კონსტიტუციამ 1791 წელს უფრო ნათლად აღნიშნა სასამართლოს მოვალეობა. მაშინდელ კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ ვისიმე გასამართლება არ შეუძლიან არც კანონმდებელ დაწესებულებას და არც მეფეს, მოქალაქეთა გასამართლების უფლება აქვს მხოლოდ კანონით დაწესებულ სასამართლოს და არც ერთი მოსამართლე არ უნდა დაემორჩილოს რომელიმე სხვა განსაკუთრებულ სასამართლოსაო.

ევროპის კონტინენტზე სასამართლოს ერთი მხრით არა აქვს ისეთი ფართო უფლება, როგორც აქვს ინგლისსა და ამერიკის სასამართლოს. ევროპაში სასამართლოს უფლება არა აქვს მთავრობის აგენტებიც ისეთივე წესით გაასამართლოს, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს ასამართლებს. ზოგ სახელმწიფოში მოხელეთა გასამართლებისათვის განსაკუთრებული დაწესებულება არსებობს, ზოგში კი მოხელის გასამართლებისთვის საჭიროა მთავრობის ნებართვა, ურომლისოდ სასამართლოს უფლება არა აქვს მოხელე გაასამართლოს. ჯერ კიდევ რევოლუციის დროს საფრანგეთში ისეთი წესი შემოიღეს, რომ სასამართლოს არ შეეძლო სახელმწიფო საბჭოს ნებადაურთველად მოხელის გასამართლება ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც იმის სამსახურს შეეხებოდა. ეს წესი საფრანგეთში დღესაც არსებობს. სხვათა შორის აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ინგლისში მთავრობის უმაღლეს მოხელეთა წინააღმდეგ სამოქალაქო დავის აღძვრა კანონით შეიძლება მხოლოდ მეფის ნებართვით, ფაქტიურად კი ასეთ ნებართვას მეფე ყოველთვის იძლევა. ხოლო სხვა მოხელეთა წინააღმდეგ დავის აღძვრა ყველას შეუძლიან უნებართვოდ. ყველა მოხელე ერთნაირად აგებს პასუხს იმ დანაშაულის გამო, რომელიც მან ჩაიდინა კერძო ცხოვრებაშიაც და სამსახურშიაც. ორივე შემთხვევაში პირადად ის არის პასუხისმგებელი და არ შეუძლიან თავი იმით იმართლოს, ვითომ მე მხოლოდ ჩემი უფროსის ბრძანება შევასრულეო. თუ სალდათმა აფიცრის ბრძანებით მოკლა კაცი, მას არ შეუძლიან თავის გამართლება ბრძანების ასრულებით: ის პირადად აგებს პასუხს და ვერავითარი ბრძანება ვერ იხსნის მას. თუ პოლიციელმა უფროსის ბრძანება შეასრულა და უკანონოდ დააპატიმრა ვინმე, ის პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე პიროვნების ხელუხლებლობის

კანონის დარღვევისთვის. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს ინგლისის სასამართლო მტკიცედ იცავს. ინგლისში იშვიათია სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის მაგალითი, რადგან ყველა მოხელემ კარგად იცის, რომ ის სასტიკად დაისჯება დანაშაულისთვის და ამიტომ ერიდება კანონის დარღვევას, მაგრამ ინგლისის სასამართლოს ყოველ წლობით უხდება მაინც ისეთ საქმეების გარჩევა, რომელიც შეეხებიან პოლიციისა და ადმინისტრაციის მხრით კანონის დარღვევას, და დამნაშავეს სასტიკად სჯის.

ამას წინათ მანჩესტერში ნაფიც ვექილთა სასამართლომ გაარჩია საქმე პირველი მინისტრის სოლსბიურისა, რომელსაც დეპუტატი ბრიენი დიფამაციას უჩიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჟურნალისტმა სიმსმა საჩივარი აღძრა დედოფლის ძმისწულისა და ბრიტანიის ჯარების მთავარსარდლის, კემბრიჯის ჰერცოგის წინააღმდეგ, რომელმაც უცაბედად ხელი აკრა სიმსს. მოსამართლემ უარი უთხრა სიმსს, საკმარისი საბუთი არა გაქვთ, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი მიიღო და მისმა თავმჯდომარემ ასე დაასაბუთა სასამართლოს გადაწყვეტილება: „საჭიროა ინგლისელებმა იცოდნენ, რომ კანონის წინაშე დედოფლის ყველა ქვეშევრდომნი, რაც უნდა მაღლა იდგენ ისინი წოდებითა და ხარისხით, თანასწორნი არიანო“. თუ ადმინისტრაცია რაიმე უსამართლობას ჩადის, სასამართლო აფრთხილებს მას, და თუ ამან არ გასჯრა, კანონის დამრღვევს სასამართლო ბრალსა სდებს იმაში, რომ ის არ დაემორჩილა სასამართლოს დადგენილებას, და აპატიმრებს.

ერთხელ ინგლისის მატროსი, ვინმე ფლოიტი სამსახურიდან გაიქცა. პოლიციამ მის მაგივრად შეცდომით ვინმე ტომსონი დააპატიმრა და გაგზავნა ერთ სამხედრო გემზე, რომლის უფროსმა მის პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და დააპატიმრა. სასამართლომ მაშინვე ბრძანება გაუგზავნა გემის უფროსს, პატიმარი წარმოადგინეთ და მისი დაპატიმრების ბრძანების ქაღალდიც მოიტანეთო. გემის უფროსმა ტომსონი სასამართლოში გაგზავნა, თვითონ კი არ მივიდა. სასამართლომ მოითხოვა დაპატიმრების ბრძანება, საადმირალოს წარმომადგენელს კი მხოლოდ მისი პირი ჰქონდა. ამის გამო მოსამართლეთა და მის შორის ასეთი დიალოგი მოხდა:

მოსამართლე: ჩვენ გვსურს ტომსონის დაპატიმრების ბრძანება მივიღოთ.

მეორე მოსამ. თქვენ არ ემორჩილებით ბრძანებას. თქვენ დოკუმენტი პასუხთან ერთად უნდა მოგეტანათ. თქვენ ამბობთ, არა მაქვსო და არც პასუხს იძლევით. რატომ? თქვენ შეურაცხჰყოფთ სასამართლოს.

ადმინისტრაციის წარმომადგ. ბრძანება თან არა მაქვს.

მოსამართლე. ამ შემთხვევაში სასამართლოში არ უნდა მოსულიყავით და ასეთი სისულელე არ გეთქვათ. ჩვენ ეხლავე დავაპატიმრებთ გემის კაპიტანს. არ შეიძლება ინგლისის კანონების არცოდნით იმართლოთ თავი და ასე მასხარად აიგდოთ მოქალაქეობრივი თავისუფლება.

მეორე დღეს გემის კაპიტანი, ჰერცოგი ველინგტონი დააპატიმრეს და, როცა სასამართლოში გაგზავნეს, მოსამართლემ უთხრა: „თქვენი წარმომადგენელი იმით გამართლებდათ, რომ თქვენ თქვენი უფროსის ბრძანებით მოქმედებდით. ეგ საბუთი არ არის. თქვენ დიდად შეურაცხყავით სასამართლო. ჩვენ შეგვეძლო თქვენი დაპატიმრება, მაგრამ ჯერ 12000 მანეთით გაჯარიმებთ.

ინგლისის სასამართლოს უფლება აქვს სატუსაღოში ჩასვას ის კაცი, რომელიც შეურაცხყოფს სასამართლოს. კანონში ნათქვამი არ არის დაპატიმრების ვადა, ასე რომ სასამართლოს შეუძლიან თავის შეურაცხმყოფელს უვადო დაპატიმრება გადაუწყვიტოს. ეს სასჯელი იმით არის საშინელი დასჯილთათვის, რომ მეფესაც კი არ შეუძლია მას სასჯელი აპატიოს.

მაგრამ სასამართლო ისე დამოუკიდებელი და დემოკრატიულად მოწყობილი არსად არ არის, როგორც ამერიკაში. იქ სასამართლო ორ ნაწილად იყოფება შტატებისა და საერო, ფედერატიული, რომელიც ისეთ საქმეებს არჩევს, რომელნიც შეეხებიან ფედერატიულ კანონების დარღვევას. ორივე სასამართლოს უფლება აქვს მთავრობის მოხელეთა საქმეები გაარჩიოს და ვისმე დაუკითხავად დასაჯოს. ყველა მოქალაქეს შეუძლიან ყველა დიდ და პატარა მოხელეს ბრალი დასდოს და სასამართლოში მისცეს. ამერიკის სასამართლო იმით განსხვავდება სხვა ქვეყნების სასამართლოებისაგან, რომ მას უფლება აქვს იხელმძღვანელოს უფრო კონსტიტუციით, ძირითადი კანონებით, ვიდრე უბრალო საკანონმდებლო დაწესებულების მიერ გამოცემულ კანონებით, რომელნიც, შეიძლება, კონსტიტუციას არ ეთანხმებოდნენ. ეს უფლება ამერიკის სასამართლოს გარდა არც ერთ სხვა სასამართლოს არა აქვს. დიდი უფლება აქვს მინიჭებული კავშირის სასამართლოს, რომელიც ხშირად შტატების დავასაც არჩევს ხოლმე. „როგორღაც მეხამუშა, —

ამბობს ერთი ფრანგი, რომელიც დაესწრო ამ სასამართლოში საქმის გარჩევას, — როცა სასამართლოს ბოქაულმა განაცხადა: ნიუ-იორკის შტატი ოგაიოს შტატს დავას უცხადებსო". ერთ შტატში ერთი მილიონი მცხოვრებია, მეორეში — ორი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწევს სასამართლოს. კავშირის სასამართლო აერთებს შტატებს და უზრუნველყოფს ფედერაციის არსებობას. მას ხშირად მიჰმართავს ხოლმე საკანონმდებლო დაწესებულება, როცა მისი უფლება ირღვევა ვისიმე მხრით.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მისი წევრები ყოველ მხრით დამოუკიდებელი იყვნენ. ამისთვის დაწესებულია: 1. წესი მოსამართლის არჩევისა. 2. მოსამართლის გამოცვლა არავის არ შეუძლია სასამართლოს გარდა და 3. მოსამართლის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ ის სავსებით მიუდგომელი იყოს. ამისთვის მას არ შეუძლიან სხვა რაიმე საქმე იკისროს, სხვაგან იმსახუროს, საჩუქარი მიიღოს ვისიმე მხრით. მას ნება არა აქვს მთავრობის მხრით მიიღოს ხარისხი, ჯამაგირი, ჩინი და სხვა; მას ეძლევა საკმაოდ დიდი ჯამაგირი.

მოსამართლეს თვითონ ხალხი ირჩევს, მაგრამ იქ, სადაც სავსებით არ არის აღიარებული საზოგადოდ ხალხის უმაღლესი უფლება, მოსამართლეთა არჩევაც ხალხს არა აქვს მინდობილი. ევროპაში მხოლოდ შვეიცარიის მოსამართლეებს ირჩევენ, მაგრამ ხალხი კი არა, არამედ მისი წარმომადგენელნი — ფედერატიული კრება. მოსამართლეთა არჩევანი დემოკრატიულ წესით განხორციელებულია ავსტრალიის ფედერატიულ რესპუბლიკაში და ამერიკის ფედერაციის ზოგიერთ შტატებში. იქ თვითონ ხალხი ირჩევს მოსამართლეებს და ისეთივე უფლებებს აძლევთ მათ, როგორც პარლამენტის წევრებს. მაგრამ ინგლისშიაც მოსამართლე ავსტრალიისა და ამერიკის მოსამართლეზე ნაკლებად არ არის დამოუკიდებელი. ეს იმით აიხსნება, რომ ინგლისში მტკიცედ არის დაცული მოსამართლის გამოუცველობის პრინციპი და მისი უზრუნველყოფა. უწინ ინგლისის სასამართლო პირველი მონა და მოსამსახურე იყო გაბატონებულ კლასისა, ეხლა კი, როცა ორივე პალატის გარდა არავის არ შეუძლიან მოსამართლის გამოცვლა, როცა მოსამართლემ სრული ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა ხალხის თვალში და როცა მოსამართლე საპატიო პირად ითვლება საზოგადოებაში, სასამართლო ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და მისი ავტორიტეტი იმდენად

განმტკიცდა, რომ ინგლისის სასამართლოს ვერავინ უსაყვედურებს მიკერძოებას და ამა თუ იმ კლასის მოსამსახურეობას.

ინგლისის მოსამართლეს არ შეუძლიან სამსახურში წინ წაწევა და ჯილდოს მიღება. ის ქონებრივად უზრუნველყოფილია, ხოლო უფლებით შეზღუდული. ამერიკის სასამართლოზე ვილაცამ ასეთი აზრი გამოთქვა: „პრეზიდენტის შეცდომა ზარალს ვერ მიაყენებს სახელმწიფოს, რადგან მისი უფლება შეზღუდულია. შეიძლება კონგრესიც შესცდეს. ამის გამო ფედერაცია არ დაილუპება, რადგან კონგრესის შეცდომას გაასწორებს საარჩევნო კრება, რომელიც გამოსცვლის მის წევრებს, მაგრამ, თუ ამერიკის უმაღლეს სასამართლოში უგუნური და უზნეო მოსამართლენი მოხვდნენ, ფედერაციას ან ანარქია მოელის, ან სამოქალაქო ომი“.

ასეთი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოს. ჩვენ შეგვეძლო რუსეთსაც შევხებოდით, მაგრამ მეტად მიგვაჩნია იმის განმეორება, რაც ყველამ იცის. რუსეთის სასამართლო, რომელიც მინისტრის ლანსკისა არ იყოს, „შეკაზმული ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს“, ნიმუშია ფეოდალურ დროის სასამართლოსი. აუარებელი სამხედრო, საეკლესიო, სავაჭრო და საგლეხო სასამართლოების არსებობა საკმაოდ ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რუსეთში ყოველ წოდებისთვის და კლასისთვის ცალკე სასამართლო არსებობს.

გაზ. „ივერია“, 1906 წ. № 20

რუს გოლიცინეგის „რუსული პოლიტიკა“ და ქართველ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსულ ენაზე დაიბეჭდა ერთი პატარა წიგნი, რომელსაც სათაურად „Оглянемся назадъ“ აწერია. წიგნი ბ-ნ ნ. ნიკოლაძესთან საპოლემიკოდ არის დაწერილი და ეკუთვნის ბ-ნ ყარიბის კალამს*. ბ-ნი ყარიბი ნამდვილი „მებრძოლი“ პუბლიცისტია; იგი უფრო „მსხვილფეხობას“ ეტანება, განსაკუთრებით ქალაქის თავებს

---

* ყ ა რ ი ბ ი პსევდონიმია ბ-ნ პეტრე გელეიშვილისა (თავის პსევდონიმს მანვე აპხადა ფარდა).

ხან ტფილისისა და ხან ფოთისას უწევს პოლემიკას, მაგრამ ხსენებულ წიგნში გაკვრით ჩვენც არ დაუვიწყნივართ და თავისი ბასრი კრიტიკის ბრჭყალები ჩვენთვისაც გაუკრავს. სამწუხაროდ, ავტორს, რომელიც, ეტყობა, ძალიან დარწმუნებულია თავისი კრიტიკის ძლევამოსილებაში, არ მოუსურვებია შრომა მიეღო და წაეკითხა „ივერიის" ის წერილი, რომლის გამო ჩვენს საარაკო ჩამორჩენილობას ქვეყანას ამცნევს, და საკმარისად დაუნახავს მარტოოდენ „ზეპირის გადმოცემით" დააკმაყოფილოს თავისი მკითხველი.

საჭიროდ მიგვაჩნია, ის სტრიქონები ბ-ნ ყარიბის ნაწერისა, რომელიც ჩვენ შეგვეხება, ჩვენს მკითხველსაც გავაცნოთ, — რასაკვირველია, არა იმ მოსაზრებით, რომ ვითომ გვინდოდეს, ბ-ნ ყარიბს უეჭველად პასუხი გავცეთ და ლიტერატურული სიყალბე გავუსწოროთ. მარტო ეე რომ იყოს, მაშინ, შეიძლება სულაც ხმა არ ამოგველო ბ-ნ ყარიბის „კრიტიკის" შესახებ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით ის საგანი, რომელსაც ხსენებული ავტორი ეხება გაკვრით, თავის თავად ფრიად მნიშვნელოვანია და ღირს კიდეც მასზე ყურადღების მიქცევა. ბ-ნი ყარიბი მიმართულებით სოციალ-დემოკრატი გახლავთ და მკითხველი კონკრეტულ მაგალითით დაინახავს, თუ როგორ უცქერის ჩვენი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ერთ-ერთ საყურადღებო მოვლენას ჩვენებური სოციალ-დემოკრატია.

ბ-ნი ყარიბი სწერს (გვ. 12 — 13):

„პოლიტიკური იდეა იმ ქვეყნისა, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობის ნიადაგზე აღიზარდა, გამოიხატებოდა და გამოიხატება იმაში, რომ მთელ წესწყობილების თავს შეადგენს ბიუროკრატია, რომელიც განაგებს ყველა საზოგადოებრივ საჭიროებათ და აკმაყოფილებს მათ იმდენად, რამდენადაც იგი ამ საჭიროებათ სცნობს კანონიერად. ასე განსაზღვრავს ბ. ბელტოვი რუსეთის საზოგადოების ფსიხოლოგიას, მაგრამ ასეთი განსაზღვრა საუცხოოდ შეეფერება ჩვენს ძველ ინტელიგენციასაც. ამ ინტელიგენციას, რომელიც ბატონყმურს ნიადაგზე აღიზარდა, სწამდა, რომ ქვეყნის წესწყობილების მოაზრე „გოგრა" არის ბიუროკრატია. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ჩვენი მამები დიდად აფასებდნენ და აფასებენ ბიუროკრატიას, მისგან ელოდნენ და დღესაც ელოდებიან ქართველი ხალხის წყლულთა განკურნვას. მათის აზრით, საჭიროა მხოლოდ ისე მოვიქცეთ, რომ ბიუროკრატია დარწმუნდეს, —

ჩვენ, ქართველები, კარგი ხალხი ვართ: კანონიერების მომხრე, მოსიყვარულე, პურმარილისა და სტუმართ მოყვარე. . .

ასეთ პოლიტიკას ემხრობოდნენ ჩვენი მამები რუს ჩინოვნიკის მიმართ, მაგრამ თუ ეს ჩინოვნიკი ქართველი იქნებოდა, — მაშინ ხომ სულ უკეთესი. ყველაზე უფრო სასურველია, — ამბობდნენ ისინი, — რომ ჩვენში უმაღლეს თანამდებობის ადგილებზე ქართველებს ნიშნავდენო. ამ გულუბრყვილო პოლიტიკამ იმ ზომამდე მოიცვა ჩვენი ჯკუა-გონება, რომ ჩვენ დღესაც ვერ განვთავისუფლებულვართ მისი გავლენისაგან. შორს არ მოგვიხდება მაგალითების ძებნა. ამას წინათ განახლებული „ივერია“ მეთაურ წერილში სიხარულით მიეგება თავ. ამილახვრის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად.

„—დიდი ხანია დრო იყო! აქამდისაც უნდა ეძლიათ ასეთი მაღალი თანამდებობის ადგილები ჩვენიანებისათვის! — აღტაცებით იძახდა გაზეთი, რომელსაც დაავიწყდა, რომ ჩინოვნიკისათვის ჩვენიან-თქვენიანობა არ არსებობს, რომ იგი უწინარეს იმ ინსტრუქციის აღმასრულებელია, რომელსაც მას აძლევენ ზემოდან“.

აი, ეს გახლავთ ბ-ნ ყარიბის „კრიტიკა“. როგორც ხედავთ, ჩვენი პოლიტიკური სიბეცე მართლაც დიდი ყოფილა. ჩვენ თურმე, ბიუროკრატია მიგვაჩნია ბედნიერების მომნიჭებელ დაწესებულებად და ამიტომ „სიხარულით და აღტაცებით მივეგებეთ თავ. ამილახვარის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად“ და ვერ მივხვდით — დახეთ ჩვენს სიბეცეს! — რომ ყოველი ჩინოვნიკი უმაღლეს მთავრობის „ინსტრუქციის აღმასრულებელია“. აბა ვინ იტყვის ამას დღეს სხვა, თუ არა პოლიტიკურად ბეცი ადამიანი, და ჩვენც საჯაროდ გამოვაცხადებდით ჩვენს პოლიტიკურ უსუსურობას და თვითონვე ხელს მოვაწერდით საკუთარს სიბეცეზე, რომ... რომ ბ-ნ ყარიბის ნაამბობი სიმართლეს შეიცავდეს და რასაც იგი ჩვენს ნათქვამად გადმოგვცემს, მართლა ჩვენი ნათქვამი ან დაწერილი იყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველაფერი, რაც აქ ბ-ნმა ყარიბმა რიხიანად გვამცნო, თავიდან ბოლომდის მის მიერვე შეთხზული და მოჯორილია; რაც რასაკვირველია, მოწმობს მხოლოდ ავტორის დიდ სიდარბაისლეს და კეთილ-სინდისიერებას.

რათა შეუძლებელი შეიქმნეს ყოველივე ეჭვი, ჩვენ სავსებით მოგვყავს „ივერიის“ მაშინდელი წერილი, რომელიც მკითხველს დაანახვებს, თუ რა ფასისაა ბ-ნ ყარიბის „კრიტიკა“.

25 თებერვალს 1905 წ. „ივერია“ სწერდა:

„ჩვენი საზოგადოება, ალბად, ჯერ კიდევ სავსებით არ დამშვიდებულა იმ საშინელ სისხლისღვრის გამო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ქალაქ ბაქოში. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, და სარწმუნოებისა, ააშფოთა იმ ბარბაროსობამ, რომელმაც უცებ იფეთქა ბაქოში და მრავალი თათარი და სომეხი იმსხვერპლა: მთელი საზოგადოება შეძრწუნებული იყო და არ იცოდა, რა ხერხისათვის მიემართნა და ეს სამარცხვინო სისხლისღვრა როგორმე მოესპო. რამდენისამე დღის შემდეგ ხალხის ხოცვა-ყლეტა შესწყდა, მაგრამ ერთხანს კიდევ არავინ იყო დარწმუნებული, რომ ეს შერიგება დროებითი არ იქნებოდა და მალე უარესი ამბები არ მოხდებოდა... კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ იწყო აღგილობრივ ისეთი კაცის ძებნა, რომელსაც შეეძლებოდა თავის პირადის ყავლენით ხალხის დაშოშმინება და დაწყნარება. ასეთ კაცად მან სცნო თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელიც გაიგზავნა ბაქოში და მალე ბაქოს გენერალ-გუბერნატორადაც იქმნა დანიშნული.

„ჩვენ არ შეგვიძლია გამოვუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რამდენად მძიმე და რთული პირობებია ბაქოს ხალხის ცხოვრებაში და რა ზომამდის შესაძლებელი იქნება თავ. ი. გ. ამილახვარისთვის განახლებისა და გაერთიანებების მოხდენა იქაურ ეროვნულ ურთიერთობაში.

„თავ. ამილახვრის ბაქოში გაგზავნა და გუბერნიის მთავარ უფროსად დანიშვნა ჩვენ ძალა-უნებურად გვიღვიძებს სულ სხვა ფიქრებს, რომელთა მკითხველისათვის გაზიარება საჭიროდ დავინახეთ.

„ყველას უსიამოვნოდ გვეჩხირება თვალში ერთი გარემოება, რომელიც ჩვენ ქვეყნის მართვა-გამგეობის „პოლიტიკაშია“ გამეფებული. ეს გარემოებაა სახელმწიფო სამსახურში ქართველ ელემენტების სისტემატურად შემცირება და, მის ნაცვლად, რუს მოხელეთა გამრავლება. თითქოს ქართველ ერს რაღაც მიუტევებელი დანაშაული ჩაედინოსო, მთავრობა ყოველთვის უკეტავდა ქართველს სახელმწიფო დაწესებულებათა კარებს და არ სთელიდა შესაძლებლად, რომ მას, ვითარცა საზოგადო კანონების მორჩილ მოხელეს, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში. რომ ხელში აეღოთ რამდენისამე წლის „კავკასიის კალენდარი“ და დასთვალოთ რიცხვი კავკასიაში გამწესებულ მოხელეებისა, ცხადად დაინახავთ, რომ ქართველ მოხელეთა რიცხვი შედარებით ყოველ წელიწადს მცირდება, ხოლო რუსთა რაოდენობა ასევე ყოველ

წელიწადს მრავლდება. ამასთან, ქართველს ყოველთვის შედარებით მცირე თანამდებობა ეძლევა, ხოლო დიდი და გავლენიანი ადგილები „ძირითად“ რუსებისთვის არის შემონახული...

„ჩვენ, რასაკვირველია, ხალხისთვის ბედნიერებად არ მიგვაჩნია ეხლანდელების მსგავს ბიუროკრატების გამრავლება და „ჩინოვნიკურ“ რეჟიმის გაძლიერება. მაგრამ ეს საზოგადო მართვა-გამგეობის საკითხია და ამიტომ აწინდელ წესის დაწუნება არ გვავალებს ლოგიკურად ხსენებულ „პოლიტიკის“ უყურადღებოდ დატოვებას და უმნიშვნელოდ გამოცხადებას. რანაირიც უნდა იყოს ფორმა სახელმწიფო წეს-წყობილებისა, მოხელეები — როგორი, ეს სხვა საგანია, — მართვა-გამგეობის საქმეში აუცილებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერთი ერის ათვალწუნება და მისი შვილების სისტემატურად გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებიდან — დიახაც მნიშვნელოვანი და ყურადღების ღირსია.

„რა დააშავა ქართველმა, რომ მას „სამსახურის“ ასპარეზი დახურული აქვს? განა ქართველებში არ არიან იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, არ ათავებენ ქართველი ახალგაზრდები რუსულ უნივერსიტეტებს, არ იღებენ რუსულ განათლებას? რატომ არ შეუძლია ამ რუსულ წესზე აღზრდილ ხალხს, რომელსაც ისეთივე სწავლა-განათლება მიღია, როგორც მაგალითად, მოსკოველს ან ორლოველს, რატომ არ შეუძლია, — ვკითხულობთ ჩვენ, — ალაგი დაიკავოს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასპარეზზე და მონაწილეობა მიიღოს საგამგებლო საქმეების შესრულებაში? განა ქართველი უკეთ არ იცნობს თავის სამშობლოს, ვიდრე ათასი ვერსის სიშორიდან მოსული კაცი, რომელსაც, იქნება ისიც-კი უძნელდება, რომ საგეოგრაფიო რუკაზე იპოვოს, სად არის საქართველო და „კავკაზ“-ი?

ვითომ, რატომ არ უნდა შეეძლოს ქართველს მასწავლებლობა, ექიმობა, მოსამართლობა, გამომძიებლობა, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნებით ქართველია და მისი გვარის დაბოლოვება ან ქართული ლაპარაკი-და ისიც მალულად! — ხელს შეუშლის აქაურ ადგილისა და ხალხის „გარუსებას?“ განა მოხელეებისთვის მისაცემ ჯამაგირებს ადგილობრივ ხალხს არ ახდევინებენ, განა ეს ფული, რომელსაც ყოველთვის 20 რიცხვს იჩხრიალებს ჯიბეში ბ-ნი „ჩინოვნიკი“, აქაურ ხალხის ოფლით არაა მოპოვებული? და თუ ეს ფული, — ძალითაა თუ ნებით, — უნდა გადავიხადოთ, განა უსამართლობა იქნება ქართველ კაცსვე და მის

შვილების გაზრდას მოხმარდეს? თ-დ ამილახვარს მისცეს ხსენებული თანამდებობა იმ დროს, როცა, მთავრობის აზრით, მხოლოდ მას შეეძლო საუკეთესო სამსახურის გაწევა. აქ აღარ იყო არჩევანი, — ამას, იმავე მთავრობის აზრით, გარემოება თხოულობდა. მაგრამ როგორ არის საქმე, როცა ასეთი „კრიტიკული დრო არაა და შესაძლებელია „შერჩევა"? სცნობენ მაშინ ქართველის უფლებასა და ადამიანობას? „სამწუხაროდ, — არა... და აი, სწორედ ამ გარემოებაზე გვინდოდა ჩვენ დღეს მკითხველის ყურადღება მიგვექცია"...

აი, ასეთის „აღტაცებით" შეეგება „ივერია" თავ. ამილახვრის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად და ეს იმ დროს, როცა ცენზურა არსებობდა და გუბერნატორებზე ეზოპისებურ ქარაგმებით წერაც კი არ შეიძლებოდა. საკმარისი იყო, რომელიმე გუბერნატორის ნიჭში ეჭვი შეგეტანათ, რომ მეორე დღეს გაზეთს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. მიუხედავად ამისა, ამოწერილ მეთაურის ავტორმა მაინც მოახერხა და წერილში სამ ადგილას აღნიშნა, რომ თავ. ამილახვარი მხოლოდ „მთავრობის აზრით" იყო თვის თანამდებობისათვის შესაფერი, ხოლო თავის მხრივ მოხერხებულად აუარა გვერდი სახიფათო პირდაპირ დაფასებას და ამით აგრძნობინა მკითხველს თავისი შეხედულება; „ჩვენ არ შეგვიძლია გამოვუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რაოდენ შესძლებს თავ. ამილახვარი" ნაკისრ საქმის გაძღოლასო. თითქოს ცხადია, თუ როგორ უცქეროდა ჩვენი გაზეთი თავ. ამილახვარის დანიშვნას. აქედან ცხადია ისიც, თუ როგორი „ამოწერა" სცოდნია ბ-ნ ყარიბს, რომელსაც თავის ახირებულ ოცნების ნაყოფი სხვის ნათქვამად ეჩვენება.

მაგრამ ბ-ნ ყარიბის ახირებული ჩვეულება ციტატების „ზეპირად" გადმოცემისა მკითხველისათვის საინტერესო არაა და ჩვენც ამას აღარ გამოვუდგებით. უფრო საინტერესოა ის დაცინვა, რომლითაც გვაჯილდოვებს ჩვენი ავტორი იმის გამო, რომ სახელმწიფო სამსახურის კარების დაკეტვა ქართველებისათვის ჩვენ ეროვნულ ჩაგვრად და უსამართლობად მიგვაჩნია. მას გონებრივ სიბნელეში მყოფად და შებრალების ღირსად მიაჩნია ყველა, ვინც საზოგადოდ ბიუროკრატიაზე უარყოფით არ ილაპარაკებს. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვტყდეთ ჩვენს ჩამორჩენილობაში და უნდა აღვიაროთ, რომ ამ შემთხვევაში დღესაც იმ აზრისა ვართ, როგორც შარშან, — რომ: „რანაირიც უნდა იყოს

ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა, მოხელეები — როგორი, ეს სხვა საგანია — მართვა-გამგეობის საქმეში აუცილებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერთი ერის ათვალწუნება და მისი შვილების სისტემატიურად გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან — დიაღაც ყურადღების ღირსია".

ჩვენ ვიცით ერთი საშუალება, რომელიც ბ-ნ ყარიბს აიძულებს აქ ამონაწერის პირველ ნახევარში დაგვეთანხმოს. ეს საშუალებაა — მოწმობა კაუტსკისა, ფრიად საჭიროსი ჩვენებურ სოც.-დემოკრატებთან კამათის დროს. თანამედროვე საზოგადოებაში „არის — სწერს კაუტსკი, ხოლო სად, ეს თვით ბ-მა ყარიბმა მონახოს: მოლამ თავისი ყურანი უნდა იცოდეს, — არის ბევრი დაწესებულება, რომელნიც დღეს კლასობრივ ბატონობის საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ ამასთან ისეთ დანიშნულებასაც ასრულებენ, რაც, მახლობელ დროის განმავლობაში მაინც, ხდის მათ აუცილებლად. ასეთია, მაგალითად, ბიუროკრატია. იგი არის ერთი მთავარ იარაღთაგანი ხალხის შევიწროვებისა და, ვითარცა ასეთს, ჩვენ ვებრძვით მას. მაგრამ ამ დროში არც ერთ მომსხო სოციალურ ორგანიზმის მართვა- გამგეობა არ შეიძლება დილეტანტურად; ამისთვის საჭიროა ადმინისტრაცია, რომელსაც განსაზღვრული მომზადება მიუღია და თავის საქმეს შესჩვევია, საჭიროა ბიუროკრატია. სოციალისტური საზოგადოებაც ვერ შესძლებს უამისოდ არსებობას. მხოლოდ საჭიროა ამ ბიუროკრატიას ჩამოვაცალოთ ყველაფერი, რაც ჰქმნის მას ხალხზე მაღლა მდგომ განცალკევებულ კლასად, საჭიროა წავართვად მას ყველა პრივილეგიები, უპირატესობანი და გავხადოთ იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით მოსამსახურედ ხალხისა, რომელიც უნდა ირჩევდეს და ითხოვდეს სამსახურიდან მას საერთოდ ან მის მეთაურებს მაინც; საჭიროა ადგილობრივი თვითმართველობის განვითარება ცენტრალისტურ მთავრობის ძალის შესასუსტებლად"...

ამას ამბობს კაუტსკი. დალოცა ღმერთმა, — თავის მოწმობით ბ-ნ ყარიბთან საქმე გაგვიადვილა.

მაგრამ ასევე ადვილი საქმე არაა ბ-ნ ყარიბის დარწმუნება იმაში, რომ სახელმწიფო სამსახურიდან ქართველ ელემენტის გამოდევნა ეროვნულ ჩაგვრას მოასწავებს და ამას ჩვენთვის, ქართველებისათვის, თვალსაჩინო სოციალური მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, ბ-ნმ

ყარიბმაც კარგად იცის, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის მთავრობა ჩვენს — ვითარცა არა-რუს ეროვნების — შესახებ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ გადავეგვარებინეთ ეროვნულად. ეს მისი ცდა გამოიხატებოდა ყველაფერში და, სხვათა შორის, გამოიხატებოდა რუსი ჩინოვნიკების გამარჯვებაშიაც. გოლიცინები და მისი მსგავსნი ქართველებს ჯირსავით ერეკებოდნენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, და დღეს ვხედავთ, რომ ყველგან ჩვენში რუსები შეადგენენ ჩინოვნიკების დიდძალ უმრავლესობას. მაგრამ ამ გარემოებას ბ-ნი ყარიბი არავითარ „ქართულ" მნიშვნელობას არ აძლევს. მისი აზრით, ჩინოვნიკი სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, — „უმაღლეს მთავრობის ინსტრუქციის აღმასრულებელია" და გვარტომობას არავითარი სოციალური ფასი არა აქვს.

ასე ფიქრობს ბ-ნი ყარიბი, მაგრამ ასე ვერ იფიქრებენ თვით ისინი, ვინც აღნიშნულ ეროვნულ დევნის გამო ადგილსა და ლუკმა პურს ვერ შოულობენ. ახლანდელ წესწყობილებაში ბიუროკრატია ხალხის დამჩაგვრელია, მაგრამ ჩვენში ამ ჩაგვრას ზედ ერთვის მეორე ჩაგვრაც, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ, ქართველებისათვის სახელმწიფო სამსახურის კარების დახშვის გამო, ჩვენს საზოგადოებას რამდენიმე მშიერ-მწყურვალი ემატება. გადახედეთ კავკასიის სასწავლებლების სტატისტიკას და დარწმუნდებით, რომ იმათში რუს მოსწავლეთა რიცხვი შედარებით რამდენჯერმე აღემატება ქართველებისას. რა არის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენში ჩამოსულ რუსობა უმთავრესად ჩინოვნიკობაა, ცხოვრობს ქალაქებში, იღებს ხალხის ქონებიდან აკრეფილ ჯამაგირებს და ამიტომ ადვილად ზრდის თავის შვილებს სასწავლებლებში. ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში ქართველ „ტუზემცისთვის" დატოვებულია გადამწერის თანამდებობა, 15—20 მანეთიანი ადგილები, სადაც მომუშავე პურისთვისაც საკმაო გასამრჯელოს ვერ იღებს, არა თუ შვილები გამოზარდოს და კულტურულ ცხოვრებისა რამ იგემოს.

ეს „რუსული პოლიტიკა" მწვავედ საგრძნობია გონებრივ შრომის პროფესიის ქართველობისთვის განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობა განუვითარებელია და, რაც არის, ისიც არა ქართველთა ხელშია და ამიტომ პროლეტარ ინტელიგენტებისთვის კერძო სამსახურიც ძალიან ძნელი საშოვნელია.

ასეთია ჩვენი მდგომარეობა. იგი ცხადზე უცხადესია და ამიტომ თითქოს ყველასთვის ადვილი დასანახი უნდა იყოს. მაგრამ ბ. ყარიბი და მისი ამხანაგები, რაღაც მიზეზით, მაინც ვერ ხედავენ და განაგრძობენ საანბანო ლათაიებს ბიუროკრატიასა და თვითმპყრობელობის ვერაგობაზე. გავიგეთ ეს, ბრძენო ბატონებო, დიდი ხანია გავიგეთ. მხოლოდ თქვენ ეს გვიბრძანეთ: სასწავლებლებში რომ ხალხი სწავლობს, იმათ ცხოვრებაში ალაგი და ლუკმა-პური სჭირიათ, თუ არა? და თუ სჭირიათ, რად უნდა ჰქონდეთ მათ რუსებზე ნაკლები უფლება თუნდ სახელმწიფო სამსახურში ადგილის მიღებისა? ნეტა რომელ სოც.-დემოკრატიულ პრინციპის ძალით მოიპოვეს რუსებმა ჩვენში ჩინოვნიკობის მონოპოლია? განა ეკონომიურ ცხოვრების განვითარება ცოტა პროლეტარს ჰმატებს ქართველ ერს, რომ მას ესაჭიროებოდეს მათი გამრავლება ხელოვნურად, მთავრობის „რუსულ პოლიტიკითაც“?!

ბ-ნმა ყარიბმა იქნებ, იმით გვანუგეშოს, რომ პროლეტარიატი ოდესმე სოციალიზმს განახორციელებსო. შაქარი მის პირს! მაგრამ მანამდის? — ძველად თურმე პეტრეს მოსვლამდის პავლეს აძრობდნენ ტყავს, ახლა კი ისეთი დროა, რომ პავლეს მოსვლამდის ხშირად პეტრეს გასძვრება ხოლმე ტყავი...

გაზ. „ივერია“, 1906 წ. № 19.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ

წარსულ შაბათს მიწას მიაბარეს გვამი სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორის შიო ჩიტაძისა, რომელიც იმსხვერპლა და უდროოდ წუთისოფელს გამოასალმა ბოროტ მთავრობის გამხეცებულმა ძალამ. აწინდელი გახრწნილი წესწყობილება ირღვევა, თვითმპყრობელობა სულს ჰღაფავს, მაგრამ ჯერ კიდევ, სანამ სული მთლად არ დაულევია, აუარებელ მსხვერპლს იწირავს და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი სასარგებლო კაცები მოაკლოს საზოგადოებას. ეს ძალმომრეობა მთავრობისა გუშინდელი ამბავი არაა და უბედურ რუსეთის იმპერიაში ყოველი მოქალაქე შეჩვეულია ამას. მით უფრო შეჩვეული ვართ ამ ძალმომრეობას ჩვენ, რომლებმაც ჩვენის ღირსების შელა-

ხვით, აუარებელ სისხლის დაღვრით და ქონების განადგურებით ვიგემეთ მისი სიმკაცრე და შეუბრალებლობა. მაგრამ დროგამოშვებით მოხდება ხოლმე ისეთი ამბავი, რომელიც ახლანდელ მთავრობის ყაჩაღებისგანაც კი თითქოს მოულოდნელია და ამიტომ, მიუხედავად ჩვენის „შეჩვევისა", ყოველ ადამიანს ააშფოთებს და განწირულებით თავისთვის აკითხვინებს: ნუთუ მართლა შესაძლებელია ამ ზომამდის მივიდეს ბარბაროსობა და კაცს — თუნდ იგი ბრმა ავაზაკიც იყოს — ასე და ამგვარად გაუქრეს გულში ყოველი ნაპერწკალი კაცობის და ადამიანობისა?! შიო ჩიტაძის მხეცური მკვლელობა ერთი ასეთი ამბავია და იგი სისხლის წაუშლელ ასოებით ჩაიწერება დღევანდელ ძალის მქონეთა ავაზაკობის ისტორიაში.

შიო ჩიტაძის ასე ტრაგიკულად სიკვდილი, ამაშფოთებელი და სამწუხაროა არა მარტო როგორც სიკვდილი ადამიანისა, არამედ როგორც დაკარგვა საზოგადოებისთვის მშრომელ პიროვნებისაც. ჩვენში, სადაც გონებრივი მომზადება და ძალა ასე მცირეა, სადაც მომზადებული და საზოგადოებრივად მომქმედი ადამიანები სანთლით საძებნელი არიან, საზოგადოებრივ ასპარეზზე მოსაქმე პატარა მუშაკიც კი დიდად შესამჩნევი და დასაფასებელია და მისი დაკარგვა ფრიად საგრძნობია. მით უფრო საგრძნობი და სამწუხაროა უდროოდ დაღუპვა შიო ჩიტაძისა, რომელიც საფუძვლიანად მომზადებული და იდეალურ მისწრაფებით აღფრთოვანებული კაცი იყო. ცოტა ხანია, რაც მან ქართულ პრესსაში მუშაობა დაიწყო და ყველანი სიამოვნებით ვიმედოვნებდით, რომ მისი შრომა ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის.

და, აი, ერთი ვანდალის ტყვიამ უცებ სიცოცხლე მოუსპო ამ ჩვენთვის ფრიად სასარგებლო ადამიანს. სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობიდან პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლეს ტერორისტებმა. ყუმბარა გასკდა, პოლიცმეისტერი დაიჭრა, მაგრამ რა შუაშია აქ ჩიტაძე, რა შუაში არიან შემთხვევით იქ მყოფი მასწავლებლები?! ბიუროკრატია და მისი მცველები ამას, რასაკვირველია, არ კითხულობენ: ისინი შეცვივდნენ შენობაში, ტყვიით განგმირეს ჩიტაძე, სცემეს და დასჭრეს მასწავლებლები, აიკლეს კერძო ბინა, გაჰქურდეს იქაურობა და მშვიდად გაუდგნენ თავიანთ გზას. მათი დასჯა ამგვარ საქციელისათვის მთავრობას ფიქრად არ მოსვლია მაშინ, და არ მოსდის დღესაც, — კაზა-

კების ნადირობა უიარაღო, მშვიდ მოქალაქეებზე ჩვეულებრივ მოვლენადაა დღეს ჩვენში გადაქცეული.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მთელი რუსეთი და, კერძოდ, ჩვენი მხარე სამხედრო კამარილიას აქვს ხელში ჩავარდნილი. მთელი რუსეთი სატრაპიებად დაიყო, რომლებსაც ბატონობენ დიქტატურულის უფლებებით აღჭურვილი გენერალ-გუბერნატორები. და ვინ იცის, კიდევ რამდენ სისხლს დაღვრიან და რამდენ ადამიანს გამოასალმებენ წუთისოფელს ახლანდელი გამგებლები, ვიდრე გაძლიერებული სახალხო მოძრაობის ნაკადული მათ წალეკავს და თავისთვის თავისუფალ გზას გაიწმენდს!

ვითომ გენერალ-გუბერნატორობა და სამხედრო წესები „დროებით" ღონისძიებად იყო მიჩნეული, რომელიც უნდა მოსპობილიყო, როგორც კი ახალი კონსტიტუციონური წესწყობილება დამყარდებოდა და შევიდოდა ძალაში. ამიტომ მთელი რუსეთი მოუთმენლად ადევნებდა თვალყურს სახელმწიფო სათათბიროს მოქმედებას და ელოდა ქაღალდზე დაპირებულ უფლებრივ წყობილების განხორციელებას. მთავრობამ, როგორც ყოველთვის, აქაც სიბეცე გამოიჩინა და მისთვის უსიამოვნო პარლამენტი დაითხოვა და დეპუტატები გარეკა.

თვითმპყრობელობა და კონსტიტუცია ორი ერთმანეთის შეუთანხმებელი დაწესებულებაა, ორივეს ერთად არსებობა არ შეიძლება, ხოლო რუსეთში ბიუროკრატიამ შეუთანხმებელის შეთანხმება მოინდომა და პარლამენტიც ისეთი გამოიგონა, რომელიც არაფრით არ შეჰკვეცდა და არ შეზღუდავდა თვითმპყრობელობას. მიუხედავად ამისა, რუსეთის პირველმა სათათბირომ, „ძირითად კანონებით" მუხრუჭ-მოდებულმა, მაინც შესძლო მთავრობასთან ბრძოლის გამართვა და პარლამენტარული საქმიანობა. მაშინ მთავრობამ იგი შინ გაისტუმრა და ახალ პარლამენტის მოწვევა ვითომ შემდეგი წლის თებერვლამდის გადასდო. და ასე, დღეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ისევ თვითმპყრობელმა რეჟიმმა დაისაკუთრა ფაქტიურად და ფორმალურადაც. მოძრაობის მოლოდინში მთავრობა ხიშტებს ამრავლებს და შესაფერ ინსტრუქციებს აძლევს თავის გენერალ-გუბერნატორებს. ცხადია, მთავრობას რომ გარემოება ხელს შეუწყობდეს, ესე იგი, ხალხი რომ მოთმინებით მოიხრიდეს თავს პოლიტიკურ მტარვალობის უღელ ქვეშ, თებერვლის შე-

მდეგაც ბევრი კოკა წყალი ჩაიღვრის, ვიდრე მთავრობა რუსეთში ახალ პარლამენტს მოიწვევს.

მაგრამ ექნება კი თვითმპყრობელობას „ხელის შემწყობი გარემოება?“ ბიუროკრატია არც ისე ბრმაა, არ ხედავდეს, რომ რუსეთის ხალხი ძველ რეჟიმს არას გზით აღარ შეურიგდება, და ძნელად დასაჯერებელია, რომ იგი დღეს შესაძლებლად სთვლიდეს იმ პარლამენტარულ სათავის სამუდამოდ მოსპობას, რომელიც 17 ოქტომბრის შემდეგ არის დაწყებული. მხოლოდ საქმე ისაა, თუ როგორ და რით გამოხატავს ხალხი თვითმპყრობელობისადმი შეურიგებლობას. თუ თვითპყრობელობის დამარცხებისა და კონსტიტუციურ წესწყობილების დამყარებისათვის ერთად-ერთ საშუალებად დავსახავთ მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას, მთავრობასა და მის სამხედრო ძალასთან ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას, იმ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ თვითმპყრობელობის დამარცხებისა და კონსტიტუციურ წესწყობილების დღესაც თავის მხარეზე ჰყავს უზარმაზარი ჯარი, რომელთანაც საბრძოლველად ხალხს, დღეს-დღეობით მაინც, არავითარი ტეხნიკური ძალა არ მოეპოვება.

მაგრამ მთავრობის ეს უპირატესობა მაინც იმის მომასწავებელი არაა, რომ რუსეთში შეიძლება საბოლოოდ ისევ თვითმპყრობელი რეჟიმის გამეფება. შეუძლებელია ხანგრძლივად იარსებოს ისეთმა მთავრობამ, რომელიც მარტოოდენ ხიშტებს ეყრდნობა. რუსეთში კი თვითმპყრობელი მთავრობის მფარველი და ძალის გამომხატველი მხოლოდ ხიშტია. ზნეობრივი ძალა და ავტორიტეტი მას არც ერთ საზოგადოებრივ კლასსში არ მოეპოვება. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველ რეჟიმს რუსეთში მომხრე თითქმის აღარა ჰყავს და საზოგადოების უმრავლესობა აუცილებლად სთვლის სახელმწიფოში უფლებრივ წყობილების დამყარებას. იმ საფეხურზე, რომელზედაც არის რუსეთში მიღწეული სოციალ-ეკონომიური განვითარება, სახელმწიფოებრივ ცხოვრების ბიუროკრატიულად მართვა-გამგეობა ყოვლად შეუძლებელია.

ამ ზოგად მიზეზს გარდა ამჟამად რუსეთში არის ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც შლის მთელ სახელმწიფოს ორგანიულ ძალას და ძირს უთხრის თვითმპყრობელობას. ესაა — უმამულობა და შიმშილი სოფელში და კრიზისი ვაჭრობა-მრეწველობაში. ამ ეკონომიურ გაჭირვების ნიადაგზე მოსალოდნელია დიდი არეულობა რო-

გორც სოფლად, ისე ქალაქად. სტიქიური აგრარული მოძრაობა, რომელიც დღესაც ძლიერია სოფელში, უეჭველია, თანდათან იმატებს და ბევრ მემამულეთა ქონებას იმსხვერპლებს. გაფიცვები და სამუშაოს უქონლობა ქალაქად კიდეე უფრო დასცემს ვაჭრობა-მრეწველობას და გააძლიერებს საერთო უკმაყოფილებას. ეკონომიურ კრიზისთან მჭიდროდ შეკავშირებულია კრიზისი სახელმწიფოს ფინანსებისაც. ახლანდელ მთავრობას ნდობა შინაც დაკარგული აქვს და ვარეთაც, ხაზინის ცარიელ კასის გასავსებად სესხის მოპოვება გაუძნელდება და ამიტომ შინაურ ეკონომიურ კრიზისით გამოწვეული კრიზისი ფინანსებისა მთელ სახელმწიფოს გაკოტრების კარამდის მიიყვანს. ასეთ გარემოებაში შეუძლებელია ბიუროკრატიამ ბიუროკრატიულადაც რომ მოახერხოს ქვეყნის მართვა-გამგეობა და შესძლოს უპარლამენტოდ იოლად წასვლა. ამიტომ ასეთი თუ ისეთი პარლამენტი ისტორიული აუცილებლობაა რუსეთისათვის და მას ვერ აიშორებს ხიშტების მოიმედე თვითმპყრობელობაც.

მაგრამ საკითხი ის არის, თუ რა შედგენილობის იქნება ის პარლამენტი, რომელიც ახლანდელ დათხოვნილ სათათბიროს ადგილას უნდა იქნეს მოწვეული. მთავრობას, უეჭველია, იმედი აქვს, რომ შემდეგისთვის ვეტ თანაგრძნობას მოიპოვებს თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიაში. იგი სასტიკ ღონისძიებას მიიღებს გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც მემამულეთა „კერძო საკუთრებას შეეხებიან", სასტიკ ზომებს მიიღებს გაფიცულ თუ უმუშევრად მყოფ მღელვარე პროლეტარიატის წინააღმდეგ, შავ რაზმელებს მიუსევს ურიებსა და „ინოროდცებს", რომელნიც კონკურენტები და „უცხო ელემენტები" არიან „ნაციონალურ" ბურჟუაზიისთვის, და ასე, მუშებისა და გლეხების სისხლის დაღვრით, ურიებისა და „ინოროდცების" აკლებით, — გულს მოუგებს და ქომაგობას გაუწევს მშრომელთა ეკონომიურ მოძრაობით დაშინებულ მქონებელ კლასებს. ამგვარ მფარველობის საფუძვლით მთავრობას იმედი აქვს, რომ ახალ პარლამენტში „ზომიერებს" მეტი ძალა ექნებათ და მასა და ხალხის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტი მოისპობა.

თუ რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, ამის თქმა დანამდვილებით წინდაწინ შეუძლებელია. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი და სასტიკი იქნება მშრომელ ხალხის კლასობრივი ბრძო-

ლა სოფლად და ქალაქად და რაოდენ გავლენას იქონიებს მასზე არჩევნების დროს რეაქციის ძალმომრეობის „სკოლა“.

გაზ. „ივერია“, 1906 წ. № 20.

პატარა ფიქრები

მკითხველმა უთუოდ იცის, რომ ტფილისში „უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტების ბიურო“ არსებობს და რომ ამ ბიუროს მჭიდრო კავშირი აქვს სოც. — დემოკრატიული პარტიის ზოგიერთ ცნობილ მეთაურებთან, მაგრამ შეიძლება მას გაგონილი არ ჰქონდეს, რომ ამ ბიუროს მალე სახელის გამოცვლას უპირებენ და უნდათ „უსაქმურ ინტელიგენტთა უსაქმური ბიურო“ დაარქვან.

ქალაქის საბჭომ 27 000 მანეთი გადასდო, რომ ამ ფულით რამე დროებითი დახმარება აღმოეჩინა იმ მშრომელი ინტელიგენტებისათვის, რომელთაც ახლანდელ საერთო არევდარევის დროს სამსახური და მასთან ცხოვრების სახსარიც მოესპოთ. ამ დახმარებას მოწყალების ხასიათი რომ არ ჰქონოდა, გადასწყვიტეს ქალაქის სტატისტიკური აღწერა დაეწყოთ და ეს საქმე უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტებისთვის მიენდოთ. ხსენებულმა ინტელიგენტებმა თავი მოიყარეს და საქმის გამგედ და ხელმძღვანელად აარჩიეს ის ბიურო, რომელსაც ჩვენ „უსაქმურ ინტელიგენტების უსაქმური ბიურო“ დავარქვით.

მართლაც ახლა ამ ახალ სტატისტიკოსების და მათი ბიუროს მოღვაწეობას თუ გავიხსენებთ, იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ ერთაღერთი საქმე, რომელშიაც მათ დიდი მხნეობა და ვატაცება გამოიჩინეს, იყო... მათი გაფიცვა, რომელიც საქმის დაწყებისთანავე მოაწყვეს იმიტომ, რომ თავიანთ „ინტელიგენტურ“ შრომას მეტად აფასებენ და დღიურ ჯამაგირად ერთი მანეთის მიღებას უკადრისობდენ. ამ გაფიცვაში მათ „ბრწყინვალედ“ გაიმარჯვეს და შრომის ჯილდოდ მანეთის მაგიერად მანეთნახევარი მიიღეს. საუბედუროდ, გაფიცვაში მამაცი უსაქმო ინტელიგენტები საქმეში... ზარმაცი გამოდგნენ. ბიურო, რომელშიც არა ერთი ნაცნობი „ამხანაგი“ შეგვხვდება და რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია იმისთვის, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მხოლოდ ნამდვილად უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტებს მიეღოთ,

ამ მხრივ სულ უმოქმედო გამოდგა. ადგილობრივ გაზეთებში არა ერთი ისეთი ფაქტი იყო აღნიშნული, რომელიც აშკარას ხდიდა, რომ სტატისტიკის საქმეში ფულს იღებენ ისეთი ინტელიგენტებიც, რომელსაც არავითარი გასაჭირი არ აწუხებს, ან სამსახური ახლანდელ მოძრაობის დროს არ დაუკარგავთ. ამნაირად ბიუროს დაუდევრობით საზოგადო ფული იფლანგებოდა.

ასეთი დაუდევრობა რომელიმე „ბურჟუაზიულ“ დაწესებულებას ან სახელმწიფო კანცელარიას რომ დასტყობოდა, თვით ამ ბიუროს წევრები, უეჭველია, საზოგადოებაში განგაშს ასტეხდენ და იტყოდენ, რომ საზოგადო ფულის ასეთი გაფლანგვა მხოლოდ ბიუროკრატიულ დაწესებულებას შეუძლიაო... მაგრამ „ბიუროს“ სახელი „ბიუროკრატიას“ წააგავს, ალბად იმიტომ უსაქმურ ინტელიგენტების უსაქმურმა ბიურომაც თავიდან ვერ აიშორა ბიუროკრატიული ჩვეულებები, — სიზარმაცე, დაუდევრობა და ამის გამო საზოგადო ფულის უანგარიშოდ გაფლანგვა.

თვით სტატისტიკოსებმა თავისი მუშაობა ისე მოაწყვეს, რომ თითოს დღეში ერთი ან ორი საათის შრომაც არ სჭირდებოდა. გამოირკვა, რომ ისინი ერთმანეთს არ აცლიდენ საქმის სწრაფად შესრულებას, რომ ამნაირად საქმე გაეგრძელებინათ და მეტი ჯამაგირი აეღოთ, რომ უსაქმოდ დარჩენილები ამ სტატისტიკის დროს მართლაც უსაქმურად რჩებოდნენ და იქცეოდნენ ისე, როგორც იქცევიან ჩვენგან ათვალწუნებული ბიუროკრატები, როდესაც ჯამაგირს სრულიად იღებენ და საქმის შესრულებას კი გაურბიან. და უსაქმური ბიურო ხედავდა ამ საერთო უსაქმურობას და სდუმდა.

— კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო: ქალაქის საბჭოს ქალაქის აღწერისთვის გადადებული ფული გამოელია და საქმე კი ჯერ კიდევ სანახევროდაც შესრულებული არ არის. ამ უსაქმურებს, რომელთაც, როგორც ეტყობა, არავითარ საქმის შესრულება არ შესძლებიათ, დაავიწყდათ, რომ შრომის ჯილდოდ საზოგადო ფული ეძლევათ და რომ საზოგადო ფულის ასეთი უსარგებლოდ გაფლანგვა ან ტყუილუბრალოდ მიღება ბოროტმოქმედებას უდრის... თავის გასამართლებლად მათ მხოლოდ იმის თქმა შეუძლიათ, ეს ფული შრომის ჯილდოდ არ გვეგულება, იგი მხოლოდ ქველმოქმედება არისო ან... მოწყალება,

და ჩვენც მას ასე ვიღებთო. ამნაირ თავის მართლებას თუ მიმართა ამ მცოდნე ხალხმა და მათმა ბიურომ, ჩვენ აღარაფერი გვეთქმის...

ერთი ახირებული კაცი სვ. წერეთელია, ის ცნობილი სვ. წერეთელი, რომელიც ს. — დემოკრატიულ პარტიის „რეკომენდაციით" ჩვენმა ხალხმა სათათბიროში თავის წარმომადგენლად გაგზავნა. „მუშაში" იყო დაბეჭდილი და შემდეგ სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაც გადაბეჭდილი რამდენიმე თხოვნა და ქაღალდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს „საუკეთესო ს.-დემოკრატი", მუშა ხალხისთვის მებრძოლი და უანგარო საზოგადო მოღვაწე, მაისში ხალხის წარმომადგენლად არჩეული, მარტის დამლევს კიდევ ხვეწნა-მუდარით მიმართავდა ადგილობრივ ადმინისტრაციას და ჯარის უფროსს და სთხოვდა ხალხისთვის დარჩენილი სადრამო ფული გადაეხდევინებინათ. ჩვენ არ გამოვუდგებით იმ საინტერესო ცვლილების გამოკვლევას, რომელმაც მარტში დრამის ამკრეფი ადამიანი მაისში ს.-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატობის ღირსად გახადა, რადგანაც ეს ფაქტი თავისთავად ღაღადებს იმას, რომ ხსენებულ პარტიის წარმომადგენლები ხშირად თვით პარტიულ, საპროგრამო კითხვებში სიფაქიზეს მოკლებული არიან. ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ექს-დეპუტატი ცდილობს თავი იმართლოს იმ მძიმე ბრალდებისაგან, რომელიც მის საწინააღმდეგოდ წამოაყენა გაზეთმა „მუშამ".

ეს უცნაური თავის მართლება დაბეჭდილია „ჩვენი ცხოვრების" მეოთხე ნომერში. წერეთელი აცხადებს, თვითონ გლეხებმა შეაგროვეს ჩემ სასარგებლოდ ფული, მაგრამ პოლიციამ ნება არ დართო, რომ ჩემთვის გადმოეცათ და ამიტომ სოფლის წარმომადგენლებმა მთხოვეს გუბერნატორისთვის მიმეწერა და ადგილობრივ პოლიციის უკანონო მოქმედება გამომემჟღავნებიაო. მეც სატუსაღოში, ჩემთან მყოფ ამხანაგებთან მოლაპარაკების შემდეგ და მათის თანხმობით, გადავწყვიტე ასე მოვქცეულიყავი, თუმცა ვგრძნობ, რომ პრინციპიალური შეცდომა მომივიდა, რადგანაც ადმინისტრაციასთან სათხოვნელად არ უნდა მივსულიყავი, მაგრამ „რა გვექნა, როდესაც მეტი საშველი არ გახლდათ", -- ცოლშვილი გაჭირვებულ მდგომარეობაში მყავდაო.

ეს თავის მართლება იმით არის საინტერესო, რომ სვ. წერეთელს თავის მოთხოვნების შინაარსი დავიწყებია. მის პირველ თხოვნაში სრულებით არ არის ნახსენები ადგილობრივი პოლიციის უკანონო მო-

ქმევლება; პოლიციას წერეთელი მხოლოდ მეორე თხოვნაში უჩივის და უჩივის იმას, რომ ადგილობრივი ბოქაული უფროსის ბრძანებას არ ასრულებს და სოფელს ამ ბრძანების თანახმად საღრამო ფულს არ ახდევინებს. ამას გარდა სვ. წერეთელს არ ახსოვს, რომ გაზეთებში კიდევ ერთი საბუთი იყო დაბეჭდილი, — მისი წერილი თავის მოადგილესთან, რომელსაც უთვლის ჩემი კუთვნილი საღრამო ფული მრევლს გადაახდევინე და მე აქეთკენ გამომიგზავნე, ან სულ ნუ დარჩები იმ მრევლში, თორემ „ამას ვერ მოვითმენო". საკვირველია, აგრეთვე, რომ ხალხს ძალიან ჰყვარებია მღვდელი წერეთელი, სხვა არც ერთი მღვდელი არ სდომებია, მისთვის თავის ნებით ფული შეუგროვებია და ფულის გადაცემა კი წერეთლისათვის ჩუმად ვერ მოუხერხებია, თუმცა ხალხში ათი ათასობით იკრიბება ფული ისე, რომ ადგილობრივი პოლიცია ვერ უშლის ფულის შეკრებას. რაღა სვ. წერეთელზე შეუძლებელი გახდა ის, რაც საზოგადოდ ჩვენში ადვილი მოსახერხებელია. ან რატომ მოხდა, რომ ეს ნებაყოფლობით შეწირული ფული, „იფლანგებოდა" როგორც ამას თვით სვ. წერეთელი მოწმობს, — ამიტომ მეჩქარებოდა ხსენებული ფულის მიღებაო.

საგულისხმოა სვ. წერეთლის თავის მართლება, პრინციპიალური შეცდომა მომივიდა, მაგრამ ეს საქმე ამხანაგების თანხმობით ჩავიდინე და სხვა გზა არ იყო, ცოლშვილი გაჭირვებულ მდგომარეობაში მყავდაო. ძალაუნებურად გვაგონდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვადასხვა შეცდომა და ხშირად პარტიული პროგრამის დარღვევაც, რომელსაც შემდეგ „ტაქტიკურის მოსაზრებით" ამართლებდენ. ეს ტაქტიკური მოსაზრება უდრის ცოლშვილის გაჭირვებას, რომელმაც სვ. წერეთელს „პრინციპიალური შეცდომა" ჩაადენინა. დატუსაღებულ ამხანაგების თანხმობა სვ. წერეთელს არ ამართლებს, ეს თანხმობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პარტიაში კიდევ სხვებიც ყოფილან ტაქტიკური მოსაზრებით სხვადასხვა პრინციპიალურ შეცდომების ჩამდენნი. ჩვენთვის ასეთ პირებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — იმ პარტიამ იკითხოს, რომელსაც ასეთი პირები თავის საუკეთესო წევრებად მიაჩნია და რომელიც შესაძლოდ სცნობს სვ. წერეთლისთანა კაცებს ხალხის წარმომადგენლობა მიანდოს.

1909

კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის

ის აზრი, რომ „კავკასია წმინდა ზარალია ხაზინისათვის“, საყოველთაოდ არის გავრცელებული მთელს რუსეთში, — რუსულ პრესასა და საზოგადოებაში. ეს შეხედულება ჯეშმარიტებად მიჩნიათ არა თუ რუსეთის რეაქციონერებს, არამედ ლიბერალ და მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებსაც. ჩვენშიაც კი ბევრს ჰგონია, რომ კავკასია მართლა ზარალს აძლევს რუსეთს და რომ კავკასიის მცხოვრებნი, ბევრ რამეში მაინც, რუსეთის ხარჯზე ვიკმაყოფილებთ მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოებრივს საჭიროებას.

რუსეთის რეაქციონერებისაგან ხომ ყურთა სმენა აღარაა: ყოველი საბაბი. როგორიც უნდა იყოს იგი, — შესაფერი თუ შეუფერებელი, — იმათ შემთხვევას აძლევს ამ საგანზე ალაპარაკდნენ და ჩვენი მუქთამჭამლობა წამოგვაყვედრონ. ამ „საბუთს“ ისინი მოხერხებულ არგუმენტადაც ხმარობენ ჩვენში რეფორმების შემოღებისა და მართვა-გამგეობის გაუმჯობესების წინააღმდეგ. მაგალითად, ჩვენს მხარეში მცირეა სწავლა-განათლება, გვაკლია სასწავლებლები. საკმარისია აღიძრას ლაპარაკი — მხოლოდ ლაპარაკი — ახალ სასწავლებლის გახსნის შესახებ, რომ რუსეთის რეაქციონერები და მათი ორგანოები მაშინვე გოდებას მოჰყვებიან; „კიდევ ახალი ხარჯი კავკასიაზე! განა ის არ გვეყოფა, რომ აუარებელ ფულს — რუსის გლეხის ნაამაგარ ფულს — ვყრით კავკასიაში და სარგებლობას კი არას ვიღებთ იქიდან? განა რუსი წელებზე ფეხს იმიტომ იდგამს, იმიტომ მიაქვს უკანასკნელი გროში სასელმწიფოს ხაზინაში, რომ ამ ფულით მთავრობამ „ინოროდცები“ არჩინოს, სასწავლებლები აუგოს და საჯმელი აძლიოს?! ნეტა გონს როდის მოვალთ და როდის შევიგნებთ, რომ გვეყოფა, რაც ამდენხანს ვარჩინეთ „ინოროდცები“, და რომ ამის შემდეგ აღარ შეგვიძლიან ასე დაუზოგველად ვხარჯოთ მათზე რუსის გლეხის ფული“...

ერთის სიტყვით, თუ რუსეთის რეაქციონერებს დაუჯერებს ადამიანი, კავკასია რეფორმების ღირსი არ არის, არა მარტო იმიტომ რომ „ინოროდცებით“ არის დასახლებული, — რუსის პატრიოტები „ინოროდცებს“ ხომ არ სწყალობენ და არა — არამედ იმიტომაც, რომ კავკასია ხარჯებს მეტს ითხოვს რუსეთის სახელმწიფოსაგან, ვიდრე შე-

მოსავალს იძლევა, — ტვირთად აწევს ხაზინას, ე. ი. რუსეთის გლეხობას, რომელიც ჰქმნის ხაზინის ქონებას.

სწორედ ამგვარ ჰანგზე ალაპარაკდა ტფილისშიაც ამას წინათ ერთი რუსი პატრიოტი. წარსულ ნოემბრის შუა რიცხვებში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, გამართული იყო თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების საქმის გამოსარკვევად. კრებაზე ზოგიერთმა წევრმა გამოსთქვა აზრი, რომ ამჟამად საერობო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს საპოლიციო დარაჯების შენახვის ხარჯები და აუცილებლად საჭიროა, ეს ხარჯები ხაზინამ იკისროს, თორემ ერობა ამ ტვირთს ვერ გაუძლებსო. საქმე იმაშია, რომ ამჟამად ამიერკავკასიაში იკრიბება მცხოვრებთაგან წლიურად 5 მილიონი და 700 ათასი მან. საერობო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ ფულიდან 2 მილიონი და 361 ათასი მან. ანუ 41 % პოლიციის დარაჯებზე იხარჯება. ამაში მარტო ტფილისის გუბერნიას უწევს 455 ათასი მან. მთელი საერობო ბიუჯეტი ტფილისის გუბერნიისა კი არის 1 მილიონი და 100 ათასი მანეთი. ამგვარად, ბიუჯეტის თითქმის ნახევარი პოლიციის დარაჯებზე იხარჯება. ამიტომაც საერობო კრებამ გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დარაჯების ხარჯი ხაზინამ გასწიოს, ხოლო ერობა ამისგან განთავისუფლებული იქნეს. ეს არ მოეწონა რუს პატრიოტების წარმომადგენელს, აგრონომს დემენტიევს, რომელიც „რუსის ხალხის კავშირის“ წევრი და „Голосъ Кавказа“-ს ხელმძღვანელი არის. ნუ დაგავიწყდებათო, თქვა მან, რომ კავკასიაში ხაზინა ზარალობს, — მეტს ხარჯავს, ვიდრე სარგებლობას იღებს, და ამიტომ დარაჯების ხარჯის გადატანა ხაზინაზე იმის მომასწავებელი იქნება, რომ თქვენთვის ფული კოსტრომის „მუჟიკმა“ უნდა იხადოსო...

ეს არის ჩვეულებრივი საბუთი რეაქციონერებისათვის, როცა რომელიმე საკითხი კავკასიის ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხება და ამისათვის ხაზინის ხარჯის გადიდება საჭირო ხდება. ამიტომ, მგონია, ფრიად საინტერესო უნდა იყოს იმის გამოკვლევა, თუ რამდენად მართალია ზემოაღნიშნული აზრი, ვითომ კავკასია საზარალოა რუსეთის ხაზინისათვის.

ამ საკითხის გასარკვევად აღგილობრივ მოიპოვება მხოლოდ შემდეგი მასალა: „Отчеты государственного контроля по исполнению государственной росписи и финансовых смет“.

ამ „ანგარიშებში“ არის მოქცეული სახელმწიფოს ყველა შემოსავალი და ხარჯები, განაწილებული სხვადასხვა გუბერნიებზე. მეც ამ წყაროთი ვსარგებლობ კავკასიის შემოსავლიანობის გამოსაანგარიშებლად, ხოლო როცა აქ ესა თუ ის შემოსავალი ან ხარჯი გარკვევით არა სჩანს, ვსარგებლობ სათანადო ოფიციალურ დაწესებულებიდან მიღებულ ცნობებითაც.

ხსენებული „ანგარიშების“ თანახმად, ამიერკავკასიაში სახელმწიფოს ჰქონია:

		სულ ხარჯი:	სულ შემოსავალი:
1897 წელს	—	54,3 მილ. მან.	45,9 მილ. მან.
1898	—	55.2 “	57,8 “ “
1899	—	57,6	58,-
1900	—	61,2	65,4
1901	—	62,7	70,9

საშუალოწლიური შემოსავალი შეადგენს 59,6 მილიონს, ხოლო ხარჯი 58,2 მილიონს; რჩება ზედმეტი შემოსავალი 1,4 მილ. მანეთი.

მაგრამ აქ აღნიშნული ციფრები სისწორით არ უჩვენებს სინამდვილეს. მე ავიღე ციფრები ისე, როგორც არის მოქცეული „ანგარიშებში“. ნამდვილად-კი ამ ციფრებს შესწორება ესაჭიროება, და აი რატომ: „ანგარიშებში“ თითოეული სახელმწიფო ხარჯი იმ გუბერნიას აწერია, სადაც ხაზინიდან ფული გასულა; აგრეთვე შემოსავალიც შემოსავლად აწერია იმ გუბერნიებს, სადაც ხაზინას ფული მიუღია. მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხარჯი ერთ გუბერნიაში არის გაწეული, მაგრამ ის ხარჯი მარტო იმ გუბერნიიდან არ ეკუთვნის; აგრეთვე ხშირად მოხდება, რომ შემოსავალი ხაზინაში შედის ერთ გუბერნიაში, ნამდვილად კი იგი სხვა გუბერნიების შემოსავლადაც არის ჩასათვლელი.

მაგალითად, ამიერკავკასიაში სახელმწიფოს საზღვარი არის. ამ საზღვარზე აუარებელი ჯარი არის თავმოყრილი და ამიტომ სამხედრო ხარჯი დიდი აწერია ჩვენს მხარეს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჯარი იცავს არა მარტო ამიერკავკასიას, არამედ მთელ სახელმწიფოს. ამიტომ ამიერკავკასიას სამხედრო ხარჯი უნდა დაეწეროს არა იმდენი, რამდენიც „ანგარიშებში“ არის აღნიშნული, არამედ ნაკლები, — იმ-

დენი, რამდენიც ეკუთვნის მას მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით მთელს იმპერიაში (ნაცვლად „ანგარიშების“ 19,2 მილიონისა, წელიწადში მხოლოდ 16,7 მილიონი).

ასევე შესასწორებელია შემოსავლის ციფრებიც. მაგალითად, თუ „ანგარიშებს“ დავუჯერეთ, კავკასიიდან შედის ხაზინაში წლიურად 8,2 მილ. მან. ნავთის აქციზი. ნამდვილად კი ამას აძლევს არა მარტო კავკასია, არამედ იმპერიის ყველა გუბერნიები, რომელნიც ნავთს ხმარობენ. ამიტომ ნავთის შემოსავალი კავკასიის მხრით შესაფერად შემცირებულ უნდა იქმნეს. ამგვარადვე უნდა მოვიქცეთ იმ შემოსავლის შესახებაც, რომელსაც იღებს ხაზინა შაქარზე, თამბაქოზე, სპიჩკაზე მაგარ სასმელებზე და საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე. ჩვენში, მაგალითად, არ არის შაქრის ქარხანა, მაგრამ შაქარს ვხმარობთ და, მაშასადამე, ყიდვის დროს შაქრის გადასახადსაც ვიხდით. ჩვენში არ არის აგრეთვე სპიჩკის ფაბრიკები, მაგრამ სპიჩკას ვწვავთ და მაშასადამე, აქციზსაც ვიხდით, და სხვ. ისეთი სტატისტიკა რომ არსებობდეს, რომელიც მოგვცემს ცნობას, იმპერიის რომელ მხარეში რამდენი ნავთი, შაქარი, მაგარი სასმელები, თამბაქო, სპიჩკა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი იხარჯება, მაშინ ჩვენ შეგვეძლებოდა სრულის სისწორით აღგვენიშნა სახელმწიფო შემოსავალი ამიერკავკასიაში. მაგრამ რახან ასეთი სტატისტიკა არ მოიპოვება, დაახლოვებითს ანგარიშს უნდა დავკმაყოფილდეთ. ეს დაახლოვებითი ანგარიში კი შესაძლებელია მხოლოდ მცხოვრებთა შედარებითი რაოდენობის კვალობაზე მოვახდინოთ.

თუ ამგვარის საზომით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამიერკავკასია შემოსავალს იძლევა 70,4 მილიონს, ხოლო ხარჯი არის 55,7 მილ. მანეთი. მაშასადამე, ზედმეტი შემოსავალი რჩება 14,7 მილიონი მანეთი წლიურად.

ცხადია, ამგვარ ციფრების შემდეგ სრულიად უსაფუძვლოა რუსის პატრიოტების წუწუნი, რომ ვითომ ამიერკავკასია ზარალის მეტს არაფერს აძლევს ხაზინასო.

აქ მოყვანილ ანგარიშის წინააღმდეგ რუსებს ერთი საფუძვლიანი საბუთის წამოყენება შეუძლიათ, როგორც ვიცით, რუსეთში ხალხი არაყს ბლომად სვამს და ამიტომ სასმელის გადასახადსაც დიდს იხდის. თქვენ-კი, როცა ამ მხრივ ამიერკავკასია რუსეთის შიდა გუბერნიებს

გაუთანასწორეთ, შეუფერებლად გაადიდეთ ამიერკავკასიის შემოსავალიო, — გვეტყვიან ისინი.

თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენში ბლომად შემოდის რუსეთიდან მაგარი სასმელები და, მაშასადამე, ჩვენი მხარეც იღებს მონაწილეობას იმ შემოსავალში, რომელსაც სასმელებზე იღებს ხაზინა თვით რუსეთში, მაგრამ ჩვენ ამას განგებ ნუ მივიღებთ მხედველობაში. ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ რუსეთს არაფერს ვაძლევთ, გარდა იმ საარყო აქციზისა, რომელსაც ადგილობრივ ვიხდით, და ვნახოთ, რა შემოსავალსა და ხარჯებს მივიღებთ ანგარიშით.

ავიღოთ ამისთვის მარტო ერთი — 1901 წლის „ანგარიში". ამ წელს ამიერკავკასიაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა 70,9 მილ. მან., ხოლო ხარჯი — 62,7 მილ. მან., ზედმეტი შემოსავალი — 8 მილ. და 200 ათასი მან. თუ სამხედრო ხარჯს, აგრეთვე ნავთისა, სპიჩკისა, შაქრისა, თამბაქოს და დამოუნის შემოსავალს ვიანგარიშებთ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, ხოლო სასმელებიდან შიდა რუსეთში შემოსულ შემოსავალში ამიერკავკასიისთვის წილს სრულებით არ ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: 1901 წ. ამიერკავკასიაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა ნამდვილად 70 მილ. და 100 ათასი მან., ხარჯი — 61 მილ. და 500 ათასი მან., წმინდა შემოსავალი 8 მილიონი და 600 ათასი მან.

ამ ანგარიშში შემოსავალი, თუ არ შემცირებულის, ყოველ შემთხვევაში გადიდებულის საზომით მაინც არ არის ნაანგარიშევი; ხარჯები კი ყველა არის ჩათვლილი. არ არის მხოლოდ ჩათვლილი ის წილი, რომელიც ერგება ამიერკავკასიას სახელმწიფო ვალის წლიურ სარგებლის გასასტუმრებლად და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებათა (ხელმწიფის სასახლე, საგარეო სამინისტრო, სახელმწიფოს კონტროლი და სხ.) ხარჯების დასაფარავად. ამიერკავკასიის წილი ყველა ამ ხარჯებში 8 მილიონს შეადგენს. ეს ხარჯი ჩვენ არ შეგვაქვს ანგარიშში, რადგან ამის სამაგიეროდ რუსეთი იღებს კავკასიიდან სხვადასხვა შემოსავალს, რომელიც ზემოაღნიშნულ ანგარიშში არაა ნავარაუდევი.

კავკასიის საზღვარზე სახელმწიფოს ჰყავს დარაჯები, რომელთა ხარჯი კავკასიას აქვს დაწერილი, თუმცა იგი მთელს სახელმწიფოს ეკუთვნის და არა მარტო კავკასიას.

გარდა ამისა, კავკასიაში მთავრობა შედარებით ბევრ ფულს ხარჯავს სამხედრო გზებზე, რადგან ეს საჭიროა საზღვარზე. ამის ხარჯებიც ეკუთვნის მთელს სახელმწიფოს და არა მარტო ჩვენს მხარეს. ჩვენს ანგარიშში კი ესეც არ არის ნავარაუდევი.

რუსეთიდან ჩვენს მხარეში აუარებელი საქონელი შემოდის, რადგან ადგილობრივ ქარხნებში და ფაბრიკებში არ არის. ამ საქონლის გადმოტანაში ხაზინა რუსეთში ქირას იღებს, გადახდით კი ამ ქირას საქონლის მიმღები კავკასია იხდის.

ცხრა მეათედი ჩინოვნიკობისა ჩვენში რუსები არიან. ესენი უმთავრესად მოსულნი არიან, რომელთაც ოჯახი და ნათესაობა რუსეთში ჰყავთ. რასაკვირველია, თავიანთ ჯამაგირიდან ისინი შემწეობას აძლევენ რუსეთში დარჩენილ ნათესავებს, ფულს უგზავნიან. ის ფული, რაც იმათგან იქ იგზავნება, აკლდება აქაურს სააღებ-მიცემო ბაზარს, ხოლო ემატება რუსეთის ხალხს.

აგრეთვე ის ფულიც, რომელსაც ჩინოვნიკობა არ ხარჯავს და შავი დღისთვის ინახავს, ბოლოს და ბოლოს რუსეთში მიდის, როდესაც ჩინოვნიკი სამშობლოში ბრუნდება, და, მაშასადამე, ჩვენს მხარეს ესეც აკლდება.

და, დასასრულ, განა ის კი არ არის მხედველობაში მისაღები, რომ კავკასია თავის შემოსავლით, ამოდენა რუსის ჩინოვნიკობას ცხოვრების სახსარს აძლევს და ინახავს?

ყველა ამ მოსაზრების საფუძვლით, მგონია, რომ ის წილი, რომელიც ანგარიშით ამიერკავკასიას ეკუთვნის სახელმწიფო ვალის სარგებელში და უმაღლეს დაწესებულებათა შენახვის ხარჯებში, ცალკე აღარ არის საანგარიშებელი — ამ წილს სავსებით გაასწორებს ის რამდენიმე საგანი, რომელიც არ აღვნიშნეთ, და რომელიც საერთო ანგარიშში აქ არის შეტანილი.

ამიტომ 8,6 მილიონი მან. ამიერკავკასიიდან უეჭველად წლიურ წმინდა მოგებად უნდა ჩაითვალოს რუსეთის სახელმწიფოს ხაზინისათვის.

„საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 1.

ჩვენ და ცხოვრება

I

მგონია, ამჟამად ყველა ჩვენგანი — ზოგი შეგნებულად, ზოგი გამოურკვეველად მაინც — გრძნობს, რომ ჩვენ, ქართველები, თანამედროვე ცხოვრებას როგორღაც დაშორებულნი ვართ, რომ ჩვენსა და ახლანდელ ცხოვრებას შორის, ნაცვლად ორგანული კავშირისა, რაღაც განხეთქილება, შეუგუებლობა და შეუწყობლობა არსებობს, რომ, ერთის სიტყვით, ახლანდელი ცხოვრება და ჩვენ — ასე ვთქვათ — ერთმანეთისაგან გათიშულნი, განცალკევებულნი ვართ: ცხოვრება თავის გზით მიდის, ხოლო ჩვენ, თითქო აქ გასართობი თამაში არისო, დინჯად შორიდან ვუცქერით და თვით ცხოვრების პროცესში, ამ დროის პირობების შესაფერად, ვერავითარს ცოტაოდნად თვალსაჩინო მონაწილეობას ვერ ვიღებთ.

ასეთი მდგომარეობა — დღეს მაინც — ისეთი ცხადი ფაქტია, ისე ადვილი დასანახია, რომ არა მგონია, იგი ვინმეს კიდევ საეჭვოდ და საკამათოდ მიაჩნდეს. თვითონ ჩვენ ასე თუ ისე შეჩვეულნი ვართ ამ მდგომარეობას და ისე თვალში არ გვეცემა და არ გვეუცხოვება, როგორც გარეშეს, ჩვენი ცხოვრების ახლად გამცნობს უცხოელს. ამიტომაც ყველა უცხოელ სტუმარს, რომელთაც ამ ბოლო დროს ჩვენზე რამე დაუწერიათ, პირველად ეს ფაქტი აღუნიშნავთ ჩვენს შესახებ. მათ ნაწერებში თუმცა სიტყვა-სიტყვით არ არის ნათქვამი, მაგრამ აზრით კი პირდაპირ გამომდინარეობს შემდეგი მსჯავრი: „დღეს თქვენ სტუმრები ხართ თქვენს ქვეყანაში“-ო!

უეჭველია, მსჯავრი სასტიკი არის და ჩვენთვის მეტის მეტად დამაღონებელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მოკლედ და მკაფიოდ ახასიათებს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, და თუ — ღვთის მადლით ჯერ კიდევ სიმართლედ ვერ ჩაითვლება, ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტებას მაინც ძალიან უახლოვდება.

ვინც ჩაფიქრებით გაითვალისწინებს ჩვენს ახლანდელ ყოფა-მდგომარეობას, ჩაუკვირდება მის ავკარგიანობას და წარმოიდგენს ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების სურათს, — უეჭველად დაახლოებით იმგვარსავე „სტუმრის გრძნობას“ განიცდის, როგორსაც, მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში მგზავრად მისული ქართველი: ეს იქ იპოვის დიდს ნივთიერ კულტურას, ნახავს, რომ ნაყოფი ხალხის ეკონომიუ-

რი შემოქმედებისა აუზომელია, მაგრამ ამასთანავე იგრძნობს, რომ თვითონ მას ყველა ამაში წილი არ უდევს, რომ იგი მხოლოდ სტუმარია და არაფრით დაკავშირებული არ არის ამ ნივთიერ კულტურასთან. ჩვენშიაც, სამწუხაროდ, მსგავსი გრძნობა აღეძვრის ქართველ ადამიანს: ახალი დროის ნივთიერ კულტურის მხრით ჩვენი მხარეც არ არის ველური ქვეყანა, აქაც არის ვაჭრობა, მრეწველობა, მადნები, ქალაქები, სახლები და სასახლეებიც, რკინისგზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ავტომობილებიც კი, მაგრამ ყველა ამაში ქართველს მცირე ნაწილი უდევს, — ამ ნივთიერ კულტურის პატრონობის საქმეში, და იგი უფრო „სტუმარია", ვიდრე მასპინძელი, უფრო უცხო და გარეშეა, ვიდრე შინაური.

ჩემის აზრით, ქართველობის ეკონომიური მდგომარეობა დღეს ისეთ დონეზეა და იმგვარს გარემოებაში არის მოქცეული, რომ იგი საერთოდ ჩვენი ხალხსნურ არსებობის უპირველესსა და უმთავრეს საკითხს შეადგენს. ამიტომ ჩვენის მხრით ამ საგანზე ფიქრი და ზრუნვა ყველა სხვა ფიქრსა და ზრუნვას უნდა სჯარბობდეს და ჩრდილავდეს, თუ გვინდა, რომ გამოვეხიზლდეთ და ახლანდელ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ეს ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომ რამდენიც უნდა ითქვას და დაიწეროს ჩვენში იმის შესახებ, მაინც მოჯარბებულად და უსარგებლოდ ვერ ჩაითვლება, თუ, რასაკვირველია, თვით ნათქვამსა და ნაწერს ცოტაოდენად მაინც საღი აზრი აქვს და პრაქტიკულ მოთხოვნილების შეგნების ნიშან-წყალი ახლავს.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ კმარა მარტო ჩივილი და არც მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ჩვენ ღარიბები ვართ: ჩვენი სიღარიბე უკვე ვიცით დიდი ხანია. და ქართველობის ეკონომიკურ საკითხის მთავარი მხარე ის კი არ არის, რომ ჩვენ ღარიბები ვართ, — ეს დღეს ყველასთვის ცხადია, — არამედ ის, თუ რატომ ვართ ღარიბები, — ღარიბები არა როგორც კერძო ადამიანები ან სოციალური კლასები, არამედ როგორც ხალხი, როგორც ეთნოგრაფიული ანუ ნაციონალური ერთეული, — და როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ჩვენს საერთო ეკონომიურ სიბეჩავეს.

ჩვენს ეკონომიურ სისუსტეს მრავალგვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ სათითაოდ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ამ კერძო მიზეზებს ერთი მთავარი, ფართო შინაარსისა და უფრო ზოგადი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს. ეს გარემოება არის შემდეგი: ქართველობა, თავის პრაქტიკულ საქმიანობითა და შინაგან

პსიხიკით, დღესაც ვერ შეწყობია და ვერ შეგუებია თანამედროვე მოქალაქეობრივ ანუ კაპიტალისტურ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა და ხასიათი პსიხიკისა იმგვარია, რომ სრულებით არ შეესაბამება კაპიტალისტურ დროის არც საქმიანობასა და არც პსიხიკას.

მართლაც, აბა დააკვირდით ჩვენს ცხოვრებას, თუ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ შეამჩნიოთ, რომ ჩვენ მარტოოდენ ფეხის ათრევით ვჯაგლაგობთ იმ უღელ ქვეშ, რომელსაც კაპიტალისტური ცხოვრების ცივი მოთხოვნილება ჰქვიან. როგორც ყველამ იცის, ხალხის მთელი ეკონომიური საქმიანობა სამ მთავარ დარგად განაწილდება. ეს არის: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა. კაპიტალისტურის საზომითა და ანგარიშით, თითოეულ ამ დარგს, როგორც საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას, იმდენად აქვს ფასი და ღირებულება, რამდენადაც იგი სარგებელს ანუ მოგებას იძლევა. ხოლო ეს მოგება მაშინ ახლავს ეკონომიურ საქმიანობას, როცა ამ საქმიანობას წარმოების გაუმჯობესებული ტეხნიკა უდევს საფუძვლად, როცა შრომა შესაფერის ცოდნითა და ნივთიერის მოწყობილობით არის განაყოფიერებული, როცა წარმოება ბაზრის მოთხოვნილებასთანაა შეთანხმებული.

ჩვენში კი რას ვხედავთ? სასოფლო მეურნეობა დღესაც თითქმის უცვლელად იმ წესით სწარმოებს, როგორც ასისა და ორასი წლის წინათ; ქართველ სოფლელისათვის თითქო არ არსებობს არც ტეხნიკის განვითარება, არც ბაზრის ცვალებადობა; მრეწველობა, თუკი რაიმე ქართული მრეწველობა მოიპოვება, ხელოსნობის საფეხურს ვერ გასცილებია; ხოლო ქართული ვაჭრობა უფრო გარეშე კაპიტალის ნასუფრალის ამკრეფია, ვიდრე დამოუკიდებელი დარგი და ადგილობრივი აღებმიცემობის იარაღი.

ეს კიდევ არაფერი. სხვა ხალხებშიაც, როცა მათში ეკონომიურ მოთხოვნილებათა ცვლილება უცხო ქვეყნის გავლენით მომხდარა, ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრება უცებ და სავსებით ვერ შეჰგუებია ახალ წესსა და მოთხოვნილებას. ამიტომ ამგვარივე მოვლენა ჩვენშიაც თავის თავად დიდი დარდისა და ზრუნვის აღმძვრელი არ უნდა იყოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვა ხალხებში შეგუება თუ უცებ არა, ნელ-ნელა მაინც უეჭველად მომხდარა; ჩვენში კი, საუბედუროდ, ამის ნიშ-

ნებს ვერ ვხედავთ, და ჩვენის მხრით უმთავრესი ყურადღების ღირსი საგანი სწორედ ეს მოვლენა გახლავთ.

ვერც ერთი დარგი სახალხო მეურნეობისა ვერ გაიზრდება და ვერ განვითარდება, თუ იმ დარგის ასპარეზს მუდამ ახალი ენერგია, ახალი მომქმედი ძალა არ ემატება, თუ ძველ მწარმოებელთა ადგილს იქ მეტის ცოდნითა და ძალღონით აღჭურვილი ახალთაობა არ იჭერს. ჩვენში კი მეურნეობის ყოველი დარგი არა თუ სუსტი და ჩამორჩენილია ტეხნიკურად და განუვითარებელი ეკონომიურად, — დრო და ჟამის განმავლობაშიაც მას ახალი პროგრესული ელემენტი არ ემატება და ამით შინაგანი ნაყოფიერება არ უდიდდება.

რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს ქართველი, თავის ხელობითა ან ქონებრივის მდგომარეობით, მისი დამახასიათებელი მისწრაფება ის არის, რომ თვისი შთამომავლობა ახლანდელ მის წრესა და მოქმედების ასპარეზის ფარგალში არ დაურჩეს. ყოველი სოფლის მეურნე გლეხიც კი, რომელიც შვილის სწავლებას შეუდგება, იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ თავის მემკვიდრე მეურნეობას მოაშოროს და უეჭველად „თავისუფალ ნასწავლ კაცად“ გამოზარდოს. ყოველი ქართველი მემამულე იმის ცდაშია, რომ როგორმე შვილი მამულის მოვლა-წარმოების საქმეში არ დასტოვოს, როგორმე კლასიკურ განათლების სასწავლებელში გაატაროს და „ჩინოვნიკად“ ან თავისუფალ „ინტელიგენტად“ აქციოს. ვაჭარიც კი, რომელიც უფრო პრაქტიკული კაცი უნდა იყოს, თავის შვილებს გიმნაზიებსა და ზაველენიებში აგზავნის და პრაქტიკულ-ეკონომიურ სარბიელს სამუდამოდ აშორებს. ყოველი ქართველი დედა იმას ნატრობს, რომ თავისი ქალი გიმნაზიაში ან პროგიმნაზიაში მაინც მიაბაროს. ერთის სიტყვით, ყველა ქართველს ეს ერთი მისწრაფება აერთებს, — დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას შვილები უეჭველად მოაშოროს და „სამსახურის“ ხალხად აქციოს.

ეს მისწრაფება რაღაც მოარულივით აქვს დღეს მოდებული მთელს ჩვენს საზოგადოებას; თითქმის თვე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე სოფელმა ან დაბამ თხოვნების წერა და ფულის მოგროვება არ დაიწყოს გიმნაზიისა ან პროგიმნაზიის დასაარსებლად. დიდი და პატარა, შეძლებულნი და შეუძლონი, — ყველანი სწორედ ისეთი სწავლის სიყვარულს შევუპყვრივართ, რომელიც ეკონომიურ წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმეში გროშად მოსახმარი არ არის.

რასაკვირველია, ამგვარ მისწრაფებასაც თავისი მიზეზები აქვს, რომ-ლებსაც თავის დროზე კიდეც მოვიხსენიებთ. მაგრამ აქ ჩვენთვის მარ-ტოოდენ ფაქტის აღნიშვნა არის საკმარისი, ფაქტი კი ამას ამბობს: ახა-ლი პროგრესული ძალა არ ემატება ჩვენს სახალხო მეურნეობას, ეკო-ნომიურ საქმიანობას, ე. ი. სასოფლო მეურნეობას. ვაჭრობას და მრეწ-ველობას ქართველებში ეწევა ის ელემენტი, რომელსაც აკლია ახლან-დელ ეკონომიურ ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერი სწავლა-განათლება და მხოლოდ ტრადიციითა და თავის მცირე შინაურულ გა-მოცდილებით შეუძლიან ცოტაოდენი თაოსნობა და პრაქტიკული მოქმე-დება. ახალგაზრდობა კი, რომელიც სასწავლებლებში შედის, იმგვარ გზას ადგება, რომ პრაქტიკულ ცხოვრებას სამუდამოდ სწყდება და შორდება.

ის სწავლა-განათლება, რომლისკენაც მიილტვის დღეს ქართველი ახალგაზრდობის დიდძალი უმრავლესობა, არის უმთავრესად თეო-რიული ხასიათისა და პრაქტიკულად გამოსადეგია მარტოოდენ სამსა-ხურისა ან ესრედ წოდებულ „თავისუფალ პროფესიისათვის". ამგვარ ცოდნა-განათლების ხალხს (ჩინოვნიკს, ექიმს, ვექილს, სოციოლოგს, ისტორიკოსს, ფილოლოგს, ფილოსოფოსს და სხვ.) პირდაპირი კავში-რი სრულებით არ აქვს სახალხო მეურნეობასთან. ყველა ესენი უფ-რო კალმისა და ლაპარაკის ხალხია, უფრო მწიგნობარია, ვიდრე პრაქ-ტიკულად მომქმედი და ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმ-ღები. მათი საქმე არაა დამოუკიდებელი.

არც სასოფლო მეურნეობაში, არც ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამისათვის მათ არა აქვთ არც შესაფერი მომზადება და არც სულიერი მისწრაფება. ერთის სიტყვით, ეს არის სამსახურის ხალხი, როგორც მომზადებით, ისე პსიხიკით.

ასეთი სულიერი განწყობილება დამახასიათებელია არა მარტო ქარ-თველი ინტელიგენციის იმ ნაწილისათვის, რომელსაც უმთავრესად სამსახურისთვის გამოსადეგი მომზადება მიუღია; არა, იგივე არის თვი-სება უფრო პრაქტიკულად გამოსადეგ ცოდნის მქონებელ ქართველე-ბისაც. ქართველი ახალგაზრდა სადმე უცხოეთში სწავლას ასრულებს სამეურნეო სასწავლებელში და ჩვენში რომ დაბრუნდება, დამოუნაში ეძებს თავისთვის სამსახურს; ქართველი ტეხნიკოსი ან ინჟინერი გრამა-ტიკის მასწავლებლობას იწყებს, ან და სახაზინო პალატაში საქმის

მწარმოებლის ადგილს თხოულობს და ასე, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ზოგადი განათლებისა და პრაქტიკული ცოდნისაც, ეძებს და ეტრფის სამსახურს და მხოლოდ სამსახურს. ჯამაგირიანი სამსახური ახალგაზრდობაში და მცირე პენსია მოხუცებაში, — აი ეს არის მისი მატერიალური იდეალი ცხოვრებაში.

და ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება წარმატებით ვერ მიდის? პირიქით, წინააღმდეგი მოვლენა იქნებოდა სწორედ გასაკვირი. აბა როგორ უნდა განვითარდეს ქართველობაში ახალი დროის რთული მეურნეობა და ნაყოფიერი ეკონომიური საქმიანობა, როცა ამის საჭიროება ვერც გონებრივად და ვერც სულიერად ჩვენ ჯერ ვერ შეგვითვისებია. ქართველობის საზოგადოებრივი აზროვნება, სულიერი გრძნობიერება, ჩვეულება და მოქმედება უმრავლეს შემთხვევაში ძირიანად ეწინააღმდეგება ეხლანდელ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას.

აღნუსხვა და განმარტება ჩვენი ცხოვრების იმ ფაქტებისა, რომლებიც ამ ზოგადი დახასიათების მაჩვენებელი და დამამტკიცებელია, ბევრის მხრით საინტერესო და საგულისხმო არის. აქედანვე გამომდინარეობს ბევრი ისეთი დასკვნა, რომელსაც ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

„საქართველოს მოამბე" 1909. № 4

ჩვენ და ცხოვრება

II

ჩვენ

ბევრ ისტორიულ უბედურებასთან ეკონომიურ ვითარების მხრით, ერთი უბედურება ისიც იყო, რომ ჩვენს სამშობლოში ეკონომიურ ცხოვრების ძირითადი ცვლილება იმ დროს დაიწყო, სრულიად ახალი წესი სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობისა იმ ხანაში დამკვიდრდა, როცა ჩვენ ჯერ კიდევ სრულებით არ ვიყავით მომზადებულნი ამ ცვლილებისათვის, როცა თვით ჩვენს ეკონომიურსა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში ამისათვის პირობები და ნიადაგი არ იყო შემუშავებული. ახალს მოქალაქეობრივს ცხოვრებას,

რომელიც გარეშე ქვეყნებისა და ხალხთა მატერიალურ კულტურის გავლენით შემოიჭრა ჩვენში, ჩვენ დაეხვდით ისეთის ზნე-ჩვეულებითა, გონებრივის შემეცნებითა და სულიერის განწყობილებით, რომელიც მხოლოდ ძველს ცხოვრებას შეეფერებოდა, ხოლო ახალს სრულებით არ ეწყობოდა და არ ეგუებოდა. ამიტომაც ჩვენ თავიდანვე ვერ შევისისხლხორცეთ ახალი დროის რთული სამეურნეო საქმიანობის აზრი და მოთხოვნილება.

ეს უკანასკნელი ითხოვდა ჩვენ ძველ საეკონომიო ზნე-ჩვეულების ძირიანად შეცვლას, გარდაქმნას, აღებმიცემობის კანონებთან შეწყობასა და შეთანხმებას. მაგრამ ასეთი გარდაქმნა ადამიანის თუ ხალხის ბუნებისა ადვილი საქმე არ არის, — იგი ნელ-ნელა ხდება და ამას დიდი დროც ესაჭიროება. თანამედროვე ცხოვრება კი საშუალო საუკუნეების დროინდელსავით მდორე და უძრავი აღარ არის; იგი შეუჩერებლივ წინ მიდის და ყურს არ უგდებს, თუ ვინმე უკან რჩება და მას თან ვერ მიჰყვება. ამ ცხოვრებაში ნიადაგის მოპოება და მკვიდრად ფეხის მოკიდება მხოლოდ იმ ადამიანსა და ხალხს შეუძლიან, რომელიც თვით ამ ცხოვრების ღვიძლ შვილად გარდაქმნილა, მისი შინაგანი აზრი, მოთხოვნილება და საჭიროება შეუგნია და შეუთვისებია; ჩვენ კი ქართველებს, ეს ჯერაც ვერ მოგვიხერხებია და ამის გამო თანამედროვე ცხოვრებისაგან დღესაც გამოთიშულნი და გამორიყულნი ვართ; ვერ მოგვიხერხებია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ბუნების გარდაქმნა, აზრშეხედულების შეცვლა, ხასიათისა და ტემპერამენტის გადასხვაფერება თავის თავად ძნელი საქმეა, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ ამ ცვლილების საჭიროება, თანამედროვე რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეგუების აუცილებლობა ჩვენ ჯერ გონებრივადაც არ გვაქვს შეგნებული და ჭეშმარიტებად მიჩნეული.

რაში გამოიხატება ის „ქართული“ ბუნება, აზრი-შეხედულება, ზნე-ჩვეულება, ხასიათი და ტემპერამენტი, რომელიც თანამედროვე ცხოვრებასთან შეწყობა-შეგუების საქმეში ხელს გვიშლის და გვაბრკოლებსო, — იკითხავს მკითხველი. ამის მაჩვენებელი კერძო ფაქტები აუარებელია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ იმათი ცალ-ცალკე აღნუსხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებლად აღნიშვნა საგნის გარკვე-

ვაში ბევრს არას გამოგვადგება. საჭიროა თვით იმ მთავარ წყაროების აღმოჩენა, რომლებიც დასაბამია ყველა იმ კერძო ფაქტებისა და მაშინ ამ ფაქტების უკლებლად ჩამოთვლაც საჭირო აღარ იქნება, რადგან ამას ყველა დაინახავს და აღმოაჩენს თვისსა და სხვის ცხოვრებაშიაც.

ჩვენის აზრით, ჩვენი ეკონომიურ დაბრკოლების წყაროები ოთხ უმთავრეს დარგად შეიძლება დავანაწილოთ. ეს არის: 1) დროს ჩამორჩენილი საეკონომიო აზროვნება ქართველობისა, 2) „აზნაურული“ პსიხიკა 3) პატრიარხალურ ჩვეულებათა ნაშთი და 4) სუსტი ინდივიდუალობა. თუ აქ ჩამოთვლილ თვისებების მიხედვით დააკვირდებით ჩვენს სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობას, მგონია, დამეთანხმებით, რომ სწორედ აქ მარხია ჩვენი მთავარი დაბრკოლება და რომ ქართველობის ამ ინდივიდუალურ თვისებებს ეჭირვება განსაკუთრებული ყურადღება და დროის შესაფერი მკურნალობა.

განა ვინმეს შეუძლიან სთქვას, რომ ჩვენი აზროვნება საეკონომიო საქმეებში შეეფერება ახლანდელ დროის აზრსა და მოთხოვნილებას? არა მგონია. ქართველის სამეურნეო აზროვნება უფრო საშუალო საუკუნეების წყობილებასთან არის შეთანხმებული, ვიდრე ახლანდელ აღებმიცემობისა და კაპიტალისტურ ანგარიშიანობის ხანასთან. ძველს დროში, რომელმაც ახლანდელსავით მერმისის საეკონომიო დარდი და ზრუნვა არ იცოდა, ყოველგვარ მოძრავ ქონების დანიშნულება ის იყო, რომ უნდა დახარჯულიყო, პატრონის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოხმარებულიყო. როგორც გლეხი, ისე მემამულე მიწის მოსავალს უცქეროდა დასახარჯად და არა შესანახად, ხმარობდა ამას თავის სარჩოდ და არა აღებმიცემობის საშუალებად. არც ნაწარმოები და არც ფული მაშინ არ შეადგენდა აღებმიცემობის არც საგანს, არც საშუალებას. ერთიც და მეორეც საღსარი იყო მარტოოდენ პირად ან ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, — ჯამა-სმისა და ჩაცმა-დახურვის საჭიროების გასაძღოლად, გადასახადის გასასტუმრებლად. ერთი წლის მოსავალი მეორე წლამდის უნდა კმარებულიყო და ამიტომაც მთელი იმდროინდელი სამეურნეო ზრუნვა და ფიქრი ერთი წლის იქით აღარ მიდიოდა.

დღეს კი ის ძველი წყობილება და საეკონომიო ურთიერთობა ძირიანად შეცვლილი არის, მაგრამ ჩვენ მაინც ის ძველებური აზროვ-

ნება გვაქვს შენარჩუნებული. დღესაც ქართველის წარმოდგენით ქონების დანიშნულება ის არის, რომ დაიხარჯოს, „შეიჯამოს“, ადამიანს პირადი მოთხოვნილება დაუკმაყოფილოს. ამიტომაც ქართველი ფულს უცქერის არა როგორც კაპიტალს, არა როგორც აღებმიცემობის საშუალებას და ქონების გაზრდა-გადიდების საღსარს, არამედ როგორც დასახარჯ ქონებას, როგორც პირად საჭიროებისათვის შესაფერ წარმოების მომცემ ღირებულებას.

თანამედროვე საქმის აღებმიცემობა — ასე ვთქვათ — ერთგვარი ქურაა, რომელშიაც იგი სდებს ერთ აბაზს იმ მიზნითა და განზრახვით, რომ ორი აბაზი ან ექვსი შაური მაინც გამოიღოს ამ ქურის მეორე მხარედან. საქმის კაცის ხელში ფული „ბარტყობს“, „იჩეკება“, იზრდება. ქართველის ჯიბიდან კი ფული იმიტომ ამოდის, რომ თავის დღეში იქ აღარ დაბრუნდეს ნაბარტყი და მომატებული. რათა? იმიტომ, რომ ქართველისთვის ფულს მარტოოდენ პირადი მოხმარების დანიშნულება აქვს. აღებმიცემობის ადამიანისთვის ფული იარაღია წარმოებაში დასატრიალებლად; ქართველისთვის კი იგივე ფული საქონელში მისაცემი ფასია თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პირველს თავისთვის დასახარჯავად მიაჩნია მხოლოდ ნაწილი წმინდა შემოსავლისა, მეორისთვის კი მთელს შემოსავალსა და ხშირად მთელს ქონებასაც მხოლოდ დახარჯვის დანიშნულება აქვს. პირველისთვის ფული და აღებმიცემობა განუყრელი ცნებაა, მეორის წარმოდგენაში კი ფულთან მარტოოდენ მოსახმარად საჭირო ნაწარმოების ყიდვა არის შეკავშირებული. პირველისთვის ფულს თავის თავად ისევ ღირებულება აქვს, როგორც ყოველგვარ სავაჭრო საქონელს, როგორც, მაგალითად, შაქარს ან ხიზილალას; ქართველს კი მანეთის შაქარს აბაზი ურჩევნია, თუ შინ შაქარი სახარჯოდ კიდევ მოეპოვება, პირველი მუდამ იმის ცდაშია, რომ წმინდა შემოსავლიდან დიდი ნაწილი გადაანარჩუნოს აღებმიცემობისა და, მაშასადამე, საბოლოოდ შემოსავლის უფრო გასადიდებლად. და ამ მის მისწრაფებას საზღვარი არა აქვს, ამ მისწრაფებით არის იგი გამსჭვალული მაშინაც, როცა მისი ქონება მილიონობით აღირიცხება; ქართველისთვის კი ყველა ეს გასაკვირია და ხშირად იგი ასე ამბობს მდიდარ კაცზე: „რად უნდა, — იმდენი აქვს, რომ თავის დღეში ვერ მოერევაო“, და ვერც იტყვის სხვანაირად, რადგან მას ქონება მართლა „მოსარე-

ვად“, შესაჯშელად აქვს წარმოდგენილი. ამიტომაც ქართველი თავს ჩინებულად გრძნობს, სანამ ქონება სულ მთლად არ გამოლევია და არსებობა კიდევ შეუძლია. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქონება კიდევ „მორეული“ არაა.

და აბა მითხარით, — განა სრულიად ბუნებრივი მოვლენა არ არის, რომ ამგვარის შეხედულების ადამიანები ახლანდელ ცხოვრებაში ფეხს ვერ ვიკიდებთ და ნიადაგს ვერ ვიჯერთ?

ასევე აუცილებლად უნდა ვსცნათ ჩვენი ჩამორჩენა თანამედროვე ცხოვრებისაგან, თუ ქართველობის დამახასიათებელ პსიხიკას გავითვალისწინებთ, ქართველობის სულიერი განწყობილება დღესაც კიდევ იმგვარ თვისების არის, რომ ხელს არ უწყობს ჩვენში სამეურნეო საქმიანობის აღორძინებას. ჩვენს ისტორიაში თავად-აზნაურობას დიდი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ჩვენსავით პატარა ერს სადმე ისე განვითარებიოს და განემტკიცებიოს ფეოდალური წესწყობილება, როგორც ეს იყო ჩვენში. თავად-აზნაურობა იყო ხალხის წარჩინებული წოდება არა მარტო უფლებითა და ქონებით, არამედ განათლებით და კულტურითაც. იგი იყო მთელი ხალხისათვის მაგალითი და მისაბაძი ნიმუში როგორც კარგში, ისე ავშიაც. ამიტომაც ჩვენს ხალხში გავრცელებულია არა ერთი და ორი ისეთი ჩვეულება, რომელიც არსებითად მარტო თავად-აზნაურობის ისტორიულ მდგომარეობითა და ცხოვრებით არის წარმოშობილი და გამტკიცებული. ამგვარია, სხვათაშორის, ის შეხედულებაც, რომელიც დაბალ ღირსებისად სთვლის საზოგადოდ ფიზიკურ მუშაობას და პრაქტიკულ საქმიანობას. თავადაზნაურობა, რომელიც ისტორიაში მხედრობას ასრულებდა და მტერთაგან სამშობლოს დაცვის საქმეს განაგებდა, სამეურნეო შრომას სრულიად მოსწყდა, გადაეჩვია და ამის გამო ის აზრი შეითვისა, რომ მუშაობა და საზოგადოდ „შავი საქმე“ მისი ღირსებისა და სისხლის შესაფერი მოქმედება არაა. და სწორედ იგივე შეხედულება გადავიდა მთელი ხალხის შემეცნებაშიაც; მშრომელ გლეხობის გონებაშიაც „დიდკაცობა“ და უმუშევრობა თანაბარ ცნებად გადაიქცა და ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი შეიქმნა.

ეს შეხედულება დღესაც ღრმად ზის ქართველის არსებაში, და თუმცა რეალური ნიადაგი დიდი ხანია მოისპო, სულიერ ბუნებაში

შესისხლხორცებული იდეა მაინც კიდევ განაგრძობს არსებობას. ფრანგებს უთქვამთ რუსებზე: რუსს რომ ცოტა მოფხიკოთ, უეჭველად თათარი გამოჩნდებაო; ქართველს თუ „მოვფხეკთ“, შეიძლება თათარი არ გამოჩნდეს, მაგრამ აზნაური კი უეჭველად გამოჩნდება. ფიზიკურ გარჯისა და პრაქტიკულ შრომის შესახებ, თუ ჰკითხეთ, ყოველი ქართველის სული ამოგძახებთ, რომ ეს მას ღირსეულ საქმედ არ მიაჩნია. ღირსეული საქმე ის არის, რომელსაც, „დიდი კაცი“ ადგია, ხოლო მიწის მუშაობა, ხელობა, წარმოება და სხვა ამგვარი „შავი საქმე“ „დაბალ“ ხალხს აქვს ბედისაგან დაკისრებული. ამიტომაც არც ქართველ გლეხს, არც ხელოსანს, არც ვაჭარს არასდროს ფიქრად არ მოუვა, რომ თავის ხელობით იამაყოს და თავისი სამეურნეო საქმიანობა თავის მოქალაქეობრივ ღირსების საბუთად წამოაყენოს. საფრანგეთის ვაჭარი სადარბაზო ბარათებსაც კი აწერს, ბურჟუა ვარო, იქაური გლეხი ამაყობს თავის „proprietaire“-ობით (მიწის მესაკუთრეობით), ხოლო ჩვენში ყველა ამ ხალხს თითქო რცხვენიან თავის ხელობის, თითქო ყველა ბოდიშს იხდის: „ნუ დაგვძრახავთ, რომ ბედმა წილად ასეთი მდარე საქმე გვარგუნაო“.

ადვილი გასაგებია, რომ იმ ხალხში, სადაც ასეთ სულიერ ვითარებას ადგილი აქვს, მიწის მუშაობა, ხელობა, ვაჭრობა და მრეწველობა ვერ იქნება მიჩნეული მისწრაფების ღირს ასპარეზად და აკი ვხედავთ, რომ ეს ჩვენში სწორედ ასეა: მთელ ქართველ ახალგაზრდობას ყოველკენ აქვს პირი მიქცეული, მხოლოდ არასდროს პრაქტიკულ საქმიანობისა და დამოუკიდებელ სამეურნეო მოქმედებისაკენ. ამას არ სთვლიან ღირსეულ საქმედ მშობლები, და არ სწყალობენ შვილებიც.

ამგვარად, როგორც ხედავთ, ჩვენი სულიერი განწყობილებაც არ არის ხელის შემწყობი, წამქეზებელი და სურვილის აღმძვრელი, რომ ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას დავუახლოვდეთ და მის მოთხოვნილების მიხედვით რთულს სამეურნეო საქმიანობაში ჩავებათ.

მაგრამ რას ვამბობ, — არა თუ წაქეზება, პირიქით, მთელს ქართველობას ლოდად გვაწევს ერთი ისეთი ჩვეულება, რომელიც პირდაპირ დამჩლუნგებელი და შემბოჭველია კერძო თაოსნობისა და გამქარწყლებელი მოქმედების აღმძვრელ სამერმისო ზრუნვისა. ეს ის ჩვეულებაა, რომ ყოველ ქართველს ცხოვრებაში ვიღაცის იმედი აქვს. ეს გრძნობაც ძველი დროის გადმოცემულია, როცა პატრიარხალური

წყობილება იყო და ერთმანეთის დახმარება (ნადობა, მამითადი, შეწევნა) და სტუმარ-მასპინძლობა დაურღვეველ მოვალეობად ითვლებოდა. მეოცე საუკუნეშიც ქართველებს ეს გრძნობა მოგვყვა. რახან პატარა ხალხი ვართ და თითქმის ყველანი ერთმანეთს პირადად ვიცნობთ, თანაც ჩვენს სამშობლოს ფარგალში ჯერ კიდევ ფეხი გვიდგია — თავს განმარტოებულად და თავის თავის ანაბარად აღარ ვგრძნობთ, — ყველას ნათესავისა, ნაცნობისა ან მეგობრის იმედი გვაქვს. თითოეული ქართველი, რომელიც თავის მერმისზე თვითონ არ ფიქრობს და არ ზრუნავს, იმედად ნათესავსა და მეზობელს იტოვებს და ელის, რომ გაჭირვების დროს, ე. ი. იმ დროს, როცა თავის ქონებას სრულიად „მოერევა“, „ხელს მოინაცვლებს“, ზოგან საჭმელსაც იშოვის და ყოველ შემთხვევაში შიმშილით არ მოკვდება.

ამ ქართულ „იმედიანობას“ ჩვენ ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად ვთვლით ჩვენი ეკონომიურ წარმატებისათვის და ნურავის ნუ ეგონება, რომ ვითომ ამას გადაჭარბებით ვამბობდეთ. მიიხედ-მოიხედეთ გარეშემო და დაინახავთ, რომ ეს „სხვისი შემაცქერლობა“ დღეს ქართველებში „უფლების“ ძალასაც კი იღებს. აუარებელი მაგალითებია იმისი, რომ ჩვენი „მოიმედენი“ კი აღარ თხოულობენ დახმარებას, არამედ „მოითხოვენ“ თავიანთ უფლებას. ვინც, დიდი ბრძოლის შემდეგ, თავის ქონებას „მოერია“, „მოითხოვს“, რომ სხვამ სარჩო გაუჩინოს; ვინც შვილები გააჩინა, ხოლო მათთვის საღსრის მოპოვებაზე ზრუნვა სრულებით გადაივიწყა, „მოითხოვს“, რომ შვილები გაუზარდონ და ღირსეულ კარიერისთვის მოუმზადონ; ვინც სასწავლებელში იყო და ცხოვრებაში გამოსადეგი არაფერი უსწავლია, „მოითხოვს“, სამსახური აუჩინონ და დააბინავონ. მალე, ალბად, იმასაც „მოითხოვს“ რომ სახლი აუშენონ და ქირა არ გამოართვან.

და როგორ ჰფიქრობთ, — ის ადამიანი, რომელსაც სხვისი იმედი აქვს და გაჭირვების დროს ხსნას სხვისგან მოელის, განა ეცდება, თავისი სურვილები ალაგმოს, მერმისზე იზრუნოს და გაჭირვება საკუთარის მუყაითობითა და მომჭირნეობით თვითონ აიშოროს? არა მგონია, რომ ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი შეიძლებოდეს. და თუ ეს ასეა, — უეჭველია, აღნიშნული ჩვეულებაც თვალსაჩინო დამაბრკოლებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ეკონომიურ წინმსვლელობისათვის.

მაგრამ ყველა ზემოთ აღნიშნულ მიზეზებს სჭარბობს მნიშვნელობით ჩვენი ის საერთო თვისება, რომელიც აქ უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ. ეს არის ქართველ ადამიანის საშინლად სუსტი პსიხიური ინდივიდუალობა ანუ პიროვნება. ამგვარ ადამიანის დამახასიათებელი ის არის, რომ იგი თვის მოქმედებაში ყოველთვის იქითკენ მიიწევს, საითკენაც ნაკლები დაბრკოლება მოელის. ქართველიც ცხოვრებაში მხოლოდ იმას ეჭიდება, რაც უფრო ადვილი გასაკეთებელია და დიდ ენერგიისა და ხასიათის სიმტკიცეს არ მოითხოვს. მაგალითად, დამოუკიდებლად საქმის წაყვანას ვაჭრობაში მეტი ჭკუა, ენერგია, თაოსნობა და გამჭრიახობა უნდა, ვიდრე ვაჭართან მოანგარიშედ ყოფნას და სხვისი ხელმძღვანელობით მუშაობას. პირველ შემთხვევაში საჭიროა დიდი მხნეობა, მაგრამ შესაძლებელია დიდი ქონების შეძენაც; მეორე შემთხვევაში კი საკმარისია პასიური მუშაობა, მაგრამ შესაძლებელია მარტოოდენ დღიურ ლუკმის მიღება. ქართველი სწორედ მეორე საქმეს აირჩევს, რადგან ამას ნაკლები „თავის მტვრევა" ესაჭიროება, ახალგაზრდა ინჟინერი ლათინურ გრამატიკის მასწავლებლობას ხელს მოჰკიდებს, ხოლო დამოუკიდებელ საქმეზე, თუ გინდ — ვთქვათ — რაიმე სატეხნიკო კანტორის დაარსებაზე, არც იფიქრებს, რადგან ეს საქმე დიდს პრაქტიკულ გამჭრიახობას მოითხოვს, პირველს კი ყოვლად უნიჭო და გონება-დაჩლუნგებული ადამიანიც შეასრულებს. ქართველი მემამულეც ამავე მიზეზის გამო მამაპაპეულ მამულის მოვლას ქარის ანაბრად დასტოვებს და თვითონ სადმე კანცელარიაში, თუკი მისცეს, გადამწერლის სამსახურს იკისრებს.

აი, ყველა ეს შეადგენს, ჩვენის აზრით, სათავეს ჩვენის უნიადაგობისას ახალი დროის საეკონომიო ასპარეზზე. ამ საფუძველზე არის აღმოცენებული ქართველობის დღევანდელი საზოგადოებრივი აზროვნება და მოქმედება, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს.

„საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 6.

ჩვენ და ცხოვრება

III

მიმართულება სწავლის საქმეში

თუ რამდენად ჩამოვრჩით ჩვენ, ქართველები, თანამედროვე მოქალაქეობრივ ცხოვრებას და რამდენად დავშორდით მის მოთხოვნილებას, ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენი საერთო მისწრაფების ხასიათი სწავლა-განათლების საქმეში და ახალგაზრდობის მიდრეკილება პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ჩვენი ჩამორჩენა იმაში არ გამოიხატება, რომ ვითომ დღეს ქართველობას შეგნებული არ ჰქონდეს საზოგადოდ სწავლა-განათლების საჭიროება და სარგებლობა, ან ვითომ მას აკლდეს მისწრაფება სწავლა-ცოდნისადმი. პირიქით, ეს შეგნება და მისწრაფება საკმაოდ დიდია, და ამ მხრით ჩვენ ზოგიერთ მეზობელ ხალხებს არ ჩამოუვარდებით. არა, ჩვენი ჩამორჩენისა და ცხოვრებისაგან გამორიყვის მაჩვენებელია ამ შემთხვევაში არა მისწრაფების ნაკლებობა ან გულგრილობა სწავლა-განათლების მიმართ, არამედ ჩვენი განსაზღვრული მიმართულება ამ საქმეში და ის პრაქტიკული მოსაზრება ანუ, უფრო სიმართლით რომ ვთქვათ, მოუსაზრებლობა, რომელიც სარჩულად უდევს ჩვენს ზრუნვას ახალთაობის სწავლა-აღზრდისათვის.

ქართველობის დღევანდელ მიმართულებას სწავლა-განათლების საქმეში მხოლოდ მაშინ გავიგებთ და წარმოვიდგენთ სავსებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ „ქართულ თვისებებს", რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ, და გავითვალისწინებთ იმ სოციალ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც თან მოჰყვა საქართველოს ისტორიულ ცხოვრების ძირითად ცვლილებას მეცხრამეტე საუკუნეში.

როგორც ყველამ იცის, საქართველოში შემოსვლისთანავე რუსეთის მთავრობამ დააწესა ჩვენში რთული ადმინისტრაცია და გაამრავლა ჩინოვნიკობა. „ტრაქტატები" და ხელშეკრულობის „პირობები" მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ხოლო ნამდვილად საქართველო რუსეთის პროვინციად გამოცხადდა და მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად წოდებისა, შორიდან გამოგზავნილ ჩინოვნიკების ქვეშევრდომად გადაიქცა. ვისაც წაუკითხავს იმდროინდელი ოფიციალური „აქტები", მხოლოდ იმას შეუძლიან სავსებით წარმოიდგინოს, თუ რა იყვნენ

ჩვენი ქვეყნის მაშინდელი გამგენი და ეს ადვილი გასაგებიცაა: დღესაც, მეოცე საუკუნეში, ასე დიდი ძალისა და გავლენის პატრონია ადმინისტრაციის უმცირესის უმცირესი მოხელე, და აბა რაღა უნდა ყოფილიყო ასი წლის წინათ, როცა ხალხს არ ჰქონდა არც გამოცდილება, არც მომზადება და არც საშუალება თვითნებობის ასალაგმავად. თუ წინათ ბატონობა და ბრძანებლობა ხელთ ეპყრა თავად-აზნაურობას, მეცხრამეტე საუკუნეში ყველას მბრძანებელი შეიქმნა „მდივანბეგი", ყოველი წვრილი და სხვილი მოხელე, რომელიც, უკონტროლოდ და უპასუხისმგებლოდ, თავის სურვილსა და ნებაზე „განაგებდა" ქვეყანას.

ის როლი და მოვალეობა, რომელიც წინათ ქართველ თავადაზნაურობას ჰქონდა, ახლა სხვაზე გადავიდა და ჩვენი მოწინავე წოდება საქმისაგან სრულიად განთავისუფლებული დარჩა. რომ მას შემდეგშიაც მოწინავეობა და ფაქტიური უპირატესობა შეერჩინა, საჭირო იყო, ან სამეურნეო ასპარეზისთვის მაგრა ხელი ჩაეჭიდა, ანდა რუსის მთავრობის მოხელეობა ეკისრნა და ადმინისტრაციაში ალაგი დაეჭირა. პირველი საქმისთვის მას არ ჰქონდა შესაფერი პსიხიკა და ცხოვრებაშიაც არ იყო მაშინ შექმნილი ნიადაგი სააღებმიცემო მეურნეობის საწარმოებლად. სამსახური კი, განსაკუთრებით სამხედრო სამსახური, უფრო ემარჯვებოდა და თავის შესაფერადაც მიაჩნდა. ამიტომაც თავად-აზნაურობამ ეს მეორე გზა აირჩია და ჩინოვნიკის სამსახური იკისრა.

იმ დროში მთავრობას ადგილობრივი ელემენტი ძალიან ესაჭიროებოდა, რადგან კავკასია მისთვის სრულიად უცხო და უცნობი მხარე იყო და ამასთან კავკასიის სხვადასხვა ნაწილები დასაპყრობი ჰქონდა. ამის გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ ახლად შეერთებულ და ჯერ კიდევ დაუპყრობელ ქვეყანაში თავად-აზნაურობის გულის მოგება და თავის მომხრედ გადაქცევა მისთვის სასარგებლო იყო, მთავრობა დაუბრკოლებლად აძლევდა ქართველებს მოხელეობის თანამდებობას და ნიშნავდა ჩინოვნიკებად. ამ მიზნით მთავრობამ პირველადვე სასწავლებელიც დააარსა ქართველ თავადების რუსულ წესზე გამოსაზრდელად და ჩინოვნიკებისთვის მოსამზადებლად. შემდეგში, პოლიტიკურ მოსაზრებითა და საჭიროებით, სასწავლებლის რიცხვი თანდათან გამ-

რაელდა და მათთან ერთად გამრავლდა რიცხვი მოსწავლე და ნასწავლ თავადებისაც.

სანამ ჩვენში ბატონ-ყმობა მოშლილი არ იყო, სასწავლებლებსა და სახელმწიფო სამსახურში, ადგილობრივ ელემენტთაგან, მარტოოდენ თავად-აზნაურნი შედიოდნენ, რადგან არც ერთ სხვა წოდებას ქართველებში არ ჰქონდა ამისთვის არც მოხერხება და არც თავისუფლება. მაგრამ ბატონ-ყმობის მოსპობისა და შრომის განთავისუფლების შემდეგ ეს მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა. და ჩვენ ვხედავთ, რომ, განსაკუთრებით მეოთხმოცე წლებიდან, როდესაც ცოტაოდნად აღებმიცემობისა და სოციალურ დიფერენციაციის ნიშანი დაეტყო ჩვენს ცხოვრებას, არა თავად-აზნაურული ელემენტიც თანდათან უფრო და უფრო მიიწევს სკოლებისა და სწავლა-განათლებისაკენ. და დღეს ეს მისწრაფება ისე ძლიერია, ისე მძლავრად აქვს იგი მთელს ქართველ საზოგადოებას, რომ ჩვენისთანა პატარა და ღარიბ ხალხს, თანაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფს, მეტი არც კი მოეთხოვება.

ამ შემთხვევაშიაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, თავადაზნაურობის მაგალითი და შეხედულება მისაბაძი გახდა ქართველობის სხვა ელემენტებისთვისაც. როგორც თავად-აზნაურობა რუსულ სასწავლებლებს ეტანებოდა და დღესაც ეტანება იმ მიზნით, რომ შემდეგ, დიპლომის საშუალებით, სახელმწიფო სამსახური მიიღოს, ისევე სხვა ელემენტებიც სწორედ უფრო იმგვარ სასწავლებლებს ელტვიან, რომლებშიაც სწავლება ჩინოვნიკების მოსამზადებლად არის მიმართული. მართალია, რუსეთში საზოგადოდ ყველა სასწავლებლები სახელმწიფო მოხელეთა მომზადების საქმეს ემსახურებიან, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი მიზანი უფრო გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დამახასიათებელია. და, აი, სწორედ გიმნაზია და უნივერსიტეტი შეიქმნა საღოცველ ხატად და მისწრაფების უპირველეს საგნად ყოველი ქართველისათვის. გიმნაზია და განსაკუთრებით უნივერსიტეტი ისეთი საჭირო და აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა ქართველის წარმოდგენაში, რომ დღეს საშუალო მდგომარეობის ქართველს სირცხვილადაც კი მიაჩნია, თუ თავის შვილებს, ან თვითონ ან სხვისი დახმარებით, სწავლა ვერ მიაღებინა უნივერსიტეტში. და ჩვენის აზრით, სწორედ ეს მოვლენა არის ქართველობის თავისებურ სულიერ განწყობილების გამომჟღავნებელი და ჩვენ მიერ ახლანდელ სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებათა მაჩვენებელი.

აბა დააკვირდით: წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მაინც სრულიად ცხადი შეიქმნა, რომ სამეურნეო ასპარეზზე ძველის წესით საქმიანობა თანამედროვე აღებმიცემობის ხანას აღარ შეეფერებოდა. აუცილებელი იყო შესაფერის ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულიყავით, რათა ჩვენი სამეურნეო საქმიანობა გაგვებარაქიანებინა და ცხოვრებაში რეალური ნიადაგი დაგვეჭირა. ამ შემთხვევაში შესაფერისი ცოდნა და სწავლა-განათლება შეიქმნებოდა ნამდვილი იარაღი როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ისე თითოეულ „ნასწავლ“ ქართველისათვის დაბალ სოციალურ საფეხურიდან უფრო მაღალში გადასასვლელად, ვინაიდან ახლანდელ დროში სოციალური დაწინაურება გვარიშვილობასთან კი აღარ არის დაკავშირებული, — ქონებრივს შეძლებასა და ეკონომიურს წარმატებაზეა დამყარებული.

მაგრამ, საუბედუროდ, ამისათვის ჩვენ არ დაგვირჩა არც შეგნება და არც საჭირო სულიერი მიდრეკილება. სასოფლო მეურნეობის შესწავლა, ტეხნიკური ცოდნა, საკომერციო განათლება და საზოგადოდ პრაქტიკული სწავლა მხოლოდ იმისთვის არის გამოსაყენებელი, ვისაც დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისადმი შინაგანი მისწრაფება და ხალისი აქვს, ვისაც საკუთარის თაოსნობისა, ენერგიისა და ხასიათის სიმტკიცის იმედი მოეპოვება. ჩვენ კი სწორედ ეს გვაკლდა და გვაკლია დღესაც. ამიტომაც ქართველობა მარტოოდენ იმგვარ სასწავლებლებს მიაწყდა, სადაც ჩინოვნიკობის უფლების მოპოვება შეიძლებოდა.

ყოველ ადამიანს აქვს სურვილი და მეტ ნაკლებობით მისწრაფებაც, თავის შედარებით მდარე მდგომარეობიდან გამოვიდეს და, თუ შესაძლებელია, უფრო მაღალსა და უპირატეს საზოგადოებრივ კლასში ჩაერიცხოს. რადგან ქართველობის არც ერთი წრე თავისში ხალისსა და ძალ-ღონეს არ გრძნობდა, ეს სურვილი დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობის საშუალებით განეხორციელებია, ამიტომ მან ის გზა აირჩია, რომელიც უფრო ადვილად და ხელმისაწვდომად ეჩვენებოდა: კლასიკური განათლების საშუალებით სამსახურის მოპოება.

ქართველისთვის, რომელიც, — როგორადაც ვაჭრობასა და საერთოდ სააღებმიცემო საქმეებს თავიდანვე ჩამოშორებული ადამიანი, — ფულის მხრით ყოველთვის ხელმოკლედ იყო, ჩინოვნიკობა და სა-

ზოგადოდ სამსახური სახარბიელო საგნად გადაიქცა. ჯერ ერთი, როგორც ნივთიერ საღსრის მომცემი ცხოვრებაში, და მეორეც, როგორც საშუალება სოციალურ კიბის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. რახან თავისთავად გვარიშვილობას რეალური ღირებულება დაეკარგა და მხოლოდ ჩინი და ჩინოვნიკური ხარისხი გახდა საშუალება საზოგადოებაში პატივისა და გავლენის მოსაპოვებლად, ქართველობის არა თავად-აზნაურულ ელემენტებსაც „გზა გაეხსნათ" და, კლასიკურ განათლების სახით, შეიძლება მიეცათ „დაბალ წოდებიდან" „მაღალს წრეში" გადასასვლელად. ქართველ გლეხს, ვაჭარს, ხელოსანს, მრეწველს, მღვდელს ღღესაც სასახელოდ მიაჩნია, რომ მისი შვილი სადმე სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს და მოხელის უფლებით აღჭურვილი არის. სასწავლებლის დიპლომი, ჩინი და სამსახური მას ათანასწორებს სამსახურისავე დიდგვარიშვილის კაცთანაც, ხოლო არა სამსახურის ხალხის წინაშე მისი უპირატესობა ხომ ყველასათვის ცხადია და საგრძნობელიც. ღღესაც უბრალო სოფლის მწერალს ხელში უჭირავს მთელი სოფლის საზოგადოება და აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ გარემოებაში ხალხის შემეცნება დიდად აფასებდეს ცოტა უფრო მოზრდილ თანამდებობის მოხელის სამსახურსა და საქმიანობას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დანიშნულება სავსებით შეეფერება ქართველის სულიერ ბუნებასა და მოთხოვნილებას. ხსენებულ სასწავლებლებში ახალგაზრდობას იმგვარ ხელობისთვის ამზადებენ, რომელსაც ბევრის მხრით „აზნაურული" ხასიათი და ელფერი აქვს, ე. ი. სწორედ ის თვისება, რომელიც ყველა ქართველის არსებაში, ცხადად თუ ფარულად, ბუდობს და ჯერაც არ აღმოფხვრილა. არა? როგორ არა:- ჯერ ერთი, კლასიკურ განათლების მიმღები ინტელიგენტი არსებითად შორდება პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას; ქართველობასაც სწორედ ეს საქმიანობა მიაჩნია დაბალ ღირსებისად და„ნასწავლ" კაცისთვის შეუფერებლად. მერე: სასწავლებლის დიპლომი იძლევა — ან, ყოველ შემთხვევაში, იძლეოდა — სახელმწიფო სამსახურს; ქართველობასაც ღღემდის სწორედ ეს სამსახური მიაჩნდა სახარბიელოდ: თავად-აზნაურობას-როგორც თავისთვის „შესაფერი" საქმიანობა, ხოლო სხვა ელემენტებს — როგორც საშუალება საზოგადოებაში „ზევით" ასაწევად ანუ — ახლობელი ცნება

რომ ვახსენოთ — „გასააზნაურებლად“. და აბა როგორ არ მოიკიდებდა ნიადაგს ჩვენში კლასიკური განათლებისადმი სიყვარული, როცა კლასიკური სასწავლებლები სწორედ იმგვარ ხელობის ხალხს აჰზადებენ, რომელიც სრულს კმაყოფილებას აძლევს ქართველობის სულიერ მისწრაფებას.

თავადისა ან აზნაურის შვილი, რომელსაც სასწავლებელი გაუთავებია და რაიმე თანამდებობა უშოვნია, მარტოოდენ ისტორიულ დოკუმენტის პატრონი კი აღარ არის, არამედ სოციალური ღირებულების ოფიციალური მოწმობაც აქვს მოპოვებული. გლეხისა ან მეწვრილმანის შვილიც, რომელსაც დიპლომი და მოხელის ადგილი მიუღია, აღარ ეკუთვნის არც გლეხისა და არც მეწვრილმანის წოდებას, არამედ იმ „მაღალ“ წრის ხალხს, რომელიც საზოგადოების მმართველად და სამშობლოს ამშენებლად არის მიჩნეული. და გარეგნულად ეს ისეთი გარემოებაა, რომ ქართველ მშობელთა თავმოყვარეობას ათრობს და აკმაყოფილებს, თუნდა მისმა შვილმა სამსახურიც ვერ იშოვნოს, თავისუფალ პრაქტიკაშიაც ფეხი ვერ მოიკიდოს, ქართველი მშობელი მაინც კმაყოფილია მისი უნიადაგო სწავლა-განათლებით, რადგან მისი თავმოყვარეობა სრულიად უმნიშვნელო წვრილმან ამბებშიაც პოულობს თავისთვის საკმაო საკვებს. მისი შვილი ან წევრად ჩაეწერება ჩვენს რომელსამე გაძვალტყავებულ „საზოგადოებაში“, რამდენსამე სიტყვას დაროშავს სადმე საზოგადო კრებაზე, ერთ-ერთ პარტიაში ჩაეწერება და „ლოზუნგებით ლაპარაკს“ ისწავლის, ერთ საცოდავ „სტატიას“ გამოაცხობს რომელსამე გაზეთში, ან თვითონ დაიწყებს გაზეთის გამოცემას, — ერთის სიტყვით „ნასწავლი კაცი“, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა და უძლურ ხალხში, „თავის გამოჩენას“ ასე თუ ისე ყოველთვის მოახერხებს და, მაშასადამე, მშობელ-ნათესავებს სულიერად გაახარებს და ყოველ შემთხვევაში მეზობლების შესანატრად მაინც გახდის.

ამგვარად უნდა აიხსნას ჩვენი საერთო გატაცება კლასიკური სასწავლებლებითა და განათლებით, რამდენადაც ამ გატაცებაში საზოგადოდ რაიმე აზრი და შეგნება გამოიხატება. მაგრამ კერძო შემთხვევებში ხსენებულ გატაცებას ხშირად და ძალიან ხშირად სრულებით არ ჰქონდა საფუძვლად ის გარკვეული მიზანი და მოსაზრება, რომელიც

მასში ჩვენმა ანალიზმა აღმოაჩინა. და არ ჰქონდა იმიტომ, რომ იგი მისწრაფება არა იშვიათად იყო და არის შედეგი უფრო წახედულობის და წაბაძულობისა, ვიდრე საქმის გარკვევით აწონ-დაწონვისა და მერმისის გათვალისწინებისა.

არა ერთსა და ორს ქართველ მშობელს მიუბარებია თავისი შვილი გიმნაზიაში, არა ერთი და ორი, არამედ ათი და ათასი, დღესაც მუხლს იყრის იმავე სასწავლებლის წინაშე მხოლოდ იმიტომ, რომ „ყველა ასე სჩადის", რომ სხვებიც — უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და მეზობელი — იქ მიდიან და იქ მიღებულ სწავლას სთვლიან საჭიროდ და გამოსაყენებლად. როგორც ცხვრები, ჩვენც ერთმანეთს მივდევთ კუდი-კუდზე გადაბმულნი და, რაღაც პსიხიურ გადამდებლობით, უნებურად ვითვისებთ შემთხვევით წინ მიმავალთა ნაბიჯსა და სიარულის მაგალითს, და ამის გამო სრულიად შეუგნებლად მივყვებით საერთო მიმდინარეობას და ერთხელაც თავს არ ვეკითხებით, თუ საით მივდივართ ან სად უნდა მიგვიყვანოს ამგვარმა სიარულმა.

შემდეგს წერილში ჩვენ საკითხის ამ მხარეს შევეხებით და ვეცდებით გავარკვიოთ და ავწონ-დავწონოთ, თუ რას იძლევა სასწავლებელი და რამდენად არის ეს ახლანდელ ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

„საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 8.

ჩვენ და ცხოვრება

IV

ინტელიგენცია და სახალხო მეურნეობა.

ჩვენს ცხოვრებაში, ბევრ სხვა საკვირველებასთან ერთი საკვირველება ისიც არის, რომ ჩვენ, ქართველები, რაც უფრო წინ მივდივართ სწავლა-განათლებით, მით უფრო უკან ვიწევთ საეკონომიო ბარაქიანობითა და ნივთიერის კულტურით. სხვაგან, სხვა ხალხებში, ასეთი ამბავი შეუძლებელი და წარმოუდგენელია, — იქ სწავლა-განათლების გავრცელებას ყოველთვის შედეგად მოსდევს ეკონომიურ ცხოვრების გაღვივება და ნივთიერ კულტურის გაძლიერება, მაგრამ ჩვენში ეს — ასე ვთქვათ — ზოგადი კანონიც არ მართლდება და აქსიომაც ტყუილი გამოდის.

ეს საკვირველება იმით აიხსნება, რომ სხვა ხალხებს არა აქვთ ჩვენ-სავით ცალმხრივი და პრაქტიკულ მოსაზრებას მოკლებული მიმართულება სწავლა-განათლების საქმეში. თვით სწავლა-განათლების ორგანიზაცია შეგუებული და შეწყობილია ხალხის როგორც ნივთიერ, ისე გონებრივისა და ზნეობრივი კულტურის საჭიროებასთან და ამიტომაც ნასწავლ ხალხის გამრავლება იქ მარტოოდენ „მწიგნობართა“ და „კალმოსანთა“ გამრავლებას კი არ მოასწავებს, არამედ საეკონომიო ასპარეზისთვის ახალ პროგრესიულ ძალის შემატებასაც ნიშნავს. ჩვენ კი სრულიად ცალმხრივი წარმოდგენა გვაქვს სწავლა-განათლებაზე; ჩვენ ისეთ სწავლასა და სასწავლებელს ვეტრფით, რომელიც თანამედროვე სააღებმიცემო წარმოებისათვის ძალას არ გვმატებს და, პირიქით, — თუ საეკონომიო საზომით გავშინჯავთ, — სახალხო მეურნეობისთვის მხოლოდ პარაზიტებს გვიზრდის.

უეჭველია, ეს აზრი არა ერთსა და ორს ქართველ მკითხველს ეუცხოვება. ჩვენში ერთგვარი კულტია შექმნილი ინტელიგენციის მიმართ. რაღაც ისეთ თილისმად გვაქვს მიჩნეული „ზოგადი“ სწავლა და „ენციკლოპედიური“ ცოდნა, რომ რაგვარი საქმეც უნდა წარმოსდგეს ჩვენში, ყველაფრის ოსტატად და მომგვარებლად ინტელიგენციას დავასახელებთ ხოლმე. მეტად ძნელია ჩვენში იმ აზრის გავრცელება, რომ ის მწიგნობრული სწავლა, რომლისთვისაც ჩვენ წელებზე ფეხს ვიდგამთ, ნამდვილად არა თუ გამოსადეგი, — პირიქით მავნებელი და ხელის შემშლელია პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში.

ამ მავნებლობის მიზეზია სასწავლებლის მხრით: ა) „მწიგნობრული“ ხასიათი სწავლებისა, ბ) მხოლოდ სწავლება და არა აღზრდა მოსწავლეთა და გ) პრაქტიკული საქმიანობისთვის შეუფერებელ სულიერ მიდრეკილების განვითარება ახალგაზრდობაში.

როგორც ყველამ იცის, სწავლა-აღზრდის დანიშნულებაა ადამიანის გონებრივისა და ზნეობრივი კულტურის განვითარება. თანამედროვე სასწავლებელი ზნეობრივ კულტურას, ე. ი. აღზრდას, სრულიად არ აქცევს ყურადღებას, ხოლო გონების „განათლების“ მხრით მარტოოდენ გონების ერთადერთ ნიჭს — მეხსიერებას — ავითარებს. დამოუკიდებელი აზროვნება, მსჯელობა, დაკვირვება, მეთოდის შეთვისება და სხვ. — ყველა ამ მხარეების განვითარება ახალ-თაობაში სასწავლებლის მხრით უყურადღებოდ არის დატოვებული.

„მთელი სწავლება ჩვენს სასწავლებლებში — ამბობს ერთი ცნობილი მეცნიერი — სახელმძღვანელოებისა და კარნახით დაწერილის დაზეპირებაზე არის დამყარებული. ერთმა გიმნაზიის მასწავლებელმა გადმომცა: ძლივს-ძლივობით გავბედე თაოსნობა გამომეჩინა და მოწაფეებისთვის ბოტანიკის სწავლება მცენარეთა სახელების გაზეპირებით კი არ დამეწყო, არამედ თვით მცენარეების ჩვენებითა და გაშინჯვით. ყველა სხვა მეცნიერებასაც — ფიზიკას, ქიმიას და სხვა — ისევე დაზეპირებით ასწავლიან ჩვენს სასწავლებლებში. მართალია, ინსტრუმენტებიც აქვთ, მაგრამ ამ ინსტრუმენტებს უფრო აჩვენებენ ხოლმე მოსწავლეებს, ვიდრე ახმარებენ, და ამასაც მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ ცოტა მაინც დაუთმონ ექსპერიმენტალურ მეთოდს, რომელსაც ასე არ სწყალობს უნივერსიტეტი, თუმცა პროფესორების სიტყვით — თეორიაში — მუდამ ამ მეთოდის ქებაში არიან. ამიტომაც ჩვენში სრულიად ჩაჰქრა ვემო და მისწრაფება მეცნიერულ კვლევა-ძიებისადმი. მოსწავლე იზეპირებს თავიდან ბოლომდის სქელ სახელმძღვანელოებს; ეს გაზეპირება მას საშუალებას აძლევს დიპლომი მიიღოს, აღგილი იშოვნოს, პროფესორიც გახდეს, მაგრამ იგი ვერასდროს ვერ შეძლებს რაშე მეცნიერულ კვლევა-ძიებას შეუდგეს. ორიგინალობისა და ინიციატივის ყოველი ნასახი მასში სამუდამოდ ჩამქრალი არის.

„მაგრამ უცებ დაზეპირებულს გონება მალე ივიწყებს, და მოწაფეებსაც, რამდენსამე თვეში სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ სრულიად ავიწყდებათ, რაც უსწავლიათ. იმათ, რომლებმაც ეგზამენის ჯღეს საკუთარი იცოდნენ სასანიდების გენიალოგია და გეომეტრიის ყველა კანონები, რამდენიმე ხნის შემდეგ უბრალო ამოცანის გაკეთებაც კი აღარ შეუძლიანთ“.

ეჭველია, სწავლების აღნიშნულ სისტემას თვალსაჩინო დამაბრკოლებელი შედეგი მოსდევს პრაქტიკულ საქმიანობისათვის. მაგრამ ეს საკითხი უფრო პედაგოგიის ფარგალს ეკუთვნის და ამჟამად ჩვენი წერილის საგანს მაინც და მაინც არ შეეხება.

უფრო მნიშვნელოვანია ახლანდელ სასწავლებლის ნაკლი, რომელიც ალზრდის უყურადღებოდ დატოვებაში გამოიხატება. არც ერთ იმ მორალურ თვისებას, რომელიც სამეურნეო ასპარეზზე წარმატებისა და ნაყოფიერების აუცილებელი პირობა არის, არც გიმნაზია და არც უნივერსიტეტი არ ფურჩნის და არ ანვითარებს. ეს ფრიად საჭირო თვისებებია: ნიჭი თაოსნობისა, მაგარი ნება და მტკიცე ენერგია. და

აბა რა თაოსნობა უნდა ისწავლოს ახალგაზრდამ სასწავლებელში, სადაც მას, სახელმძღვანელოს დაზეპირების გარეშე, არავითარი დამოუკიდებელი ვარჯიში არ მოეთხოვება, ან რა ნება და ენერგია უნდა შეიმუშაოს, როცა ამისთვის მის პიროვნებას, გარდა საეგზამენიო ზეპირობისა არავითარი მასალა არ ეძლევა?

ამიტომ ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ვერც ერთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც გიმნაზიასა ან უნივერსიტეტს ასრულებს, პრაქტიკულ საქმიანობას ხელს ვერ მოჰკიდებს და სააღებ-მიცემო სამეურნეო საქმეებში ვერ ჩაებმის. აქ მას ის ცოდნა, რაც წიგნებში ამოუკითხავს, ძალიან მცირედ გამოადგება, ხოლო ის რისკი და წინდაწინვე მერმისის გამოურკვევლობა, რომელიც აღებმიცემობას ახლავს, მის სუსტსა და მხდალ ინდივიდუალობას საფრთხობელად ეჩვენება. იგი ისეა აღზრდილი, რომ ყველაფერი წიგნში უნდა ეძიოს; აღებმიცემობა კი მოითხოვს ადამიანისაგან დაკვირვებას, პრაქტიკულად მოაზრე გონებას, ვამბრიახობას, თაოსნობისა და შემოქმედების უნარს, ოცნების უარყოფას და ამის სამაგიეროდ ბუდამ ჟამს რეალურ მოთხოვნილებისთვის ანგარიშის გაწევას. სასწავლებელში აუარებელ სხვადასხვა მეცნიერებათა ნაფლეთების ზეპირობის დროს მისი გონება პეპელასავით ფართხალსა და წარმოუდგენელ დაფანტულობას დაეჩვია; აქ კი, სააღებმიცემო წარმოებაში, პირიქით, ყოველთვის საჭიროა გონების კონცენტრაცია და თითვეულ საქმის მთელი სიგრძე-სიგანით, აწონ-გაზომვა, სრულის ყურადღებით გაშინჯვა და შედეგის გათვალისწინება. ცხადია, იმგვარ აღზრდისა და განათლების კაცი, როგორიც ჩვენი ინტელიგენტია, პრაქტიკულ საქმეში ძალიან სუსტი და მდარე აღმოჩნდება. იგი აღებმიცემობის კაცად ვერ გადაიქცევა.

და არც გადაიქცევა, რადგან ამას არსებითად მისი სულიერი მდგომარეობაც არ ურიგდება. მთელი 25 წლის განმავლობაში, თუ მეტი არა, მოსწავლე ახალგაზრდა მოშორებულია ყველა იმგვარ საქმეს, რომელსაც სამეურნეო ხასიათი აქვს, ამ ხნის განმავლობაში იგი ასე თუ ისე გონების კულტს ემსახურება და ითვისებს იმგვარ გემოვნებასა და შინაგან მიდრეკილებას, რომელიც სამეურნეო საქმიანობის „პროზას“ არ ეგუება. ეჭვს გარეშეა, სააღებმიცემო პრაქტიკულ მოქმედებას არა აქვს ისე დიდი მორალური ღირებულება და მიმზიდველობა, როგორც მეცნიერებას და ხელოვნებას. და, რა თქმა უნდა, ინტელიგენტსაც, რომელსაც ხელოვნებისა და მეცნიერული თეორიების გემო

გაგებული აქვს, ცხოვრებაში გული უფრო იმგვარ საქმისკენ ექნება, სადაც მის გონებრივ ინტერესს შედარებით მეტი დაკმაყოფილება მიეცემა. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმ შეხედულებას, რომელიც დაბალ ღირსებად თვლის სააღებმიცემო საქმიანობას, სასწავლებელი არა თუ არ ასუსტებს, — პირიქით, მწიგნობრული სწავლების მეოხებით, რომელთანაც შეკავშირებული არაა ფიზიკური არც ვარჯიშობა (სპორტი), არც მუშაობა, უფრო აძლიერებს მოსწავლე ახალგაზრდობაში. ჩვენებური ინტელიგენტი სულითაც დაშორებულია პრაქტიკულ საქმიანობის ასპარეზს, რომელსაც იგი თავისთანა გონებრივი არისტოკრატისთვის არ სთვლის შესაფერად და ღირსეულად.

ერთის სიტყვით, საიდანაც უნდა მოვუაროთ საკითხს, დასკვნა მაინც ერთი და იგივე რჩება: ჩვენ, ქართველები იმგვარ სწავლას ვაძლევთ ჩვენს ახალთაობას, რომ იგი დამოუკიდებელ სამეურნეო ასპარეზს სამუდამოდ შორდება, რადგან ამ ახალგაზრდობას ამისათვის არ ეძლევა შესაფერი არც აღზრდა და არც გონებრივი მომზადება. ცხოვრებაში იმათ მხოლოდ სამსახური და ჯამაგირით არსებობა შეუძლიანთ და არა დამოუკიდებელი სააღებმიცემო საქმიანობა და სახალხო მეურნეობის გამდიდრება.

შედეგი ამისა ის არის, რომ ჩვენში ნივთიერი კულტურა ვერ ვითარდება და ეკონომიური დოვლათი არ გვემატება. ახალთაობას სისტემატურად ვაშორებთ საეკონომიო ასპარეზსა და იმავე დროს თითქო გვიკვირს კიდეც, რომ ცხოვრებაში ეკონომიურად ფეხს ვერ ვიკიდებთ და ნიადაგს ვერ ვიჭერთ. ეს არის ჩვენი მთავარი შეცდომა სწავლა-განათლების საქმეში და დიდი დანაშაული ერის წინაშე.

შეიძლება ეს სიტყვა ზოგ მკითხველს ბევრს არას ეუბნება. და მართლაც, თითოეულ კერძო ადამიანს მის მოქმედებაში საზომად და სახელმძღვანელოდ ვერ დავუსახავთ ერის ინტერესს ან სხვა რამ ამგვარ განყენებულ ცნებას. კერძო ადამიანის მოქმედებაში ხელმძღვანელი არის მისი საკუთარი სარგებლობა და არა განყენებული ცნება: „ერი“, „ხალხი“, „საზოგადოება“ და სხვა ამგვარი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ შემთხვევებში „განყენებული“ და „კერძო“ სავსებით შეერთებულია და რაც საზარალოა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და, მაშასადამე, ჩვენი ხალხსნურ წარმატებისათვის, იგივე საზარალო და მავნებელია კერძოდ თითოეულ ქართველისათვისაც. იმ საშინელ შე-

ვიწროებაში, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით, ეს ისეთი ცხადი ლ. ადვილად შესამჩნევი ამბავია, რომ თუ ამასაც აღარ ვხედავთ ჩვენი საქმე მართლა უიმედო და სრულიად წასული ყოფილა.

ღვინო არსად იყო ტიკებს ალბობდნენო, — ქართველ მშობლებსაც დღეს სწორედ ასე მოგვდის. ჩვენს შვილებს სამსახურისთვის ვამზადებთ და იმას კი აღარ ვკითხულობთ, იშოვება თუ არა ეს სამსახური. თვითონ ჩვენ არა გვაქვს არც ვაჭრობა, არც მრეწველობა, არც რაიმე საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომ სასამსახუროდ მომზადებული ხალხი გამოვიყვანოთ და დავაბინაოთ. ვისაც ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა ხელში უჭირავს, იმათ თავისიანებიც ბლომად ჰყავთ და ჩვენები არ ესაჭიროებათ. ის დროც კარგა ხანია წავიდა, როცა ქართველებს სახელმწიფო სამსახურში ადგილებს აძლევდნენ. დღეს კი უბრალო გადამწერლის ადგილიც ქართველისთვის მოსპობილია სახელმწიფო დაწესებულებებში. ჩვენ ვიცით არა ერთი და ორი მაგალითი, რომ ახალგაზრდა ქართველი, უნივერსიტეტში კურს-დასრულებული, რამდენსამე წელიწადს კანდიდატის ხარისხით, უჯამაგიროთ ემსახურება რუსულ კანცელარიას იმ იმედით, რომ როდესმე ხუთ-თუმანიანი ადგილი მიიღოს სადმე რუსეთის შორეულ გუბერნიაში. და რაც შეეხება თავისუფალ პროფესიას (იურისტი, ექიმი), აქაც ქართველ ინტელიგენტის მდგომარეობა ვაგლახი და დაძაბული არის, რადგანაც ჩვენში — დროა გავიგოთ! — ეროვნული განკერძოება გახლავთ გამტკიცებული და ამიტომ ქართველის კლიენტი მარტოოდენ ქართველობა არის, ე. ი. ღატაკს ღატაკი ჰყავს აკიდებული.

ასეთ მდგომარეობაში ჩვენ მაინც თავები აგვიღერია და ცხვრებივით ერთმანეთს იმავე სასწავლებლებისკენ მივერეკებით. უკვე არსებული გიმნაზიები რომ აღარ გვეყო ქალაქებში, ჩვენის ხარჯით ვიარსებთ დაბა—სოფლებში. და რით ვხელმძღვანელობთ ან რას ვფიქრობთ ამ დროს, ეს ერთმა ღმერთმა უწყის.

საჭიროა, რომ ღმერთმაც უწყოდეს, თუ რას ვფიქრობთ, ამიტომ რომ: ვფიქრობთ კი?..

„საქართველოს მოამბე", 1910 წ. № 11.

1910

ჩვენ და ცხოვრება

V

ოჯახი

წინანდელ წერილებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ცხოვრებიდან ჩვენი გამოთიშვისა და გამორიყვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი და მიზეზი არის ჩვენივე თავისებური სულიერი განწყობილება, — ქართული „აზნაურული ფსიხიკა", რომელიც არ ეწყობა საალებმიცემო საქმიანობას, არ იშვნევს და არ იგუებს „შავს" სამეურნეო გარჯა-მუშაობას. ამიტომაც ჩვენ განზრახ ისეთ გზაზე ვაყენებთ ჩვენს ახალთაობას, რომელიც სამუდამოდ აშორებს მას სამეურნეო მოქმედების ასპარეზს და უსპობს ეკონომიური დამოუკიდებლობის საშუალებას. შედეგი ამისა ცხადია: ჩვენი სახალხო მეურნეობის დასუსტება-დაძაბუნება, ინტელიგენტ პროლეტართა გამრავლება, საერთო გაღატაკება, გაჭირვება, უკმაყოფილება.

ასეთსავე გზასა და მიმართულებას ადგას ქართველობა ქალთა განათლების საქმეშიაც. აქაც ჩვენი მისწრაფება ის არის, რომ ცხოვრებისოვის უნიადაგო და ერისათვის გამოუსადეგი გავხადოთ ჩვენი შთამომავლობა და ჩვენივე ხელით დავანგრიოთ ის ერთადერთი სიმაგრე, რომელსაც ოჯახი ეწოდება და რომელიც, ჩვენსავით პატარა და ჩვენისთანა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფ ხალხისთვის, თვალის ჩინსავით დასაცავი და გასამტკიცებელია. და აქ გულის მომკვლელი და სასოწარკვეთილების აღმძვრელი არის არა მარტო შედეგი ჩვენის გაუგებრობისა, — თუ შეგნება იქნება, შეცდომის გასწორება ყოველთვის შეიძლება, — არამედ უფრო ის სიბნელე, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი აზრი და გონება მოუცავს და არა თუ შორსმჭვრეტელობის, ახლო-მხედველობის უნარიც დაუხშავს.

თითქოს ძნელი გასაგები არ არის: ქალის სწავლა-განათლება პრაქტიკულად გამოსადეგი და გამოსაყენებელი უნდა იყოს ან ოჯახში, ან ოჯახს გარეთ მაინც. ჩვენ—კი სწორედ ისეთ სასწავლებლებისკენ მიგვიდის გული, რომელიც არც შინ არის მოსახმარი და არც გარეთ საალებმიცემო ცხოვრებაში — გამოსაყენებელი. ინსტიტუტი, ან ზავედენიე

და ყოველ შემთხვევაში, გიმნაზია მაინც, — აი ის სამი ერთი ტიპის სასწავლებელი, საითკენაც მიმართულია ყველა ქართველ მშობელისა და ახალგაზრდა ქალის სული და გული. ჩვენის შემეცნებით, აწ არსებულ საშუალო სასწავლებლის დასრულება აუცილებელ გზად არის დასახული, თუ ყველასთვის არა, უმაღლეს და საშუალო წრის ქართველ ქალთათვის მაინც. ხშირად და ძალიან ხშირად ქართველი უკანასკნელ ნივთს ჰყიდის, ქუჩაში ხელის გაწვდასა და მათხოვრობასაც კი არ ერიდება, რომ თავის ქალისთვის რომელსამე გიმნაზიაში სწავლის ფული შეიტანოს და ასე წვითა და დაგვით მას სწავლა დაასრულებინოს.

ვინმე იტყვის: ეს რა ჩვენი ბრალია, — ასეთ სასწავლებლებს მთავრობა აარსებს და ჩვენც იძულებული ვართ, ჩვენი შვილები იქ მივაბაროთო. შეცდომა გახლავთ, — ეს გარემოება არ არის მთავარი მიზეზი. ნუ დავიწყებათ, რომ ჩვენ სშირად, როგორც ალილოზე, ისე დავდივართ ხელ-გაშვერილნი და ორ-ორ კაპეიკობით ფულს ვაგროვებთ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ჩვენი ხარჯით იმგვარსავე სასწავლებლების დასაარსებლად, როგორიც მთავრობას აქვს და რომლებსაც ჩვენ ვითომ სხვა გზის უქონლობის გამო ვეტანებით. გიმნაზიებისა და ზავედენიების ძებნა ჩვენის მხრით მართლა რომ იძულებითი იყოს და არა ნებაყოფლობითი, იმ შემთხვევაში, ცხადია, სწორეთ იმგვარისავე სასწავლებლების დასაარსებლად ჩვენ თავს არ შევიწუხებდით და უკანასკნელ პერანგს არ გავისდიდით.

არა, თუმცა ჩვენ საზოგადოდ ძალიან გვიყვარს ჩვენის სისუსტისა და უძლურების მიზეზის სხვისთვის გადაბრალება, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმის ვითარება იმდენად ცხადი და ნათელია, რომ ასეთი „გადაბრალება“ აღარ მოხერხდება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ფაქტი ვსცნათ ისე, როგორც არის ნამდვილად, და აღვნიშნოთ ის მიზეზები, რომლებითაც იგი არის გამოწვეული. ფაქტი კი ასეთია: მთელ ქართველობას ჩვენი ქალებისათვის განათლების მისაცემად, მხოლოდ გიმნაზიები და მათი მსგავსი სასწავლებლები მიაჩნია მისწრაფების ღირსად. ეს არის საერთო შეხედულება მთელი ქართველობის და არა რომელისამე წრისა ან ჯგუფისა. იგი ისე აქვს ყველას ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ თვითეული ქართველი, დედა, — სრულიად ღარიბი და ღატაკიც კი, — ოცნებითაც მხოლოდ იმასლა ნატრობს, რომ თავისი ქალი გიმნაზიაში მიაბაროს და იქ სწავლა დაასრულებინოს.

გარეშე აღამიანს, რომელიც ჩვენს სულსა და გულში ჩაბედული არ არის, უეჭველია, დიდ უცნაურობად ეჩვენება ასეთი ამბავი. და მართლაც უცნაური არის. საშუალო ქართველის მსგავს მდგომარეობის გერმანელს ან ფრანგს, მაგალითად, ფიქრადაც კი არ მოუვა ასეთი აზრი, რომ გიმნაზიის მოწმობის გულისთვის მამულის უკანასკნელი ნაჭერი გაპყიდოს ან თავისი მეურნეობა დაავალიანოს. სწავლა-განათლების საქმეშიაც იგი ჩვეულებრივ სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობს, და ამ პრინციპს მხოლოდ მაშინ ღალატობს, როცა იმდენად დიდი ქონების პატრონია, რომ საეკონომიო ანგარიშიანობას მისთვის მაინც და მაინც მნიშვნელობა აღარ აქვს.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ამგვარი მოსაზრებით სრულებით არ ვხელმძღვანელობთ, და ამიტომაა, რომ ჩვენი საქციული გარეშე ადამიანს მართლა უცნაურად და გაუგებრად უნდა ეჩვენოს. თუ საეკონომიო საზომითა და ანგარიშიანობით შევხედავთ, — ეჭვს გარეშეა, ქალთა ახლანდელი საშუალო სასწავლებელი არავითარს ისეთ პრაქტიკულად ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას არ იძლევა, რაც ამ ცოდნის მოსაპოვებლად გაწეულ ხარჯებს ამართლებდეს. თუ ახლანდელი საშუალო სასწავლებლის მოწმობის პატრონი ქალი გათხოვებამდის, ან გათხოვების შემდეგ ოჯახს გარეთ, ეძებს თავისთვის რაიმე საქმეს, მისი სარბიელი არის ან ქაღალდების გადაწერა სადმე კანცელარიაში, ან — უფრო იშვიათად—მასწავლებლობა პირველდაწყებით სკოლაში. ორსავე შემთხვევაში მას ისე მცირე გასამრჯელო ეძლევა, რომ დაუჯერებელია, ჩვენ მშობლები, მარტო ამის გულისთვის ვეწეოდეთ ესოდენ შეუფერებელ ჯაპანწყვეტასა და გაჭირვებას.

ჩვენ რომ საეკონომიო სარგებლობის მოსაზრებით ვხელმძღვანელობდეთ ამ შემთხვევაში, მართლა არც ისეთი ბეცები ვართ, რომ ცხოვრებაში უფრო სარგებლიანი და სახეირო ვერა დაგვენახა რა. ვინ არ იცის, რომ ჩვენში რამდენიმე ასი ქალიც — კი თავს ჩინებულად დაირჩენს თუნდა შლიაპების კეთებით; აუარებელი მოთხოვნილება და საჭიროებაა კარგი ჭრა-კერვის მცოდნეებისა. ამ ხელობითაც მცოდნე და მხნე ქალს შეუძლიან არა თუ თავი დაირჩინოს, ქონებაც შეიძინოს. ქარგვა-ქსოვის ხელოვნებაც ფართო და სარგებლიანი ასპარეზია ქალის დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისათვის. ბევრი სხვა რამეც შეიძლება დავასახელოთ, რასაც ქალს შეუძლიან ხელი მოჰკიდოს და ამით

სააღებმიცემო ცხოვრებაში დოვლათიანი საქმე გაიჩინოს. საკმარისია შეხვიდეთ ტანსაცმელისა და მორთულობის რომელსამე დიდ მაღაზიაში და ყურადღებით გაშინჯოთ იქ გამოფენილი საქონელი, რომ დარწმუნდეთ, თუ რა აუარებელი სააღებმიცემო ნაწარმოები მზადდება სხვადასხვა დარგში ქალის ხელით და, მაშასადამე, რაოდენ ფართო და დიდია სარბიელი ქალის სხვადასხვაგვარ ხელობისა და საეკონომიო საქმიანობისათვის. არც ერთი დარგის ხელობა არ ჩამოუვარდება შემოსავლიანობით არც კანცელარიაში გადამწერლობას და არც სადმე კანტორაში მოანგარიშობას.

მიუხედავად ამისა, არც ქართველ მშობლებისა და არც ახალგაზრდობის გული აქეთკენ არ მიიწევს, — პირიქით, ჩვენ სწორედ იქ შესასვლელად ვიმტვრევთ თავებს, საიდანაც ვერავითარ პრაქტიკულ ცოდნას ვერ გამოვიტანთ და ცხოვრებაში საბრძოლველად სრულიად შეუიარაღებელნი გამოვალთ. ეს სურვილი იმდენად დიდია და ისე ძლიერად აქვს იგი გამჯდარი მთელს ჩვენს საზოგადოებას, რომ მას, დღესდღეობით მაინც, ვერავითარი ქადაგება ვერ შესცვლის, ვერც შეამცირებს. ქართველ დედას რომ ურჩიოთ — ვინც უნდა იყოს იგი, — შენი ქალი შლიაპების სპეციალისტად გამოიყვანეო, არა თუ დაგიჯერებს, — კარგადაც გაგლანძღავს და შენი საყვედურით ქვეყანას გააჯერებს: ისეთი გულღვარძლიანია, რომ სხვისთვის სიკეთე შურს და მეჯღანეობისა და მეღორეობის მეტი არაფერი ემეტებაო. . .

ცხადია, ჩვენ რაიმე სხვა მოსაზრებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ და არა საეკონომიო სარგებლობისა და ანგარიშიანობის პრინციპით, როცა გიმნაზია—ზავედენიებს ვეტრფით და ჩვენს შვილებს მხოლოდ და მხოლოდ იქითკენ ვერეკებით.

ასეც არის. ჩვენი მთავარი ხელმძღვანელი ამ შემთხვევაში ჩვენივე „აზნაურული“ მიდრეკილება გახლავთ. ქართველის ბუნება, საცა და როცა შესაძლებელია, ყოველთვის პირივით გაურბის ყოველგვარ ისეთ საქმესა და ხელობას, რომელსაც „არისტოკრატობის“ ბეჭედი არ აზის. და დღეს სწორედ „გაარისტოკრატებისა“ და კლასობრივად „ამაღლების“ მომასწავებელია, ჩვენი საზოგადოებრივი შემეცნებით, ყველა ახალგაზრდა ქალისთვის არსებულ ტიპის საშუალო სასწავლებელში განათლების მიღება და კურსის დასრულება.

რუსეთში — და სხვაგანაც — ეს სასწავლებლები უმთავრესად შეძლებულ მემამულეთა და მოქალაქეთა შვილებისათვის არის დაარსებუ-

ლი. იმათი დანიშნულება ისაა, რომ ამ წრეების ქალებს მათი წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გარეგნად „დამამშვენებელი“ სწავლა-განათლება მისცენ და, ასე ვთქვათ, უფრო კულტურულ, უფრო მოხდენილ და სასიამოვნო „სამკაულად“ გახადონ იგინი. ამიტომაც, დანიშნულებისავე თანახმად, ამ სასწავლებლების პროგრამიდან გამოდენილია ყველაფერი, რაც ქალისთვის შეიძლება საჭირო და ხშირად აუცილებლად საჭიროც იყოს პრაქტიკულ ცხოვრებაში, — როგორც სახლისა და ოჯახურ ცხოვრების მოწყობაში, ისე ოჯახს გარედ, — დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობაში.

ჩვენში კი, მარტო ეს მიზანი რომ იყოს, მთავრობა ხაზინიდან ერთ გროშსაც არ გაიღებდა ამ სკოლებისათვის, რადგან ჩვენ „ინოროდცები“ ვართ და, მაშასადამე, ჩვენი „კულტურული დამშვენებისათვის“ რუსეთში თავი არავის ასტკივდებოდა. ნამდვილად კი ვხედავთ, რომ მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს ქალთა სასწავლებლებზე კავკასიაში, — შედარებით უფრო მეტს, ვიდრე შუაგულ რუსეთის გუბერნიებში. ეს ამოცანა სულ მარტივი და ადვილი ასახსნელია: ხსენებული სკოლები, მათი ტიპისა და სასწავლო შინაარსის დამოუკიდებლად, „რუსულ კულტურის“ გამავრცელებელნი არიან ჩვენში. სახელმწიფო პოლიტიკის მწარმოებელთ კარგად ესმოდათ და დღეს კიდევ უკეთესად იციან, რომ სხვა ტომის დამორჩილებულ ხალხში ოჯახური სიმტკიცის მოშლა, უნიადაგო მეოცნებედ და მარტოოდენ სიტყვაკაზმულ მოლაპარაკედ გადაქცევა ქალისა და მისი სულიერად გამოთიშვა მისივე ხალხის ნათესაობიდან — საუკეთესო იარაღი და საშუალებაა მთელი ერის ზნეობრივი ძალის დასაშლელად და მისი ხალხოსნური თავისებურების წასარეცხად. საჭირო იყო მხოლოდ, რომ ხსენებულ „კულტურას“ ჩვენში მუშტარი ბლომად აღმოსჩენოდა.

და ამ მხრით ჩვენ გაზვიადებულ მოლოდინსაც გადავაჭარბეთ. თუ თავად-აზნაურობა თავიდანვე უფრო სამხედრო სამსახურსა და სახელმწიფო კანცელარიაში დაეწაფა „რუსულ კულტურას“ და შეითვისა რუსულ ყაიდაზე ცხოვრების გემოვნება, მათმა ქალებმა სასწავლებლებში იწყეს ამის ძებნა და შეგუება. როგორადაც ქართველი თავადებისთვის ჩინი და სამსახური მათი წოდებრივი უაღრესობის დიპლომად გადაიქცა, ისევე მათი ქალებისათვის ინსტიტუტში შესვლა და კურსის დასრულება „საზოგადოებაში“ გამოსვლის და ახალდროულად

გაპიროვნების გზად და საშუალებად შეიქნა. შემდეგში ამათ მაგალითს მიჰყვა მთელი ქართველობა და, ამგვარად, თანდათან განმტკიცდა კულტი გიმნაზია-ზავედენიებისა. და თუმცა დღეს ჩვენში არც თავადი და არც არა თავადი ისეთ გარემოებაში აღარაა, რომ უსაქმოდ ოცნებობის უფლება და საშუალება ჰქონდეს და ესეთი ესთეტიკური სანუკვარობა მის შეძლებასა და დოვლათს შეეფერებოდეს, — პირიქით, ყველას ნატუსალი აგვდის და კერა გაქრობაზე გვაქვს მიმდგარი, — მაგრამ ჩვენ მაინც ერთხელ არჩეულ გზას ველარ ველევით და, თუნდ მასთან ერთად, სხვა პატარა ბილიკის გაკაფვასაც აღარ ვცდილობთ.

ჟურნ. „ერი", 1910 წ. № 9

სიმცირის გავლენა

ამ ბოლო დროს ქართულ პუბლიცისტიკაში ერთგვარი „პესიმისტური მიმართულება" არის გაძლიერებული. ჩვენ ბევრს ვქექავთ და ვიძიებთ ჩვენს ხალხოსნურ თუ საზოგადოებრივ ნაკლსა და სისუსტეს იმ წრეებშიაც კი, რომელნიც არსებითად ოპტიმიზმის მოციქულნი და მქადაგებელნი იყვნენ (ხოლო — პ. გ.), დღეს კილო დაწეულია და წინანდებურად ველარ ახერხებენ ჩვენი ძალღონისა და შემოქმედებითი ბარაქიანობის გაზვიადებას. უდიდესი ნაწილი ქართულ პუბლიცისტიკისა დღეს მწარე გოდებასა და ქართველობის საერთო ნაკლთა დაუფარავ ღაღადისს შეიცავს. თუ წინათ ცხოვრებას ზერეულად ვუცქეროდით და უფრო ოცნებით ვიკვებებოდით, დღეს სამაგიეროდ ფეხს იკიდებს ჩვენში თავის თავის სასტიკი კრიტიკა, რომელიც ბევრის მხრით სანუგეშო და იმედის აღმძვრელია. ცნობა თავის თავისა, რაც დიდებულმა ფილოსოფოსმა მცნებად დაუდვა კაცობრიობას, დიდი რამ არის ცხოვრებაში. ნაკლისა და ხინჯის გასწორება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა იგი ცნობილია და დაბრკოლებადაა აღიარებული. ამიტომაც ჩვენ სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია ის საყვირისებური ხმა თვით კრიტიკისა, რომელიც ხშირად გაისმის ჩვენს მწერლობაში. ჩვენ ნაკლოვანებათა საჯაროდ გამოფენას, დაფარულ სულიერ იარების გახსნას და ზნეობრივი დაავადების ანალიზს მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის. ეს ისეთი მწარე,

მაგრამ საღი წამალია, რომელიც არასდროს არ აწყენს ხალხის ორგანიზმს.

მაგრამ კრიტიკა მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი ფაქტებისა და მოვლენათა ანალიზზეა აგებული და მარტოოდენ გოდებას არ წარმოადგენს. გოდება გულის გამტეხი და ენერგიის დამაჩლუნგებელია, ანალიზი კი ყოველთვის გზის მაჩვენებელი და იმედის მომცემია. ის, რაც ახსნილი და გარკვეულია, უძლეველად აღარ ეჩვენება ადამიანს. ერთი და იგივე არ არის ჩასძახოთ ვინმეს, — „არ ვარგიხარო“ და „ამიტომ და ამის გამო არ ვარგიხარო“. პირველ შემთხვევაში იგი დუნდება და ბოლოს და ბოლოს თავის სიმდარეს კიდეც შეურიგდება, მეორე შემთხვევაში კი, — მას იმპულსი ეძლევა და მოქმედებისათვის სულიერი ძალა ემატება. უანალიზო კრიტიკას ანუ გოდებისებურ „თავის მხილებას“ კატეგორიული ხასიათი აქვს და ზომიერება აკლია. ამიტომაც იგი, ვითარცა გადაჭარბებული და „გულის გამხეთქი“, ხშირად მიზანს ვერ აღწევს, — პირიქით, საზოგადოებრივ ენერგიას ასუსტებს და შემოქმედების ძალას ადუნებს.

ჩვენი აზრით, ასეთი „კრიტიკა“ მოსარიდებელია და ყოველ შემთხვევაში ფრთხილად სახმარი იარაღია ხალხის გამოსაღვიძებლად. საჭიროა ეს ახსოვდეს ყველას, ვინც ჩვენში საზოგადო ასპარეზზე ასე თუ ისე მოქმედებს და ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეს ემსახურება. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, პატარა სარბიელი გვაქვს და ამიტომაც ყოველი მოვლენა ჩვენში უფრო შესამჩნევია, მეტად სჩანს, ვიდრე არის ნამდვილად, და ამის გამო, როცა იგი მახინჯი და საზოგადოებრივობის წინააღმდეგია, ხშირად გადაჭარბებულ გოდებას იწვევს შედეგად.

მეორე მხრით, ხალხის სიპატარავეს, რაოდენობით სიმცირეს პირდაპირი გავლენა აქვს ზოგიერთ ისეთ ჩვეულებისა და მიდრეკილების განმტკიცებაზე, რომელიც საზოგადოებისთვის მავნებელი და დამაბრკოლებელია. თუ ხალხის სიმცირე, ვითარცა ამა თუ იმ დასაგმობ მიდრეკილების მასაზრდოებელი ფაქტორი, არ მივიღეთ მხედველობაში და კერძო ფაქტები იმის მიხედვით არ ავწონ-დავწონეთ, ადვილად შეიძლება არა ერთი და ორი ზნეობრივი ხინჯი ქართველის „ბუნების თვისებად“ მივიჩნიოთ და მართლა უიმედობას მივეცეთ. სინამდვილის ანალიზი კი იმას გვასწავლის, რომ პატარა ხალხში თვით სიმცირე ხალ-

ხისა ხელს უწყობს ზოგიერთ არასასურველ „თვისების“ გაძლიერებას და ამიტომაც ესა თუ ის საზოგადოებრივი ნაკლი, გინდ ზნეობრივი მანკი რაოდენობითი სიმცირის თანამყოლი არის, რომელსაც მხოლოდ თანდათანობით კულტურა შეასუსტებს და არა ცარიელი გოდება და თავში ცემა.

ერთი უცნაური წარმომადგენელი ახლა ქართველ სამღვდელოებასაც ჰყავს, — ეს ის ახალი ეგზარხოსია, რომელიც საქართველოში მათრახების და ხიშტების იმედით მობრძანდება. საქართველოს სამღვდელოებამ გადაჭრით გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ აღდგენილ იქმნას ქართული ეკლესიის უწინდელი დამოუკიდებლობა, ხალხის ერთმა ნაწილმაც მოითხოვა ადგილობრივ თავისუფალ ეკლესიის მოწყობა; — ამის წინააღმდეგნი გახდნენ რუს პატრიოტებთან ერთად ქართველი ს.-დემოკრატები, რადგანაც ეგონათ, რომ ქართულ ეკლესიაში მღვდელი თვით ხალხმა თუ აირჩია, ამით სრულიად რუსეთის მუშათა ს.-დემოკრატიული პარტია დიდ საფრთხეში ჩავარდებაო. ჩვენ არ გვგონია, რომ ამ პარტიას საქართველოში ბიუროკრატიულ და პოლიციურ ეკლესიის მაგიერად თავისუფალი ეკლესიის დაარსებით რამე დაჰკლებოდა და ამიტომ დიდ შეცდომად ვთვლით, რომ ჩვენებურმა ს.-დემოკრატებმა ხალხს საეკლესიო საქმეების მოწყობაზე თვალი აარიდებინეს და ამით შეუძლებელი გახადეს იმ რეფორმის განხორციელება, რომლისთვისაც ქართველმა სამღვდელოებამ ნიადაგი ღირსეულად მოამზადა.

ქართველ სამღვდელოებას ხალხისაგან არ დაეძრახვის, — იგი არ შეუშინდა ციხეს და გადასახლებას, მან თავის ზურგზე იგემა კაზაკების მათრახი, სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა სინოდს, სასურველად სცნო რომ მღვდელს თვითონ ხალხი ირჩევდეს ხოლმე, მაგრამ, ხსენებულ მიზეზის გამო, მისი განზრახვა ჯერჯერობით შეუსრულებელი რჩება და მთავრობისაგან ძალად მოვლინებული ექსარხოსი ტფილისში ჩამოდის. . . ამ ექსარხოსის უფლებათა დასაცველად ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ ისევ ძველ და ნაცად საშუალებას, — კაზაკების მათრახებს, მიჰმართა. სამღვდელოებას შეატყობინეს, რომ ყოველ ურჩ მღვდელს ამ კაზაკებთან ექმნება საქმეო. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სამღვდელოება, რომელსაც ხალხი გვერდში არ უდგა, პირდაპირ ბრძოლის გაწევას ვერ გაბედავს და დროებით მაინც დამორჩილებას არჩევს. ისევე, როგორც რუსეთში, მოქმედმა სარევოლუციო

პარტიებმაც დროებით ხელი აიღეს აშკარა ბრძოლაზე იმისთვის, რომ შემდეგ ორკეცის ძალით შეებრძოლონ თვითმპყრობელობას.

გაზ. „ივერია", 1906 წ. № 26.

მართლაც ჩვენ, ქართველები, ისე პატარა ხალხი ვართ, რომ ყველანი — ასე ვთქვათ — ერთმანეთს ვიცნობთ პირადად. ისე ახლოსა და ისე ხშირად ვხედავთ ერთმანეთს, რომ დაწვრილებით ვიცით ერთმანეთის ავი და კარგი, ცხოვრება ოჯახური და ოჯახს გარეთაც. როგორც ერთ ოჯახში იმავე ოჯახის წევრებისათვის არა არის რა დამალული, ისევე ჩვენში არაფერი რჩება დაფარული და გაუგებელი.

ამიტომაც ჩვენ, ქართველები, საშინელი მეჯორეები და ერთმანეთის კერძო ცხოვრების დაურიდებელი მქექავები ვართ. რახან ყველანი, ერთ ოჯახსავით, ცხოვრების ერთ ვიწრო ფარგალში ვართ მომწყვდეულნი, წვრილმან მასალას აუარებელს ვპოულობთ ერთმანეთის გასაქექად და გასაქირდავად.

ჩვენში, ვითარცა პატარა ხალხში, თითოეული პიროვნება გრძნობით ისე გამოცალკავებული არაა ჯგუფისგან, ისე გამოთიშული არაა თავის თანამომძმეთაგან, როგორადაც რომელსამე დიდ ეროვნებაში. თითოეული ქართველი მუდამ თავის მეზობელსა და ნაცნობებს ადარებს თავის თავს, თავის ყოფა-ცხოვრებას მათს ყოფა-ცხოვრებას უპირდაპირებს და ამ შედარების საშუალებით განსაზღვრავს თავის სოციალურ მდგომარეობას. იგი წყნარად და გულმშვიდად არის, თუ ირგვლივ სხვებიც მასავით ჩათლახად ცხოვრობენ. სამაგიეროდ ვერ მოისვენებს, თუ მისმა მეზობელმა (ჩვენ ხომ ყველანი ერთმანეთის მეზობლები ვართ!) აიწია და მას გაუსწრო. იგი ცდილობს მას დაეწიოს და გაუთანასწორდეს, გარეგნობით მაინც.

ქართველი არსებითად ფრიად ნამბაძველია. მხოლოდ იგი ჰბაძავს არა განყენებულ მოდას ან უავტორო აზრს, არამედ „დაწინაურებული" მეზობლის გარეგან ცხოვრებას, მის ჩაცმულობას და აზროვნებას. მისი მიბაძვის საგანი კონკრეტულია და არა განყენებული. როგორადაც ერთს ოჯახში ერთს ძმას ესირცხვება, თუ მისმა ძმამ გაუსწრო, ისევე ყოველ ქართველს სასირცხვოდ მიაჩნია, თუ ცხოვრებაში მეზობელმა გაუსწრო და იგი უკან მოიტოვა. ამიტომაც იგი ნახევარჯერ საჭმელს მოიკლებს და დიდკაცურად გამოეწყობა. ამით იგი აზნაურს უთანას-

წორდება. მისმა მეზობელმა სწავლა მიიღო და — ვთქვათ გაზეთებში წერა დაიწყო? ისიც არ მოისვენებს, სანამ ერთ პატარა კორესპონდენციას არ „მოაქუჩებს“ და გაზეთებში არ დააბეჭდვინებს. ვინმე მისი კუთხის კაცი რედაქტორი შეიქმნა? თითონ მეპურეობაზე ხელს აიღებს, თონეს დააგირავებს და ორიოდე დღით მაინც რედაქტორობას გამოსცდის (დღეს ეს საქმე ძნელი აღარ არის). საზოგადო მოღვაწეობა სასახელოდ არის მიჩნეული? მისი მეზობლის სახელსა და გვარს გაზეთებში ბეჭდავენ? იგი უეჭველად წავა ამა თუ იმ საზოგადოების კრებაზე და „რეჩს“ იტყვის. უანგარიშოდ ფულის ხარჯვა სიმდიდრის ნიშანია? იგი უკანასკნელს ხუთ შაურს ეტლში მისცემს, ერთს ძალიან გააჯენებს, ხოლო შინ რომ წავა — მშიერი დაიძინებს. ერთის სიტყვით, ქართველი ბევრს ფართი-ფურთობს, მაგრამ არა თავის შინაგან მოთხოვნილებით, არამედ უფრო წაბაძვა-წახედულობით, რომელსაც ჩვენი — ქართველების — რაოდენობითი სიმცირე ნიადაგს აძლევს და შესამჩნევად ხელს უწყობს.

მაგრამ, რასაკვირველია, წაბაძულობითაც ადამიანი ყოველთვის მიზანს ვერ მიაღწევს. „დაწეული“ „აწეულს“ ხშირად ვერ დაეწევა, თუნდაც ძალიან წაჰბაძოს და მოინდომოს მასთან გათანასწორება. ამ შემთხვევაში ბედისაგან დაჩაგრულს შურიანობის გრძნობა უწევს დახმარებას. აბა როგორ არ შეშურდეს ქართველს თავის მეზობლის დოვლათი და გაკეთება, როცა მას კარგად ახსოვს, რომ ისიც მასავით ღარიბი და გაჭირვებული იყო. „მაშინ მეგობრობდა, ეხლა კი ცხვირს ზევით იწევს. რითია მასზედ უკეთესი? არც დედით, არც მამით, არც გვარიშვილობით, არც ჭკუით“ (ქართველებს ყველას ჭკვიანებად მიგვაჩნია ჩვენი თავი). და აბა როგორ არ აღევსოს გული შურით? დიალ, შურიანობა ჩვენი სამარცხვინო თანმყოლი გახლავთ. იმერელი ცეცხლს წაუკიდებს და გადასწვავს თავის მეზობელს. გგონიათ მტრობით? არა, მარტო იმიტომ, რომ მეზობელმა აიწია, ცოტათი ქონი მოიდო და ეს კი მეორესთვის, რომელიც ღარიბად დარჩა, შესაშური საქმე შეიქმნა.

ვინმე იტყვის: მერე აქ ხალხის რაოდენობის სიმცირის გავლენა რა სიტყვაზე მოსატანიაო. ჩვენ კი გვგონია, რომ არის „მოსატანი“. საქმე ის გახლავთ, რომ უცხოს მიმართ ქართველმა სრულებით არ იცის შურიანობა. ჩაასახლეთ ქართულ სოფელში რუსი ან სომეხი, — ქართველები კრინტს არ დასძრავენ, გულშიც კი არ გაივლებენ უკმაყოფილე-

ბას. ამავე დროს საკმარისია მეორე ან მესამე სოფლის ქართველმაე მათს სოფელში მამული შეიძინოს და დასახლდეს, რომ ყველანი მოსისხლე მტრებად გადაექცნენ. რათა? იმიტომ, რომ რუსი და სომეხი უცნობნი არიან. ამათთან ქართველს არა აკავშირებს რა, მათ იგი არ ეღარება, მათი დაწინაურებით თავის თავს არ სთვლის შერცხვენილად და შეურაცხყოფილად. სულ სხვაა თავისიანი, — მისიანმა იგი „ვერ უნდა დასჯაბნოს". დამახასიათებელ მაგალითს გეტყვით. ამას წინად, გურიის ორი სოფლის წარმომადგენელნი სამედიატორო სასამართლოს სადავო საქმეს არჩევინებდნენ. საქმე მამულის ყიდვას შეეხებოდა. ერთი სოფელი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს მოელაპარაკა მამულის საყიდლად და ფასზეც მოურიგდა. ეს გაიგო მეორე სოფელმა, რომელიც გასაყიდ მამულის ახლოს მდებარეობს, მაგრამ მის ყიდვაზე ყოველთვის უარს ამბობდა, და იმ მამულის ყიდვის სურვილი ამასაც სწორედ ახლა აღეძრა. პირველი სოფლის გლეხები ცოტა შორეულნი იყვნენ, უნდა მოსულიყვნენ და იმ ბანკის მამულში დასახლებულიყვნენ, და აბა ამას როგორ მოითმენდნენ მეორე სოფლის მკვიდრნი! დაეჯიბრა ერთი მეორეს ორი სოფელი. ამ ცილაობაში პირვანდელი ფასი ბანკს შესამჩნევად აუწიეს და კინაღამ ერთმანეთი არ დახოცეს. საქმე სამედიატოროდ გადაიქცა. საქმის გარჩევის დროს ერთმა მოსამართლემ შენიშნა სოფლელების წარმომადგენლებს, შეთანხმდით, თორემ მამული არც ერთს არ გხვდებათ, — ბანკი რუსებს მისცემს და შინ რუსები ჩამოგისახლდებიანო. ამაზე, იცით, რა მიუგეს სოფლელებმა? ყური დაუგდეთ: „ზღვამ წამლეკოს, არ მეწყინება, — სთქვა მეორე — „მკვიდრი" სოფლის წარმომადგენელმა, — მაგრამ ამ ჩვენებურ ნამს თავი როგორ წავალეკინოვო". ასე გახლავთ: რუსი „ზღვა" არის და მან რომ წალეკოს, გურული არას ამბობს, „არც ეწყინება", მაგრამ „ნამს" ე. ი. მესამე სოფლიდან მოსულ თანამოძმეს კი ნებას არ მისცემს მის გვერდით სული მოითქვას და თავისი ცხოვრება მოაწყოს. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ცოტანი ვართ, რომ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ და არაფრად ვაგდებთ, — ერთმანეთი ნამად მიგვაჩნია. ნამი ნამის სწორი უნდა იყოს და არამეტი. თუ სადმე შემთხვევით ნელ-ნელა გაიზარდა და პატარა ტბად ქცევა დაიწყო, მისი ძმა მაშინვე ძირს გამოუთხრის და ხევში გადაუშვებს. „გული ვერ მოუთმენს", „თავმოყვარეობა ნებას არ მისცემს"...

გაზვიადებულ თავმოყვარეობის აღმოცენებას სწორედ პატარა ხალხში აქვს განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი. აქ პიროვნება ისე დაჩრდილული არაა, როგორც დიდ ეროვნებაში. კერძო ადამიანი, მრავალში შერეული, თავისთავს მხოლოდ ნაწილად გრძნობს მთელი ხალხისნურ ორგანიზმისა. პატარა ხალხში კი ეს ასე არ არის. აქ იგი ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბევრ მის პირად ნაცნობს უეჭველად აღემატება ღირსებით, ვინაიდან, ხალხის თქმისა არ იყოს, „უარესის უარესი არ დაილევა". ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩვენში ამდენი „განდიდების სენით" ავადმყოფი ადამიანი მოიპოვება. ყველას, ვისაც ოდესმე „საზოგადო საქმის" გულისთვის ორიოდე მუქთი სიტყვა დაუხარჯავს, სამშობლოს მხსნელად მოაქვს თავი და ხშირად გულწრფელად სჯერა, რომ ხალხის ბედიღბალი მის პიროვნებასთან არის განუშორებლივ შეკავშირებული. ყოველგვარი საზოგადოებრივი მსჯელობა უპირველეს ყოვლისა პიროვნების თავმოყვარეობის, მისი „მე"-ს საკითხთან არის შეკავშირებული. ვთქვათ, ჩვენში ვინმე რაიმე საზოგადო საქმეს აკეთებს: უნდა იცოდეთ, რომ ყოველგვარ სხვა საქმისთვის იგი ნამდვილ ინკვიზიტორად გადაიქცევა. ყველა ვალდებულია მხოლოდ ის საქმე სცნას საჭიროდ და სასარგებლოდ, რომელსაც იგი ემსახურება. თავის თანამოქალაქეთა ნიჭსა და გულწრფელობას იგი აფასებს არა მართლა ნიჭისა და გულწრფელობის საფუძველით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ რას და როგორ ჰფიქრობს მის მიერ ამოჩეულ საქმეზე. ეს ყოვლად ანტისაზოგადოებრივი ზნე პირდაპირი შედეგი არის ხალხისნურ სიმცირისა. ეს განდიდების სენი ხშირად აყალბებს ადამიანის მსჯელობასა და შეხედულებას, ამას მკითხველი შემდეგი უბრალო მაგალითით გაიგებს. ეჭვი აღარ არის, რომ დღეს ქართველებისათვის სახელმწიფო სამსახურის კარები თითქმის სრულებით დახშულია. ეს ფაქტი, დაკვირვებაც რომ არ გვქონდეს, „კავკასიის კალენდრის" აღრესების დათვლითაც ადვილად დამტკიცდება. ვთქვათ, თქვენ აღნიშნეთ ეს ფაქტი საუბარში ისეთ ქართველ მოღვაწესთან, რომელიც თვითონ სახელმწიფო სამსახურშია. როგორ გგონიათ, — დაგეთანხმებათ? სცდებით! აბა როგორ დაგეთანხმებათ, როცა თვითონ აქვს ასეთი სამსახური. „ადგილებს იძლევიან, როგორ არ იძლევიან, — აი, „მას" მისცეს ხომ ადგილი? მთავრობა ყოველთვის აძლევს სამსახურს ნიჭიერს და მცოდნე კაცებს", ასე გეტყვით იგი. არ იფიქროთ, ვითომ ამის მთქმელი უეჭველად მთავრობის მაღმერთებელი იყოს. არა,

შეიძლება იგი დიდი რადიკალიც იყოს, და თუ ამას ამბობს, მხოლოდ იმის მეოხებით, რომ თავისი თავი ყოველთვის მსჯელობის შუაგულში აქვს წარმოდგენილი. ვინ იცის, ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე რამდენი ადამიანი მტრობს და ეწინააღმდეგება ერთი მეორეს არა იმიტომ, რომ ვითომ პრინციპებით ერთმანეთისგან განშორებულნი არიან, არამედ მარტოოდენ იმის გამო, რომ ერთი მეორის ავტორიტეტს არ სცნობენ და ერთმანეთს თავმოყვარეობას არ უკმაყოფილებენ.

მიუხედავად თავმოყვარეობის ამგვარი გაზვიადებისა, პატარა ხალხში ნამდვილი ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ფრიად ძნელი მოსახვეჭია. ხალხის რაოდენობის სიმცირე თუ კერძო თავმოყვარეობის გასაზვიადებლად შესაფერის ნიადაგს იძლევა, სამაგიეროდ ავტორიტეტის შექმნას ძალიან აბრკოლებს. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ავტორიტეტს, რომელიც კერძო ადამიანის პირად ღირსების განსაკუთრებულ უპირატესობაზეა დაფუძნებული და ეს უპირატესობა და მის წინაშე თავის მოხრა მრავალთაგან ნებაყოფლობით არის მიღებული. ასეთ ავტორიტეტის მოპოვება პატარა ხალხში განსაკუთრებით დამჯდარი და მტკიცე ხასიათის პატრონ იშვიათ ადამიანებს შეუძლიანთ. პატარა ხალხი შინაობაში არსებითად ავტორიტეტის წინააღმდეგია.

რახან ყველა თანამემამულენი ერთმანეთის ახლობელნი არიან და ყოველი წვრილმანი ერთმანეთის ცხოვრებისა იციან, ამიტომაც აღარავის რჩება ის შარავანდედით მოცული უცნობლობა, რომელიც ავტორიტეტისათვის აუცილებელია. ადამიანები თუ გავატიტვლეთ, ყველანი დაახლოებით ერთმანეთის მსგავსნი გამოჩნდებიან. და პატარა ხალხში ყველანი სულიერად გატიტვლებულნი არიან ერთმანეთის წინაშე და ეს არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიზეზი, რომ იქ ავტორიტეტს იშვიათად სცნობენ. ყველა ჩვენი დაწესებულება ამ აზრის ცხადი დამტკიცებაა. საცა უნდა მიხვიდეთ, ყველგან ანარქიას და არეულობას იპოვით და არსად რაიმე ავტორიტეტის ცნობას და წესრიგისადმი დამორჩილებას. ამიტომაა, რომ ქართულ დაწესებულებაში ქართველი ყოვლად უვარგისი მომუშავე და გლახა მოსამსახურეა. იგივე ქართველი რუსულ დაწესებულებაში ჩინებული ჩინოვნიკია. ქართველს იგი არასდროს არ დაემორჩილება, უცხოს წინაშე კი ოთხადაც მოიხრება. სხვათა შორის ესეც არის მიზეზი, რომ ქართველობაში სა-

ზოგადოებრივი აზრის ჯაჭვანება არაა. ჩვენში იმდენივე აზრია, რამდენი ქართველიც მოიპოვება. ყველა ამ აზრთაგან ერთის ან რამდენისამე გონებრივ ნაკადულის შექმნა და საზოგადოებრივ აზრად გარდაქმნა უავტორიტეტოდ შეუძლებელია.

დასასრულ, ავტორიტეტზე არა ნაკლებ ძნელი საქმეა ადამიანისთვის პატარა ხალხში სულიერი დამოუკიდებლობის ანუ პირად ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ შენარჩუნება. აქ ყველანი ერთმანეთის საქმეში ხელებს აფათურებენ და ხშირად სხვის ძვირფასსა და უწმინდეს საგანს თავისთვის უბრალო მასლაათისა და დროს გატარების საგნად იხდიან. პატარა ეროვნებაში ამ მხრით სასტიკი წინააღმდეგობაა კერძო ადამიანსა და „საზოგადოებას“ შორის. უკანასკნელი არც ერთ კუნჭულს არ უტოვებს კერძო ადამიანს, რომ იქ თავისუფლად ამოისუნთქოს და სულის მყუდროება ჰპოვოს. მგრძნობიარე ადამიანისთვის ეს განწყობილება დრამატიზმით აღსავსე მომენტი არის. ამ მომენტის სიმწვავის განელებას და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას იგი მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ თავისსა და „საზოგადოებას“ შუა ერთგვარ ღობეს გაავლებს და თავის სულიერ საკუთრებას ფხიზელ დარაჯად დაუდგება. ეს საქმე არც ისე ადვილი არის, ეს მთელი ფსიხოლოგიური ხელოვნებაა, რომლის შესწავლა და შეთვისება ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა. . .

როგორც ხედავთ სიმცირეს ბევრი ხალხის მხრით თავისებური საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მხარე აღვნიშნეთ. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენისთანა პატარა ხალხს განსაკუთრებით ესაჭიროება პიროვნების კულტურა, რომელიც ადამიანის სულიერად გამფაქიზებელი და ამმაღლებელია.

ᲟᲣᲠ. „ᲔᲠᲘ“, 1910 წ. № 20

ᲣᲙᲔᲓᲐᲕᲘ ᲒᲝᲠᲬᲝᲤᲔᲑᲐ

იმ ხანებში, როცა ფ. მახარაძე „მოღვაწეობდა“ გაზ. „მოგზაურში“, მას კეთილი რჩევა მიეცი გაზეთის საშუალებით: ალბათ, „მოღვაწეობამ“ მოგქანცა, — მიჰმართე ერთ-ერთ შესაფერ დაწესებულებას, საცა ნერვებს სწამლობენ, იაქიმე, იქნება შვება მოგეცეს-მეთქი.

არ ვიცი, ყურად იღო თუ არა მან ეს ჩემი რჩევა და სცადა თუ არა ნაჩვენები საშუალება. თუ მართლა სცადა, — უნდა ვალიარო, უსარგებლო რჩევა მიმიცია და უკურნებელისთვის ფუჭი იმედი გამიღვიძებია. ბაქოელ „ჩვენი წყაროს“ უკანასკნელ ნომრებიდან ვტყობილობ, რომ ამჟამად იგი ამ ორგანოში ყოფილა მოკალათებული და მისი ნაწერით ვრწმუნდები, რომ მას „სტილიც“ და „შინაარსიც“ სავსებით ძველი შერჩენია.

ხსენებული გაზეთის № 5, 6 და 7-ში მოთავსებულია ფ. მახარაძის წერილი: „მეორე მხარესაც მოვუსმინოთ“, სადაც ავტორი იმ საშინელსა და განუზომელს დანაშაულს ეხება, რომელიც მას მიუძღვის ილია ჭავჭავაძისა და მთელი ქართველი ერის წინაშე. ნაცვლად სინანულისა და პატიების თხოვნისა, იგი ხელახლა ადასტურებს ძველ ჭორებს ილიას შესახებ და ასე თავისებურად ულოცავს ქართველ საზოგადოებას ილიას ძეგლის კურთხევას, ხოლო „მამულიშვილებს“ საერთოდ და მე და ბ. გ. ლასხიშვილს კერძოდ გვამკობს და გვამშვენებს მახარაძისებური მარგალიტებით. ჩვენ თურმე ვართ „უდროობის ორი დასამარებული გმირი“, „ცილისმწამებელნი“, „კაცუნები“, „გამოთაყვანებული და უგუნური არსებანი“, „ურცხვნი“, „სულით და ხორცით უბადრუკნი“, „ფარისევლები“ და „გაიძვერები“, „ლაქუცამლიქვნელები“, „უტიფრები“, „ქვემძრომები“, „ბინძურები“, „წამხთრები“ და ვინ მოსთვლის კიდევ — რა.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მეძნელება ისეთ სურნელოვანებას მივეკარო და შევეხო, როგორიც ფ. მახარაძე ბრძანდება. მეძნელება არა იმიტომ, რომ ვითომ მისგან მოძღვნილს ან მოსაძღვნელ ლანძღვა-გინებას ვერიდებოდე. არა, პირიქით: მე მაშინ ჩავთვლი ჩემ თავს დაკარგულად, თუ ოდესმე ღმერთი გამიწყრა და რისამე გამო მისგან ქება დავიმსახურე, — მისი მოსაწონი გავხდი. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ გონება ჩემი უკურნებელმა სენმა მოიცვა და სული ჩემი ბნელმა ბოროტებამ დაისაკუთრა. არა, მეძნელება მეთქი, რომ ვამბობ, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თვით მკითხველისა მერიდება. აბა, როგორ გავმართო საუბარი ისეთ არსებაზე, რომელიც უძირო ჭაობია და, როგორც კი შევეხები და ცოტათი ჩიჩქნას დაუწყებ, მაშინვე აუტანელ სიმყრალეს აუშვებს და ადამიანს სუნთქვას შეუგუბებს. და დაგარწმუნებთ, — ფ. მახარაძის წერილებში მარტო ჩემი „სოტბა“ რომ

იყოს და სხვა არაფერი, მე ხმას არ ამოვიღებდი და მკითხველს არ შევაწუხებდი. მაგრამ ამ წერილებში დამწერი ეხება ილია ჭავჭავაძესაც, იმ ილიას, რომლის ხსოვნა სათაყვანებლად არის გამხდარი ყველა ქართველისთვის, — გარდა მახარაძისებურ არსებათა, რასაკვირველია; იგი აქ განმეორებით ადასტურებს იმ საზიზღრობას, რომელიც მან ჩაიდინა ამ დიდებული ადამიანისა და მთელი ერის წინაშე. ეს უკვდავი ჰეროსტრატე საქართველოსი კიდევა „სწერს“ და „კამათობს“, ალბათ, ეშინიან, შთამომავლობამ არ დამივიწყოსო. და ჩვენ არა თუ იძულებულნი, ვალდებულნიც ვართ, ამ ბედკრულ ჰეროსტრატეს შიში გავუქარვოთ და განმეორებით განვუმარტოთ, რომ იგი უკვდავია, რომ მისი სახელი არ მოკვდება და არ გაჰქრება საქართველოს ისტორიაში, — არ წარიხოცება, ვიდრე ცოცხალ იქნება ქართველი ერი და, მაშასადამე, ვიდრე დავიწყებას არ მიეცემა თვით დიდი ილიას სახელი.

მე მაინც ფ. მახარაძის ლათაიებს მოკლედ მოვჭრი, რათა ანგარიში გავუწიო მკითხველის ფაქიზ გრძნობას და მოთმინებას, მხოლოდ ისე კი, რომ არც ერთი მისი „აზრი“ განუმარტებლად არ დავუტოვო შთამომავლობას.

აზროვნების იმ უდაბნოში, რომელსაც ფ. მახარაძის ახალი მწერლობითი ნაყოფი წარმოადგენს, თუ გარდა ლანძღვა-გინებისა, — გარკვეული აზრისა და შინაარსის მსგავსი რამ შეიძლება ჰპოვოს ადამიანმა, იგი „რამ“ სამ თუ ოთხ სხვა და სხვა „აზრად“ გამოიხატება, რომელსაც ქვევით მოგახსენებთ.

ამათში პირველი „აზრი“ სრულიად მოულოდნელი ძღვენია პირადად ჩემთვის. თურმე, ნუ იტყვით, ჯერ კიდევ 1905 წელში რომაელ ღმერთებს ჩემთვის ჭკუა წაურთმევიათ და ფ. მახარაძის თანამოაზრედ გავუხდივარ. აი, რას უწერს იგი პასუხად „სახალხო გაზეთს“: „თქვენივე ბანაკის წევრის, თქვენივე მეგობრის, პოლიტ. ეკონომიის დოქტორის, ფ. გოგიჩაიშვილის უტყუარი მოწმობა გვაქვს („ნუ თუს?“ შენიშვნა), სადაც იგი აშკარად და ცხადზე უცხადესად ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძე თავის „ნუ თუ?“-ში არჩევს „მოგზაურის“ კორესპონდენციას და არა არღვევს მასო“.

უნდა მოგახსენოთ, რომ არასდროს, არც ძველად და არც ახლა, ფ. მახარაძეს ისე არ უხსენებივარ, რომ პოლიტ. ეკონომიის დოქტორობა არ წამოეძახნოს ჩემთვის. ეს, ალბად, ჩემს შემარცხვენელ მხილებას მოასწავებს. მართალია, ეს დოქტორობა მე (— ღმერთი! რჯული! —)

არც მომიპარავს, არც ვისმესგან საჩუქრად მიმიღია, არც ექსპროპრიაციით მიმითვისებია, მაგრამ რას იზამთ, — ფ. მახარაძისებური მორალი ამას მაინც სამარცხვინოდ სთვლის და, მეტი რა გზაა, უნდა დავიჯერო. მე მზად ვარ, ეს დოქტორობა ფ. მახარაძეს მივართვა ძღვნად, — მის ხელში, იქნებ, სასირცხო და დასაცინი აღარ იქნეს, — ოღონდ ვიცოდე, რომ ამით მას მოემატება იმგვარი რამ, რასაც თურმე რომაელი ღმერთები წაართმევდნენ დასასჯელ ადამიანს.

როგორც „სახალხო გაზეთის“ № 871-ში აღვნიშნე დაწერილებით, — მინამ „მოგზაურის“ საპასუხოდ ილია ჭავჭავაძის წერილი დაიბეჭდებოდა „ივერიაში“, გაზეთმა აცნობა მკითხველებს, რომ ილიას პასუხი მოკლე ხანში დაიბეჭდებაო. თავის დროზე ეს დაპირებული წერილი „ივერიამ“ დაბეჭდა, სხვათა შორის, შემდეგის სიტყვების დართვით: „ვბეჭდავთ დაპირებისამებრ თ-დ ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს მის შესახებ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციასო“. ბრძენ ფ. მახარაძეს ეს სიტყვები ამოუწერია, გვითითებს სიტყვაზე: „არჩევს“ და რიხით გვეუბნება: „აქ ხაზს ჩვენ ვუსვებთო“. ჩემის აზრით, ფ. მახარაძის უბედურებაც სწორედ ის არის, რომ იგი ასე უალაგო ალაგას „უსვებს“ ხაზს და ამიტომაც მის ნაცოდვილევში ყველაფერი უთავბოლოდ არის არეული. რახან შენ ამბობდი, რომ „ავტორი არჩევს „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილსო“ და არ დასძენდი, „არღვევსო“, ამიტომ ცხადია, „მოგზაურის“ ბრალდება ილიას წერილით შენ დარღვეულად არ მიგიჩნევია და ჩემი მედასტურე ყოფილხარო.

უნდა გამოტეხილად გითხრათ, ამაზე უარეს უბედურებას ჩემთვის ფ. მახარაძე ვეღარ მოიგონებდა, რომ მე ოდესმე ამ არსების მედასტურე ეყოფილიყო რამეში, მას შემდეგ, რაც თავი შემისწავლია. ეს ისეთი მოულოდნელი მეხია ჩემთვის, რომ სწორედ სასოწარკვეთილებას მივეცემოდი, რომ ეს მხილება მართალი იყოს და სინამდვილეს გამოხატავდეს. ფ. მახარაძის რაიმე „მოსაზრების“ მედასტურეობა, — არა თუ მარტო ამ შემთხვევაში, არამედ საზოგადოდ, რაშიაც უნდა იყოს, — ისეთი „დიპლომია“ ადამიანისთვის, რომ მას არა თუ დოქტორობა, პროფესორობაც ვეღარ უშველის და ყველა გონიერი კაცის თვალში მართლა ღვთისაგან დასჯილ არსებად ჩაითვლება უკუნითი უკუნისამდე.

აბა ყური დაუგდეთ, როგორ შეუბრალებლად დამცინოდა და მიქარწყლებდა მე ბედკრულს 1905 წელში იგივე, დღეს საისტორიო პირად გამხდარი, ფ. მახარაძე სწორედ ილია ჭავჭავაძის იმ წერილის გამო, რომელიც მაშინ „ივერიაში“ დაებეჭდე. „დემოკრატობით განთქმულმა „ივერიამ“, — ამბობდა მაშინ განთქმული ფ. მახარაძე, — ძლიერი ეჭვის თვალით შეხედა „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ და თითქმის წინდაწინვე უარჰყო მისი საფუძვლიანობა და თვით ილიას მიჰმართა თხოვნით: დაამტკიცე იმის უსაფუძვლობაო. გავიდა ხანი, და ილიამ შეუსრულა თხოვნა „ივერიას“, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა, თითქო ძმარი ჩაუსხა ცეცხლში: ბრალდება არა თუ ვერ დაარღვია, არამედ კიდევ უფრო გაადიდა და ზედმეტი ფაქტები გადმოგვიყაჯა „ივერიისავე“ ფურცლებზე ახლა, — დასძენდა ავტორი ირონიით, — რაღას ფიქრობს ნეტა დინჯი და წინდახედული „ივერია“. ეტყობა, ძველი კერპების თაყვანისცემას იქ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი“. ამგვარად, აქედან ნათლად სჩანს, რომ მაშინ ფ. მახარაძე არ მთვლიდა იმ ბეზღობის მედასტურედ, რომელიც მან, თავის სასახელოდ და უკვდავსაყოფელად, ილიას წინააღმდეგ შესანხლა და რომელმაც შემდეგში ისეთი დიდებული ნაყოფი მოიტანა.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ კმარა ჩემს „გასამართლებლად“ და ფ. მახარაძის მიერ ბოძებულ „დიპლომის“ გასაბათილებლად, და თუ მაინც მოეიხსენიე, — მარტოოდენ ცნობად მკითხველისთვის. რა ვუყოთ, რომ მაშინ არ მცნობდა მედასტურედ, — სამაგიეროდ ახლა მცნობს; იქნება მაშინ ვერ შენიშნა და სამაგიეროდ ახლა, 7 წლის შემდეგ, მიაგნო ჭეშმარიტებას. ამიტომ მეტი გზა არაა, უნდა მივყვე მას კვალ და კვალ.

ჩვენი უებრო ავტორი თუმცა ხშირად „უსვებს“ და ხშირადვე გვეუბნება, „აქ ჩვენ ვუსვებთო“ ხაზს, მაგრამ შემდეგ მალე ავიწყდება და რამდენსამე სტრიქონს შემდეგ სულ სხვა რასმე გვეუბნება. იქნება მკითხველმა იფიქროსო, — სწერს იგი, — რომ „მამულიშვილთა“ ბანაკში დარწმუნდნენ ილიას უსამართლობაშიო, და თვითონვე იძლევა პასუხს: „რა თქმა უნდა, არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ჰქონებიაო“.

მადლობა ღმერთს! ცოტა გულზე მომეშვა. აქედან სჩანს, რომ, იმავე ფ. მახარაძის მოწმობით, „არაფერს იმის მსგავსს, რომ ვითომ ილიას უსამართლობაში დაერწმუნებულიყავი, ადგილი არ ჰქონებია, ე. ი. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ: ილია მე მართლად მიმიჩნევია „მოგზაურის“ ბრალდებაში. მაშ ცხადია, ბრალდების მედასტურე ვერ იქნებოდიო, — იტყვის, ალბად, ყველასი საღი გონება. არაო, მოგიგებთ, ფ. მახარაძის უუსაღესი გონება, — რახან არ სთქვი, ილიამ „მოგზაურის“ კორესპონდენცია „დაარღვიაო“, მაშ, ბრალდება დაურღვევლად გიცვნიაო. მოდით და ასეთი ჯურის არსებას ელაპარაკეთ! მე ისიც არ მითქვამს, რომ ილიას პასუხი შედევრია პუბლიცისტიკისა. ეს უთქმელობა თურმე იმას მოასწავებს, რომ „ნუ თუ?“ მე ნაჯღაბნად მიმიჩნევია ღა ფ. მახარაძის ნაცოდვილევი — გენიოსურ ნაწარმოებად. მე არც ის დამიწერია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ჭკუის პატრონი იყო, ხოლო ფ. მახარაძეს იმდენი ჭკუაც კი არა აქვს, რომ გაჩუმდეს, როცა დუმილი მისთვის საუკეთესო საშუალებაა. მერე რა? მერე ის, რომ, მახარაძის ლოლიკას თუ დავუჯერეთ, ეს თურმე იმას მოწმობს, რომ მე ილია სულელად მიცვნია, ხოლო ფ. მახარაძე — სალაროდ ჭკუისა და გონიერებისა. სწორედ სავალალოა, როცა ესოდენ ბრძენ არსებასთან უხდება კაცს ლაპარაკი. ფ. მახარაძემ გვამცნო თავის წერილში, რომ „როცა ღმერთები ადამიანის გაუბედურებას მოინდომებენ, ჯერ მას ჭკუას დაუკარგავენო“. ნეტა ეს „ამბავი“ მან წიგნით შეიტყო, თუ გამოცდილებით?

მე კი მგონია, რომ ეს ცოდნა მას „გამოცდილებით“ უნდა ჰქონდეს შეძენილი. აი, თქვენ თვითონ გასაჯეთ. ეს თავზე ხელაღებული ვაჟბატონი ჰბედავს აუარებელი სიბინძურე გადმოგვასთხიოს — და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ, — „მამულიშვილებმა“, — ილია ვერ დავიცავით მახარაძის ბოროტებისაგან. წარმოიდგინეთ სასამართლოში კაცის-მკვლელი ყაჩაღი, რომელიც მოსამართლეებს ეუბნება: „თქვენ, სულით და ხორცით უბადრუკნო, თქვენა! ფარისევლებო და გაიძვერებო, ცრუ დემოკრატებო, ლაჩრებო, ბინძურნო და წამხდრებო! მე კაცი მოვკალი და თქვენ მასამართლებთ? რა უფლებით? თუ მკვლელობის წინააღმდეგნი იყავით, რატომ თავის დროზე არ დაიცავით ის კაცი ჩემის ტყვიისაგან, რატომ არ გადაარჩინეთ სიკვდილს? პირველ ხარისხოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა პრესსას და საზოგადოებრივ აზრს ხელმძღვანელობდა, თავის გარშემო აღარავინ გამოაჩნდა ისეთი ვინმე, რომელმაც მისი გამოსარჩლება საჭიროდ ეცნა

და ეკისრნა. ახლა მოსთქვამთ და სამართალს მიჩენთ? ვინ? თქვენ, უგუნური ლაჩრები? განა ჩემი ბრალია, თუ თქვენ არ შეგწევთ მოქალაქობრივი გრძნობა და გამბედაობა? თქვენ რომ ის კაცი დაგეცვათ, ხომ ახლაც ცოცხალი იქნებოდა? მაშ ვინ არის დამნაშავე, ვინ არის კაცის მკვლელი, მე თუ თქვენ"? აი, სწორედ ასეთი ჯური ავაზაკი მოგვიკლინა განგებამ ფ. მახარაძის სახით. და თქვენ გკითხავთ, მკითხველო: კაცი, რომელიც ისე „საღად" მსჯელობს და ამ თავის მსჯელობას ბეჭდავს კიდეც და ავრცელებს, არის თუ არა დასაბმელი?

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, აღარაფერმა არ უნდა გაგვაკვირვოს ფ. მახარაძის წერილში. რა ვუყოთ მერეო, — მოგვითხრობს ეს საღი მსჯელობის საღი ავტორი, — „მოგზაურში". ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წერილი დავბეჭდე, მაგრამ განა სხვა მემამულეებზე კი არ დამიბეჭდიაო. „არა ჩვეულებრივი ამ შემთხვევაში იყო მხოლოდ ის, რომ იქ, სხვათა შორის, როგორც მემამულეზე, თ-დ ილია ჭავჭავაძეზედაც იყო ლაპარაკი".

ასე „დარბილებით" იწყებს თავისი დანაშაულის ისტორიას ჩვენი ბრალდებული. თურმე მას ისეთი წერილი დაუბეჭდია, სადაც „სხვათა შორის" ყოფილა ლაპარაკი ილია ჭავჭავაძეზე, „როგორც მემამულეზე". ნამდვილად კი, თუ 1905 წლის „მოგზაურის" № 19-ს გადაშლით, იქ იპოვით ვ. ნ-ის წერილს: „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება", რომლის შინაარსის ცხრა მეათედი ილია ჭავჭავაძეს შეეხება და მხოლოდ ერთი მეათედი სხვა მემამულეებს, ასე რომ „სხვათა შორის" აქ ეს სხვა მემამულეები არიან მოხსენებულნი და უმთავრესად კი ილია ჭავჭავაძის გულქვაობაზე გახლავთ ლაპარაკი გამართული. ეს ერთი. მეორეც, იმავე „მოგზაურის" № 18-ში დაბეჭდილია თვით ფ. მახარაძის წერილი, სადაც ავტორი სიტყვა-სიტყვით შემდეგს აღიარებს: „მოგზაურის კორესპონდენტმა გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე გულის ამმღვრეევი და აღმაშფოთებელი ამბები, რომლებიც ახასიათებენ თავად ილიას არა როგორც კერძო მესაკუთრეს, არამედ როგორც ადამიანსო".

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც მივყვეთ ჯერ თვით მახარაძეს. ილია ჭავჭავაძეს, — განაგრძობს იგი, — „მეტად საღი მსჯელობა და ლოღიკა ჰქონდა (მართლა?! ფ. გ.). ბატონყმობის ნაშთების არსებობა ერთი მხრით, და მსხვილი მიწათ-მფლობელობა მეორე მხრით, თხოულობდა ცხოვრებაში მისგან, როგორც კერძო მემამულისაგან, იმგვარ ტაქტი-

კას, რომელსაც იგი ადგა... ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა თვითონ გაეცა პასუხი „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილზე, (მაგრამ) ეს პასუხი ოდნავაც არ უარჰყოფდა წერილში მოთხრობილ ამბებს... სცადეთ კი თქვენ როდისმე ამ ფაქტების შემოწმება, რომ ისინი ოდნავაც შეგერყიათ, თუ სავსებით ვერ დაარღვევდით მაინც?... ყოველივე ის, რაც („მოგზაურის“) წერილში იყო ნათქვამი, ჩვენში საყოველთაო და სრულებით ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა... ამ ხანებში ყველა ადგილობრივ რედაქციებს აუარებელი წერილები და კორესპონდენციები მოსდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ამოძრავებულ გლეხკაცობის შესახებ... (მაგრამ მერე) როცა რუსეთში გაბატონდა რეაქცია და ხალხის მოძრაობა დაეცა, ბ. ბ გოგიჩაიშვილების ნაკარდობა უზრუნველი შეიქნა. მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა. საჭირო იყო ისეთი რამ, რასაც ძველი პოლემიკა გაეხსენებინა. ჩქარა ამის საბაბიც იშოვნეს. თავზე ხელაღებულმა ავაზაკებმა, ვინ იცის (ოჰო! ფ. გ.) რა მოსაზრებით და რა ნიადაგზე (нỳ! ну! ფ. გ.) ილიას სიცოცხლე მოუსპეს. და, აი, ქვემძრომებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენ გასაბიაბრუებლად, ნამდვილად კი მხოლოდ თავიანთი სიბინძურე და სიწამხთრე დაანახვეს ქვეყანას. რაღა ბევრი გავაგრძელო, ის უსასტიკესი დანაშაული, როგორც ილიას მოკვლა არის, პირდაპირ ჩვენს იდეურ ბრძოლას დაუკავშირეს ილიას წინააღმდეგ“.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ფ. მახარაძეს ილია ჭავჭავაძესთან ჰქონია მარტოოდენ „იდეური“ ბრძოლა, რომ ამ ბრძოლაში მახარაძე ჭეშმარიტებითა და სიმართლით აღჭურვილი ყოფილა და რომ ჩემისთანა „ქვემძრომ“ და „წამხთარ“ ადამიანებს მახარაძის მიერ ილიას წინააღმდეგ გამართულ „იდეურ“ ბრძოლასთან დაუკავშირებიათ ილიას სიკვდილი.

თუ რა „იდეურ“ ბრძოლას ეწეოდა მახარაძე და რა ჭეშმარიტებით იყო აღჭურვილი, ამას ახლავე დაგანახვებთ. ამისთვის საჭიროა სიტყვა-სიტყვით ამოვიწერო ადგილები მაშინდელ „მოგზაურიდან“ და ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ იძულებული ვხდები მისს ფაქიზს გრძნობასა და ბრწყინვალე ილიას სახელ შუა ფ. მახარაძის შავი აჩრდილი გავატარო ერთის წუთით.

ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?

ისმინეთ. პასუხი ფ. მახარაძეს ეკუთვნის:

1) ვაგლახი იდეოლოგი და გათახსირებული მწერალი: ილია „კერძო საკუთრების ვაგლახი იდეოლოგია“. — იგი თავის პასუხში „თავის თავს მიწასთან ასწორებს და სამარეს უთხრის“. — „მისი უშველებელი წერილი, „ივერიის“ გულუხვი გადაჭარბებული სტუმართ-მოყვარეობის წყალობით აღბეჭდილი, გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლა“. — „ილია „მთელ 25 წლის განმავლობაში პრესსის დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისთვის გზა აექცია, ჭეშმარიტება დაეფარა“. — „ჩემ გამოზდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს (ოღონდაც! ფ. გ.) ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვებისგან გამიგონია, მაგრამ ჩემ დღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს, არც სხვებისაგან გამიგონია, (როგორც) თ-დ ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილია, რომელიც გაზ. „ივერიას“ ცალკე გამოცემად დაუსტამბავს თავის სასახელოდ“.

2) ბურჟუა: „ილიასთანა მსხვილი მემამულეების და ბურჟუა-კაპიტალისტების ხელში თანდათან გროვდება წარმოების საშუალებანი და იარაღნი“.

3) პასუხისმგებელი სოციალურ უთანასწორობისათვის: ფ. მახარაძე გლეხების პირით მიჰმართავს მას ასეთი კითხვით, — „რა საბუთი გაქვთ, რომ თქვენ ჩაგიგდიათ ხელში ამოდენა სიმდიდრე, ამოდენა მიწა-ადგილი, საცა ჩვენ ფეხის დასადგამი არ მოგვეპოვება?

4) ადამიანი, რომელსაც კაცურიკაცის სახელი ვერ ეწოდებოდა: „თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცურიკაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს“.

5) კაცი, რომელიც საკუთარის ნათლობის სახელით მოხსენების ღირსიც არ იყო: „რახან ილიკოს არ აქვს იმდენი გამბედაობა“, სწერია შავბნელ „მოგზაურში“. — „აი კიდევ იმ მრავალ ოინთაგანი, რომლითაც ცნობილია ილიკო ჭავჭავაძე“.

6) უზრდელი: „ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ საქართველოს სასიქადულო მწერალს, ან საგურამოს ცნობილ გმირს, ლანძღვა გინებაში, სხვისი პიროვნების გაბიაბრუებაში ბადალი არ ჰყავდა“.

7) ოინბაზი: „ილიამ ერთხელ კიდევ მისცა საზოგადოებას საშუალება თავისი სულიერი ავლადიდების გათვალისწინებისა. პასუხი მისი ბრაზმორეული, მტყუანი კაცის ოინებს უფრო წააგავს... მაგრამ ეს

ხომ „არ ახალია, ძველია“ ილიას ოინბაზობაში... რა ქნას ქანც გამოლეულმა, მტყუანმა ადამიანმა, თუ რომ ოინბაზობას არ მიჰმართა, მით უმეტეს, როცა კაცი შეჩვეულია ასეთ ადვილ ფანდებს... ამით უნდა შეავსოს ყოველივე ნაკლი... და მერე ინდოურივით გაიფუყოს“. — „ილია თავისებურ ოინბაზურად ხსნის საქმეს, რადგან იგი „ზაკონ-კანონის“ კაცია“.

8) მაბეზღარი და ჯაშუში: „თ-დმა ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავის ნივთიერი ინტერესების გულისათვის“. .იგი „მართლაც რომ მაბეზღარა თავადი არის“. — „ჩვენ არ გვგონია, (რომ ილიაზე) მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს. ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და თუ გინდ პალმს“. — „ჯაშუშობის როლი მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლ-ხორცებული“. — ილია ჭავჭავაძე „ურცხვად და თავზე ხელაღებულად გვაბეზღებს და ბრალს გვდებს“.

9) ურცხვი და საზიზღარი: „თ-დი ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენელად ადამიანი ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას ფეხ ქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს“. — „ნუ თუ ამის შემდეგ ოდნავ მაინც არ უნდა გაწითლდე?“ — ეკითხებოდა „მოგზაური“ ილიას.

10) ზნეობრივად მახინჯი: „ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი სიმახინჯე და აზრით ჩამორჩენა „მოგზაურის“ და მისი კორესპონდენტების ბრალია?“

11) უსინდისო მესაკუთრე: ილია „მზადაა კერძო საკუთრების პრინციპს ანაცვალოს ყოველივე, დაჰკარგოს სინდისი, პატიოსნება... თუ გნებავთ, ეს ერთნაირი რაინდობა მაგრამ რაინდობა დაბალ ხარისხის რომელსაც მიზნად აქვს თავის პირადი სარგებლობა და სხვისი დაჩაგვრა“.

12) თვითნება: „თუ ვინმეა ჩვენში ისეთი, რომელსაც საკვებით განეხორციელებინოს ცხოვრებაში ეს თვითნებობა, ერთი ამათგანი უეჭველად ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს“.

13) ხალხის გამყვლეფ-გამტყაველი: ილია „მთელ თავის სიცოცხლეში იმას ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებინა, რომ

რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარ შევიწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი არაფერს ზოგავდა ოღონდ კი თავისი მიზანი განეხორციელებინა". — „გლეხობა მისთვის კარგი სათალი დუმაა". ილიას „ვერ გაუგია, რომ საღმა კაცმა (ესე იგი ილიამ) თუ სნეულის სახელით ავკაცობა ჩაიდინოს, ესე იგი სნეულს ამოეფაროს და ისე ატყაოს ხალხი ეს იმ სნეულზედაც უარესი სნეულება იქნება. ვინ ატყავებს სნეულის წილ საგურამოელ გლეხებს, თუ არ ილია ჭავჭავაძე?" — „ამიერიდან მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამული, რომელსაც ასე ულმობელად მიჰყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა".

14) გულქვა და შეუბრალებელი: ნაავადმყოფარმა გლეხმა წყაროდან ორი კოკა წყალი წაიღო. დაედევნა ილიას მოურავი, „ორივე კოკა ზედ გადაამტვრია ნასევრად შიშველ გლეხს. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანად იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: ყოჩაღ, მემარნიშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდნენო. უბედური გლეხი ხელახლა გახდა ავად და ერთ კვირაზე გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლე".

15) ბოროტი: გლეხებმა ილიას შეშა სთხოვეს ტყეში. „ილია შევიდა ხალხის მდგომარეობაში და დათანხმდა მხოლოდ ერთის ახირებულის პირობით. ნებას მოგცემთ გამოიტანოთ საწვავი შეშა, თონის ფიჩხი და იარაღი ურმის მასალად ზურგით და არა ურმით, ხოლო ისიც შორიდან და არა ახლოდანაო". — ილიას ყოველთვის „ბოღმა აწვება, როცა გლეხებს ესარჩლებიან გაუმაძღარ მემამულეების წინააღმდეგ".

16) ავაზაკი: „აშკარა საგულისხმოა, რაც უდევს გულში ილიას. სახელდობრ ის, რომ კაცმა შემთხვევით უნდა ისარგებლოსო, ე. ი. ილიას შემთხვევა ეძლევა თავისი ნებართვით და ბილეთით მენახშირეებზე გაყიდული ტყე, რომელიც მართლმორწმუნე მაჰმადიანის თავივით გაუპარსნიათ, გლეხებს გადააბრალოს და მკვდარი ცოცხალზე გაჰყიდოს". — „ილიას გულგასახეთქად და საგურამოს გლეხების სასახელოდ", ეს უკანასკნელნი თურმე ძლიერ თავდაჭერით მოქმედობდნენ. „ყარაულო-

ბდნენ მემამულეების ქონებას, რათა პატრონებმა“ (და, მაშასადამე, მათ შორის ილიამაც) „არ გადასწვან და ჩვენ არ გადმოგვაბრალონო, მაგრამ აქაც გლეხებთან პირადი ანგარიში არ აძლევს ილიას მოსვენებას, მაშ რის ბანკირია, თუ რწყილს არ გაატყავებს და შეეთხვევით არ ისარგებლებს“.

17) უუსაბტიკესი ადამიანი, რომელიც მოთხრობების მასალის მოსაპოვებლად სტანჯავდა გლეხებს: „ამრიგად ყველფავენ სათითაოდ ისედაც ტყავგამძვრალ გლეხებს. ასე იქცევა ცხოვრებაში ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც მწერლობაში თავს იწონებს, როგორც გლეხთა გაჭირვებაზე მოსაუბრე და მათი შეგობარი. ან კი რა ექნა და როგორ მოქცეულიყო: „ტემისთვის“ მასალა უნდოდა და ცხოველმყოფელი მწერალი თუ პოეტი ცხოვრებაში ეძებს მასალას. ილიამაც ჯერ ცხოვრებაში განახორციელა და მერე დასწერა ქალალდზე გლეხთა გასაჭირი“.

18) შეუნდობელი დამნაშავე: ილიას „კიდევ შეუძლია თავის ნაწერებში გლეხებს გამოესარჩლოს, დაბეჩავებულ ცხოვრებაზე ცრემლები ღვაროს. თავისუფლებაზე იმღეროს? განა ეს არ არის დაკინვა?“ — „ნუ თუ სანტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისია, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს?“

და აკი „არ ეპატია“! აღსრულდა... ჰეროსტრატემ მიზანს მიაღწია და უკვდავ ჰყო სახელი თვისი!

აი, ამგვარ საზიზღრობას ადასტურებს მახარაძე დღესაც, როცა ამბობს: რაც დავბეჭდე ილია ჭავჭავაძის შესახებ, ყველაფერი ჭეშმარიტება და სიმართლე იყოვო და ასევე სიმართლედ დარჩაო. ამგვარ სიფინთეს უწოდებს იგი „იღეურ ბრძოლას“. მთელი ერის წინაშე ღვაწლმოსილსა და წარჩინებულ ადამიანს ყოველგვარი სისაძაგლე თავს მოახვია, სახელი გაუტეხა, ღირსება აჰხადა, ხალხის მჭამელად და მტრად გამოაცხადა, ჯაშუშობა და ყოველგვარი სიმდაბლე დასწამა, მთელი ქვეყნის უუდიდეს ბოროტებად დაჰსახა, და მერე — როდის? იმ დროს, სწორედ იმ ხანაში, როცა ამ მანიაკს ბრბოზე განუზომელი ძალა და გავლენა ჰქონდა, როცა ეს ბრბო მას საერთო ბედნიერების მოციქულად რაცხდა, როცა მის სიტყვას, — საუბედუროდ, ოო ჩვენდა უდიდეს საუბედუროდ! — ბევრ საბრალო კაცის თვალში ფასი ედვა და გასავალი ჰქონდა. და ბოლოს მართლაც აღმოჩნდა ისეთი ბედკრულა არსება, რომელმაც ფრიად მარტივის ლოღიკით სიტყვას საქმე შეუფარდა; რომელმაც ბოროტი სულის სიტყვა დაიჯერა, „მოძღვრება“

შეითვისა, ხალხის მხსნელობა იკისრა და გადასწყვიტა ეხსნა ქვეყანა ილია ჭავჭავაძისაგან, რომელსაც „მოციქული“ ისეთ აუტანელ ბოროტებად სთვლიდა ხალხისათვის, რომ დანაშაული არ უნდა ჰპატიებოდა. და, აი, გავარდა კიდეც თოფი და გადმოინთხა ტვინი, ის ტვინი, რომლის ნააზრმა და ნამუშევარმა მთელს წერა-კითხვის მცოდნე საქართველოში მარტოდ-მარტო ფ. მახარაძეს, ამ ბუნებით ბოროტებად გაჩენილ არსებას, ვერ შესძინა რა გონებისა და სულის ასამაღლებლად.

და ამის შემდეგ ეს მიწის დამამძიმებელი ჰერასტრატე კიდევ ჰბედავს ჩვენკენ სიბინძურე გადმოისროლის! რად არ დაიცავითო. ვერ დავიცავით! ვერ შევეცადეთ იმდენად, რამდენადაც, თურმე, საჭირო იყო. ეს ჩვენი სიგლახე დანაშაული არის. მაგრამ ამით შენ რა, უკვდავო ბოროტებავ! განა ამით შენი დანაშაული ოდნავაც არის მცირდება და შენს სულს შვება მიეცემა?

არა ეს ფუჭი იმედია. შვებას ვერ იგრძნობ, ვიდრე ცოცხალ ხარ! ხოლო ცოცხალი იქნები მუდამ, ვინაიდან შენისთანა ბოროტება უკვდავ არს!

1937

პეტრე უმიკაშვილი

(ბიოგრაფიული ნარკვევი)

პირადად ვიცნობდი. შემთხვევამ მომაგო სიკეთედ, რომ მას შევხვედროდი ანუ, უფრო სწორად, რომ იგი შემხვედროდა ახალგაზრდობაში ცხოვრების გზაზე. ბედმა მარგუნა მისი სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მის სიკვდილამდე, მისი მეგობრობა, რასაც მთელი ჩემი ცხოვრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამიტომ მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, — და როდესაც იგი ამ სტრიქონებს ბოლომდის ჩაიკითხავს, მიხვდება კიდეც, — თუ რა უზომო სიამოვნებით ვიღებ ხელში კალამს ამ ბიოგრაფიის დასაწერად.

მაგრამ შესაძლებელია ვინმეს ეჭვი აღეძრას: მოახერხებს კი მეგობარი მეგობრის შესახებ სისწორით ამბის მოთხრობასო? ასეთ ეჭვს საფუძველი ეძლევა მით, რომ პირადი გრძნობა ხელშემშლელია ობიექ-

ტური მსჯელობისა და მსჯავრისათვის. მაგრამ მე ვეცდები ამგვარი ეჭვისთვის საბაბი არ მივცე არავის. და ამისთვის შემდეგ საშუალებას მივმართავ: არას ვიტყვი უფაქტებოდ და უციტატებოდ. სათაურადაც ამ ნაწერს „ნარკვევი“ მივეცი და არა მარტოოდენ „მოგონება“.

I

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა 1838 წელს, 23 ოქტომბერს (ძვ. სტ.), ტფილისში. „ჩემი გვარი, — სწერს იგი[1], — როგორც ოჯახის ზეპირგადმოცემა დარჩენილა, ტფილისის ძველი მოქალაქეთა გვარია; ნარიყალის ციხე არ ყოფილა აშენებული, რომ ჩვენი გვარი ქალაქში ყოფილაო, — თითქმის თამარ დედოფლის დროს ან უწინ. ჩემის გვარისანი არიან სოფელ ძეგვს, მეჯვრისხევს და, ამბობენ, კახეთშიაცო. ზოგნი სომეხნი არიან, ზოგნი მართმადიდებელნი. მე კათოლიკე ვარ: წარსულ (ე. ი. მე-18) საუკუნეში სომხობიდამ გადასულა მამაჩემის პაპა“.

მამა პეტრესი, იოსები, განსაზღვრული ხელობის კაცი არ იყო, — უფრო იგი წვრილ ვაჭრობას ეწევოდა[2]. ერთხანს მსახურობდა საფრანგეთის კონსულთან, შევალიე გამბასთან[3], იყო მდივანი და თარჯიმანი საკონსულოსი. აქ მან ფრანგული ენა კარგად ისწავლა და ერთ დროს, გამბასთან! ერთად, საფრანგეთიც მოიარა და იქაური ცხოვრება გაიცნო. განათლებული საფრანგეთის წესწყობილება ისე მოეწონა და შეუყვარდა, რომ, დაცოლშვილების შემდეგ, მუდამ ოცნებობდა თავისი შვილი საფრანგეთში გაეგზავნა და სწავლა იქ მიეღებინებინა. მაგრამ ამ სურვილის განხორციელება მას ვეღარ მოუხდა. პეტრე ბავშვობაშივე დაობლდა: იგი ხუთი წლისა იყო, როცა მისი მამა იოსები გარდაიცვალა (1843 წ.).

---

1 იხ. ავტობიოგრაფია, რომელიც ზ. ჭიჭინაძის თხოვნით დაუწერია 1890 წელს („ივერია“, 1904 წ. № 123).

2 გიმნაზიის ატესტატში პ. უმიკაშვილი იხსენიება როგორც „შვილი მოზდოკელი მოქალაქის იოსებ უმიკოვისა“. არ ვიცი, რატომ იწოდება იოსები მოზდოკელად, — დაიბადა მოზდოკში, თუ პირველი ახალგაზრდობა გაატარა იქ.

3 შევალიე გამბას მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში უმოგზაურნია ბევრ ადგილას საქართველოში და თავისი მოგზაურობა დაბეჭდილი აქვს ორ ტომად ფრანგულ ენაზე პარიზში: Chevalier Gamba: Voyage dans la Russie Méridionale, 1826.

დედასა და შვილს დარჩათ იოსების ცოტაოდენი მონაგარი, დაახლოებით ოთხასი თუმანი. აქედან ორასი თუმანი ვიღაც ჩილინგიანზე იყო გასესხებული, რომელმაც მხოლოდ 25 წლის შემდეგ გადაუხადა პეტრეს ამ ორას თუმანში რაღაც სამოცი თუ ოთხმოცი თუმანი.

ამგვარად, იოსების ქვრივს ნამდვილად ორასი თუმანი დარჩა თავის სარჩენად და შვილის გამოსაზრდელად. რასაკვირველია, ეს ფული მთელი 20—22 წლის განმავლობაში დედა-შვილს არ ეყოფოდა. ამიტომ პეტრემ თავისი ახალგაზრდობა სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატარა.

მისი დედა ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა, მაგრამ მეორედ აღარ გათხოვილა, — თავისი მეცადინეობა და ძალღონე თავისი ერთადერთი შვილის გამოზრდას მოახმარა[1]. პეტრე მოხუცებაშიც დიდი გულითადობით და პატივისცემით იხსენიებდა თავისი დედის დაუვიწყარ ამაგსა და სიყვარულს, და როცა მის სიკვდილს მოიგონებდა (გარდაიცვალა 1884 წელს), ყოველთვის ცრემლი მოერევოდა. „დედა — სწერს თვითონ აღნიშნულ ავტობიოგრაფიაში — იყო ტფილისის მოქალაქის სტეფანე კაკალაშვილის ქალი, მომთმენი, ჭკვიანი, შორსმხედველი და საკვირველის ესტეტიური გემოვნების დედაკაცი. სახით მშვენიერი იყო. მაღალი აზრი, რომელსაც ამოვიკითხავდი ხოლმე უდიდებულეს მსოფლიო მოაზრეთა ნაწერებში, მესმოდა ხოლმე და მაოცებდა მისი მსჯელობა უსწავლელი, წიგნის ვაივაგლახით მკითხველი დედის პირისაგანაც. გაგონებით ბევრი გაეგონა, ხსოვნა ჰქონდა შეუდარებელი. მრავალი საქვეყნო ისტორიული ამბავი, ძველი და ახალი, ანეგდოტები ერთგვარად ახსოვდა“.

პირველდაწყებითი სწავლა ენაზე კათოლიკეთა მიძინების ცოტაოდენი მომზადების შემდეგ, დედამ მიაბარა საკომერციო გიმნაზიაში, რომელიც მოქალაქეთა შვილებისთვის იყო დაარსებული. ეს გიმნაზია 1854 წელს შეაერთეს პირველ გიმნაზიასთან, რომელსაც მანამდის სააზნაურო გიმნაზია ეწოდებოდა. პეტრე გიმნაზიაში გვარიანად სწავლობდა. ატესტატში მისი ნიშნებია „გვარიანი“ და „დამაკმა-

პეტრე უმიკაშვილმა მიიღო ქართული ეკლესიის სამრევლო სკოლაში. მერე,

---

1 როგორც ერთი საოჯახო დავთრის ყდაზე მინაწერიდან სჩანს (მიწერილია ფრანგულად პეტრეს მამის — იოსების — ხელით), იოსებს მეორე შვილიც მისცემია (ეტიენი). მაგრამ იგი — ეტყობა — ბალღობაშივე გარდაცვლილა.

ყოფილებელი", — მარტო ქართულში აქეს „ფრიადი" და სამღვთო წერილში — „კარგი". 1859 წელს[1] მან დაასრულა გიმნაზიის კურსი.

გიმნაზიის შემდეგ პეტრეს სწყუროდა უნივერსიტეტში შესვლა და სწავლის განგრძობა, მაგრამ სახსარი არ ჰქონდა. მისი მამის მოვალე ვალს არ უხდის: „9 თვეში, — სწერს იგი, — ათი თუმანი ძლივს გამოვართვი ასორმოცდაათი თუმნიდან, რა იმედი უნდა მქონდეს, რომ მერმისამდინ სულ ავიღო ან ნახევარი ჩვენი ფულისა. თუ ეს ასე არ მოხდა, არ შეიძლება ჩემი წასვლა არსად"...

შევალიე გამბაზე დარჩენილა პეტრეს მამის ვალი ოცდაათ თუმნამდე. გამბას საქართველოში მამული ჰქონებია შეძენილი, რომელიც — არ სჩანს, ვალში თუ ვალის გარეშე — გაყიდულა 1860 წელს. და ახალგაზრდა პეტრე ეძებს გამბას მემკვიდრის, მისი ქალის მისამართს, და უნივერსიტეტში წასვლის იმედს ერთხანს იმაზე ამყარებს, რომ ამ ვალს გამბას ქალი გაუნაღდებს. მასალებიდან არ სჩანს, რით გათავდა ამ ვალის საქმე, — როგორც ეტყობა: არაფრით.

მისი იმდროინდელი დღიური სავსეა მწუხარე ჩივილით იმის გამო, რომ უნივერსიტეტში ვერ მიდის მის ამხანაგებსავით სწავლის მისაღებად. 1860 წ. 5 ივლ.: „იმ კვირას წავიდნენ ჩემი ამხანაგები. მე დავრჩი და დავრჩი; — ეს ფიქრი არ მშორდება". მეორე ადგილას: „მე რაღას ვარიგებ? ჯანაბასა, უადგილოდ დავეხირები... ფუჭი სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, უგზო-უკვლოდ, ურგებადა ვცხოვრობ... ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა ვიყო ასეთ მდგომარეობაში? ვაი, ჩემო თავო. ნუ ვექნება იმედი, რომ აგისრულდეს რამეში სურვილი. ან მერმის როგორ წავალ მე უნივერსიტეტში"?. 2 ენკენ.: „წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვასერსებ... აქაც არ არის იმედი... არ ვიცი რა ექნა, არ ვიცი რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება იმისკენ თავი მეკრა; სულ არაფერი, თუ მოვკვდებოდი, კეთილის საქმისთვის მოვკვდებოდი მაინცა, მაგრამ შორს არის. რა ექნა, შვილური სიყვარული ბორკილს მიყრის: როგორ დავანებო თავი დედას, ვის ანაბარათა და ვის იმედითა. აი, რა მტანჯავს".

არის მომენტები, როდესაც იგი ფიქრობს კერძო პირებს მიმართოს დახმარებისთვის, რომ სესხის სახით მისცენ მას საშუალება სწავლის

---

1 და არა 1860 წელს, როგორც მე ეს შეცდომით აღნიშნული მაქეს ამხ. „ცისკრის" მიერ 1905 წ. გამოცემულ წიგნში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად".

ვანსაგრძობად. მაგრამ უმალვე ხელს იღებს ასეთ განზრახვაზე. 1860 წ. 3 ივნ.: „ერთ წიგნს დავწერ მერკა დანტესთან რუსულად, აქ ვისმე სანდო პირს ან ბრიყვს (რომ არა გაიგოს რა) გადავათარგმნინებ და გავგზავნი. ვთხოვ, რომ, თუ შეეძლება, თავის ხარჯით გამამგზავროს და მასწავლებინოს. ჩემს სურვილს ცხადად გამოვხატავ. ვნახოთ... იქნება არც კი მივწერო, სათაკილოც კია თხოვნა. მაგრამ რომ ვიღუპები შეუწევნელად!..“. ზოგჯერ მისი მამის მიერ დავალებულ ადამიანებზე ფიქრობს. 21 ნოემ.: „ხან ერთ საშუალებას ვეძებ, ხან მეორესა... პეტერბურგში კი მივწერე, ტესერის ამბავი შემატყობინონ. ახლა ბებერია. ის ყოფილა იქაურ ფაბრიკებში. იქნებ ფულიანი კაცი იყოს და უკოლშვილო... (ის ერთ დროს) მამაჩემს გადურჩენია... მივწერ წიგნს, იქნება დამეხმაროს ვალითა, რომ მერე გადავუხადო“. ხან ამხანაგ მეგობრებზე ფიქრობს. 28 მაისი: „მე მყავდა და მყავს მეგობრები, რომელთაგან ერთს შეეძლო ჩემი შეწევნა, მაგრამ... ღმერთო მომიტევე, თუ მტყუანი ვარ“... მეორე ადგილას: პავლე „თუ მართლა მდიდარია, და თუ არა, პაპა ჰყავს მდიდარი და შეუძლია ჩემთვის ივალოს ფული (вот эгоизм!). ეს სასირცხო და უმართებულო აზრია. მაგრამ... თუ მართლა მეგობარია, იქმოდა, თუმცა ვგონებ არ მივიღებდი ამგვარ შეწევნასა“. ან კიდევ 1861 წ. 16 იანვ.: „...პალტარაცკისთან ვიყავი, ილია წინამძღვარი იქ იყო და სიტყვა გამიხსენეს. თუ წასვლა გინდაო, გვითხარიო, ჩვენ მოვახერხებთო. უთუოდ, როგორც შარშან ილიკო სერებრიაკოვი გაგზავნეს, ჩემი გაგზავნაც ისე უნდათ, — საზოგადოდ შეკრებულის ფულითა. მაგრამ მე დამოკიდებულება არ მინდა ვისზედმე მქონდეს... არ მინდა ამგვარად... მე ჩემს თავად, სხვის შეუწევნელად მინდოდა და მინდა ცხოვრება“...

ამგვარად ახალგაზრდა პეტრე, თუმცა სწავლის წყურვილი დიდი აქვს, უმაღლეს სასწავლებელში ვერ მიდის ხელმოკლეობის გამო. იგი იძულებულია შინ დარჩეს. დედას მის მეტი არავინ ჰყავდა პატრონი და მრჩენელი. პეტრე ძალაუნებურად „ცხოვრებაში უნდა გამოსულიყო“ და ლუკმა პურის მოსაპოვებლად შრომა დაეწყო. და აი, იგი შეუდგა ადგილის ძებნას, დაუღალავად ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ვერსად ვერას შოულობდა. ამ ხანებში პ. უმიკაშვილი თავის დედასთან ერთად უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, რასაც იგი ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. შემდეგში, თავისი რვეულის ერთ ადგილას, იგი ამხელს თავის გულის საიდუმლოებას: იყო მომენტები, რო-

დესაც ვფიქრობდი დედა მომეკლა, მერე თავი მომეკლა და ამით ბოლო მომეღო იმ საშინელი ცხოვრებისთვისო. უნათესაეო არ იყო. მაგრამ ნათესავებისგან დახმარებას არც თხოულობდა და არც მოელოდა, იმათგანაც კი არა, რომლებზედაც მის მამას თავის დროს ამაგი ჰქონდა გაწეული. მაგალითად, ერთ ნათესავზე წერს: გზაში შემხვდაო. „რას აკეთებო. არაფერს, ადგილს ვეძებ მეთქი, აქ ვიყავი, იქ ვიყავი, და ვერსად ვერ ვიშოვნე ადგილი მეთქი. კინაღამ შეგუბებული ცრემლი თვალებიდან გადმომსკდა, მაგრამ შევიმაგრე თავი. გულში (ვიფიქრე): მამა ჩემს შენი სახლობა ოთხი სულით თითქმის შეუნახავს, და ამ ხუთ თვეში, რაც კურსი შემისრულებია გიმნაზიაში, შენ ახლა კითხულობ რას ვაკეთებ? ეცადეო სადმე ადგილი იშოვნო... თავი დავუკარი და მოვშორდით ერთმანეთსა“.

იგი განუწყვეტლივ დარბოდა სხვადასხვა დაწესებულებებში, რომ სადმე თავისთვის ადგილი და სამუშაო აღმოეჩინა, მაგრამ ყველგან კარები დაკეტილი ხვდებოდა და, ნაცვლად დახმარებისა, ხშირად დაცინვასა და თავმოყვარეობის შელახვას ითმენდა. მაგალითად, იგი წერს თავის დღიურში 1860 წელს, 23 მაისის თარიღით:

„აი შენი ფითიაშვილიც! სამი დღე იმის უკან დავდიოდი. პირველად ვნახე და ატესტატი მთხოვა. მივუტანე გუშინ. ჯერ ერთი ჩარექი ხანი გასაწმენდი სულივით ელი, — როდის იქნება, რომ ვიხილო იმათი პირიო. აგერ გამოვიდა მაღალი და სქელი; თვალებში რომ შეხედო, გაუმაძღრობისა და ხარბობის მეტს ვერასა ნახავ იმათ გამომეტყველებაში. გადიკითხა ატესტატი, ჩუმად დამიბრუნა და შევიდა შინ... ღმერთო ჩემო, — ჩემ გულში ვამბობ, — პასუხსაც არ აღირსებენ კაცსა ეს ღორები! მეტი ღონე აღარ იყო, ერთი ნახევარი საათიც მოვითმინე. მეტი ველარ შევძელ და მოსამსახურეს ვუთხარი: მოახსენე, რა პასუხს ბრძანებს მეთქი. — ხვალ დილაზე მობრძანდით, შემომითვალა. მაშ ხმის გაუცემლობა უარი არ ყოფილა მეთქი, — გავივლე გულში. — წავედი დღესაც. ერთ მეკანტორეს უთხრა, ეს წაიყვანე და რამე დააწერინეო. დავწერე ორიოდე სტრიქონი რუსულად და ქართულად, მივიტანე. საცინელი ის იყო, რომ თვითონ კაცი არ არის იმ ხარისხისა, რომ დამეწერა; „Высокоблагородие“, მე მაინც ასე დავწერე, ესე იგი დამაწერინეს. — ოჰ, „პოჩერკი“ არ გივარგათო, სწავლობთო და არა სწავლობთო. მე ვუთხარი, გიმნაზიაში ხელს არ უყურებენ მეთქი.

არაფერი აღარ სთქვა — თან შეიტანა ქალალდი. მე ჩემ თავს ვუთხარი: მოიცადე, იქნება გუშინდელსავით იყოს დღევანდელი ამბავი და რამე მეღირსოს მეთქი. ვუცადე კარგა ხანი, მერე ბიეს ვუთხარი: პასუხი თქვას რამე მეთქი. თვითონ გამოვიდა: — ჩვენში „პოჩერკი" ძალიან საჭიროა და... მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ მეთქი, ავდექი და გამოვედი. ყველასაგან მოველოდი დაჩაგვრასა და ასოებისაგან კი არა. აბა მოდი და ლექსები სწერე, როცა ანა-ბანის წერა არ იცი. სახელმწიფო სამსახურშიაც — ამბობენ — ძალიან უყურებენ ასოების გამოხატვასო. ეს ოხერი და ტიელი რუსები რვა წელიწადს გიმნაზიაში კაცს რაღას აკარგვინებენ დროსა, ასოების დახატვა ასწავლონ ღრამატიკისა და სიტყვიერების მაგივრად. ეს უფრო გამოსადეგი იქნება. — ვაი შენი ბრალი, მთელი ბუნების შემაგინებელო, შემარცხვენელო ადამიანო! ოხერო და ტიელო, შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი, გთხოვს პირდაპირ, იქნება ერთი რამე ადგილი უბოძო. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ თითო საათობით ბალკონში აცდევინებ და მერე, როცა მოგაგონდება, მაშინ ნახავ? — ასეა, ათასი ვებრძოლო ჩემს თავსა, რომ ბედი არა მაქვს, არა მაქვს!"...

ბევრი ძებნისა და წვალების შემდეგ პ. უმიკაშვილმა იშოვნა, როგორც იყო, მცირეჯამაგირიანი ადგილი ვიღაც ტერ-აკოფოვის პანსიონში. ჯამაგირად ეძლეოდა 12 მანეთი თვეში. პანსიონში სამსახური ისევ ბევრ დროს და შრომას მოითხოვდა მისგან, რომ ახალგაზრდა პეტრე აქ დაბინავების შემდეგაც სულიერად უკმაყოფილოა და მუდამ თავის ბედს უჩივის. „რა საძაგელ სიცოცხლეს ვატარებ! — სწერს თვითონ. — ორ თვეზე მეტია, რაც ადგილი ვიშოვნე, მაგრამ რა ყოფნაა ასეთი ყოფნა! თორმეტი მანეთის გულისთვის სული უნდა ამოვირთო. დილით საღამომდინ პანსიონში ვზივარ, — გასაკვეთი უნდა გავაკვეთინო; ახლა მე უნდა მივცე გაკვეთილი. — რამდენი ჩიჩინია და რამდენი ხათაბალა... ათასი უსიამოვნება უნდა გამოვიარო თორმეტი მანეთის გულისთვის. ზოგჯერ ასეთ გულზე მოვდივარ, რომ გამოსვლა მინდა. ყველა გზა დამეხლართა ქალაქშიაც, სხვაგან ვერ ვიშოვნე ადგილი, ეხლა კი გამოჩნდა, — ერთი სიღნაღთან არისო და მეორე თვით სიღნაღშიო... მაგრამ... ქალაქიდამ გასვლა ძალიან მეძნელება, ოჰ, მეტადრე ოპერის მუსიკის გულისთვის, — ქვეყანაზე ყველას მოკლებული ვარ და ამაში მაინც ვპოვო ნუგეში"...

დედა-შვილის არსებობა ამ 12 ეანეთით შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ ვიგულისხმეთ, რომ პეტრეს მამის მოვალე ცოტ-ცოტას, დროგამოშვებით, იხდიდა ვალში მაშინაც, როდესაც პეტრეს ეს თორმეტმანეთიანი ადგილი ჰქონდა. მაგრამ ქვრივ-ობლის გაჭირვება მაინც დიდი იყო, და პეტრეს დედას სხვა გზა არ ჰქონდა, — ყოველი კაპიკი ანგარიშიანად უნდა ეხარჯა და ყველაფერში მომჭირნეობა უნდა გაეწია, სხვათა შორის სანთელში და აგრეთვე სათეატრო ხარჯებში პეტრესი, რომელსაც თეატრი — როგორც ოპერა, ისე დრამა — გაგიჟებით უყვარდა („მე უთეატროდ მკვდარი ვარ, — სწერს იგი, — ჩემი სიცოცხლე მარტო თეატრშია, იქა ვცოცხლდები... მე თეატრში ვისვენებ გულითა. მხოლოდ ერთი ადგილია, მხოლოდ ერთი"). ამის გამო თავისი ჩივილი და მწუხარება ახალგაზრდა პეტრეს ხშირად შეაქვს თავის დღიურში. მოვეხეტე შინ, ვამბობ იქნება რამ დავწერო მეთქი, მაგრამ მოვდივარ და შინ მეუბნება დედაჩემი: თეატრში ბრძანდებოდიო? და მოჰყვა იმის მომგონის ჩაქოლვასა, რომ ქალაქში არ ჩათესლუბულიყვნენ, რომ წირვაზე ვერ მოგვითმენია და თეატრში კი საეშმაკოთ დავდივართ. ცხვირით დამხვდა... გვიან რათ შემოდიხარო. არ ვიცი, სად რა მეშველება. არც კარზე ნუგეში, არც შინ მოსვენება. დაკარგე ენერგია, თუ მქონდა. მაშ რა იქნება; თავის დღეში ყველას მოკლებული ვყოფილვარ, შეჩვენებული სიცოცხლე მრგებია. ეხლა წერის გუნებაზე ვარ, მაგრამ აგერ საცაა დედა წამოიძახებს: დოვლათი მოგმატებია, დასწვი სანთელი, დასწვიო. დღე კატას უჭამია, რომ დღისით დასწეროვო. სამუდამოდ გაკვეთილი აქვს ეს სიტყვა. ხშირად ვივლიდი თეატრში, მაგრამ შინაური ბაიყუშობისაგან აღარა ვარ. ბარემ შემჭამოს ცხვირით (დედამ). წუხანდელი არ იყოს, — მოვედი (ბიჭიც ეშმაკად წავიდა სოფელში[1]), ფანჯარა ვაკაკუნე, ვერ გაიგო დედამ; კაკუნშიაც ერთი მინა გავტეხე და ისე შემოვედი... ახლა ამ შუშის დავა ნახე... ამაოებავ! ამაოებავ!"

რამდენიმე თვის შემდეგ პეტრემ ტერ-აკოფოვის პანსიონში მეთვალყურე მასწავლებლის თანამდებობას თავი დაანება, მაგრამ პანსიონის მეპატრონემ მალე ისევ მიიწვია მარტო ქართული ენის მასწავლებლად.

---

1 არ ვიცი, მოსამსახურე ბიჭზეა ლაპარაკი თუ სხვა ვინმე ბიჭზე. პეტრე და მისი დედა იმ პერიოდში ისე ღარიბად ცხოვრობდნენ, რომ მოსამსახურე ბიჭის დაჭერა ვერ უნდა შესძლებოდათ.

კვირაში უნდა მიეცა ორი გაკვეთილი, და გასამრჯელოდ ეძლეოდა გაკვეთილში ერთი მანეთი, ე. ი. თვეში სულ 8 მანეთი. გარდა ამისა, ამ ხანებში მან იშოვნა ერთი კერძო გაკვეთილიც, რომელშიაც 10 მანეთს აძლევდნენ. ამგვარად, მისი თვიური შემოსავალი ავიდა 18 მანეთზე. ახალგაზრდა პეტრე ამით ცოტა გახარებული კი არ არის. „გროშის ნატრული ვარ, რა ვქნა; ახლა ვალი ავიღეთ ორ თუმნამდის, ხუთის ამას წინათა. მადლობა ღმერთს, ეს ორიოდე ადგილი გამამიჩნდა... თვეში 18 მანეთს ვიღებ. ჯიბე სულ ცარიელი მაქვს. თეატრში მინდა წასვლა, — ფული არა მაქვს. — „ცისკარი" მამდის და ნისიათ ავიღე, 7 მანეთი კერესელიძეს („ცისკრის" რედაქტორს) უნდა მივცე, სამიც სახლისა მმართებს, — ამ ვალებსაც გადავიხდი".

იმავე ხანებში პეტრემ მიიღო ქართული ენის მასწავლებლობა აგრეთვე წერა-კითხვის სკოლაში, რომელიც ბატონიშვილის ერეკლეს თაოსნობით დაარსდა ტფილისში. გარდა ამისა, იშოვა კერძო გაკვეთილებიც. ამგვარად, მუდმივი შრომითა და გარჯით იგი ტერ-აკოფოვის პანსიონის გარეთაც ახერხებდა ორიოდე გროშის მოპოვებას.

ამ პირობებში ცხოვრობდა იგი გიმნაზიის დასრულების შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში, ე. ი. 1864 წლამდე.

სამწუხაროდ, არ მომეპოვება წერილობითი მასალა პეტრეს ჯაბუკობის დროისა, — ვინ იყვნენ მისი ახლობელი ამხანაგები, მეგობრები, ვის ჰქონდა, საზოგადოებრივი მიდრეკილების გაღვივების მხრივ, გავლენა მისი ხასიათის შემუშავებაზე, მამულიშვილური გრძნობის ჩანერგვასა და განმტკიცებაზე. მაგრამ — ეს იყო ხანა, როდესაც რუსეთის სამოციანი წლების იდეური მოძრაობა ჩვენშიც ვრცელდებოდა, — არ შევცდებით, თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთი ამხანაგები მას უეჭველად ჰყავდა. ვინაიდან მის იმდროინდელ შენიშვნებში, რომლებსაც იგი მხოლოდ თავისთვის სწერდა, მაშასადამე, იქ გულწრფელობაში ეჭვი ვერ შეიტანება, გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც ამტკიცებს, რომ 20—21 წლის პეტრეს უკვე აქვს გაღვივებული საზოგადოებრივი გრძნობა, აქვს სიყვარული ქართული მწერლობისა, — ახალის და ძველისაც, — და სურს მას ემსახუროს. — უკვე იწყებს იგი თავისი წვლილის შეტანას მწერლობაში, მონაწილეობს ქართული წარმოდგენების გამართვაში, აგროვებს წინანდელი მწერლების ნაწერებს, ადგენს გეგმებს მათი დაბეჭდვისათვის, აქტიურად მოქმედებს ამ მიზნით მოსწავლე ახალგაზრდობაშიც.

მაგალითად, 1861 წ. 3 თებ.: „ამ საღამოზე შევყარე ოთხი ყმაწვილი გიმნაზიიდან, მოვილაპარაკეთ და შევადგინეთ პატარა საზოგადოება. კვირაში ერთხელ შევიკრიბებით და ქართულ წიგნებს ვიკითხავთ, ვილაპარაკებთ და ნაწერებს გავარჩევთ... ერთიც უეჭველად მოგვემატება შემდგომში. ვინ იცის, კვირა და კვირა მოგვემატნენ. ჩემი ცდა ის იქნება, რომ პირველად ენაში ცოტაოდენი გაკეთდნენ, მამულის სიყვარული ჩაუვარდეთ გულში და შრომობდენ. ღვთით იმედი მაქვს. ამას გარდა სემინარიაშიაც ფეხის შედგმა მინდა. ღმერთო შენით. დღეის სწორს შევიკრიბებით და „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვას ვაპირებთ. ამას გარდა ვთხოვე, რომ რუსულითვან რამ გადმოსთარგმნონ“.

1860 წ. 25 ოქტ.: „... ერთის სიტყვით, როგორც მგონია, ჯერ წერის მეტ საქმით საქართველოს ვერ შევეწევი, ჯერ უნდა განვისწავლო ქართული ენა“. 3 ივნ.: „იქნება ასე მოვკვდე? ოჰ, ღმერთმა ნუ ინებოს, მე ბევრი რამა მაქვს ასასრულებელი“. 6 ენკენ.: „წრეულს 12. ქართველი შესულა (უნივერსიტეტში)... ნეტავი როგორც ბევრნი არიან, ისეც ბევრნი შეიძინონ სიკეთე, რომ მამულს გამოადგნენ“. 31 დეკ.: „შარშან ამ დროს მთაზე გავაცილე ძველი წელიწადი და ახალს დავუხვდი... ლხინივით მაგონდება მაშინდელი მგზავრობა, მთაზე რომ მივდიოდი ღულუნით, რომ გულიანად ვლოცულობდი საქართველოსთვის“... 1861 წ. 1 იანვ.: „მაგრამ რა უნდა ვთქვათ, რომ თავიანთ თავს თუ არ არიან რუსები, ჩვენთვის რა უნდა გააჩინონ და გააკეთონ. კიდევ იმედი მამულიშვილებზეა. თუმცა კი ჯერ ცოტანი არიან მამულის სიკეთისათვის მზათა. განათლებაა ჩვენთვის საჭირო, სახალხო განათლება“.

გიმნაზიელ პეტრეს, ყოველ შემთხვევაში გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უკვე აქვს კავშირი და დამოკიდებულება „ცისკრის“ რედაქციასთან. 1860 წ. დეკემბერში „ცისკარში“ (№ 12) იბეჭდება მისი პირველი ნაშრომი, — კარამზინის წერილის („Что нужно автору?“) თარგმანი: „მწერალს რა ეჭირვება?“ (მთარგმნელის ინიციალებით: „პ. უ.“). იგი უკვე იცნობს ი. კერესელიძეს. „ცისკრის“ რედაქტორს, რომელთანაც მსვლელობა აქვს და რომელსაც — ეს საყურადღებოა — სრულიადაც არ უცქერის, როგორც იტყვიან, ქვემოდან ზემოთ, არამედ მას კრიტიკულად ეპყრობა და შეფასებას აძლევს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პეტრე იმ დროს უკვე ერია მაშინდელი ინტელიგენციის წრეში, იცნობდა სტუდენტობას, ილია ჭავჭავაძეს და სხვებს

(1863 წელს ერთხანს „საქართველოს მოამბეშიც“ იყო კორექტორად) და, მაშასადამე, ჰქონდა შესაძლებლობა შედარებისა და განსჯის. თვითონაც ამბობს ერთ თავის წერილში („მოამბე“, 1900, 1, „ქართ. თეატრი და ლიტერატურა“): „ცხოვრებას მოჰბერა ახალმა ქროლამ, ბატონყმობის გადავარდნის დრო დადგა და შეარყია მთელი ჩვენი არსება ახალის ცხოვრებისათვის... ახალის ღონით, უმეტესის კრიტიკულის მხედველობით „ცისკარს“ შემოერია იმ დროს მოსწავლე თაობა, ჩვენი სტუდენტობა“... ჰო და, კერესელიძე — მაინც, რაც უნდა იყოს, მაშინდელი ქართული ჟურნალის რედაქტორი — მას გიმნაზიაში ახლად კურსდასრულებულ ყმაწვილ კაცს, სრულიადაც არ ეჩვენება ავტორიტეტად, ვინაიდან იგი მის შესახებ სწერს თავის რვეულში (1860 წ. 8 ივნ.): „ამ საღამოზე კერესელიძესთან წავიყვანე ღოღობერიძე და ლორთქიფანიძე... კერესელიძე ხომ საწყალი კაცია, მაგრამ მაინც სულ არაფერს ხომა სჯობია“... მოიპოვება პ. უმიკაშვილის დაუბეჭდავი ხელნაწერი 1861 წ. 27 ივნისის თარიღით (საქართველოს მუზეუმში), სადაც იგი ექომაგება ილია ჭავჭავაძეს და მის კრიტიკულ წერილს, მის ლექსებსა და ენას. ხოლო იწუნებს „ცისკრის“ რედაქტორისა და მის თანამშრომელთა როგორც ენას, ისე აზრსაც.

იმავე ხანებში, 22 წლის პეტრე ადგენს ძველი წიგნების გამოცემის გეგმას. პირველ რიგში მას უნდა გამოსცეს „დავითიანი“ და აზრად აქვს წინასწარი ხელისმოწერით შეაგროვოს გამოცემისთვის საჭირო ფული. 1860 წ. 8 ივნ.: კერესელიძეს „ფიქრში აქვს, როგორც თვითონა თქვა, ძველებური წიგნები დაბეჭდოს. მაგრამ ღონისძიება არა აქვს. რა უყოს. ჩემი მომავალი ერთი სურვილიც ეს არის: ერთი სტამბა გაიმართოს, რომ რაც ძველი წიგნებია და რაც ახალი, დაიბეჭდოს“. 30 ენკენ.: „კერესელიძესთან... მოვილაპარაკე ჩემ განზრახვაზე ძველის წიგნების დასაბეჭდავად საზოგადოს ხარჯითა, რომელსაც მე მოვაგროვებ. ვაპირობ, ვნახოთ (რა) მოგროვდება. ერთი წიგნი რომ დაიბეჭდოს, მეორეც მოჰყვება. მაგრამ ფულებს კერესელიძეს არ ვანდობ, თორემ შეშჯამს“. კერესელიძემ სთხოვა, რახან ამ ფულის მოგროვებას შეუდგები, „ცისკრის“ სიაც დაიჭირე და ხელისმომწერლები მომიგროვეო, — „ბიჭს არ ეპოებიანო. მე პირობა მივეცი. თუმცა ფიქრად არა მქონდა რა, გასამრჯელოდ თითო ხელისმომწერზე ათი შაური დამპირდა. თუ საკმაო ხელისმომწერი ვიშოვნე, ხომ რა კარგი. თუ შარ-

შანდელი რიცხვი დარჩა და გროშს არ ავიღებ. ჩვენი საჭიროებაა, რომ უნდა ლიტერატურას შევეწიოთ“.

მაგრამ პეტრეს იმედები არ გამართლდა, — ხელისმომწერლები ვერ იშოვნა; ვისთანაც მიდიოდა სიით, უარს ეუბნებოდნენ. 23 ღვინობ.: „სიების ტარებას მოვყევ. მაგრამ მგონია, „ცისკრის“ სიამ კი საქმე წამიხდინა. ჩამაცივდა კერესელიძე. მივიტანე ორივე სია, „ცისკრისა“ და წიგნისა, ერეკლესთან, გრ. დადიანთან, დიმიტრი ორბელიანთან. ქართველების წარმომადგენლებთან. პირველმა უარი მითხრა, — მე არ გიცნობო, ვინა ხარო. „ცისკრისგან“ ხელი ამილიაო. ორჯერ-სამჯერ მკითხა, ვინა ხარო. ჩემი სახელი არ ვუთხარი; რომ მეთქვა, — რას ნიცნობს, და სულერთი იქნებოდა. საშინლად გულნაკლული და შეურაცხებული მეგონა ჩემი თავი. მთელ დღეს საშინლად ვიყავი აშფოთებული, გამწარებული“. . . . „ცისკრის“ სიას თავი დავანებე და წიგნისას კი ვატარებ. ვნახოთ, რა მოგროვდება. ჯერ კი 20 მან. არ არის, დასაბეჭდად კი 200 მანეთია საჭირო“. . . — „ძველი წიგნების ბეჭდვის სიის ტარება თითქმის აღარ მინდა, არა გამოვა რა. ხელისმომწერნი იმდენი სად ვიშოვნო, რომ 200 მან. მოგროვდეს!“. . .

კარამზინის წერილის თარგმანს გარდა, პ. უმიკაშვილის ახალგაზრდობის ნაშრომს შეადგენდა „ანბანი“, რომელიც მან 1864 წელს დაბეჭდა. ეს იყო პირველი შაურიანი წიგნი ქართულ ენაზე; იგი სწრაფად გავრცელდა და მოკლე ხანში, 1865 და 1866 წ., კიდევ ორჯერ დაიბეჭდა.

1864 წელს პეტრეს შეუსრულდა, რასაც დიდი ხნიდან ნატრობდა, ის უმაღლეს სასწავლებელში შევიდა. ცოტაოდენი ფული ისესხა ნათესავებისგან და პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. იქ დარჩა შემოდგომამდის 1867 წლისა.

სტუდენტობის დროს ძალიან გატაცებული იყო მაშინდელი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოძრაობით, გულმოდგინედ კითხულობდა ჩერნიშევსკის. პისარევის და სხვა მოწინავე მწერალთა ნაწერებს, განსაკუთრებით მოხიბლული იყო ჟურ. „Современник“-ით (ამ ჟურნალის სრული კოლექცია შემდგომ, ტფილისში, მისგან შეიძინა გიორგი თუმანიშვილმა). ეცნობოდა აგრეთვე ქართული მწერლობის ძეგლებს, რომლებსაც ეძებდა და ნახულობდა ბიბლიოთეკაში და რუსეთის გადასახლებულ ქართველთა გვარეულობაში. ზოგი ქართული ხელნაწერი იქ შეიძინა კიდეც. გარდა ამისა, სტუდენტობის დროს მან დაბეჭდა

ტფილისში ერთი წიგნიც (1866 წ.): „ძველი ხალხების ცხოვრება. ინდოელები და ეგვიპტელები. 1 წიგნი“.

უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე მან ჩააბარა გამოცდა ქართული ენის მასწავლებლისა (იმ დროებში ქართული ენის მასწავლებლობისთვის უნივერსიტეტის მოწმობა იყო საჭირო). 1867 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა ტფილისში და შემდეგი წლიდან დაინიშნა ქართული ენის შტატის მასწავლებლად პირველ გიმნაზიაში. იმ დროს გიმნაზიის ყველა კლასში ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლებოდა. ეს წესი შეიცვალა 1874 წელს, როდესაც ქართული ენა „არასავალდებულო საგნად“ იქნა გამოცხადებული და განიდევნა საგანნაზიო პროგრამიდან. ქართული ენის მასწავლებელსაც ჯამაგირი გაუნახევრეს. ამ დროიდან დაწყებული ქართულ ენას ასწავლიდნენ ცხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში, ხოლო უმაღლეს კლასებში — მაშინ, თუ მშობლები და მოწაფეები მოისურვებდნენ. და პეტრე უმიკაშვილი, უკვე მოხუცებაში შესული, გულის ტკივილით მოიგონებდა ხოლმე იმ ქართველ მშობლებს და მოწაფეებს, რომელთაც, რაბან ქართული ენა სავალდებულო აღარ იყო, არ სურდათ ქართულის სწავლა და მას წერილობით თუ სიტყვიერად უცხადებდნენ: ქართულს მერეც მოვესწრებითო.

გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა დიდძალი უმრავლესობა მაშინ თავადაზნაურთა შვილებისგან შესდგებოდა. ბევრი მათგანი ოჯახშივე გადაჩვეული იყო ქართულს და ბევრ ქართულ ბგერას ვერ ამბობდა და ვერც სწერდა. მაგალითად, მაშინდელი მოწაფის ამილახვრის რვეულში ვხედავ, რომ დამწერს ვერ დაუძლევია: „წ“, „ძ“, „ჯ“ და სხვ. და სწერს: „ცავიდა კალაკში“, „ჩამა“ და სხვ. ამიტომ მკითხველს შეეძლია წარმოიდგინოს, თუ რა გულისხვეთქა უნდა ჰქონებოდა ამის გამო პ. უმიკაშვილს.

ტყუილად როდი აქვს მას თავის პიესაში („სამზადისი“) ასეთი დიალოგი შეტანილი:

მ ი ხ ე ი ლ: (პიესის რეპეტიციაზე): Фу, рас сукчნობაა ამ სოფელში... ნეტავი კალაკში მაინც ვიდგეტ.

რ ე ვ ა ზ ი: იფ, აფერუმ! ხა... ხა... ხა... მთელი მაყურებელი ხალხი აღტაცებაში მოვა! ხა... ხა... ხა!

მ ი ხ ე ი ლ: А что? разве что не так?

გ ი ო რ გ ი: Ну черт тебя возьми!.. Какой там калаки?.. რა ღვთის წყრომაა, ღუშელი კაცი ქართულს სად გადაეჩვიე?

პ. უმიკაშვილი ქართულ ენას ასწავლიდა გიმნაზიაში სრული 25 წლის განმავლობაში, 1868 წლიდან 1893 წლის შემოდგომამდის. მას ჰქონდა აგრეთვე ქართული ენის გაკვეთილები ქალთა ინსტიტუტში. 25 წელიწადს ეწევოდა იგი ამ უმადურ შრომას, ასწავლიდა მაშინ ყველასაგან მოძულებულ ქართულ ენას. მისი ჯამაგირი იყო გიმნაზიაში 33 მ. და 33 კ. თვეში[1] და — როდესაც ინსტიტუტშიც მიიღო ქართული ენის მასწავლებლობა — იმდენივე აქაც. ამ სამსახურს არ მოუპოვებია მისთვის არც „ჩინები“ და არც პენსია. იგი, როგორც „არასავალდებულო საგნის მასწავლებელი“, უპენსიოდ გაისტუმრეს გიმნაზიიდან. ბევრი თხოვნა სწერა პეტრემ ამის გამო სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და სწავლა-განათლების სამინისტროს, მაგრამ დელიანოვის სამინისტრომ მის თხოვნა შუამდგომლობაზე ცივი უარი უთხრა. მიმართა თხოვნით იმპერატრიცა მარიამ ფეოდოროვნასაც, რომლის უწყებაშიაც ქალთა ინსტიტუტი შედიოდა, მაგრამ აქაც უარი მიიღო.

II

როგორც აღვნიშნე, პ. უმიკაშვილი სტუდენტობამდე და სტუდენტობის დროსაც იღებდა მონაწილეობას ქართულ მწერლობაში. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ იგი რეგულარულად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, და ეს თანამშრომლობა მას არ დაუგდია სიკვდილამდე. 1867 წლიდან წერილებს ბეჭდავდა, ზოგს საკუთარი სახელით, ზოგს პსევდონიმებით („ანჩისხატელი“. „მ. პეტრიძე“), ზოგსაც ინიციალებით („პ. უ.“, „პ.“), ჟურნალ გაზეთებში: „დროებაში“, გ. წერეთელის „კრებულში“, „სასოფლო გაზეთში“, ჟურნალ და გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“ (პირველ ხანებში), ჟურნ. „მოამბეში“ და გაზ. „ცნობის ფურცელში“. „მოამბეშივე“ იყო დაბეჭდილი (1899 წ., X და XI) მოთხრობა „ლაზარილიო ტორმესელი“ (თარგმანი), რომელიც 1900 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა[2]. ერთი

1 მის ქაღალდებში არის მისი მინდობილობა მასწავლებლის ოქროპირ ხევცურიანის სახელზე, სადაც იგი სთხოვს ამ უკანასკნელს; აიღოს გიმნაზიაში მის მაგიერ მისი კუთვნილი თვიური ჯამაგირი 33 მან. და 33 კაპ.

2 ამ მოთხრობის მეორე გამოცემა გამოვიდა 1933 წელს.

მისი წერილი (უკანასკნელი, ქართ. მწერლობის შესახებ) ვალ. გუნიას 1904 წლის „საქართველოს კალენდარშიც“ არის დაბეჭდილი. „სასოფლო გაზეთი“ 1873 წელს გ. წერეთელმა გადასცა მას, და 1874 წლიდან 1880 წლამდე მისი რედაქტორობით გამოდიოდა. ამ წელს პ. უმიკაშვილი იძულებული გახდა ეს გაზეთი მოესპო, რადგან ხელისმომწერლები ცოტა ჰყავდა და თვითონ კი საჭირო სახსარი არა ჰქონდა. „სამი წელიწადი, — სწერს იგი, — ვაწოწიალებდი 1878 წლიდამ, ეგებ გახდეს რაიმე მეთქი და, რაკი ვერა იქნა რა, მოვსპე... მგზავრობის დროს ან თვით ქალაქში საკუთრად ჩემთან რედაქციაში მოსულ გლეხებისგანაც მესმოდა (გაზეთის მოწონება), ჩემი ჯილდოც ეს იყო... თანამშრომელი კი არავინ მყავდა. პირიქით, დამცინოდნენ და ჯორებით ოსუნჯობდნენ. მაშინ სოფლებში კორესპონდენტები გავიჩინე, და ზოგნი დღესაც სწერენ. ეს მხოლოდ მიწერმოწერით ან სოფლებში გავლით და ყოფნით მოხერხდა. ძნელად ვებედავდი „სასოფლო გაზეთის“ მიღებას; მოსპობა უფრო გამიძნელდა და გამიმწარდა. მაგრამ არავითარი ღონე არ იყო“[1].

რადგან მე ამ წერილში პ. უმიკაშვილის ნაწერების კრიტიკულ გარჩევა-განხილვას არ ვიძლევი (ამას ცალკე ნარკვევი ექნება მიძღვნილი), არამედ მარტოოდენ ბიოგრაფიულ მიმოხილვას, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი საჟურნალ-გაზეთო წერილებისა და ფელეტონების საგანი იყო მწერლობა, მწიგნობრობის საქმე, თეატრი, სახალხო სწავლა-განათლება, სკოლები, ქართული ენა, სასოფლო მმართველობა, სასოფლო ბანკები, სურათები (სცენები) ტფილისის ცხოვრებისა, სურათები სოფლის ცხოვრებისა (ფელეტონებში), წერილები მაპმადიან საქართველოზე, წერილები სომეხთა მწერლობასა და ცხოვრებაზე და სხვა. „ჩემი სურვილი იყო, — სწერს იგი, — დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღვიძებას, აღმეძრა მასში ჭეშმარიტების სიყვარული, კაცობრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმცნობელობა, თვითმოქმედება და საზოგადოდ მოქმედება ქვეყნისა და ერის წარმატებისათვის“[2] და უმატებს მეორე ადგილას:

„პოლემიკას არ მივდევდი და ჩვენებური პოლემიკა მძულდა და მოპოლემიკეებთან შინაურულად, და არა წერით, მიჩხუბნია. თუ მომიხ-

---

1 ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ. № 123.

2 იქვე.

დებოდა, ვცდილობდი სრულებით არ შევხებოდი რომელიმე გადაკრული სიტყვით“.

და ეს მართალი არის. კერძო წერილებშიც ხშირად აქვს ეს აზრი გამოთქმული. „ივერიის“ პოლემიკა „Новое обозрение“-სთან არ მომწონს, — მწერდა 1898 წ. — ...ქართველობა სულ გადარეულია, აქაურობა „კავკაზ“-ის და „ივერიის“ მომხრეა... რომ ვებაასები, ვილანძღები, და მრუდედ დამიწყეს ცქერა. მაგრამ ვგონებ ცოტა შეფიქრებაც მოუნდათ, მე ხომ საფერი არაფერი მაქვს, რაც მყვარებია, კიდევ მიყვარს, და ცილს ვერ დამწამებენ“. მეორე წერილში კიდევ (1900 წ.): „წაიკითხავდი გაზეთებში გიორგი წერეთლის გარდაცვალებას. წერეთელი მიყვარდა, როგორც ქვეყნისთვის მზრუნველი კაცი, მაგრამ არ მიყვარდა მისი პოლემიკა, როგორც ნიკოლაძისა, ხონელისა და სხვებისა, თუნდა ზოგი (ილია) ჭავჭავაძისა, პირად მტრობასავით გამოსახული; არ ვეთანხმებოდი ზოგ მის აზრებს, მაგრამ თავიდამვე მასთან ვმუშაობდი და ეს მუშაობის დრო სიამოვნებით მაგონდება“...

მართალია ისიც, პ. უმიკაშვილი რომ ამბობს, სოფელში კორესპონდენტები გავიჩინეო. „სასოფლო გაზეთის“ გამოცემასთან დაკავშირებით იგი ცდილობდა დაახლოვებოდა სოფლის ხალხს, ეშოვნა თანამგრძნობნი, გაზეთისათვის ცნობების მიმწოდებელნი და ხალხში გაზეთის გამავრცელებელნი. განსაკუთრებით ცდილობდა გაევრცელებია სოფელში შემნახველ-გამსესხებელი სალაროები, და ამისთვის აწარმოებდა დიდ მიწერ-მოწერას თავის კორესპონდენტებთან, გზავნიდა სოფელში წესდებას, სათანადო დავთრებს და ინსტრუქციებს. ზაფხულობით, როდესაც სასკოლო არდადეგები დაუდგებოდა, მოგზაურობდა სოფლებში, ეცნობოდა იქ ხალხის ცხოვრებას და იძენდა ნაცნობ-მეგობრებს. ეს მეგობრები იყო სულ დაბიო ხალხი. მათი მეგობრობა მას დიდად ახარებდა, თუმცა ცოტა ჯაფას კი არ უჩენდა, არც ცოტა ხარჯს, რომელიც საკმაოდ საგრძნობი იყო მისი მჭლე ბიუჯეტისათვის. სახელდობრ: ეს მეგობრები მას მუდამ სთხოვდნენ წიგნებსა და გაზეთებს. და პეტრე აუარებელ დროს ანდომებდა ამ წიგნების და გაზეთების სხვადასხვა ადგილებში გზავნას. ამ გზით იყო, რომ მან აქა-იქ აგენტებიც გაიჩინა ხალხში წიგნების გასასაღებლად. მისი სოფელი მეგობრებისაგან მრავალთმრავალი მადლობის წერილი მოსდიოდა, რასაც იგი, როგორც თვითონ ამბობს, თავის „ჯილდოდ“ სთვლიდა.

აღვნიშნავ აქ, მაგალითისთვის, გრემისხეველი გლეხის, ბრმა ალექსი გოძიაშვილის მადლობას, რომელიც ლექსად არის პ. უმიკაშვილის სახელზე დაწერილი (1878 წ.):

„გაზეთები მოგვივიდა ოცდახუთსა თებერვალსა
თქვენგან, მოწყალე ბატონო, ჩვენთვის რომ ზრუნავთ კარგსა.
თქვენი ტკბილი დარიგება ერთობ მოეფინა ერსა,
ამ წუთისოფლის ამბავი თქვენგან ვისწავლევით ჩვენცა.
მხნეობით გარჯილობაზედ გვაქეზებთ, გვიმართავთ ხელსა,
ყველაფერიც სწავლით გახლამთ, ხომ მოგეხსენებათ თქვენცა.
საზოგადოს ნებადართვით ამას მოგახსენებთ მეცა,
რამდენსაც წირვას მოვისმენთ, მუდამ შეგაევედრებთ ღმერთსა“.

თურქეთთან ომის შემდეგ ბათუმის მხარე შემოუერთდა რუსეთს. რუსეთის მთავრობის დამყარების გამო ხალხმა იწყო თურქეთში გადასახლება. პ. უმიკაშვილი გაემგზავრა აჭარაში ხალხის შესაყენებლად და მისი მღვომარეობის გასაცნობად. იქაც ბევრი ნაცნობი გაიჩინა. რომელთაგან ზოგიერთებს შემდეგ ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ მასთან. დაცული წერილებიდან ვხედავთ, რომ ასეთი ხშირი მიწერ-მოწერა აქვს, მაგალითად, ვინმე შაქირ ეფენდი მიქელაძეს, რომლისთვისაც პ. უმიკაშვილს ქართული წერა-კითხვა უსწავლებია აჭარაში. ეს მიქელაძე ხშირად სთხოვს მას გაზეთს და წიგნებსაც თავისთვის და ხალხში დასარიგებლად. და პ. უმიკაშვილი მას უგზავნის ნათხოვნს და წერილებსაც, და თან ამ წერილებს განგებ ისე მსხვილი ასოებით სწერს, როგორც მოწაფე, რომ მისი წაკითხვა მიმღებს არ გაუძნელდეს. „თუ მართლა გნებავთ ქართული წიგნი, — სწერს იგი ერთ წერილში, — დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით, რაც შემეძლება. გაზეთიც გამოდის ქართულად და წიგნებიც ბევრი იბეჭდება ტფილისში. სასიამოვნო იქნება, რომ აქედან გასულმა გურჯებმა თავისი ენა არ დაივიწყონ და წიგნი იცოდნენ. მე ამ წიგნს დიდროვან ასოებით გწერთ. მეშინია, იქნება ესეც ვერ წაიკითხოს და გაუჭირდეს, — ვფიქრობ, — ამიტომ თათრულადაც ვაწერინებ ჩემს ნაცნობსა“.

სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს პ. უმიკაშვილი ცდილობდა ოჯახებში მოეკითხა, გაეცნო და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მოეპოვა ქართული ხელნაწერი წიგნები და საისტორიო მასალები. ამიტომ იგი მგზავრობის წინ აღიჭურვებოდა ხოლმე ვინმე გვაროვანი პირის რეკომენდაციით. მაგალითად, ერთ ამგვარ „რეკომენდაციაში“,

რომელიც მისთვის მიუცია თავ. ნ. დიასამიძეს (1880 წ.), ვკითხულობთ: „საყვარელო დაო მაიკო[1]. ამ წიგნის მამტანი არის ჩვენი ქართული ენის გამამშვენებელი და მცდელი, რომ დაწინაურდეს. ამასთანავე ცდილობს ძველი წიგნების პოვნას. სახელი და გვარი მისი: პეტრე უმიკაშვილი. რაიცა შეიძლებოდეს, შემწეობა გაუწიეთ. თუ ძველი წიგნები გქონდეთ, მიეცით, — გასინჯავს, ისევ მოგიტანს, ჩემი კარგი ნაცნობია". ამგვარად და სხვა გზითაც მოგროვილი ხელნაწერი წიგნები და მასალები, რიცხვით დაახლოებით 80 ნომრამდე, რომლებშიაც ერია იშვიათი და ერთადერთი ეგზემპლარები გამოჩენილ მწერალთა და მეფობის მოღვაწეთა, პ. უმიკაშვილმა შემდეგში (თავის სიცოცხლეშივე) შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.

გარდა ამისა, ასეთი მოგზაურობის დროს პ. უმიკაშვილი აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. აგრეთვე აგროვებდა თავისი მოწაფეების და ნაცნობების საშუალებითაც. ამგვარად მას თანდათან მოუგროვდა კარგა დიდი მასალა ხალხური სიტყვიერებისა, როგორც მის მიერ შეკრებილი, ისე მის ნაცნობ-მეგობრებისაგან გამოგზავნილი. ამ მასალიდან „ანდაზები" (1876 წ.) და „სახალხო ლექსების" პატარა კრებული კიდეც დაბეჭდა. მაგრამ უდიდესი ნაწილი მაინც გამოუცემელი დარჩა. მის ქაღალდებში ვნახე შენიშვნა სამახსოვროდ (1903 წ.), სადაც უწერია, რომ „მომავალ წელს უნდა შევუდგე სახალხო სიტყვიერების გამოცემასო". მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა და სწორედ „მომავალ წელს" იმსხვერპლა. სიკვდილის წინ მან მე მომანდო ამ მასალის გამოცემა. მრცხვენია იმის მოგონება, რასაც ამის გამო ვწერდი 30 წლის წინათ: „ვიმედოვნებ, რომ მოკლე ხანში შევძლებ მის დალაგებას და ერთად გამოცემას" მეთქი. ის „მოკლე ხანი" ოცდათორმეტ წელიწადად გადაიქცა, — აღნიშნული მასალა მხოლოდ დღეს იბეჭდება. თუმცა ამ დაგვიანებას ბევრი მიზეზი — იქნებ საპატიოც — ჰქონდა, მე მაინც — ვიცი — ვერავითარი მიზეზი ვერ გამამართლებს: ეს საქმე მე დღეს კი არა, ათეული წლების წინათ უნდა შემესრულებია, — ყოველ მიზეზს გარეშე.

ხალხური სიტყვიერების მასალის მოგროვებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა სახალხო წიგნაკების

---

1 დამწერი მიმართავს მარიამ დავითის ასულს გურამიშვილს.

შედგენისათვის და მით ხალხში წერა-კითხვის გავრცელებისათვის. „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორობის დროს მან გამოსცა (სტეფანე ზარაფოვის გამომცემლობაში) „სიბრძნე-სიცრუის“ რჩეული იგავ-არაკები და მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ბროშურა „ყვავილის' აცრაზე“, აგრეთვე (1878 წ.) „დედანი ქართული წერისა“ (პირველი ქართული დედანი იყო). გარდა ამისა, მან გამოსცა რამდენიმე წიგნაკი, რომლის შინაარსი უკვე ხალხში გავრცელებული თქმულებიდან იყო აღებული. „რადგანაც, — სწერს იგი, — ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, უსკოლობის გამო, გაძნელებული იყო, წვრილი წიგნების ბეჭდვას ვეხმარებოდი. ხელნაწერებს ადრიდანვე ვკრებდი. ამ ხელნაწერებს ყურადღება მივაქციე, ზოგი ისეთი აღმოჩნდა, რომელშიაც ემჩნეოდა შეუჩვეველის ხელით ნაწერობა და ერთი და იგივე ამბავი ათთხუთმეტ სხვადასხვა წიგნში ერთი და იგივე იყო. ამ ამბავმა ჩამაგონა: ეს ამბები გავრცელებულია სიტყვიერად და დაბეჭდილიც მალე გავრცელდება მეთქი“. ამ მიზნით მან სხვადასხვა ვარიანტების შედარების საფუძველზე იწყო წიგნაკების შედგენა და 1874—1877 წლებში არსენ კალანდაძის სტამბას დააბეჭდვინა: 1) „არსენას ლექსი“, 2) „ბეჟანიანი“, 3) „ალექსიანი“, 4) „ქალ-ვაჟიანი“ და 5) „ვარდ-ბულბულიანი“. „უკეთესი იქნებოდა, რასაკვირველია, — სწერს თვითონ პ. უმიკაშვილი, — მომეტებულ შინაარსიან თხზულებათა გამოცემა, მაგრამ მრავალი რამ დაბრკოლება დღევანდლამდე არ აკვიშორებია: მომზადება, ცოდნა და ძალა მწერლებისა, ცოდნა ხალხის გემოვნებისა, ნივთიერი ხელმოკლეობა და სხვანი და სხვანი... ხელნაწერების გასასინჯავად და ტექსტის აღსადგენად ზოგისა ათი-თორმეტი ვარიანტი უნდა შემეთანხმებინა. . . გამოვიდა თუ არა, ძალიან გავრცელდა ხალხში. . . ხსენებულ წვრილ მოთხრობებში ისეთი ამბები იყო, რომ ხალხი სიყვარულით და სიამოვნებით კითხულობდა და კითხულობს. ისეთი რაღაც, ჩანს, ყოფილა იმ ამბებში, რომ ხალხს რაღაცა თავის სულის საზრდოდ ეგულება. და ეს ამბები არამც თუ ჩვენშია, — სხვა ხალხშიაც არის თურმე იმგვარადვე მიჩნეული. მაგალითად, გეტეს თხზულებათა შორის გვხვდება „ალექსიანის“ ამბავი (იხ. VIII ტომი, გერბელის გამოც. 1879 წ., „წერილები შვეიცარიიდან“, გვ. 449). . . მე მიხაროდა, რომ დაიძრა სურვილი წიგნაკების გამოცემის და ხალხში ყიდვის, ე. ი. კითხვის ხალისი. მე მკიცხავდნენ თითქმის ყველანი,

ჩვენი მწერლები, სიტყვიერად და ზოგჯერ ბეჭდვითაც. მაგრამ ჩემი პასუხი ეს იყო: „დეე, დაიძრას ეს ნაკადული. ახლად მოვარდნილი წყალი ბევრს ნაგავს მოიტანს, მაგრამ მერე დაწდება და წმინდა სასმელ-საზრდოსაც მოგვცემს". მე მეუბნებოდნენ, თავიდამვე წმინდა უნდა მოდიოდესო, და თვითონ თამაშას უყურებდნენ"[1]. და მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ ამ იქნებ დასაწუნი წიგნაკების საშუალებით ჩვენში მრავალთმრავალმა ისწავლა იმ დროში წერა-კითხვა, მე თვითონ ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი მინახავს ამის მაგალითი.

ასე უცქეროდა პ. უმიკაშვილი ამ წიგნაკების გამოცემას და გავრცელებას. რახან წიგნაკებს ხალხში გასავალი ჰქონდა, მათ გამოცემას ხელი მიჰყვეს, უმიკაშვილის დაუკითხავად, სხვა გამომცემლებმა: კალანდაძის გარდა, ახპატელოვმა, მდივანოვმა და ბევრმა სხვამ. თანაც წიგნაკებს, პეტრეს სურვილის წინააღმდეგ, ორ შაურ ფასს ადებდნენ. მოინდომა პ. უმიკაშვილმა თავისი, როგორც შემდგენელის, უფლების დაცვა, დაადებინა (1887 წ.) წერილობითი პირობა კალანდაძეს, ახპატელოვს, მგონი მდივანოვსაც, რომ, კერძოდ, „არსენას ლექსი" მათ მხოლოდ მისი ნებართვით გამოეცათ, თითო გამოცემიდან მისთვის 200 ცალი ჩაებარებიათ და ფასად აუცილებლად შაური დაედვათ. რასაკვირველია, გამოცემაზე ორასი შაური მისთვის არ იყო საინტერესო, ამას იგი არც ეძებდა,[2] მაგრამ მისი უამრავი კორესპონდენტები სოფლებიდან ყოველთვის წიგნებს სთხოვდნენ, და მას უნდოდა გასაგზავნი რამ ხელთ ჰქონებოდა. ამასთანავე უნდოდა გამომცემლებს წიგნაკები არ გაეძვირებიათ. მაგრამ წერილობითი პირობითაც არა გამოვიდა რა, და აღნიშნულ წიგნაკებს ყველა ბეჭდავდა, ვისაც მოეპრიანებოდა. ამის გამო მას 1904 წლის დამდეგს უსიამოვნო ლაპარაკიც მოსვლია სერგეი მდივანოვთან. პ. უმიკაშვილის ქაღალდებში მოიპოვება ამ უკანასკნელის წერილი იმ უსიამოვნო ლაპარაკის გამო. წერილი ოთხ გვერდზეა გაჭრელებული და თავიდან ბოლომდის ამ კრიმანჭულზეა დაწერილი: რომ მისი დამწერი, ს. მდივანოვი, არის ქრისტიანი, ქრისტეს მოსავი, მორწმუნე ქრისტესი, ქრისტეს მცნების ამსრულებელი, იდუმებს ენას

[1] იხ. პ. უმიკაშვილის ხელნაწერი შენიშვნა „ალექსიანზე".

[2] „მე ჩემს დღეში არ მიფიქრია. — სწერს იგი (1893 წ.) ალ. ნანეიშვილს, — და არც ვფიქრობ, ჩემის ნაწერებისთვის ამეღო ფული; ვიცი, რომ ჯერ ამის ღონე არა აქვს ჩვენს მწერლობასა".

ქრისტეს გულისთვის, — ქრისტე და ქრისტე, ერთი სიტყვით ისეა შეთხზული, რომ თუ მდივანოვი ამ კილოთი ელაპარაკა უმიკაშვილს, პეტრეს კი არა, იობსაც გამოიყვანდა მოთმინებიდან.

გარდა ამისა, პ. უმიკაშვილის მოღვაწეობაში მთავარ საგანს შეადგენდა ქართველ მწერალთა — ძველთა და ახალთა — ნაწერების გამოცემა. ის სიყვარული მწერლების გამოცემისა, რომელიც მას, როგორც მოეიხსენიე, უკვე ახალგაზრდობაში უღვივოდა, შერჩა სიბერემდის. ახლანდელ ახალგაზრდობას არ შეუძლია წარმოიდგინოს ის სიღარიბე ქართული გამომცემლობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ 50—60 წლის წინათ. არ არსებობდა სრული გამოცემები ცნობილ მწერალთა და პოეტთა ნაწერებისა. პ. უმიკაშვილი, როგორც მასწავლებელი, ახლოს იყო მოზარდ თაობასთან და მწვავედ გრძნობდა ამ ნაკლებობას, რადგან არ შეეძლო ქართველი მწერლების ნაწერები მოწაფეებისათ-, ვის მიეცა ხელში და ამგვარად ქართული ენის და მწერლობის შესწავლა გაეადვილებია. ამ ნაკლის შესამცირებლად მან პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, დაიწყო ქართველი ავტორების ნაწერების შეგროვება და გამოცემა. ზოგს თავისი ხარჯით ბეჭდავდა, ხოლო უფრო ხშირად თვითონ სარედაქციო შრომას ეწეოდა და წიგნს სხვადასხვა გამომცემლებს აბეჭდვინებდა.

„დიდ საჭიროებად მიმაჩნია, — სწერს იგი 1890 წ.[1], — ქართველი მწერლების გაცნობა. ლიტერატურის ისტორიის ცოდნა თვით ავტორების გაცნობით ყველა განათლებულ ერში, ოჯახში და სკოლაში უეჭველ საჭიროებად ითვლება, — მხოლოდ ჩვენ უმეცარ და ვითომ ნასწავლ საზოგადოებაში შეიძლება ამაზე ბაასი. ვინც ერთხელ აყალმაყალს სტეხდა ავტორების გამოცემის საჭიროებაზე, ისინიც კი, როდესაც ხელი მოვკიდე, დამცინოდნენ და ახლაც დამცინიან ამ სიტყვების გამოთქმით: „უმიკაშვილი, ძველი წიგნების მბეჭდავიო“[2]. მაგრამ მე რა მენაღვლება, მოზარდი თაობა სწავლობს და კითხულობს. ეს განზრახვა ამისრულდა ცოტაოდნად“...

მისი რედაქტორობით დაიბეჭდა საბას „სიბრძნე სიცრუისა“ (სრული ტექსტი, 1871 წ.), დ. გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი ნა-

---

[1] იხ. აღნიშნული ავტობიოგრაფია.

[2] მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ერთ თავის საოხუნჯო ფელეტონში („Нов. обозр.“ 1887 წ. № 1298) „гробокопатель“-ს უწოდებს პ. უმიკაშვილს.

წილი (1870 წ., გიორგი წერეთელთან და ნიკოლოზ ბერძენოვთან მისი თანარედაქტორობით), გრიგოლ ორბელიანის ლექსები (1873 წ.), ნიკ. ბარათაშვილის ლექსები (1871 წ., მისი მონაწილეობით), გურამიშვილის „დავითიანი“ (სრული გამოც., 1880 წ.), ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, 1 ნაწ. (1881 წ., მასთან ერთად ილია ჭავჭავაძის და გიორგი თუმანიშვილის რედაქტორობით), „ვისრამიანი“ (1884 წ., მასთან ერთად ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე სარაჯიშვილის რედაქტორობით), „დასტურლამალი“ მეფის ვახტანგისა (1886 წ.), ვახტანგ ორბელიანის ლექსები (1894 წ.). მეტწილ ამ გამოცემებს პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა აქვს დართული.

პ. უმიკაშვილი სწუხდა მხოლოდ, რომ მწერლების თხზულებათა გამოცემის საქმე სასურველი სისწრაფით არ მიდიოდა წინ. იგი სწერს ერთ ადგილას შენიშვნად 1903 წ.: „სამწუხაროა, რომ ავტორების სრულ თხზულებათა გამოცემა ძალიან მძიმედ მიდის და მოსწავლეთაობა და საზოგადოება მოკლებულია ღონისძიებას ქართული მწერლობის შესწავლისათვის, ურომლისოდაც ყოველთვის იკოჭლებენ ჩვენი დროის მწერლები“.

გამოსაცემი ტექსტების გასინჯვას და დასაბეჭდად მომზადებას გასაოცარი კეთილსინდისიერებით ეპყრობოდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რიგიანად ყოფილიყო გამოცემული, რისთვისაც იგი, შეიძლება ითქვას, სხვების ნაწერებს მეტის ყურადღებით ეკიდებოდა, ვიდრე თავის საკუთარს. მაგალითად, იგი სწერს ზესტაფონიდან (1894 წ. 25 ივნ.) იაკობ გოგებაშვილს: „ვახტანგ ორბელიანის ლექსების გამოცემისათვის, რაც დასამატი იყო, დაგიბეჭდიათ ჩემს გაუსინჯველად და კორექტურის დაუჭერლად... მე ეს გარემოება მაკვირვებს. ნუ თუ უარყოფა ჩემი უფლებისა ჩემის მეგობრებისაგან უნდა ვნახო... ჩემგან დადგენილი რიგი შეგიცვლია შენა და არაფერს კი არ მატყობინებ! ეს როგორი საქმეა, სადაურია, რომელ სალიტერატურო შრომაში გაგონილა? მე მწყინს, ძალიან მწყინს და გთხოვ გამომიგზავნო ყოველივე, რაც ჩემ უნახველად დაგიბეჭდვინებია... ვახტანგის ლექსებზე მე მცირე შრომა არ დამიდვია, ისე როგორც სხვა მწერლების გამოცემაზე. თუ ჩემ საკუთარ წერაზე ისე არ მიბეჯითნია, როგორც სხვების ნაწერების გამოცემაზე, ვგონებ არავის ნება არ ჰქონდეს მსჯიდეს. შენი თავი რად დაივიწყე და სხვებს გამოუდეგიო. გთხოვთ ჩემ უნახველი არ გამოუშვათ წიგნი“.

დაბოლოს, თეატრი! ქართული სცენისა და სათეატრო ხელოვნების საქმეშიც ცოტა ღვაწლი არ მიუძღვის პ. უმიკაშვილს. მე [illegible] აღვნიშნე. რომ მას ახალგაზრდობაშივე უყვარდა თეატრი და გიმნაზიის დასრულების შემდეგ იღებდა მონაწილეობას ქართული წარმოდგენების გამართვაში, ასევე მონაწილეობდა იგი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგაც წარმოდგენების მოწყობაში სცენის მოყვარეებთან ერთად, ქართული მუდმივი სცენის დაარსებამდე (1879 წ.). მუდმივი სცენის დაფუძნების შემდეგ დასწერა რამდენიმე პიესა: „მისანი", სამმოქმედებიანი კომედია (1879 წ.), „ოინი ანუ მახლასა ჯოჯოხეთში", ფარსი (1883 წ.); „ალერსთა ბადე", ოთხმოქმედებიანი კომედია (რუსულიდან გადმოკეთებული, 1885 წ.); „დამარცხებულნი", ოთხმოქმედებიანი დრამა (1888 წ.); „სამზადისი", სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა (1892 წ.);[1] „ბენეფისის წინ", სურათი ერთ მოქმედებად თეატრის ცხოვრებიდან (1898 წ.); „გოლდონი", ისტორიული კომედია ოთხ მოქმედებად პაოლო ფერარისა (1903 წ.). ეს პიესები, გარდა უკანასკნელისა, რამდენჯერმე ყოფილა ქართულ სცენაზე წარმოდგენილი.

„გოლდონის" იტალიურ ტექსტს კარგა ხანს აძებნინებდა ევროპაში ნ. ღოღობერიძეს (იტალიური ენა პ. უმიკაშვილმა იცოდა და შეეძლო თარგმნა). ბოლოს მიიღო დედანი, და იგი სწერს ამის გამო ნ. ღოღობერიძეს (1903 წ. 12 ნოემბ.): „. . .ძალიან მასიამოვნა, რომ რუსული თარგმანი ნამდვილი კარგი თარგმანი აღმოჩნდა, რომელზედაც მე ცოტა ვეჭვობდი. სამწუხაროდ დამირჩა, რომ (პიესის) ილუსტრაცია ვერ გიშოვნია. თუ მანდ იტალიაში ყოფნის დროს ამასაც მიშოვნი და მეტადრე თუ ფერადი ფერით იქნება (რადგანაც ტანთჩაცმის მოსაწყობად ქართულ სცენაზედ საჭიროდ მგონია). ძალიან დაგიმადლებ. მე მსურს, რომ ეს პიესა ქართულ სცენაზე კარგა იყოს მოწყობილი. არ ვიცი, მოვახერხებთ ამ სეზონში პიესის დადგმას თუ არა. ჩვენმა არტისტებმა აბაშიძემ, გუნიამ და მესხმა წაიკითხეს სულ თარგმანი, ძალიან მოსწონთ. თვით პიესა მშვენიერია და ჩვენს არტისტებს არ გაუძნელდებათ, თუ როლები კარგად ისწავლეს, და მე ჩემი მხრით ნებას არ მივცემ, სანამ კარგა არ ეცოდინებათ".

პ. უმიკაშვილის ქაღალდებში მოიპოვება კიდევ ერთი დასრულებული პიესა, რომელიც, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა სცენაზე წარ-

---

1 დაბეჭდილია ამხ. „ცისკრის" გამოცემაში 1905 წ.

მოდგენილი: „ქალის როლები“, ერთმოქმედებიანი ვოდევილი (1879 წ.), აგრეთვე რამდენიმე დაუსრულებელი პიესა ანუ პიესის ფრაგმენტი („ორი ჯორი“, „მზეჭაბუკი“, „აბესალომ და ეთერი“, „აჩრდილთა სავანე“, „სურათი“ (ს. მესხის სარედაქციო მუშაობისა), „ინტერმედიასაეით“, „ცილისწამება“) და მოლიერის „მიზანტროპის“ და ოსტროვსკის „Свои люди — сочтемся“-ს თარგმანი.

პ. უმიკაშვილი დიდი მოყვარული და ქომაგი იყო ქართული თეატრის და მუდამ ქართული სცენისა და დრამატიული საზოგადოების ირგვლივ ტრიალებდა. ერთხანს (1892—93 წლებში) ამ საზოგადოების გამგეობაშიაც იყო. მან ამ დროს წესრიგში მოიყვანა თეატრის გარდერობი და ბიბლიოთეკა[1]. იმ დროს ბევრ მსახიობს ჰქონდა პ. უმიკაშვილისაგან თავი მობეზრებული, რადგან მათ თეატრის გარდერობი და პიესები გაბნეულ-გამობნეული ჰქონდათ და პეტრე დაეინებით მოითხოვდა დაბრუნებას და კატალოგებში შეტანას. თვითონ ამის შესახებ სწერს ერთ წერილში (1893 წ. 24 იანვ., ალექს. ნანეიშვილს): „...დრამატიული საზოგადოების მმართველობაში ჩავდეგი, მდივნად დამაყენეს. ვტრიალებ. ოხრად გდია საქმეები, და ქვეყნის სირცხვილი თავს გვეყრება. იქაც ყველაფერი თითქმის ღვთის ანაბარას ვდია, არავის ზრუნვა და შრომა არა ჩანს, კვირაში ერთ საღამოს ორიოდ საათის კრების მეტი. ყველა ლუკმა პურს მოსდომებია, დრო აღარა გვაქვსო. ვართ ასე წყალწაღებულები“. უნდოდა, სხვათა შორის, დრამატული საზოგადოების გამგეობასთან სპეციალური სათეატრო ბიბლიოთეკის მოწყობა, სადაც უნდა მოეგროვებინათ საჭირო და გამოსადეკი თხზულებები როგორც რუსულ, ისე ევროპულ ენებზე. ამის გამო მან თხოვნა-ვედრებითაც კი მიმართა ალ. სუმბათოვს (იუჟინს) მოსკოვში (1893 წ. 10 მარტს), — დაგვეხმარე საჭირო წიგნების სიის შედგენაშიო, ფანქრით დაგვინიშნე სათანადო კატალოგებში ჩვენთვის უფრო გამოსადეგი წიგნებიო. სხვებსაც — მოსკოვში მყოფ ქართველებს — ემუდარებოდა პ. უმიკაშვილი (მაგალითად, ნიკ. ქართველიშვილს, მაშინ იქ სტუდენტად მყოფს), — მიდით იუჟინთან და იქნებ ეს საქმე გააკეთებინოთო. არის დაცული ნიკ. ქართველიშვილის პასუხი: ვერას გავხ-

---

[1] ეს ბიბლიოთეკა, საუბედუროდ, დაიწვა 1914 წელს, როდესაც თეატრის შენობას ცეცხლი გაეჩნდა.

დიო. იუქინმა თავი არ შეიწუხა ან, ყოველ შემთხვევაში, დრო ვერ იშოვა.

მაშინაც, როდესაც წევრად არ იყო გამგეობაში, ახლობელ მონაწილეობას იღებდა ყოველთვის თეატრის ცხოვრებაში, მოხსენებების და წინადადებების შეტანით თუ სხვაგვარი დახმარებით. მაგალითად, ის შესხმა და მადლობა, რომელიც ქართული სცენის სახელით წაიკითხეს გიორგი ერისთავის სურათის წინ 50 წლის სადღესასწაულო წარმოდგენაზე, პ. უმიკაშვილის დაწერილი იყო, ისე როგორც წარმოდგენილი პიესა „სამზადისი" აგრეთვე ამგვარსავე 35 წლის დღესასწაულზე წაკითხული შესხმა (1885 წ. 2 იანვარს).

პ. უმიკაშვილს, რასაკვირველია, დიდად ახარებდა, როდესაც მისი პიესა საზოგადოებას მოეწონებოდა. მაგალითად, 1898 წ. იანვარში მწერდა: „ამ დღეებში დიდ ქებაში ჩავვარდი. წაიკითხავდი ჩემი პიესის („სამზადისის") ამბავს გაზეთებში. სენსაცია მოახდინა, ტფილისის საზოგადოება მასზე ლაპარაკობდა და გაჭირვებულ დროს თეატრის ქართველ ამხანაგობასაც გამოადგა, — 1500 მან. შეაწია, ახლო მეგობრები მიქებენ"... მაგრამ ისე კი პ. უმიკაშვილი არ იყო ზოგ ავტორსავით გაზვიადებული აზრისა თავის პიესებზე. აი მისი სიტყვები. 1888 წ. 18 ნოემბერს მან პიესა („დამარცხებულნი") გადასცა დრამატიულ საზოგადოებას წარმოსადგენად (წარმოადგინეს პირველად 1890 წ. 25 დეკ.). მეორე დღეს, 19 ნოემბერს, იგი სწერს თავისთვის თავის წინათგრძნობას, თუ რამდენად მოეწონება პიესა საზოგადოებას. ითვალისწინებს თითოეული მოქმედებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას და ასე დაასკვნის: „საზოგადოდ იტყვიან: პიესაში აზრია, გრძნობა, შთაბეჭდილება კარგი გამოგაქვს ადგილებიდამ. აკლია ეფექტები და საზოგადოდ შემუშავება. რომ ცდილიყო ავტორი, შეიძლებოდა უფრო ცხოველი სურათებით გამოესახაო. მაგრამ პეტრესგან (მძიმე მწერალია) ესეც კარგიაო"...

როგორც მკითხველი ხედავს, პ. უმიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობა არ იყო ვიწროდ შემოფარგლული და ერთს რომელსამე განსაკუთრებულ დარგზე დამყარებული. 45 წლის მანძილზე იგი მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში და ამავე დროს ბეჭდავდა ქართველ მწერალთა ნაწერებს, აგდენდა სახალხო წიგნაკებს, აგროვებდა ხალხური სიტყვიერების მასალებს, სწერდა და სთარგმნიდა თეატრისთვის პიესებს.

გიმნაზიაში მასწავლებლობისათვის თავის დანებების შემდეგ (1893 წ.) პ. უმიკაშვილი ჩადგა კერძო საქმეში, — გადავიდა იმერეთში თავის მეგობარ ნიკ. ღოღობერიძესთან, რომელიც იმ ხანებში შავი ქვის საქმეს აწარმოებდა. ღოღობერიძემ იგი თავისი საქმეების მთავარ გამგედ და მმართველად დაიყენა ჯერ ზესტაფონში (1893—94 წ.) და შემდეგ ბათუმში (1894 წლიდან). ამ ადგილზედ იყო პ. უმიკაშვილი 1898 წლამდე (ჯამაგირად ჰქონდა 150 მან. თვეში).

დიდად დაღონებული იყო, თბილისს რომ შორდებოდა, სადაც ცხოვრებას შეჩვეული იყო და მთელი სიცოცხლე მანამდე იქ გაატარა. მოშორების შემდეგ ძალიან დიდხანს სიზმარშიაც კი სედავს თბილისს და იქაურ ნაცნობ-მეგობრებს. და ეროი ასეთი შემთხვევის შესახებ თვითონვე დასძენს: „რასაც ცხადად ვფიქრობ, სიზმარშიაც ის ვნახეო". განსაკუთრებით დარდობს ქართულ თეატრზე. 1894 წ. 15 აგვ.: „ოჰ, ჩვენო თეატრო, რა სახით მინდოდა შენთვის მუშაობა და როგორ გამიცრუვდა სურვილი. ნუთუ ველარაფერს ვერ გავაკეთებ. ნუთუ თეატრის საქმისათვის მოვკვდები. არა, ეს არ შეიძლება, უნდა კიდევ ვიმუშაო... თეატრი, ლიტერატურა, ჩვენი საზოგადო საქმეები... არა, როგორ შეიძლება დატოვება... თუ არა და — სიკვდილი სჯობია"[1].

1897 წლის ბოლოს ნ. ღოღობერიძემ შავი ქვის წარმოებაზე ხელი აიღო, თავისი საქმეების ლიკვიდაცია მოახდინა, და პ. უმიკაშვილი ისევ ტფილისში გადმოვიდა. პეტრე, რომელიც მაშინ 60 წლისა იყო, ბავშვივით გახარებული და აღტაცებულია ამის გამო. „შემოდგომას, — მწერდა იგი 2 აპრ. 1897 წ. — ნიკოს გადაწყვეტილი აქვს გადავიდე ტფილისს... მომილოცე, დავუბრუნდები ჩემ ტფილისს, დედაქალაქს, ჩვეულებრივს მუშაობას. ასე მგონია, ახლად ვიბადები ამ აზრით. ოჰ, რა ტკბილია"... 29 ოქტ. და 26 ნოემბ. კიდევ: „გადავრჩი ბათუმს. რა ჰაერია ტფილისში! ველარ გამძლარვარ სუნთქვით და ჭამით. ვხედავ გზაზე ჩემს ნამოწაფრებს პირველი გიმნაზიისას. პატარები დავტოვეს, ახლა დავაჟკაცებულან ამ 4 წელს და სიყვარულით, პატივისცემით მეხვევიან გარს. ეს დიდი საჩუქარია ჩემთვის. ეს მოპყრობა წმინდა ყმაწვილის გულისა, ტფილისის ჰაერი, ძველი მეგობრების ალერსი, ქა-

---

1 უბის წიგნში ჩანაწერი.

ლაქის ყლიეილ-ყლუვილი მამხნევებს და ძარღვებში სისხლს მიმა-ტებს“... „როგორც ყმაწვილი, ისე მიხარიან. დილას მზის შუქს ვუ-ყურებ, მთაწმინდის წვერს რომ წითლად მოეფინება, ლოგინიდამ ეუ-ყურებ და გული სტკბება. ქუჩაში რომ მივდივარ, — ხომ იცი, მე ღი-ღინი მიყვარს, — სულ მხიარული ხმები მიბზუის ყურში და ხმადვე ღი-ღინში გამოდის. ზესტაფონს რომ მოველ ქალაქიდამ, სულ სამგლოვია-რო, დასაფლავების მუსიკის, მოცარტის Requiem-ის ხმები მიზუოდა, — ის მორჩა“...

ამის შემდეგ პ. უმიკაშვილს მუდმივი ბინა ისევ თბილისში ჰქონდა. 1899 წელს მას მისცეს მცირე ადგილი თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში (80 მან. ჯამაგირით თვეში). ამ ხანებში მან შეისრულა ერთი თავისი დიდი ხნის ნატვრა. მუდამ ნატრობდა ევრო-პის ნახვას, და ეს მოახერხა 1900 წელს. ბანკის სამსახურიდან ორი თვის შვებულება აიღო და ევროპაში გაემგზავრა. ნახა ბერლინი, დრესდენი, ლეიპციგი, კელნის სობორო, პარიზის გამოფენა, ლონდონი,[1] ვენა და ბუდაპესტი. ბავშვივით აღტაცებული იყო ყველაფერი ნანა-ხით. სწორედ ვადაზე დაბრუნდა ისევ ბანკში და იქ მსახურობდა სიკვ-დილამდის.

პ. უმიკაშვილი მე გავიცანი პირველად 1894 წლის დამდეგს ზესტა-ფონში. იქ მე იმ დროს ნიკ. ღოღობერიძემ მიმიღო თავისთან სამსა-ხურში იმ თანამდებობაზე, რომელზედაც ჩემს წინათ მსახურობდა თედ. სახოკია, ე. ი. კანტორის მოსამსახურედ. პ. უმიკაშვილიც მაშინ იქ იყო უკვე ქალაქიდან გადასული. უნდა ვთქვა, პეტრე რომ არც მენახა არა-სოდეს პირველი ნახვის შემდეგ, მისი სახე და გარეგნობა მაინც ჩემ ღლეში არ დამავიწყდებოდა. თავის საოხუნჯო ფელეტონში პ. უმიკაშ-ვილის შესახებ ნიკ. ნიკოლაძეს სწორად აქვს აღნიშნული,[1] რომ მისი გარეგნობა, ერთხელ თუ ნახე, მერე „დიდხანს არ დაგავიწყდებაო“. და მე გავიცანი: დაბალი, დაბალზე დაბალი ტანის კაცი, ჯალარა, წვერ-ულვაშგაკრეჭილი, ნახევრად მელოტი, ფერმკრთალი, მოგრძო სახისა, რომელზედაც ვეება, სპილოს ხორთუმივით ძირსდაშვებული, მოხრილი ცხვირი ეკიდა. ტანთ ეცვა მაშინ (და შემდეგშიაც მუდამ) წინაკალთებ-შემოჭრილი სერთუკი, რომელიც მის დაბალ ტანს რაოდენადმე უფრო დარბაისლურ შესახედაობას აძლევდა. გულზე ეკიდა პენსნე. ლაპარა-

---

1 «Нов. обозр.» 1887 წ. № 1298.

კობდა ტკეპნა-ტკეპნით, მაგრამ გრძნობით და გატაცებით. მიხვრა-მოხვრა ჰქონდა სწრაფი, დადიოდა ნელა, მაგრამ ცუნცრუკით. ლაპარაკის დროს, განსაკუთრებით ახალგაცნობილს, გიცქეროდა თვალებში, იწიწკნიდა მოკრეჭილ ულვაშებს, გშინჯავდა, გათვალიერებდა. გამოგკითხავდა ყველაფერს, ყველაფერი ეინტერესებოდა; გრძნობდი, რომ პირველ ხანად უნდობლად, ეჭვით გეპყრობოდა, შენი სიტყვა მას არ ჰყოფნიდა, თვითონ უნდოდა დარწმუნება, — გზომავდა, გწონავდა, გითვალთვალებდა.

ეტყობა, ასეთი ყოფილა იგი ასალგაზრდობაშიაც. მის ქაღალდებში ვხვდები ასეთ შენიშვნას, რომელიც მას დაუწერია, როდესაც 30 თუ 32 წლისა იყო: „ხშირად იციან ჩემმა ნაცნობებმა, რამდენსამე შემთხვევაზე თავიანთ დასკვნას გამოიყვანებენ. მე ყოველთვის ფრთხილათა ვარ, რათ მინდა ჩემი თავის მოტყუება, დეე სხვებმა მძიმე მიმხვედრი დამიძახონ, რა მენაღვლება“.

იგი ყოველთვის „ფრთხილობდა“ და ეს მისი ფრთხილობა ხშირად დაცინვისა და ოხუნჯობის საგნად ჰქონდათ მის ნაცნობებს აღებული. იშვიათად ეტყოდა ვინმეს რამეს თავისი პირადი ცხოვრების შესახებ, — ეს „თავისთვის“ ჰქონდა შენახული. არასოდეს არ ეტყოდა სხვის ნათქვამს სხვას, თუნდაც ნათქვამი არც კი ყოფილიყო დასამალავი. მუდამ ასე ფიქრობდა: იქნებ მთქმელმა მარტო მე მითხრა ეს და ისე კი არ სურს გამხელაო. თვითონაც საიდუმლოებით მოცული სახით ებაასებოდა თავის ნაცნობს, და არ უყვარდა, რომ მისი ნათქვამი მომსმენელს სადმე სხვაგან გაემხილა, თუმცა ჩვეულებრივ იქ დასამალავი არა იყო რა. წავიდოდა სადმე და — „ჩუმად“, მოვიდოდა და — ისევ „ჩუმად“, აკეთებდა სიკეთეს და — ჩუმად: არასოდეს არ გაამხელდა არც თავის კეთილ ნამოქმედარს, არც იმ კაცს, რომელსაც სიკეთე უყო. კლასიკური იყო და საოხუნჯო მისი: „ششش, ჩვენ შორის დარჩეს, არავის უთხრა!“ ნ. ნიკოლაძეც წერდა: „Скрытен до забавности“. მეგობრები ხშირად აჯავრებდნენ; წერილს, რომ მოსწერდნენ, ბოლოში მიაწერდნენ, — „ششش, არავის უთხრაო“.

პირველი გაცნობის შემდეგ ჩემი დასკვნა მის შესახებ ასეთი იყო: „უშნოა და ნიჭნაკლები“. ეს დასკვნა შემდეგშიაც არ შეცვლილა, — პ. უმიკაშვილს ცხვირი არ დაჰპატარავებია, ხოლო ნიჭის მხრივ მართლა არ იყო ბრწყინვალე ნიჭის პატრონი. მაგრამ შემდეგში რამდენჯერ მიფიქრია და მითქვამს ჩემი თავისთვის: ამ არა დიდი ნიჭის პატ-

რონმა კაცმა რამდენი რამ გააკეთა ცხოვრებაში, და რამდენია ჩვენში მასზე ბევრად ნიჭიერი და შეუდარებლადაც ნიჭიერი, რომლისგანაც არც არა გამოსულა და არც არა გამოვა რა.

ერთი გაცნობით ვერ დაინახება ადამიანის შინაგანი ბუნება. მაგრამ მე ვმსახურობდი პ. უმიკაშვილთან ერთად სამი წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე კანტორაში, ყოველ დღე მხედავდა და ვხედავდი; მინახავს იგი შინ და გარეთაც, ყოველგვარ გარემოებაში, მომისმენია მისი ყოველგვარი აზრი, ფიქრი, მსჯელობა, სხვებთან, ცალკეც, გამიგია მისი გულისწუხილი, დარდი და ვარამი, მნახველი ვარ მისი არა ერთი და ორი დამახასიათებელი საქციელის: გვქონდა ერთმანეთთან განუწყვეტელი მიწერ-მოწერა მთელი წლების განმავლობაში, ხელთა მაქვს აუარებელი მისი ბარათები, ჩვენთან მოწერილები (აგრეთვე სხვებთან მიწერილებიც). ყველაფერი ეს საფუძველს მაძლევს ვთქვა: ამ კაცს — არა მარტო გარეგანად, არამედ შინაგანადაც — ვიცნობდი მეთქი.

და აი, რომ ვიცნობდი, ვამბობ: სწორედ ეს მისი შინაგანი ბუნება იყო შესანიშნავი, არ შევხვედრივარ სხვას ისე სულით ახალგაზრდას, ისეთი „მამულიშვილური გრძნობით“ გამსჭვალულს, ყოველ შემთხვევაში ისეთი „ტემპერამენტული“ გრძნობით გაჟღენთილს და ისეთი კარგი გულის ადამიანს, როგორიც პ. უმიკაშვილი იყო.

უკვე მოხუცობაში იყო შესული, როცა მე გავიცანი. და ადამიანს გააოცებდა ის სულით სიახალგაზრდავე და ოპტიმისტური, იმედიანობის და სასოების გრძნობა, რომელიც მისი ბუნებიდან სჩქეფდა მუდამ. იმისგან ვერ გაიგონებდით უიმედობას და სასოწარკვეთილებას. ყოველ პატარა ნაბიჯს, ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების საქმეში წინგადადგმულს, იგი დიდ მოვლენად სთვლიდა და „პესიმისტს“ ამით შავ ფიქრებს უქარწყლებდა.

როდესაც რამდენიმე დღის უნახავ ნაცნობს ან მეგობარს თვალს მოჰკრავდა, მაშინვე სახეგახარებული მიეგებებოდა და გაბმული „იმედიანი“ ბაასისთვის შეემზადებოდა. მისი „გაბმული“ ბაასიც სახუმარო საგანი იყო მის ნაცნობ-მეგობრებში. ერთხელ პ. უმიკაშვილმა ტფილისში კარგა ხნის უნახავი თავისი ქუთათური მეგობარი ანტონ ლორთქიფანიძე დაინახა და ჩვეულებრივად შორიდან მიესალმა; „აა, ან-

ტონ, ანტონ!“ და შეემზადა, მაგრამ ლორთქიფანიძემ შორიდანვე შეწოსძახა: „შენი ჯირიმე, პეტრე, მარტო ერთი კვირით ვარ მოსულიო“.

როგორც კი დაღვრემილ ნაცნობს შეხვდებოდა, მაშინვე ასე შეუტევდა: „რაა, რომ ცხვირი ჩამოგიშვია, — ნუ მოეშვებიო“. უყურებდი და გავიწყდებოდა, რომ ასეთი გამამხნევებელი მოძახილის მომცემი თვითონ მოხუცებული იყო და არა ახალგაზრდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ იგი არ იყო აზიზად გაზრდილი; თავის კერძო ცხოვრებაში მას არ გამოუცდია დიდი სიტკბოება და კმაყოფილება, ამიტომ მას მართლა დიდი სულიერი ძალა და ენერგია უნდა მოეხმარა, რომ თავის ბუნებაში ოპტიმისტური განწყობილება განევითარებია. ამ აზრს ამტკიცებს შემდეგი სტრიქონებიც, რომლებსაც ვკითხულობ ერთ-ერთ მის მიერ ჩემდამი მოწერილ ბარათში (21 დეკ. 1897 წ.):

„ნათელი და მხიარული ფიქრები ძალათი უნდა მოვათრიოთ, თუ არ ვხედავთ ჩვენს კერძო ყოფა-ცხოვრებაში. მომავალი საზოგადო წინსვლის რწმენა, მისი მომავალი აუცილებლობა ადამიანის ცხოვრებაში ნათელია და იმისი სხივი გვინათებს კერძო საკუთარ და საზოგადო ყოფის სიბნელეს, მახინჯობას, ჩაგვრას, სიძაბუნეს, შეურაცხყოფას... ვიმუშაოთ, რამდენადაც შეგვიძლია, ნათელის ფიქრებით, ოღონდ ვიმუშაოთ და გვწამდეს მომავალის სიკეთე, თორემ შავი ფიქრი გვადუნებს. წინსვლა ადამიანისა უეჭველია. საკუთარი კერძო უბედურება, სიღარიბე, წმინდა სურვილების აუსრულებლობა ნახევარ სიცოცხლეს გვტაცებს, თუ სრულად არა, მაგრამ ვინც ადამიანის — კაცობრიობის ბედს და ყოფას უერთებს თავის ატომ-კერძოობას, ის მომავლის იმედით მხიარულია. მეც ბევრი მწუხარება და უბედობა გამომივლია, განწირულებაშიაც ვყოფილვარ, სიღარიბე, პატიოსანი სურვილის აუსრულებლობა, გარსმყოფთა უბედურება, — ყველა ესეები გადამხდენია. ვიყავი გულდახურული, ნაღვლიანი, მხდალი, მაგრამ რწმენამ, რომ მე ატომი ვარ საზოგადო ჩარხის წინმავალ ტრიალში, გამომაფხიზლა და აგერ მხედავ პირმოცინარს, მხიარულს, თითქოს აღარაფერ ნაღველს, ზრუნვას და ფიქრს ჩემს გულში და თავში ადგილი აღარა ჰქონდეს. ნაღველი და ფიქრი როგორ მოშორდება კაცს, მაგრამ, როდესაც შავია ის ნაღველი და ფიქრი, წიხლსა ვკრავ და საზოგადო ჩარხის ტრიალს ვანაცვალებ, იმაში ვლესავ და ვაწყალებ... წუხილს აქარწყლებს კაცობრიობის ისტორია. ყველა ხალხი ველურობაში ყო-

ფილა და მერე წინ წაუდგამს ფეხი. მეცნიერების და დიდებული აზ-
რების თანდათან გავრცელება, ტექნიკა საცხოვრებელი სახსრის გაუმ-
ჯობესებისა, დაახლოება ერებისა, შეგნება თითეული ინდივიდუუმის
უფლებისა, სამართლისა და საჭიროებისა წინ წასულა, მიდის და წავა
მუდამ... დიახ, ჩვენ ტყის შვილები ვართ. ხომ? რომ ვართ, გამო-
ყალთ, გამოვდივართ. ნელნელა გამოვდივართ, იმიტომ რომ ცხოვრე-
ბა თავში გვცემს, და გამოვალთ. რა ვუყოთ; ზოგი ადრე გამოსულა,
ზოგი გვიან. გაჩერება იმაზე და წუწუნი, რომ ასეთები ვართო, მალე
უნდა მოვინელოთ და არ გავხადოთ საგნად. რასაკვირველია, ცოდნით
უნდა ვიცოდეთ, რაცა ვართ; უნდა გამოვარკვიოთ და დავანახოთ ჩვენ-
სავე ხალხს თავისი სისუსტე, მაგრამ არა იმგვარად, რომ სასოწარკ-
ვეთილების აზრი გავამეფოთ, არამედ აღვუძრათ წყურვილი გამოფ-
ხიზლებისა, შრომისა და იმედიანის მომავლისა... მე ჩემს თავს არ
ვუყურებ, — გარსმყოფს, ახლო მყოფს თუ შორეულს ცხოვრებას ვუ-
ყურებ და მიხარიან თითო ნაბიჯის გადადგმაზედ, იმით ეამხნევებ
იმედს და თანდათან თვალითაც და შეგნებითაც ვრწმუნდები საერთო
ბედნიერების მოახლოებაში, არ მაშინებს მისი წაბორძიკება, — ეს
წარმავალია, როგორც ახლად ფეხადგმულის ყმაწვილისა... კაცთა
ბედნიერების იმედით ვიმედოვნებ და ჩემის სიცილ-ხარხარით, ნათე-
ლის ფიქრით მინდა სხვასაც შევყარო ნათელი ფიქრი, შეწუხებულ
გულს იმედის რწმუნება ჩაუსახო, განწირულებით დაჩაგრულს სიცო-
ცხლისაკენ მოსაბრუნებელი გზა გაუადვილო და სიმწარის ცრემლი
სასიცოცხლო ღიმილად შეუცვალო. ნათელი ფიქრი, მხიარული გული
ენერგიაა, ელექტრონია, მიმზიდველი ძალაა კეთილ საქმეშიაც და ბო-
როტშიაც. მოწყენილი ფიქრი, მოწყენილი სახე დამჩაგვრელია გარს-
მყოფისათვის, არ არის მიმზიდველი, ენერგიას ჰხუთავს, რად მინდა
შემხუთველი რამ მეტი, — უიმისოდაც ცოტა არაა, რომ მეც მიუმატო
ჩემს გარსმყოფთ ან თვით ჩემს გულს"...

ეს სტრიქონები 60 წლის კაცის მიერაა დაწერილი, — ისიც რა ხა-
ნაში! და არა ერთხელ და არა ორხელ გამიგონია მისი ასეთი „ღაღ-
დი" ჩემთან და ბევრ სხვასთანაც.

მისი მასლაათისა და მეგობრებთან მიწერ-მოწერის მუდმივი საგანი
იყო: ქართული მწერლობა, წიგნების გამოცემა, თეატრი, ჟურნალი,
გაზეთი, დრამატიული და წერაკითხვის საზოგადოება, მწერლები, ახალ-
გაზრდობა. რომელ ნაცნობსაც უნდა შეხვედროდა, უეჭველად „საზო-

გადო საქმეებზე“ დაუწყებდა ლაპარაკს და ამ ლაპარაკში მთელი საათობითაც არ მოიწყენდა. განსაკუთრებით მწერლობა და გაზეთი, იყო მისი საყვარელი საგანი მასლაათისა. უნდა გენახათ როგორ მთელი გულითა და სულით ხარობდა და სტკბებოდა, როცა რომელსამე ქართულ გაზეთსა და ჟურნალში რაიმე ფხიან წერილს წაიკითხავდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეტყოდნენ, ქართულ ჟურნალს ან გაზეთს მკითხველი და ხელის მომწერი ემატებაო. ეს სიხარული და აღტაცება იყო ნამდვილი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, და ეს ჰხიბლავდა გარეშე ადამიანს და აყვარებდა ამ სულით ცოცხალ კაცს. იგი უშუალოდ გრძნობდა ქართული მწერლობის გაჯირვებას, მწვავედ განიცდიდა ყოველ მის წაბორძიკებას, დაუფარავად იცოდა ამის გამოთქმა და მხილებაც.

ბუნებით არ იყო ადვილად რისამე დამჯერებელი. არ იყო აბირებულად მიმნდობი ხასიათისა. მაგრამ როდესაც ვინმე ახალგაზრდას ნიჭს შეამჩნევდა ან ასეთის დაბეჭდილ ნაწერს წაიკითხავდა, ყოველთვის უზომო სიხარულს განიცდიდა და იმედიანობა მოიცავდა. ძალიან უყვარდა ახალგაზრდობაში ყოფნა, მათთან ბაასი, მათი მისწრაფებამიდრეკილების გაცნობა. სულ ამას იძახდა: „უნდა გამოიზარდოს ნასწავლი ხალხი, მეტი ნასწავლი ხალხი გვეჭირვება“.

ოთხმოცდამეათე წლებში მაჰმადიან ქართველთაგან ორი ყმაწვილი გამოიზარდა ქართველი საზოგადოების დახმარებით საშუალო სასწავლებლებში. პ. უმიკაშვილი დიდ მონაწილეობას იღებდა მათი სწავლაზე მოწყობის და შენახვის საქმეში. „პიონერები არიან, პიონერები!“ იძახდა გახარებული. ის ყმაწვილები, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში გაემგზავრნენ 1895 წელს. ერთი მათგანი კაიკაციშვილი იყო ბევარად, ნობილეთელი. პ. უმიკაშვილი მთელი საათობით ელაპარაკებოდა ამ ყმაწვილს წასვლის წინ, არიგებდა, სთხოვდა, ასწავლიდა. სარეკომენდაციო წერილიც გაატანა პროფ. პეტრიაშვილთან, სადაც, სხვათა შორის სწერდა: „გთხოვთ ამ ბარათის მომტანს ასლან კაიკაციშვილს იცნობდეთ. ეს არის... მუსულმანი ქართველი, რომელიც პირველი პიონერია... დარწმუნებული ვარ, თქვენ გაგახარებთ, და იმედი მაქვს, მიხვდებით, რა გრძნობითაც ვისტუმრებთ თქვენთან“. საუბედუროდ, ეს ყმაწვილი ორი წლის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა (ოდესაში). პ. უმიკაშვილის გლოვას და მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. „ამოდენა მისი და მის გარს მყოფთა შრომა, ზრუნვა, — მწე-

რდა მაშინ, — სულ დაიკარგა: პიონერი იყო, იმის მიხედვით იმედი გვქონდა, სხვებიც გზას გაიკვლევენო, და ასე უწყალოდ წავიდა იმედი".

ასევე თავგამოდებით ზრუნავდა პ. უმიკაშვილი იმ ახალგაზრდების ბედზე, რომელნიც, თავიანთი ნაწერებით ჟურნალ-გაზეთებში, მას იმედებს აღუძრავდნენ. სწერდა წერილებს თავის ნაცნობ-მეგობრებს და ყველას ამას ჩასჩიჩინებდა: მივეშველოთ, უჭირთ ცხოვრება უსახსრობის გამო, ეტყობა გამოგვადგებიანო. იმ ხანად ასეთი ახალგაზრდები უფრო ხშირად სასულიერო სემინარიიდან გამოდიოდნენ. პეტრემ ეს გარემოება შეამჩნია, და აი, იგი იწყებს კამპანიას სემინარიელების სასარგებლოდ, მათთვის სტიპენდიების დასაარსებლად. მრავალთმრავლიდან აღვნიშნავ მხოლოდ მისი ორი კორესპონდენციის რამდენსამე სტრიქონს. იგი გრძელ წერილებს სწერს პროფ. პეტრიაშვილს: თავ. ზაქარია ერისთავი აპირობს სტიპენდიების დაწესებას რუსეთში მიმავალ მოსწავლე ახალგაზრდობისთვისაო, შენ მას იცნობ და ურჩიე, სტიპენდიები დანიშნოს საზღვარგარეთ სასწავლად წამსვლელებისთვისაცო, ამათში განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევნი არიან სემინარიელებიო. იმავე ხანებში (1896 წ.) იგი ნიკ. ცაბეღაძეს სწერს (ბათუმიდან): „კარგა ხანია თავში მიტრიალებს ერთი აზრი სემინარიაში კურს დასრულებულებზე. დიდი ყურადღების ღირსია მათი მდგომარეობა. სულ მოსაზრება უნივერსიტეტის სტუდენტებზე და გიმნაზიელებზეა მიმართული, შემწეობა მივცეთო, როდესაც უმრავლესობა ქართველი ყმაწვილებისა სემინარიაში ასრულებს. ყმაწვილებში ძალიან შრომისმოყვარეობას და საიმედო ღირსებას მეტს ვხედავთ, ვიდრე თავადაზნაურთა შვილებში. მათში ვხედავთ ძალიან ნიჭიერებსაც, ნაკითხებსაც... ამისთანებს გზა უნდა მიეცეს საზღვარგარეთ უმაღლესი სწავლისაკენ. რა ღონისძიება მოვიპოვოთ... ამაზე ბევრი მიფიქრია. სტატია დავწერე კიდეც... მაგრამ ხომ იცი, წერით არაფერი კეთდება და საქმიანობაა პირველი რამ; ამას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, რომ ეს საქმე მოხერხდეს... შენი და შენის მსგავსის სასულიერო წოდებიდამ კაცების იმედი უნდა გვქონდეს. ეცადეთ, შეიერთოთ ყველანი და თავი დაანებოთ მარტო თავადაზნაურთა შვილების ბედზე ზრუნვას. 26 წელიწადი მასწავლებლად ვიყავი გიმნაზიაში, ხომ იცი, რაც შევწირე და რა იმედით, მაგრამ ამოდენა თავობა ყმაწვილ-კაცებისა რა იმედს გვაძლევს? სულ იმიტომ, რომ თავადაზნაურთა შვი-

ლები იყვნენ უმთავრესად გიმნაზიაში მოსწავლენი. დროა, დრო — მივაპყრათ თვალი იმ ნაწილს, რომელიც ჩვენში დღეს უფრო საიმედო ღონეს გვიჩვენებს. ნიკო, ამ სიტყვებს მელნით არა ვწერ, ამას ჩემი სისხლითა ვწერ. გამიგონე, დაფიქრდი და შენი პატიოსანი ბეჯითობა, შენი კეთილი გული და მოსაზრება ამას მოანდომე".

პ. უმიკაშვილს არასოდეს არ მოსწყინდებოდა მიწერ-მოწერა, სირბილი და ფუსფუსი ისეთი საქმისთვის, რომელსაც ასე თუ ისე რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. 1896 წელს ბათუმში შეიტყო, რომ გრაციის პროფესორი შუხარდტი ქართულ ენაზე მუშაობდა და ქართული წიგნები ესაჭიროებოდა. იგი მაშინვე იწყებს წიგნების შეკრებას და თან თავის ნაცნობ-მეგობრებსაც აცნობებს ამის შესახებ და ავალებს იმ უცხოელი მკვლევარისათვის წიგნების შეგროვებას. ერთ ასეთ წერილში იგი სწერს თავის მეგობარს თბილისში (1 მარტს 1896 წ.): „. . . შუხარდტი ქართული ენის შესწავლაზე მუშაობს. აქებენ, გამოჩენილი ფილოლოგია და შედარებითი გრამატიკის ნაწილზე ღვაწლი მიუძღვისო. შუხარდტმა დაბეჭდა ლიდეც ქართული ენის შესახებ. . . წიგნები ეჭირება. აქედამ, რასაც ვიშოვით, გავუგზავნით, მაგრამ რას ვიშოვით წვრილ ბროშურების მეტს. ამიტომ შენ უნდა მოგმართოთ, რომ შენ შეჰკრიბო წიგნები. . . გიგზავნი სიას. . . გამომცემლებს და ავტორებს სთხოვე თითო ეგზემპლარი. შუხარდტს თუ ლეისტს უთხოვნია ვგონებ ილია ჭავჭავაძისთვის წიგნები, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიას ცოტა გაუგზავნია, და ილია ხომ იცი, დაავიწყდებოდა". . .

ასევე აგროვებს იგი (თავის ინიციატივით) მთელ წყება ქართულ წიგნებს, — ზოგს თავის ბიბლიოთეკიდან იღებს, ზოგსაც წერა-კითხვის საზოგადოებისაგან — და გზავნის ლეიპციგის ბიბლიოთეკაში დასაცავად (1901 წ.).

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ პ. უმიკაშვილმა დაზარება და უარის თქმა არ იცოდა კერძო დავალებათა შესრულებაზედაც. ზესტაფონ-ბათუმში საამისო შემთხვევა ცოტა იყო, მაგრამ ტფილისში მას ყოველთვის აუარებელი დრო და სირბილი სჭირდებოდა კერძო დავალებების შესასრულებლად. მცნობი მას მრავალთ-მრავალი ჰყავდა, და ასეთი დავალებები უთვალავი იყო ყოველთვის. ხან რას სთხოვდნენ და ხან რას. ზოგი სამ მანეთ ნახევარს უგზავნის ფოსტით და სთხოვს „ივერიას" გადაეცი გაზეთის ფასადო; ზოგს გაზეთი გამოუ-

წერია, გაზეთი კი არ მისდის, და სთხოვს, გამიგე და მომწერე, რატომ არ მიგზავნიანო; ზოგს კალენდარი გამოუცია, შიგ ლექსები ჩაუბეჭდია სხვადასხვა ავტორებისა და პეტრეს სთხოვს, შემიტყვე, მაქვს ამის უფლება თუ არაო; ზოგს წერა-კითხვის საზოგადოებიდან წიგნები დაუბარებია, და სთხოვს — გამიგე, რატომ არ მიგზავნიანო; ზოგსაც სკოლაში შვილის მიღებაზე არზა მიუცია გუბერნატორისთვის, და სთხოვს — გამიგე, რა გადაწყვეტილებაა; ზუგდიდში ბანკის დაარსებას აპირებენ, და პეტრეს სთხოვენ, სადმე იაფფასიანი და კი ბუხჰალტერი გამოგვინახეო, და სხვა და სხვა. პ. უმიკაშვილს სოფლად ბევრი ხალხი იცნობდა, — თუ პირადად, თუ სახელით. და სოფლებში ხომ მუდმივი დავა და საჩივარი იყო მიწის თაობაზე. ამიტომ პეტრეს აუარებელი ხალხი მიმართავდა წერილებით თუ მოციქულების საშუალებით და სთხოვდა მათი დავისა და საჩივრების შესახებ ამბის გაგებას სხვადასხვა დაწესებულებებში. ზემოთ ნახსენებ ბრმა ალექსი გოძიაშვილს მადლობის ლექსიც აქვს გამოთქმული ასეთ საქმეში პ. უმიკაშვილის მხრივ დახმარებისათვის (1892 წ.). ეს ლექსი საინტერესოა და ნაწილობრივ გადმოვიღებ:

> გახლდით წარსულ თიბათვესა ქალაქს სამართლის კარზედა,
> ვეცადე, ვერა გავხდი რა, პეტრეს ვაახლდი კარზედა.
> მოეახსენე: თქვენ ბრძანდებით მოწყალე გლახაკთაზედა,
> უღონოს ღონე — იმედი, დამრიგებელი ჭკვაზედა;
> ღმერთმა გიყურთხოს მშობლები, შენ რომ გშვეს ქვეყანაზედა,
> გახლავართ დაღონებული, ამით ვიახელთ კარზედა,
> ბრძანდებით წყლულთა ექიმი, შამრჩენი ამავ ჟამზედა.
> მიშველეთ, ღმერთიმც გიშველით, დღეს ვზიავარ ცეცხლის ალზედა,
> ვერ ვპოვებ გუბერნსკის აგენტს, საქმე მაქვს მამულსა ზედა,
> ხამ წლამდენ არის არზები მივართვი საჩივარზედა,
> მაგრამ პასუხი ვერა ვცან, ჯავრი მაწვება ჯავრზედა,
> თქვენ გევედრებით მიმიძღვეთ იმ სასამართლოს კარზედა.

პეტრე, რასაკვირველია, გაჰყვა, გზაში ბრმას გამოჰკითხავდა ყოფა-ცხოვრებას, ხალხის მდგომარეობას ხევში:

> "შემდეგ ბრძანა: საარაგვო ხომ კარგაა მხარე თქვენი,
> შენი გონებით რას ატყობ, ხომ მრავლდება ერი თქვენი?
> მოეახსენე: ღვთის ბრძანებით მესმის, რომ მრავლდება ერი,
> მაგრამ სიღარიბემ დასცა, კი ველარ გაშალეს წელი.

ამასთან შურიც გახშირდა, ბარაქაც წაიდა ჩვენი,
დედა ამ შვილს ვეღარ უზრდის, წინ რომ ჰყავდა მამულს ჩვენი.
სპილო მრავალ ხანსა ცოცხლობს, კაცმა რომ არ ახლოს ხელი,
ტანჯვა სიცოცხლეს შუა ჰყოფს, ნაბრძანები არის თქვენი,
რა ჰყოს კარგმა მონარდემა, თუ დროს შაში არ მოუვა,
ანუ კარგმა მონადირემ, თუ ნიშანში არ მოუვა,
თევზმან, გაბმულმან ბადეში, თუ კლანჭები არ გაუვა.
ცდა ტყუილი ამაოა, თუ კაცს ბედი შორს წაუვა.

ამ ბაასით მიჰყვა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში, მოაძებნინა მისი საქმე, გააცნო მთხოვნელი იქაურ ქართველ მოხელეებს:

გააცნობინა თავადებს ეს გლახაკი თავი ჩემი:
გახლავთ დუშეთის მაზრიდამ და სოფელ გრემისხეველი.
ხედავთ, თვალუხედავია და დარდიც აწუხებს ბელი,
მაგრამ ჯირს არ უშინდება, მაგრა უდგას როგორც კლდენი,
ცდილობს ქართველთ ენისათვის, სადაც კი უწევდება ხელი,
საქართველოს სასარგებლოდ ლექსები მოგვართვა ბელი.[1]
თქვენ გემდურით, თავადებო, ენას არა შველით ჩვენსა,
სხვა პირები დაგვცინიან, გვეძახიან ნიჭმოკლესა.
სჯობს წიგნს წიგნი მივუმატოთ, ენას ვაფრცელებდეთ ჩვენსა,
წყალი წყალს მივმატება, წისქვილს

1901 წელს ტფილისში გამოფენა უნდა გამართულიყო. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენლობამ სთხოვა პ. უმიკაშვილს. იმანაც იკისრა. შემდეგ გადიოდა დრო. პეტრემ რამდენიმე წერილი მიწერა საბჭოს: რას შვრებით, თუ მონაწილეობას იღებთ გამოფენაში, თაღარიგია წინდაწინ საჭირო, რომ თქვენი პავილიონი ან კუთხე ხეირიანად იყოს მოწყობილიო. იმათ ყური არ გაიბერტყეს, პასუხიც არ გასცეს. და მხოლოდ ოთხი დღით ადრე გამოფენის გახსნამდე გამოუგზავნეს ექსპონატები. უმიკაშვილმა, რაც შეიძლებოდა, ის გააკეთა იმ სამეოდე დღის განმავლობაში. ამის შესახებ შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობ ალ. ნანეიშვილისადმი მიწერილ ბარათში: „შევიტყვე, თურმე ბატონი გიორგი ზდანოვიჩი იმდურება ჩემზე გამოფენის ცუდად მოწყობის შესახებ... ოთხი დღის წინათ გამოგზავნეს ექსპონატები გახსნამდე, როდესაც საშინელი მუშაობა იყო, და თავბედი მაწყეელინეს, სანამ რასმე მოვახერხებდი მოსაწყობად. ჩემი თრევისა და ღროს დაკარგვის სამაგიეროდ სამდურავი და ყვედრება ვგონებ არც მე შემფერის და არც სამდურავის მთქმელს... სახარჯოდ გამოგზავნილია 75 მან. ამისაგან დარჩა ჩემთან 12 მან... (ხარჯი) ჩემ წასვლა-მოსვლაზე არ აღემატება 10 მანეთს... გამოვგზავნი დახარჯულის ანგარიშს“.

ამგვარად, პ. უმიკაშვილს თავის შრომა-გარჯაში გროში-კაპეიკი არ აუღია ისეთი დაწესებულებისგანაც კი, სადაც სხვები უფულოდ ნაბიჯს არ გადასდგამდნენ. მან არ ითხოვა და იმათ არ იფიქრეს.

არ ითხოვა, რადგან საზოგადოდ თხოვნა არ იცოდა. ამიტომ მას იმდროინდელი ინტელიგენცია ფულიან კაცად სთვლიდა. გიმნაზიაში მას ჯამაგირი ჰქონდა 33 მან და 33 კაპ., და ასეთ კაცს ფულიანად სთვლიდნენ. გარეგნულად ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი. პ. უმიკაშვილი ფულზე ძალიან ხელმოჭერილი კაცი იყო. ის არასოდეს არ დახარჯავდა თავის შემოსავალზე მეტს, არამედ — ყოველთვის ნაკლებს, ორიოდ გროშს ყოველ თვე გადასდებდა მერმისისთვის, „შავი დღისთვის“[1]. ძალიან უფრთხილდებოდა ხარჯვას, რომ რამეს ყიდულობდა, თეთრ ფულს ყოველთვის ორ თითს შუა გასწევ-გამოსწევდა, ორი ხომ

---

[1] მისი სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა სკივრში მისი დეიდის ხელში, რომელიც მასთან ცხოვრობდა, 12 ათას მანეთამდე, საადგილმამულო ბანკის ობლიგაციებით. ანდერძი ვერ ვიპოვე და არც ვიცი ნამდვილად, ჰქონდა დაწერილი თუ არა. მისი დეიდა (ეკატერინე კაკალაშვილი, გაუთხოვრად დაბერებული) გარდაიცვალა 1920 წელს.

არ არისო ერთად მიკრულიო. ცხოვრობდა ძალიან სადად და ზომიერად. ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მანამ ატარებდა, ვიდრე არ გაცვდებოდა და შეკეთებითაც გამოუსადეგი არ გახდებოდა. ის არავის უნახავს თავისდღეში ბოქეიფე ან ზედმეტად მხარჯველი. სტუმარსაც რომ დაპპატიჟებდა, ზომიერად გაუმასპინძლდებოდა. თეატრებში წასასვლელად კი არ ენანებოდა ფული, აგრეთვე წიგნებისთვისაც[1].

თავისას ახირებულად არ დახარჯავდა, არც გასცემდა, მაგრამ სხვისიც არა უნდოდა რა. ფრიად მართალი და პატიოსანი კაცი იყო, ფულის საქმეშიც. მის ქაღალდებში არის წერილი ვინმე რაუზერის (პეტერბურგიდან), რომლისგანაც, პეტერბურგში ყოფნის დროს, პ. უმიკაშვილს 40 მან. უსესხნია და რომლისთვისაც ეს ფული, თბილისში დაბრუნებისა და ადგილის შოვნის შემდეგ, გაუგზავნია. ის კაცი მადლობას სწერს გაკვირვებული და გაოცებული, — მადლობელი ვარ, რომ ადამიანის მიმართ რწმენა დამიბრუნეო: შენ ერთადერთი კაცი ხარ მანდედამ, რომელმაც ვალი გადამიხადაო. ანდა შემდეგი ამბავი: 1899 წელს ერთ საღამოს მასთან მივიდა პოლონელი მრეწველი, გვარად ემერიკი, რომელმაც ნ. ღოღობერიძის მადნიანი ადგილები იყიდა, და მაგიდაზე დაუყარა 50 ათასი მანეთი ღოღობერიძისთვის ჩასაბარებლად. ლაპარაკში გაერთნენ. ემერიკის წასვლის შემდეგ პ. უმიკაშვილს მოაგონდა, რომ ფულის მიღების ბარათი არ მიუცია, და აი, გარბის თავმოგლეჯილი, ეძებს ემერიკს და ბოლოს სადგურზე დაიჭერს და ბარათს ჩააბარებს. „ამისთვის თავს რას იმტვრევდი მეთქი“, რომ ვუთხარი, — რას ამბობო, სიკვდილ-სიცოცხლეა, და მაშინ იმ კაცებს შორის სადავო საქმე გამხდარიყოო?

სიკვდილის შემთხვევა, — ჰო, თორემ ის ისეთი კაცი იყო, რომ მასთან ხელწერილები და თამასუქები ადამიანს არ ესაჭიროებოდა. თავის დღეში სხვის მოტყუებას არ მოინდომებდა და განზრახ ცრუობას არ ეტყოდა. ადვილად არავის არ შეჰპირდებოდა რამეს, მაგრამ შეპირების შემდეგ კი აღთქმულს უეჭველად შეასრულებდა. სიმართლე და პირიანობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და ტყუილის მოლაპარაკე ადამიანი. როგორც კი

[1] თავისი ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა, რომელსაც მე ჩავაბარე მისი სიკვდილის შემდეგ.

ვინმეს ერთს, თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა, მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმართლე და სიტყვის გაუტეხლობა მისი მთავარი მცნება იყო ცხოვრებაში. ამიტომ მისი მცნობნი, როდესაც წერილებს სწერდნენ, ხშირად ასე მიმართავდნენ მას: „ჩვენო უპატიოსნესო პეტრე"-ო. ასე უწოდებია მისთვის დიმიტრი ყაზბეგსაც[1]. პაველ ღუდუშაურის მოწერილ ბარათში (1887 წ. 2 თებერვალი) ასეთ ადგილს ვხვდები: „ჯერ როდესაც თქვენ არ გიცნობდით — სწერს იგი პ. უმიკაშვილს — და აკა გნახეთ, მაშინ დიმიტრისა ვკითხე: ვინ არის ეგა მეთქი, და იმან მითხრა, — მაგას უპატიოსნესი პეტრე ჰქვია-ნო. როგორა მეთქი? ისეო, რომ ჩვენ ქალაქში ბევრი კაი პატიოსანი ახალგაზრდაა, მაგრამ ეგ უპატიოსნესიაო, თუ გაიცნობ, შენც გაივებ".

---

[1] რომლის შესახებ არსებობდა და არსებობს ეჭვი ალ. ყაზბეგის მოთხრობებს ნამდვილი ავტორი ის არისო. ამ საკითხის შესახებ მწერლობაში არსებულ მასალებს მე დავუმატებ შემდეგს. პაველ ღუდუშაური სწერს პ. უმიკაშვილს სტეფანწმინდიდან (1896 წ. 2 იანვ.): იწერებით, „დიმიტრის ჩანაწერები ხომ არა ჰქონდა რა და თუ ჰქონდა რამე, ვის დარჩა ან შენთვის ხომ არ წაუკითხნია რა, ან არა უთქვამს რაო". დიმიტრის ჩემთვის თავის ნაწერების არა წაუკითხნია რა. ერთხელ ერთი პატარა ლექსი, კი არ ვიცი საიდან იყო, შეპლიღინა: „პაპა მყვანდა მეომარი, ლხინი იყო მისთვის ომი" და სხვა. ერთიც პატარა რუსული ლექსი: „Не христианин я давно" და სხვა. თუ როდისმე მითხოვნია, აბა ერთი ან წიგნი ან შენი ნაწერი რამ გექნება და წავიკითხოთმეთქი, მაშინ სტოლზე ნაწყობის წიგნებიდან აიღებდა რასმე და იქიდან წაგვიკითხავდა. ერთხელ იმ წალოზე მივუთითე, რომელიც წიგნებით სავსე და (სეკრეტნი) ნომრების საღების კლიტით ჰქონდა დაკეტილი, — აი იქიდან რამე წაგვიკითხეთქო ამაზედ კი პასუხად მითხრა: მაგისთვის ჯერ ადრეაო, მაგეებს თავის [illegible] თქვენ თითონ წაიკითხავთო, ეგ ჩემი ხაზინაა და მანდედან შენც რამე გერგებაო. დიმიტრის სნეულობის დროს და სიკვდილშიაც მე და ალოშა განუშორებლად ოანა ეპყავდით, მაგრამ იმ წალოზედ მაშინაც არაფერი უთქვამს. რა საღამოსაც დიმიტრი გარდაიცვალა, იმავ ღამე სანდრო ამოვიდა იქ და იმ წალოს მიმართა. გააღო, რაც იყო, გამოალაგა და თან წაიღო, რამდენიმე ქაღალდები კი იქვე ანთებულ ბუხარში ჩასწია. ბგონი ცოლს არ ებარებოდა რამე და არც ეცოდინება, რადგან სიკვდილში აქ არ იყო, მაგრამ თუ კავკავში ჩაველ, ვკითხავ კია".

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება. პატივცემული იაკობ მანსვეტაშვილი თავის მეტად საინტერესო და გამტაცად დაწერილ წიგნში („მოგონებანი", ფედერაცია, 1936, გვ. 210—213) ამბობს:

„წინადაც ბევრისგან გაიგონებდით და ამ რამდენისამე წლის წინად ხომ ერთი განგაში იდგა სანდრო ყაზბეგის სახელის გარშემო. მეტადრე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ელისაბედ ყაზბეგის, სანდროს ბიძაშვილის, ნაწერები, სადაც ეს ქალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტ-

და რახან ფულს არასოდეს არ სესხულობდა და უფულობაზე სსვებსავით არ წუწუნობდა, — ფულიან კაცად სთვლიდნენ. მოსვენება არ ეკონდა ფულის მოსესხეებისაგან. ისეთი კაცებიც კი ესესხებოდნენ ფულს, რომელნიც ერთ ღამეში გააკრობდნენ იმდენს, რამდენსაც პ. უმიკაშვილი რამდენსამე წელიწადში ვერ იშოვნიდა. ესესხებოდნენ, მაგრამ პეტრე ამ საქმეში კლდესავით მაგარი იყო. ძნელი იყო მისგან ფულის დატყუნვა, თუმცა ზოგი ძალიან მოხერხებული ადამიანი ამას შეძლებდა. სწორედ ასეთი იყო თავის დროზე დარღიმანდობით და

რი ყაზბეგისაა და სანდრომ მხოლოდ მიიჩემაო... წარმოიდგინეთ, ლიტერატურის მკვლევარი ზანდუკელიც აპყვა ამ ქალის ფეხის ხმას... საბუთად ის მოპყავდათ, რომ დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყოვო... პ. უმიკაშვილი ალაპარაკდა ერთ დროს ამათ მაგიერ. ეს ჩვეულებრივ ფრთხილი და ჩუმი კაციც კი აპყვა ზოგიერთების ხმას და გაიძახოდა: აი ჩქარა დავბეჭდავთ დ. ყაზბეგის ნაწერს (ო). და დაბეჭდა კიდეც თავის „კრებულში“ ამ „დიდის ჭკუის და ნიჭის“ კაცის ნაწარმოები. მერე რა აღმოჩნდა? უბრალო კორესპონდენცია მოხეევების ცხოვრებიდგან... ბევრმა უსაყვედურა პეტრეს რას გვპირდებოდი და რა გამოდგაო, ეგ რა დასაბეჭდი იყოვო. აკაკემ ხომ ვერ მოითმინა და პირში არტყა პეტრეს: ეაი შენ ჩემო პეტრეო, შე ჩერჩეტო და ხეპრეო“.

ცხადია, პატივცემული იაკ. მანსვეტაშვილს აქ მხედველობაში აქვს დიმ. ყაზბეგის „მავნე სულები“, რომელიც „კრებულში“ დაიბეჭდა 1872 წელს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ დაუკავშირა იაკ. მანსვეტაშვილმა ამ წერილის პ. უმიკაშვილის მიერ დაბეჭდვა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების ავტორობის საკითხს, რომ პ. უმიკაშვილი ეითომ „აპყვა ზოგიერთების ხმას და გაიძახოდა: აი ჩქარა დაბეჭდავთ დ. ყაზბეგის ნაწერსო“, რომ დაბეჭდა კიდეც, მაგრამ ამით ყველას მოლოდინი გაუცრუა, უსაყვედურეს კიდეც: „რას გვპირდებოდი და რა აღმოჩნდაო“. „აპყვა ზოგიეროების ხმას“... რის შესახებ? რომ „სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგისაა“? და ამ „ხმის“ სიმართლის შესაძლებლობის დასამტკიცებლად „დაბეჭდა კიდეც თავის კრებულში“ ის „მავნე სულები?“ თუ ეს აზრია იაკ. მანსვეტაშვილის სიტყვებში, იმ შემთხვევაში, იგი რაღაც „ლაპსუსი“ უნდა იყოს, ვინაიდან 1972 წელს, როდესაც დ. ყაზბეგი ცოცხალი იყო და არც „ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები“ ყოფილა ჯერ გამოქვეყნებული, არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე „ხმა“ — ასაყოლი თუ არ ასაყოლი — მათი ავტორობის შესახებ. ხოლო იაკ. მანსვეტაშვილის სიტყვები თუ იმას ნიშნავს, რომ პ. უმიკაშვილი „აპყვა ზოგიერთების ხმას“ — „დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყოვო“, იმ შემთხვევაში მისი აზრი არაა მთლად მართალი. მართალია, პ. უმიკაშვილი კი იზიარებდა იმ აზრს, რომ „დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყო“ (მასზე დიდი, აზრისა ყოფილა ილია ჭავჭავაძეც), მაგრამ ამისთვის მას პ. უმიკაშვილს, არ ესაჭიროებოდა „ზოგიერთების ხმის აყოლა“, ვინაიდან თვითონ პირადად იცნობდა კარგა დაბალებით დიმიტრი ყაზბეგს.

ბულვარების ტკეპნით ცნობილი ნესტორ ახვლედიანი. ვინ იცის, ვისი ფული იმ ახვლედიანს არ შეუჭამია. პ. უმიკაშვილისათვისაც დაუტყუვნია ათი თუმანი. ამ ფულის ამბავი და მის გამო უმიკაშვილის საჩივარი ფოთის მომრიგებელ მოსამართლესთან ნ. ნიკოლაძეს აქვს „Новое Обозрение"-ს იმ ფელეტონში აწერილი, რომელიც ზემოთ აღვნიშნე.

პ. უმიკაშვილი რომ ცოლშვილიანი ყოფილიყო, უეჭველია, თავისი მომჭირნეობის მიუხედავად, ვერაფერს მოინარჩუნებდა თავის მჭლე შემოსავლიდან. მაგრამ იგი მარტოხელა ცხოვრობდა თავის დედასთან და შემდეგ დეიდასთან ერთად. დიდად მოყვარული კი იქნებოდა ოჯახის, რომ ჰყოლოდა. მაგრამ ქალებს მისი გარეგნობა არ იტაცებდა, თუმცა ამ გულთბილ ადამიანთან ლაპარაკი ყველას ესიამოვნებოდა. პეტრეს, როდესაც 35 წლისა იყო (1873 წ.), ძალიან შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი. ეს იყო გიორგი წერეთლის ერთ-ერთი და, მარიამი. 7 თუ 8 წლის განმავლობაში ეტრფოდა მალულად, — თ[illegible]ს, გამხელას ვერ [illegible]ედავდა. ბოლოს, დიდი გაჭირვებით, [illegible]და და გაუტყდა, მაგრ[illegible] ქალმა არ თან[illegible]ურ[illegible]ა. პეტრეს, რომელიც [illegible]ამინ 40 წელს გადაცილებული იყო, სამუდამოდ გული [illegible]ესწყდა. შემდეგ მას ქალის სიყვარული არ განუცდია, და უამისოდ კი ცოლი არ შეირთო, თორემ ისე აბა ცოლი ვის ვერ უშოვნია, რომ იმას ვერ ეშოვნა. ბედმა ისე ინება, რომ მისი სატრფო ახალგაზრდა გარდაიცვალა (ჭლექით) და პეტრეს [illegible]-ს ნეშტი სასაფლაოზე მიაცილა.

თუმცა შემდეგ მას ახალი სიყვარული ქალის მიმართ აღარ გამოუცდია. მაგრამ ქალის გამოისობით ერთი დიდი უსიამოვნება მაინც შეემთხვევა. ერთმა დარდიმანდმა რაინდმა, გვარად ჯანდიერმა, ჯოხით მას თავი გაუტეხა კუკიის ხიდთან და მეორე დღეს მუქარაც მისწერა. წერილი 1884 წლის 24 ივლისს არის დაწერილი, რუსულად, რომელშიაც დამწერი უბრძანებს უმიკაშვილს ხელი აიღოს იმ ქალზე, ვინაიდან მას, ჯანდიერს, ეკუთვნის „все ея существо. В противном случае я у Вас ее утащу из под венца, и поступлю с Вами еще ужаснее, чем обошелся вчера с Вами на мосту. Вы поймете, о ком я говорю. — о той, милостивый государь, с кем Вы осмелились сидеть вчера... Я требую от Вас окончательно отказаться от нея, чтоб в мыслях даже не имели жениться

на ней, ни подойдти к ней близко... иначе я Вас вдребезги разнесу. Жду ответа немедленно. Алек. Джандиери.»

ეს ამბავი, რასაკვირველია, მთელმა ქალაქმა შეიტყო, — ყველას მასალა მიეცა საცინლად და საჯორიკანოდ. პეტრე თავის გატეხას ისე არ დარდობდა, როგორც იმას, რომ ამ საქმეში ახალგაზრდა ქალის სახელი იყო გარეული, რომელსაც, მართალია, იცნობდა და პატივს სცემდა. მაგრამ არაფერი რომანისებური მის მიმართ არ ჰქონებია და არც, რასაკვირველია, ქალს მის მიმართ. ქალის სახელის რეაბილიტაციის გულისთვის, პეტრემ მოითხოვა საჯარო „საზოგადოებრივი სასამართლო". შეიკრიბა ინტელიგენტთა მთელი სინედრიონი „დროების" რედაქციაში[1], დაიბარეს ის ჯანდიერიც, დაჰკითხეს მხარეებს და გამოირკვა, რომ არავითარი საფუძველი და საბაბიც კი არ ჰქონდა იმ ხელკეტიან მოარშიყეს მიცემული არც უმიკაშვილის მიერ, არც ქალის მიერ, რომელსაც არც ერთი მათგანის სიყვარული არ უფიქრია და რომელიც სხვას გაჰყვა ცოლად. ჯანდიერმა ბოდიში მოიხადა, შეეცდიო; პეტრე დაკმაყოფილდა და საქმეც ამით გათავდა.

მე ვიცი კიდევ ორი უსიამოვნება და შეურაცხყოფა, რომელიც პ. უმიკაშვილს მიუღია თავის ნაცნობებისაგან. მეორე შემთხვევა ის არის, რომ იგი წერილობით გალანძღა მსახიობმა ალ. ალეკს-მესხიშვილმა, მესხიშვილის წერილი უთარიღოა, მაგრამ დაწერილი არის 1899 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მე ამ მოკლე წერილს მთლად და უცვლელად გადმოვწერ:

„ბატონო პეტრე! ძალიან მაკვირვებს თქვენი წერილი, ხუთაფოვის ცოლმა ეგ პიესა გამოგზავნა თუ არა — არ მახსოვს და თუ გამომიგზავნა, ეგ მაშინ იქნებოდა, როცა რეჟისორად ტფილისში მე ვიყავი, ე. ი. ამ სამი წლის წინათ. მაშასადამე, ეგ პიესა მანდ უნდა იყოს. შარშან კოტე ყიფიანს უნდოდა ეგ პიესა თავის საბენეფისოდ აქ დაედგა და რადგანაც პიესა არა გვქონდა, ყიფიანმა მიმართა სუნდუკიანცს და სთხოვა გამოეგზავნა, მაგრამ სუნდუკიანცმა გვიპასუხა, რომ პიესა ვერ ვიპოვეთო. წელს მე მინდოდა რეპერტუარში ჩამერიცხა ეგ პიესა და ვასო აბაშიძეს მივმართე თხოვნით, რომ გამოეგზავნა, მაგრამ მაგისაგანაც არ მომივიდა. თვით მე ეგ პიესა ვერ გამომადგება, რადგანაც

---

1 იმ მანდილოსნის გადმოცემით, პატივცემულმა ეკატ. გაბაშვილმა გადმომცა: იაკობ გოგებაშვილის ბინაზეო.

მე იმაში არავითარი როლი არა მაქვს, მაშასადამე, ჩემთვის იგი არა-ვითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, თუ გასტროლიორი არ ისურვებს თამაშს, როგორც ყიფიანმა მოინდომა. ეგ პიესა ჩვენს ბიბლიოთეკაში არ არის და არცა ვსაჭიროებთ. ძალიან კადნიერება იყო თქვენის მხრით თქვენგან მოწერილი ფრაზა: „თქვენ უნდა გამოგზავნოთ, რადგა-ნაც თქვენ წაგიღიათ. გთხოვთ მალე". რომ ადვილად აჰყვებით ხოლ-მე სხვის ფეხის ხმას, — ეს ღიდი ხანია რაც ვიცი, რადგანაც საკუთა-რი მოსაზრება ღმერთს თქვენთვის არ მოუცია. მაგრამ არც ისე უნ-და დაჰკარგოთ გრძნობა-გონება, რომ მაიმუნისავით ათამაშებინოთ თქვენი თავი. თუ ეს წერილი ჭკუას ვერ გასწავლით, მაშინ სხვა ღონისძიებას ვიხმარ. თქვენ არა ერთხელ მოგსვლიათ ჩემს შესახებ ეგ მიჭარვა და კვლავ აღარ გაბედოთ. ვლ. მესხიშვილი".

რომ მკითხველმა გასაჯოს, რამდენად მართებული იყო მესხიშვი-ლის ასეთი წერილი, მისცა თუ არა მას პ. უმიკაშვილმა თავისი წე-რილით საფუძველი ან საბაბი ასეთი პასუხისათვის, მე გადმოვწერ სრულად და უცვლელად უმიკაშვილის წერილსაც, რომელიც დაწერი-ლია ტფილისში 28 სექტ. 1899 წ.

„ბატონო ვლადიმერ! თქვენ წაიკითხავდით ივერიაში, რომ სუნდუ-კიანცის პიესების დაბეჭდვას აპირებენო. ამის შესახებ მე ვიკისრე ყო-ველი ღონისძიება, რომ სუნდუკიანცის პიესები ერთ წიგნად დაიბეჭ-დოს, რომელიც დიდად საჭიროა ქართულის სცენისათვის, ნებართვა მომცა სუნდუკიანცმა; მოლაპარაკებული მაქვს მბეჭდველთან, რომ დაბეჭდავს. საჭიროა პიესები ხელში მქონდეს. აქ დრამატიულ საზო-გადოების ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა „დაქცეული ოჯახი". მოვი-კითხეთ აქა-იქ და ბოლოს მოვაგენით, რომ ის პიესა გამოუგზავ-ნია თქვენთვის ლომაურის ცოლს (ხუდადოვის დას). ახლა გთხოვთ, ამისთანა მარჯვე შემთხვევა არ დაგვაკარგვინოთ და ეგ პიესა მონა-ხოთ თქვენს ბიბლიოთეკაში, აგრეთვე მოიკითხოთ თქვენს ნაცნობებ-ში და მოვაშველოთ. ყველა პიესები თუ ხელში არ მექნა, დაბეჭდვა არ შეიძლება და არ შევუდგები, სანამ ეგ პიესა არ ვიშოვე. სხვა პიე-სები ყველა გვაქვს, ეგ გვაკლია. იმედი მაქვს, რომ თქვენც ჩემსავით მოსურნე ხართ, დაბეჭდილი პიესები გვქონდეს. თქვენ ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმაროთ და მოსძებნოთ. აქ ვერსად ვერ ვიშოვეთ და თქვენ უნდა გამოგზავნოთ, რადგანაც თქვენ წაგიღიათ. გთხოვთ მა-

ლე. გამოგზავნეთ ან ჩემ სახელზე: В Тифл. П. И. Умиковy, სხვა არაფერია საჭირო, ფოჩტამ იცის ჩემი ადრესი, ან გამოგზავნეთ დრამატიულ საზოგადოების სახელზე, ორსავე შემთხვევაში с наложенным платежом, რომ ხარჯი არ მოგვიდეთ. დავშთები მომლოდინე პიესისა, პეტრე უმიკაშვილი".

მე არას ვამბობ ამ ინციდენტის გამო, — ფაქტს უკომენტაროდ ვიძლევი. მაგრამ არ მგონია, რომ ისტორიამ ჩვენი დიდი მსახიობი გაამართლოს ამ შემთხვევაში.

მესამე შემთხვევაა იი უსიამოვნება, რომელიც პ. უმიკაშვილს მოუვიდა „ჯეჯილის" და „კვალის" რედაქტორთან — ანასტასია წერეთელთან. 1895 წ. 6 ოქტომბერს ანასტასიას ასეთი წერილი მიუწერია პ. უმიკაშვილისათვის:

„ეს სამი კვირაა შეწუხებული ავადმყოფი ვარ და სულ იმას ვწუხდი, რომ ვაი თუ ამიტყდეს რამე და ვერ მოვასწრო გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი ბიზღი, ბატონო უმიკაშვილო! იმაზე, რომელიც თქვენ გამოიწვიეთ უკანასკნელ სხდომაზე წერაკითხვის საზოგადოებისა. იმის მაგიერათ, როგორც შეშვენის პატიოსან კაცს, რომ პირადად, მოგელაპარაკნათ გიორგი წერეთელთან მართლ-წესრიგის შესახებ, რომ მთელი ბათუმის საზოგადოება „კვალის" წინააღმდეგიაო, როგორც მაშინ თქვენა ბრძანეთ, თქვენ მობრძანდით კრებაზე, სადაც იცოდით, რომ უმეტესი ნაწილი „კვალის" წინააღმდეგნი იყვენ, და დაიწყეთ დაცინვა და ოხუნჯობა, ვითომდა მთელი ბათუმის მაზრის აზრს ეუბნებოდით ყველას. თქვენ მაშინ ღირსი იყავით სილის შემორტყმისა, ხელიც გავიწვდინე, მაგრამ ბოლოს თავი შევიკავე. ეს ჩემი ნაწერი შეინახეთ თქვენ არქივში დოკუმენტებთან, გამოგადგებათ, როგორც აზრი „კვალის" რედაქტორის ანასტასია წერეთლისა".

მე ეს წერილი იმთავითვე არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ პ. უმიკაშვილს რაღაც უსიამოვნება მოუვიდა ცოლქმართან „კვალის" მართლწესრიგის გამო. მას ხშირად ულაპარაკნია ჩემთან და სხვებთანაც იმ თემაზე, რომ „კვალმა" განდევნა „ს" და „ჰ" ქართული ზმნებიდან. „კვალის" მართლწერას ვერ ურიგდებოდა. მის ხელნაწერებშიც ვპოულობ მაშინდელ ასეთ შენიშვნას: „სხოლასტიკა იცით, რაც არის, იგი ბუნების კანონს კი არ უყურებს, რაღაცა განყენებულ მოსაზრებაზეა დამყარებული. რათ გინდათ, რომ სხოლასტიკური მართლწერა შემოგაქვთ?... თქვენ სწერთ: მიცა — მისცას მაგიერ, დაწვდა — და-

სწვდას მაგიერ, დია — სდიას მაგიერ, კრა — ჰკრას მაგიერ და სხვ". მის ქაღალდებში არის საპიესო სურათის ფრაგმენტი, სადაც საქართველოში საქმეების გასაცნობად ოლიმპიდან ჩამოსულ იუპიტერს უამბობს ქართველი ლიტერატორი: „ეი, ბ.ტონო, დავიწყოთ თუნდა წერის მხრით. ერთი ასე ამბობს: პრომეტეესომა ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანს მისცაო. მეორე უარს ამბობს, ეგ ძველი ენააო და ახალი ენით ასე უნდაო: პრომეტეოსმა ღმერთებს ცეცხლი მოპარა და ადამიანს მიცაო. . . ამგვარად, შედგა ორი პარტია, ერთი ამბობს ძმამ ძმას სმა გასცაო, და მეორე ამბობს, ძმამ ძმას ხმა გაცაო. ასე აირიეს. ნენ და ერთმანეთისთვის ხმა ველარ გაუციათ ულანძღავთ".

მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ გიორგი წერეთელი უმიკაშვილთან მომდურავად არ იყო და მასთან სახლში მსვლელობა ჰქონდა იმ ინციდენტის შემდეგაც. პ. უმიკაშვილის ქაღალდებში წერილიც არის გიორგი წერეთლის (1897 წ. 31 დეკ.), რომელიც მას თავის სახლში ეპატიჟება ახალწლის შესახვედრად:

„ძმაო პეტრე. ეს არის ახლა მოვედი სოფლიდან; გამახსენდა ძველი ახალწლის ნობათი პეტრიძისა[1] და მინდა, რომ ოც წელს შემდეგ, ისევ შენთან გავითენო ახალი წელი და სიყმაწვილე ჩემი გავიხსენო. ამისთვის გთხოვ, ძველი უსიამოვნება ძველ დაბერებულ წელს გავატანოთ და ახალწელიწადს ახალი აღფრთოვანებული იმედებით მივეგებოთ მე და შენ, ეითარცა სვიმონ მოხუცი, რომელსაც ხელში უჭირავს ეს ახალი წელი ვითარცა ახალი ყრმა, განმაახლებელი ცხოვრებისა და მომავლის იმედი. შენი გიორგი".

ამიტომ, როდესაც მან მომწერა (1897 წ.) „კვალის" რედაქციაში ვერ დავდივარ, რადგან ამ ორი წლის წინათ ანასტასიასთან უსიამოვნება შემემთხვაო, მე ხუმრობით შევეკითხე: არშიყობა ხომ არ დაუწყე ანასტასიას და ამისთვის არ გაგიწყრა მეთქი, თუმცა არშიყობისა და მიჯნურობის ასაკს მაშინ ერთიც და მეორეც, ყოველ შემთხვევაში პეტრე, გვარიანად გადაცილებული იყო. და იგი მწერდა პასუხად:

„შენ რომ უმზრახობაზე მოგწერე ანასტასიასთან, წერეთლის ცოლთან, სულ გადაბრუნებულად გესმის. მიზეზი „ს"-ის გამოკლება იყო ზმნაში. ერთ კრებაზე გავეხუმრე: ბათუმში ამბობენ მეთქი, რომ ცოლქმარს კბილები ჩასცვივნია, „ს" ვერ გამოუთქვამთ და „კვალსაც" ჩა-

[1] პ. უმიკაშვილის პსევდონიმი.

აბეჯდეს თავისი ნაკლებულობა. ამაზე ტასო გაწყრა და გამლანძღა. ახლა შევრიგდით. ახალწლის ღამეს გიორგიმ მიმიწვია. (მიწვეული ვიყავი ავრეთვე ილია ჭავჭავაძესთან). ამ ღამეს მე არსად მინდოდა წასვლა. . . მეორე დღეს ვნახე ტასო. . . და ხელზე კოცნით მოვიბოდიშე".

თუმცა პ. უმიკაშვილის ნათქვამში, როგორც ხედავთ, საიმისო მაინც და მაინც არა ყოფილა რა, მაგრამ ქალის გული იმას მაინც ვერ მოითმენდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ანასტასია, როდესაც გიორგი წერეთელმა შეირთო, საკმაოდ შესული იყო ასაკსა შინა. 1895 წელს, როდესაც ის ინციდენტი მოხდა, ის სულ რაღაც სამიოდე წლის გათხოვილი იყო, და ამ დროს პ. უმიკაშვილმა კბილების ჩაცვენაზე გაღაუკრა. გასაგებია ანასტასიას აღშფოთება.

მაგრამ აპატია, და ადვილად შერიგდნენ. და არც შეიძლებოდა არ შერიგებოდა ადამიანი პ. უმიკაშვილს. ყველამ იცოდა, რომ იგი სიავით. ავგულობით, განზრახ არავის აწყენინებდა. ყველამ იცოდა მისი კეთილი გული, მისი ტკბილი და უწყინარი ბუნება, მისი მხურვალე თანაგრძნობა მწუხარებასა და გაჭირვებაში. ვისთანაც შეიყვლიდა ნაცნობთან, ყოველთვის რაღაც სიტკბოება და გულითადობა შეჰქონდა მის შინაურობაში. იყო დიდი მოყვარე და მოალერსე ბავშვებისა და უდიდეს სიამოვნებას გრძნობდა, როცა ხანდახან რომელსამე ნაცნობ ოჯახში მოხვდებოდა და ორიოდე საათს სასიამოვნო ბაასში გაატარებდა. ეს თვისება ხდიდა მას ყველა ნაცნობისათვის საყვარელ და სასიამოვნო პირად. იგი ყველასთვის, „ჩვენი პეტრე" იყო. ამიტომ მას პირადი მტრები ვერ ეყოლებოდა, არც ჰყავდა. და როდესაც გარდაიცვალა, მისმა სიკვდილმა ყველა მისი მცნობი გულწრფელად დააღონა და „ტკბილ, პეტრეს" დაკარგვა დაანანა.

პ. უმიკაშვილი ფიზიკურად ძალიან ჯანმრთელი აგებულობის კაცი იყო და ავადმყოფობა იშვიათად იცოდა. თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიაც მას საღი და „ყოჩაღი" შესახედაობა ჰქონდა. ვერავინ იფიქრებდა მაშინ, რომ მას ისე ახლოს ედგა წინ სიკვდილი. იგი იმსოვერპლა გარეგნულად სულ უმნიშვნელო დაავადებამ. რაღაც გაციების გამო ცალი ყური ასტკივდა, შიგნით დაუმწიფდა და ბალღამმა დენა დაიწყო. ექიმი, რომელიც სწამლობდა (ყურის სპეციალისტი მაისურიანცი), აიმედებდა და მალე მორჩენას ჰპირდებოდა. მაგრამ ავად-

მყოფს თანდათან უარესობა დაეტყო. იყო ექიმთა კონსილიუმიც[1]. მაგრამ სენმა თავისი გაიტანა[2]. ყურიდან ჩირქი ავადმყოფს ტვინის აპკაზე გადაუვიდა, რამაც ტვინის ანთება გამოიწვია, და ეს ტკბილი და უწყინარი ადამიანი ორ დღეში წუთისოფელს გამოესალმა.

1904 წ. 28 მაისს (ძვ. სტ.) დღის 10 საათზე ქართველმა მწერლებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, პ. უმიკაშვილის ნეშტი გამოასვენეს მისი ბინიდან (თეატრის შესახვევი). მიცვალებულს მრავალმა ხალხმა სცა პატივი დასწრებით. კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში წირვისა და წესის აგების შემდეგ, ცხედარი წასვენებულ და დაკრძალულ იქნა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. წარმოთქმული იყო სიტყვებიც. მე არ მითქვამს: ვერ შევძელი.

P. S. ახლა ჩვენ: პეტრე და მე.

დიდი ბედნიერებაა მეხსიერება. თუ ადამიანს ნათელი რამ აქვს მოსაგონებელი. ანდაზაცაა: ვინც იცის, იცისო, მაგრამ ვითომ მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ? რატომ? ვერ ვიტყვი ზოგ რამეს, რადგან მაშინ უნდა ამომეწერა ადგილები მისი ნაწერებიდან, რომლებიც მას საიდუმლოდ, თავისთვის უწერია და სადაც იგი მხოლოდ ჩემი აღმატებულების ქებაშია გართული: ეს იქნებოდა ჩემი თავის ჩემივე ხელით გაწკეპლვა. მაგრამ ნუთუ არც ის უნდა მოვიხსენიო, სადაც მისი უსაზღვროდ მოსიყვარულე გული თრთოლვით ძგერს და გრძნობის შეუწყვეტელი შადრევანი სცემს? არ მითქვამს ღღემდის, მიშლიდა მისი ხსოვნა, ქედის მოდრეკა მისი სურვილის წინაშე: არ უყვარდა, ეჯავრებოდა, როდესაც მის კერძო სიკეთეზე ილაპარაკებდნენ. მაგრამ 30 წელიწადი საკმაო დროა. მგონია, ახლა შეიძლება. რატომ, სხვამაც გაიგოს. მე ხომ ვიცოდი მისი გულის სიმდიდრე, დეე ღღეს სხვებმაც შეიტყონ. ვამცნობ სხვასაც. თუნდაც მარტოოდენ იმის დასამტკიცებლად, რომ კაცს, რომელსაც შეეძლო იმ ზომამდე ჰყვარე-

---

[1] აღნიშნავ, რომ ექიმმა (შემდეგში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა) სპირიდ. ვირსალაძემ, რომელიც კონსილიუმში იყო მოწვეული, პონორარზე კატეგორიული უარი განაცხადა და არ აიღო.

[2] ამჟამად ასეთ შემთხვევაში გამოყენებული საშუალება — ყურის მიდამოში თავის ქალას ტრეპანაცია მაშინ, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, არ იცოდნენ.

ბოდა ადამიანი, როგორც მას უყვარდა ამ სტრიქონების დამწერი, — ხორცით არც შვილი მისი, არც ნათესავი, — ასეთ კაცს არ შეიძლება არ ჰქონებოდა განსაკუთრებით მადლცხებული გული. მე მხოლოდ ნაწყვეტ ადგილებს ამოვწერ აქა-იქ მისი ბარათებიდან და დღიურებიდან, — სრულიად უსისტემოდ, — როგორც ხელში მომხვდება.

დღიურიდან: „რანაირად ვგრძნობ ამ ყმაწვილის გულის წყლულს, რომ სწავლა სურს და ვერ მოუხერხებია. ეს მე კარგად მესმის. მე თვითონ არ ვიტანჯებოდი ოთხ წელიწად ნახევარი, სანამ პეტერბურგში წავიდოდი? რამოდენი ნაღველი სულის განწირულება... რამდენი სიმწარე უნდა გამოგვევლო, ოჰ, ტკბილო აჩრდილო დედისავ... რამ დამიხსნა?.. ვედებოდი აქა-იქ... ღონისძიება მომცა სტეფანე პაპოვმა (რამდენიმე თვით, 4-5 თვით), და გამოვძვერ. 25 წელიწადი ყმაწვილებს გიმნაზია-ინსტიტუტში გვერდით დავუდეგ და ვეჩიჩინე, ვწერე, ვბეჭდე და რაიმე გავაკეთე. რამდენნი არიან იქნებ ჩემზე უკეთესის ღონისა... და მიდის მათი ცხოვრება წყალწაღებულსავით, იმიტომ რომ შემთხვევა, უბრალო შემთხვევა გზას არ უხსნის“ — „სულ კითხვა უყვარს... სწავლა რომ უმაღლეს სასწავლებელში... რომ პროფესორობა წილად ერგუნებინა ბედს. მაგრამ სად არის ბედი?“ — „მინდოდა რამე წიგნი მეყიდა მისთვის ოდესიდამ მისვლაზე... ყმაწვილი კაცია, მინდა სახსოვარი ჰქონდეს ოდესისა“. — წერილებიდან: „ამ ბარათს გწერ დედაჩემის სურათის წინ. რა ბედნიერი ხარ, დედის გვერდით ზიხარ, შეგიძლია უალერსო წმინდის გრძნობით, რომელსაც ვერაფერი გრძნობა ვერ შეედრება. უალერსე და იალერსე, დასტკბი მაგ ალერსით, სანამ შეგიძლია“. — „მიუნხენში სიცივე იცისო, ერთი ნაწილი ქალაქისა ჭაობიანიაო, ასე ამბობს ბროკჰაუზის ლექსიკონი. მართლა ჭაობიანია? ციებიანი ადგილი თუა, არ გავნოს კი? როგორ ატყობ?“ — „იწერები, კარგად ვარო, თუ არ მიმალავ... ციება ხომ არ გამოგყვა ბათუმიდამ? გამიგონია, იცის, ბათუმის ჰაერმა, მერე გამოუჩნდებაო“. — მეფიქრება, ტვინს აძლევ შეღავათს, დასვენებას, რომ ძალა არ გამოგელიოს, არ შესუსტდეს, თუ არა? — „დაწყეველილი ციება... ბათუმისა გაგყვა, თუ მანდაური ჰაერის ბრალია?.. შეიცვალე ჰაერი“. — „შენი კარგა ყოფნა და მორჩენილობა მახარებს. შენ თავის მოვლა არ იცი... ისწავლე თავის მოვლა ნემეცებისგან... დიდი ხნით თუ არ გეხერხება, ერთი ორი კვირით ჰაერის გამოცვლა კაი

საქმეა“. — „გინახავს პროფესორი... ნახე, მალმალ ესაუბრე, დაუახლოვდი მოაზრე და მშრომელ სტუდენტებს. რამდენი სიტკბოება უნდა ნახო, რამდენი ცოცხალი აზრი, ცოცხალი კაცი წარმოგიდგება თვალწინ“... — „ჩემი ფიქრი მუდამ შენკენ არის, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ჯანმრთელად ხარ, მუშაობ წრესგადაუსვლელად, გულდამშვიდებული, გონებადამშვიდებული“. — „უნდა იმგზავრო (გერმანიის) სოფლებში... თუ ბათუმისებურად სახლში შეიკუნჭე და მარტო წიგნს უჩიჩინე, ვერაფერი გამოვა, გაშალე ეგ პატარა ფრთები, რაც გაბადია. გადი-გამოდი, იმოძრავე, ნუ მოიბუზები, სულსაც არგებს და ხორცსაც“. — „მჯერა, მჯერა ჩემო საყვარელო, როგორი და რამდენგვარი ფიქრი გაგივლიდა... ჩემო კარგო, განა ესეც რომ ყოფილიყო, რატომ არ შეიძლება ძმამ ძმას და შვილმა მამას ჰკითხოს ამისთანა ამბავიცა?“... — „მეფიქრება მარტოობაში არ ჩაიხრჩო თავი, გაიცანი სტუდენტები, გაიცანი, დაიმეგობრე“... — „კარგად იყავი, თავს კარგად მოუარე, გაძელ მანდაურის სიკეთით და მერე, თუ დარი დაგიდგა, კარგახანს მანდ ყოფნის შემდეგ. მოეხვიე, თუ ცოცხალს მოუსწარ, შენს პეტრეს“. — „კარგად იყავი, ჩემო კარგო, არ მოიღალო მუშაობაში, ნერვები არ დაისუსტო, გაერთე, საჭიროა ნერვებისათვის, დაისვენე, ხომ კიდევაც მითქვამს და მომიწერია“. — შენი ვრცელი წერილი... რაღა თქმა უნდა, მასიამოვნებს და მადლობის გრძნობას ჰბადებს, მაგრამ თანაც მეშინია, ჩემმა ვრცელმა წერილმა ვაი თუ შეავიწროვა, ვალდებულებასავით დაატყდა, დრო წაართვა, ძვირფასი დრო, და ეს მე არ მინდა... რაც უნდა გრძელი წერილი მოგწერო, არ იფიქრო ვალდებულება... ხან მოკლე, ხან გრძელი, გუნებას მივანდოთ“. — „თავს მოუარე, სიმრთელეს გაუფრთხილდი და რეგულარულად იშრომე, იძინე, ილხინე კიდეც, კეგელბანი ნემეცებს უყვართ, ივარჯიშე, ბილიარდიც გარგებს“... „მომიტევე შენი ჭირიმე მოკლე წერილისთვის“... — „ასეთ გუნებაზე ვარ (თავისუფლადაც ვარ დღეს) შენი კარგის ამბით დაყენებული, რომ მინდა გემუსაიფო და გული მოვიფონო, ჩემო კარგო“. — „მაშინებს კიდევ ის, რომ მუშაობა რეგულარულად არ იცოდი და ვაი თუ ახლაც ღამეს ათენებ და ნერვებს იშლი; ძილი და გართობა არ იცი... თუ ესეც მოახერხე და ჯანმრთელობასაც მოუარე, თუ სიმრთელეს უმატე, — ჩემი ნატვრის ასრულება იქნება... გეხვეწები, რამდენადაც შეიძლებოდეს, წესიერად იმუშავე და გადაჭარბებით ნუ დაიზიანებ ჯანის სიმრთელეს“... — „...ნუ დახედავ ჩემ

გრძელ წერილს, შენ თავისუფლად იყავი და თავს ნუ შეიწუხებ, — არ იქნება, სამაგიერო ზომის წერილი უნდა მივწეროვო". — „. . .გეყოფა ფრანცუზული და ნემეცური (ენა). ინგლისურიც გინდოდა გესწავლა. ენების შესწავლას დიდი დრო უნდება და ტვინის მოღალვა. . . თუ შენც დამეთანხმები, ვგონებ არ ვტყუი. ორ ენაზე, ფრანც. — ნემეცურზე, მთელი მსოფლიო გონების ნაწარმოები იპოება". — „შენი პასუხი, თუ ჩემ დასამშვიდებლად მოგიწერია, არ დაგიმადლებ, და თუ მართლა ასეა. შენივე ჯილდო იქნება და ჩემი გასახარებელი, დასაკმაყოფილებელი. მაგრამ. . . პირდაპირ გეტყვი, შენ ნევრასტენიის გზაზე გხედავდი აქვე და მაფიქრებს არ გააძლიერო. შენ უთუოდ უნდა მოირჩინო თავი, უნდა მოირჩინო; შენი ბეჯითობისა და მტკიცე ხასიათის იმედი მაქვს". . . — „ძალიან შეშფოთებული ვიყავი და დღედღეზე ვთვლიდი შენი წერილის მიღებას". — „ძალიან ცუდია, რომ მოსწავლე კაცმა არ იცოდეს განსაზღვრით, რა აქვს. . . მომიტევე. . . ვინ იცის, რამდენი ტანჯვის მიზეზი გაგიხდი". — „იყავი იმედიანად, ნათელ გუნებაზე, თავს კარგად მოუარე". — „რატომ არა მწერ, ახლა როგორ ხარ. თვალები როგორ გაქვს? არ ცდილობ, რომ მოგიკეთდეს? ეცადე, ჩემო კარგო, ჯანზე კარგა იყო, გეხვეწები". — „. . .გინდ ქება გამომტყუო შენი ზარმაცობისათვის? ჰაი, შე პლუტო, შენა! ვერ მოგართვი. . . ხომ არ გენატრება დიდი მუშაობის დროს (შავი ქვის კანტორაში) დაგიბაროთ, ჰა? Но дудки, იჯექი მანდ შენ ეერეში". — „. . .ინგლისური ენის შესახებ: თუ კი დრო ბევრი არ დაგეკარგება, ძალიან კეთილი. მე კიდეც დაგეხმარები, რომ გამოთქმა დაწერილისა გაგიადვილდეს. არის ანბანი Webster-ისა, რომელშიაც ყმაწვილების სავარჯიშოდ მრავალი სიტყვაა მოყვანილი, როგორ გამოითქვას; იშოვე მანდ". . . — „ნუ იწუხებ თავს, თუ დრო მიდის, მორჩენაზე იზრუნე". — „ამას გთხოვ, თვალებს გაუფრთხილდი. როგორ გრძნობ? უფრო გისუსტდება, თუ კეთდება? ეცადე რეგულარობას, ჯანსაღობას, თორემ წამახდენ კაცს". — „მოველი შენ ვრცელ წერილს, მაგრამ თუ დრო არ გქონდეს, ვალდებულებად ნუ სთვლი ჩემ მოლოდინებას". — „გყავს მანდაურ სტუდენტებში ან გარეთ მეგობარი ვინმე? ეს საკითხი გამივლის ხოლმე ფიქრში, — ავათ რომ შეიქნება ვინ ხედავს, ვინ მიხედავს მეთქი. ასე ვფიქრობ, რამდენიმე დღე თუ გვიან მომივა შენი წერილი". — „გთხოვ, ზომას ნუ გადახვალ,

ლონე უნდა შეინარჩუნო, თვარა უამისოდ ვერაფერს გააკეთებ. კვლავაც მომიწერია და ნუ მიწყენ განმეორებას". — „ვეფხის ტყაოსნის სიტყვები მაგონდება... გაქვს კი ვეფხის ტყაოსანი? ხანდახან წაიკითხე, და ნემენცურად ჩააკვირდი, ქართულად იგრძენ და მარტოობაში, შორს ყოფნაში მეგობრობას გაგიწევს". — „მე მხოლოდ ერთი ფიქრი მაწუხებს, შრომის მოყვარეობასთან ვაი თუ შენ ნემეცურად არ გააწესრიგო, რეგულარულად არ გაანაწილო დრო მუშაობისა, დასვენებისა, გართობასა და სეირნობას შორის. დახე, როგორ ჩამოვთვალე: მუშაობა ერთხელ ვახსენე და დასვენება, გართობა და სეირნობა კი გავჯიმე... შენ რისთვისაც გელაპარაკები, ხომ იცი. კითხვა გადაჭარბებით იცი, და გაფრთხილდი, არ მოიკლა ნერვები, ტვინი, სხეული. ესეც ერთგვარი ლოთობაა. ყოველგვარ ლოთობას ერთნაირი ბოლო მოსდევს. აბა მითხარი, მაგალითად, დღეში რამდენი ხანი გაისეირნებ სადმე სახალხო ბაღში, ან ჭუჩა-მოედანზე. ამისთანა ჩვეულება ხომ წარჩინებულ მოღვაწე-მეცნიერ მწერალ-კაცებსაც აქვთ"... — „წიგნების გამოგზავნა დამიგვიანდა... ფოსტაში ორ საათამდე გინდება ადამიანს ყოველ რისამე გამოგზავნაზე. საყვედურად კი არ ჩამითვალო. ნუ, ნუ იფიქრებ". — „ეგ ოხერი ციება რას გადაგეკიდა. მე ვეჭვობ, იქნება ეგ ციება კი არა, შენი მოღალულობა იყვეს მეტის, უზომო შრომისაგან, ღამის გატეხისა, და სულ გაუწყვეტლად წიგნებში ჩიჩინისგან... ჰაერის გამოცვლა და წამალი"... — „ჩემო კარგო, შენ ეხლა გაევროპიელდი, აზიურ ცერემონიებს ნუ გამიწევ, პირდაპირ მომწერე შენ საჭიროებაზე". — „სახსენებელი არ არის ფოსტაში ცდა, ნეტავი კი ამისთანა გზაზე სიარული ბევრი მომიხდებოდეს, შენ გულდამშვიდებული იყო და მოუსვენრობა არ შეგემთხვეს". — „შენი სიმრთელის ამბავი მაცოდინე, როგორა ხარ". — „თუ ვინცობაა მარცხი რამე ალმოჩნდა და ფაკულტეტმა არ მოიწონა (შენი) დისერტაცია, ამაზე ნუ შეიწუხებ თავსა"... — „ამას გთხოვ, შესვენებით იმუშაო, ჰაერში იარო, რომ ღონეზე იყო, არ დასუსტდე". — „შენს წერილს მოუთმენლად ველოდი, ავადმყოფობისა მეფიქრებოდა"... — „მხედველობაში მიიღე, რომ პარიეის სახლები ზამთარში საძაგელი ციეია და გაციება შენ, მეტადრე, საფიქრებელი გაქვს... ოთახებს ცუდად ათბობენ, ზოგჯერ პალტოებით სხედან და მაინც ძაგძაგებენო. ღამე ძილი რაღა იქნება, მერე შენისთანა მოუსვენარი ძილის მცოდნესათვის, მალე გაციედები". — „რაღაცა არ მომწონს შენი გაჩუმება, რომ მეხათ-

რები და თან, ვინ იცის, ავათ ხარ". — „შენი ჯირიმე გაფრთხილდი. კარგა იწამლე, ეცადე და მალე გამრთელდი". — „ახლა როგორა ხარ? გაფრთხილდი, გთხოვ მართალი ამბავი მომწერო და არ მომატყუო შენი ავადმყოფობის მიმდინარეობაზე". — „შენ პირველ წერილში იწერები... ამაზე რა ლაპარაკი გინდა. არ მოგიკვდეს პეტრე, არაფერი გაფიქრებინოს. ნუ ხარ სანდახან ტუტუცი".

კმარა.

მაგრამ არა, არ კმარა. როდესაც ასე მელაპარაკებოდა შორიდან, თურმე თავს იკავებდა და ისე მელაპარაკებოდა: „უნდა გითხრა, ჩემო კარგო რომ გულის სითბოს ზოგჯერ შევზღუდავ, დავხშავ განგებ, რომ ამ სითბომ არ აგრძნობინოს მეგობრის ან ახლობელის გულს — მგრძნობელ გულს — რაიმე ჯრილობასავით ტკივილი. ხანდახან გამონაჩენი სიობო მოსაბეზრებელია, დამჩაგვრელია და ამის გამო ზოგჯერ საზიზღარიც. მე ვწერ ხან ცივად, ხან გულთბილად. ცივ წერილებზე არ ვნანობ. გულთბილზე ეჭვი მებადება, — წამკითხველი, ვინ იცის, ამ გულთბილობაზე რამდენს გაიცინებს და იტყვის: ტუტუცი, რას იწერებაო! გულის და სულის სითბო საუნჯედ მიმაჩნია და დავეჩვიე (მრავალ მიწერ-მოწერაში) ეს ჩემი გულის სითბო ჩემთვის შემენახა, რადესაც ის სხვისთვის არც საჭირო ყოფილა და არც გამოსადეგი"...

ეს გამომქღავნებული გრძნობა, თავისთავად უკვე ზღვა, თურმე ნაწილი იყო იმის, რაც გულში უღვიოდა. თურმე თავშეკავებული იყო! როდესაც ასეთი რამ მოსხლტებოდა ზის კალამს: „შენ, ჩემო კარგო, კიდევ და კიდევ იმაზე ლაპარაკობ, ვალებიო. აღარ გაათავებ?! ხომ მითქვამს, — რომელი მოსწავლე წასულა სასწავლებლად თავისი ნაშრომით, რომ შენ წასულიყავი. ყოველ მოსწავლეს ან დედ-მამა ან ნათესავი ან საქველმოქმედო საზოგადოება აძლევს ღონისძიებას. ჩვენ ურთიერთობაშიაც ასეა, ამას ემატება ჩვენი მეგობრობა, ნათელი, კეთილშობილი და გულწრფელი. დიახ, ჩვენ ცუდი კაცები არა ვართ, და ასე იყო და ასეც იქნება. ის დამყარებულია იმ დიდებულ და გულითად სიყვარულზე ჩვენის ხალხისა და ქვეყნისადმი, რომელიც უღონოს ღონეს აძლევს, ღარიბს და უქონელს გულმდიდრად აქცევს, უცხოებს ანათესავებს და სულით აერთებს. ეს წმინდა საძირკველია, ჩემო კარგო, ჩვენი შემაერთებელი. გიცანი ჩემ სასიხარულოდ, ჩემ გამხარებლად, ჩემ საიმედოდ, დარწმუნებული ვარ, რომ სამსახური ჩვენის დაქცეუ-

ლის ქვეყნისა ღრმად გაქვს გულში ჩანერგილი... ნუ გეშინია, პეტრეს სიმართლის გრძნობა გამჯდარი აქვს და მართალს, პატიოსანს აზრს დააკვირდება... ნუ გეშინია, ჩემო კარგო, პეტრე არ იტყვის შევმცდარვარო. რას ჰქვიან შეცდომა. ყმაწვილ კაცს უნდოდა სწავლა. შრომა შეეძლო. გარემოებამ ხელი შეუწყო და წავიდა სასწავლებლად, იშრომა, შეიძინა სწავლა. სურვილი და მხნეობა აქვს იმუშაოს. მორჩა და გათავდა. ასე, ჩემო გამხარებელო, არც შენი მეშინია, არც ჩემი. ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ დღევანდლამდე და წინ რაც იქნება, უნდა იყოს უეჭველად ნათელი, სპეტაკი, კეთილშობილი და გულწრფელი, მხნედ იყავი, კარგად".

ახლა კი კმაროდეს.

ჭეშმარიტად, ღრმა აზრია ანდაზაში: „ვისაც ვინ უყვარსო"...

მაბსოვს, ერთხელ ფრთხილად და გაკვრით მოვწერე ლეიპციგიდან: აქ უნივერსიტეტში დარჩენაზე მელაპარაკებიან მეთქი. ველოდი მეტყოდა: ჩვენ რის ვაივაგლახით გაგისტუმრეთ და შენ ჯანაბაში მიდიხარო? ნაცვლად ამისა, მომწერა: რატომ, ძალიან კარგი იქნება, ესეც საჭიროაო და არა თუ ეს, სტატიაც კი დაბეჭდა ჟურნ. „მოამბეში" ამის შესახებ: ზოგი ჩვენი ახალგაზრდები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებშიც რომ მოეწყვნენ, კარგი იქნებაო.

დიაღ, ბრძნული ნათქვამია: „ვისაც ვინ უყვარსო"...

ჩემი და პეტრეს „ამბავი" მოკლედ ეს არის:

22 წლის ვიყავი, რომ გამიცნო. განუშორებელ ფიქრად გადაექცა ჩემი სასწავლად წასვლა. თურმე ამაზე დარდობდა დღე და ღამ. ხან რა გეგმას ადგენდა და ხან რას,— ჩემდა შეუტყობინებლად, რასაკვირველია. რამდენიმე თვის შემდეგ ჩამომიარაკა: მომგებიანი ბილეთი მაქვს, ამ თვეში შეიძლება მოიგოს, შენც გიწილადებ სასწავლებელში წასასვლელადო. მე, როგორც გულით კუდა-აზნაურმა, ბურსაკულად მივახალე: მერე როდის მოგახსენე, რომ მივიღებ მეთქი. ეს ამბავი მასვე აქვს, გულნატკენს, თავის რვეულში ჩაწერილი.

მომითმინა, მაპატია. მაგრამ ფიქრი იგივე ჰქონდა დღე და ღამ. ჩამჩიჩინებდა მუდამ, ცდილობდა ჩემ მორჯულებას: დახმარების მიღება რა სირცხვილია, განა ჩვენი აღა, ნ. ღოღობერიძე, თავის საქმისთვის ცოტა ფულს სესხულობსო? თან თვითონ თურმე სთხზავდა და სთხზავდა სხვადასხვა კომბინაციებს. მისმა ნაცნობებმა კი შეამჩნიეს, რომ

პეტრე ვიღაკაზე გადაირია, მაგრამ არ იცოდნენ ვისზე, იგი ხომ სახელს არ გაამხელდა: „მე თუ მენდობით, კიდეც უნდა დამიჯეროთ, სახელი რათ გინდათო“.

გავიდა ხანი. ერთ დღეს სახეგაბრწყინებული დაბრუნდა თბილისიდან ბათუმში: „ურაა, — შემომძახა, — გავარიგე, დავ. სარაჯიშვილი შემპირდა დახმარებასო“. უარი ვსტკიცე, ისიც უკმეხი უარი: როდის მოგანდვე სარაჯიშვილთან თხოვნა და შუამდგომლობა მეთქი. აენთო, გაცეცხლდა, მეორე ოთახში გავარდა, — მგონი იქ ცრემლებს იწმენდდა (კარგა ხნის შემდეგ იქიდან თვალებდაწითლებული გამოვიდა).

მთელ თვეს გაბუტული იყო, ხმას არ მცემდა. მაგრამ ბოლოს ესეც მომითმინა, მაპატია. ახალგაზრდა მეგობრები შემომიჩინა, — ჩააგონეთო. თვითონაც კიდევ ერთ წელიწადს მეჩიჩინებოდა, როგორც იყო დამიყოლია. და მაშინვე სარაჯიშვილისკენ გაექანა: აბა მიშველე, დავითანხმეო, მაგრამ ახლა იმან უთხრა უარი: რას ჩასციებიხარ იმ ყმაწვილს, წასვლა არ სდომებია, შარშან უარი თქვა, შენ რას ატან ძალას, — არაფერს მოგცემო.

მაინც გული არ გაიტეხა. ეს უარი, რასაკვირველია, დამიმალა. მუჯლუგუნით გემზე შემაგდო და თავი საზღვარგარეთისკენ მიკრა.

ხუთ წელიწადს იქ მარჩენდა. მაგრამ რჩენა რაა იმ ზრუნვასთან შედარებით, რასაც იგი ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა. ასეთ რამეებზედაც კი ფიქრობდა დაძინებისას და გაღვიძებისას: ნეტა გზა ხომ არ გაუფუჭდა სადმე, და მე რომ გავუგზავნე, იმის მიღება ხომ არ დაუგვიანდაო. ენით ვერ გამოითქმება ის საარაკო ზრუნვა და ამაგი. და ეს რომ კიდეც მოხერხდეს, ვერ წარმომიდგენია ისეთი საწონი, რომელმაც ასწონოს ის მადლი, რაც იმ ზრუნვაში იყო ჩატანებული.

ჩემი დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ორ წელიწადს იცოცხლა. არ ვიცოდი, — არ გაუმხელია, — ვინ ეხმარებოდა ჩემ შენახვაში. ვიცოდი მხოლოდ: ნ. ღოლობერიძე და დავ. სარაჯიშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ მის ქაღალდებში ვიპოვე ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მას თურმე ეხმარებოდნენ. დღესაც არ ვიცი, მათში ხომ არ გამორჩა ვინმე. მე იმით ვიხელმძღვანელე, რაც აღმოვაჩინე: იმ პირთ თანდათან, რამდენიმე წლის განმავლობაში, ვალი გადავუხადე მადლობით და ბოდიშით.

არ გადამიხდია ნ. ღოღობერიძისთვის და დ. სარაჯიშვილისთვის, არც პეტრესთვის. პირველნი ჩვენში სწავლა-განათლების მეცენატები იყვნენ და გაცემულს არ იბრუნებდნენ, ხოლო პეტრე ღარიბი ვაცი იყო და კი უნდა მიეღო განაცემი, თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა მოხერხებულიყო მისი დაყოლიება ამაზე. სიკვდილმა მოუსწრო.

მაგრამ რა, — რომ კიდეც მოხერხებულიყო, განა ეს იქნებოდა გადახდა? ეს იყო ვალი, რომელიც, რაგინდ მეხადნა, მაინც ვალად დარჩებოდა მუდამ, და კიდეც დარჩა. აბა სად მეშოვნა ის ზღვა ვრძნობა მისთვის იმ სამაგიეროს მისაზღავად, რაც მას ჩემგან შეეფერებოდა.

სულმოუთქმელად ჩამოვწერე ეს სტრიქონები. აჩქარებით, თითქოს მალულად, გონების თვალწინ ხელჩამოფარებულმა. იმიტომ, რომ მისი ხსოვნა დღესაც მიკრძალავს ამას. თავს მოიკლავდა, რომ ენახა. და რალა ეს, — მან ისიც კი არ ისურვა (ვერას გზით ვერ დავითანხმე) რომ, როცა სწავლა დავასრულე, მისთვის მიმეძღვნა ჩემი პირველი შრომა.

სტამბისთვის გადასაცემად ვიღებ ხელში მის სურათს. ვუცქერი და როდი ვუცქერი. ვხედავ კი. ეს სახე მედგა წინ, როცა ცნობიერების თვალს ვახელდი, და ეგევე სახე მიდგას გონების წინ, როცა დახუჭვაა მოახლოებული.

(პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება,
ნაწილი პირველი, ტფილისი, 1937).

პეტრე უმიკაშვილი

პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში. მას ეს საქმე დაუწყია ახალგაზრდობაშივე (20—21 წლისას) და არ დაუგდია სიკვდილამდე (მისი უკანასკნელი ჩანაწერები დათარიღებულია 1903 წლით), მაშასადამე, იგი ამ მასალას აგროვებდა 40 — 45 წლის განმავლობაში. ბევრი თვითონ მის მიერ არის ჩაწერილი, ბევრი კიდევ თავისი მოწაფეებისა და ნამოწაფარების და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეუკრებია. არის აგრეთვე ნაწილი, რომელიც მას „დროება-ივერიის“ რედაქციებიდან მიუღია, როდესაც გაზეთებს მათ მიერ მიღებული მასალა, უადგილობის გამო თუ სხვა

ძიზეზით, ვერ დაუბეჭდიათ (მაგალ., პატარა რვეული, რომელსაც აწერია პსევდონიმი „შემკრებელი მეც ვიყო“, ასევე მღ. ნ. ბაკურაძის [„ქართველი ოსებში“] ჩანაწ., ილ. ალხაზიშვილის ჩანაწ., თ. ხუსკივაძის ჩანაწ. და სხვ.). ზოგიც ჩამწერელთ მისგან დამოუკიდებლად ჩაუწერიათ და შემდეგ, მისი თხოვნით, მისთვის გადაუციათ (მაგალ., ილ. ჭავჭავაძეს, მღ. ი. გვარამაძეს [„ვინმე მესხს“], რომლის შენაკრები მას ირონა მეუნარგიას ხელიდან მიუღია,[1] და სხვ.).

ასე წარმოსდგა პ. უმიკაშვილის ხელში მოგროვილი ფონდი ხალხური სიტყვიერებისა. ზოგი რამ აქედან მის სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა დროგამოშვებით სხვადასხვა გამოცემებში, — უფრო ხშირად მისი სახელის აღუნიშვნელად. მაგალითად: 1882 წ. „დროებაში“ (№ 70, 73) დაბეჭდილია იას. ნათაძის მიერ ჩაწერილი აჭარული ლექსები. რომლების პირი, პ. უმიკაშვილის ხელით დაწერილი, ამ უკანასკნელის ქაღალდებშია დარჩენილი (მე ეს ლექსები აღარ შემიტანია). ცხადია, რედაქციისთვის გადაცემამდე პ. უმიკაშვილს დედანი გადაუწერია და შეუნახავს, თორემ მისგან დამოუკიდებლად რომ დაბეჭდილიყო, მაშინ ხომ აღარც გადასწერდა და თუ შენახვა უნდოდა, დაბეჭდილს ამოსჭრიდა პირდაპირ გაზეთიდან. ანდა, იაკ. გოგებაშვილს არა ერთი და ორი ლექსი, ანდაზა და გამოცანა ჰქონდა პ. უმიკაშვილის ფონდიდან თავის სახელმძღვანელოებში შეტანილი, ხშირად (პედაგოგიური მოსაზრებით) რაოდენადმე შეცვლილი, რაც თვითონ პ. უმიკაშვილსაც აქვს თავის ავტობიოგრაფიაში ერთ ადგილას აღნიშნული. მაგალითად: „მოდი ენახოთ ვენახი“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „ლილას ოქრო ხარ სტუმარო“, „ანდუყაფარ“, „მე ჯავახეთს რა მინდოდა“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „თებერვალი დადგაო“, „მაინც არ მოვკლავ ტოროლას“, „ლიახვმა სთქვა“, „ორშაბათობით აშენდა“, „საბრალო დედაბრისასა“, „აღზევანს წავალ მარილისათვინ“, „საწყალი მელა ჩიოდა“, „დათვმა თქვა, სიზმარი ენახე“. „ქალო ვისი ხარ ლამაზი“, „ორშაბათ დილა თენდება, ავი დარები დგებაო“, „ყიყლიყო მამალო“ და სხვა. ასევე — მგონია — პ. უმიკაშვილის ფონდიდან უნდა იყოს აღებული ის ექვსი ლექსი, რომელიც ი. ქანანოვმა გამოსცა 1878 წელს „ამირანის“ სათაურით (წიგ-

1 ამ ლექსების ნაწილი დაიბეჭდა 1913 წ. „საქართველოს სიძველენ“-ში.

ნაკში მოთავსებულია: 1) ამირანი, 2) ავთანდილი, 3) სოლოღა, 4) ტფილისის ქება, 5) საბრალო დედაბერი და 6) ცა და დედამიწა).

ჰ. უმიკაშვილი უღვაწლო და უმონაწილო არ არის იმაშიც, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ვინაიდან იგი ამ საქმის საჭიროების ერთ-ერთი „ფანატიკური მქადაგებელი იყო. არც იმაში, რომ თავის დროს „წერა-კითხვის საზოგადოებამ" იწყო ასეთი მასალის შეგროვება. 1882 წელს „საზოგადოებამ" დაბეჭდა და დაარიგა „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის", რომელიც, ვფიქრობ, ჰ. უმიკაშვილის შედგენილი უნდა იყოს[1]. (გადმოვწერ ამ დოკუმენტის უმთავრეს ნაწილს, რადგან იგი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს).

„პ რ ო გ რ ა მ მ ა ხ ა ლ ხ ი ს ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს შ ე კ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგიისათვის. ყოველი განათლებული საზოგადოება ცდილობს შეჰკრიბოს ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილებად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცირედ შეკრებილა და დაბეჭდილა ჩვენი ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები. მისი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამგვარი ნაწარმოებით ჩვენი ხალხი მდიდარია (...)

დ ა წ ე რ ი ს წ ე ს ი: სიტყვიერ ნაწამოებთა დაწერა ქვემოხსენებულის წესით უნდა მოხდეს:

---

1 მის ქაღალდებში ვპოულობ ცნობას იმის შესახებ, რომ მას იმ ხანებში უმუშავნია ამ საგანზე და უსარგებლნია თბილისში პედაგოგ გორიაევისგან ნათხოვარი შემდეგი წიგნებით: 1) С у д о в щ и к о в Е. Пособие при преподавании истории русск. словесности. Киев, 1863; 2) Г а л а х о в А.: История русск. словестности, СПБ 1880; 3) М и л л е р Ор.: Опыт историч. обозрения русск. словестности, СПБ. 1865; 4) В е с е л о в с к и й А.: Славянские сказания... и западные легенды..., СПб., 1872; 5) Записка о южной Руси, СПб 1856; 6) М и л л е р Ор.: Илья Муромец и пр., СПб. 1869; 7) Д р а г о м а н о в Мих. Малорусские народы, предания и рассказы. Киев, 1976. გადმოუწერია ამ უკანასკნელიდან ცნობად აგრეთვე «Программа издания народных песен».

ა) ყველაფერი უნდა დაიწეროს სწორედ ისე, როგორც ხალხი ამბობს. დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენის ცვლილების მოხდენისაცა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება, — ყველაფერი სასტიკად უნდა დაიცვას დამწერმა; ის ადგილებიც კი არ უნდა შესცვალოს, რომელიც უაზროდ ეჩვენება. ყურადღება უნდა მიექცეს მეტადრე პროზად საწერსა; რომ ხალხის ენის კილო და ფრაზების შეკავშირება ნამდვილი დარჩეს. სიტყვების წერის დროს გამოთქმას ყურადღება უნდა მიექცეს და ისე დაიწეროს. მაგ., საქართველოს ზოგ ნაწილებში ამბობენ: წამოიღო, ზოგან წამეიღო, დაანთო და დაანთა; მთაში ამბობენ ჴევი (ყხევი), ბარში ხევი; გურიაში — Ეერთი (თითქმის ᲘᲬრთი) გეᲯარა (გეᲯრა), სხვაგან — ერთი, გაიარა; რაჭაში — Ვორი ანუ, უკეთესად გამოსათქმელად, Ჩორი; მთაში — სოფელᲩი, სხვაგან — სოფელში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მთა ადგილებში (არაგვზე, ქსანზე ნაწილად, თერგზე, ხევსურეთში და რაჭაში) ხმის კვეთება (ударение) განსხვავებული აქვს სიტყვის გამოთქმასა. მაგ. ბარში, ვიტყვით, რაჭას მივდივარ, ისინი იტყვიან, რაჭას მივდივარ; საჭიროა, საცა ასეთი განსხვავება შეხვდეს დამწერსა; ეს ხმის კვეთება რავდენსაც ლექსში დაინიშნოს.

ბ) ზოგიერთი ლექსი ან ზღაპარი ანუ სხვა ნათქვამი ხალხში სხვადასხვა ცვლილებით არის ან სულ მთლად, ან ზოგი ადგილები და სტრიქონები, ან რავდენიმე სიტყვა, ძალიან საჭიროა, რომ Ჯამწერი მარტო ერთს რედაქციას არ დასᲯერდეს, არამედ ყოველი განსხვავებაც აღნიშნოს სხოლიოებში, რომ ზოგში ესა და ეს ცვლილებაა. და თუ სრულიად ბევრი განსხვავებაა, მთლად დაიწეროს. ეს ცვლილების დაწერა იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად მრთელს დიდს ლექსში ანუ ზღაპარში ორიოდე სამი სიტყვა, სხვა ცვლილებით ხმარებული მრთელის თხზულების ფერსა სცელის და ზოგᲯერ ძვირფასს განძს შეადგენს.

გ) ზოგს ლექსს ან სხვა ნათქვამს მთქმელნი ახსნას უკეთებენ. ეს ახსნაც უნდა აღინიშნოს სხოლიოში მოხსენებით, რომ მთქმელის ახსნაა. რა ადგილიც ანუ რომელიმე აზრი ან სიტყვა დამწერს არ ესმის, Ჰკითხოს გლეხს და თუ მან ახსნა მისცა, საჭიროა ამის დაწერაც.

დ) ნაწერის ბოლოში მოხსენებული უნდა იყოს, რომელ სოფელში გაიგონა დამწერმა მისგან დაწერილი ნაწარმოები ხალხის გონებისა, გვარი გლეხისა, რომლის სიტყვითაც დასწერა და რა დროს ესე იგი, თარიღი დღისა, თთვისა და წლისა.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუ მთქმელი მესტვირე ან მეფანტურეა, ესეც მოსახსენებელია შენიშვნაში. ეს იმიტომ, რომ ხშირად მეფანტურე ან მესტვირე თვითონ სთხზავს ლექსებსა, ჯერ სახალხო ლექსად არ გადაქცეულა და მხოლოდ შემდეგ ხანებში ზოგი მათი ლექსი სახალხო ლექსად გადაიქცევა ხოლმე.

ე) უკეთესი იქნება დამწერმა სახალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმულების მცოდნე მოსძებნოს სოფლის ენა-მეტყველ კაცებში, მწყემსებში, მესტვირეებში და მეფანტურეებში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე ძალიან საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბევრი სიტყვიერი ნაწარმოები, მეტადრე ზღაპრები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლეგენდები დედა-კაცებმა უფრო უკეთესად იციან მამაკაცებზედ და უფრო მათ ეკითხოთ.

ვ) დამწერმა თავისი საწერი რვეულები უნდა გაჰყოს რამდენსამე ნაწილად და ერთგვარი ნაწერები ცალკე ნაწილში მოაქციოს. მაგალითად, ზღაპრები უნდა ცალკე დასწეროს, ანდაზები ცალკე, ლექსები — ცალკე და სხვა.

ზ) რვეულში დამწერმა უნდა მოაწეროს თავისი სახელი და გვარი სრულად. [...]

ა ი რ ა გ ვ ა რ ნ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ ხ ა ლ ხ ი ს ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ნ ი: 1. ლექსები:

ა). სასულიერო, ისტორიული, გმირული, საომარი, სამიჯნურო, სამუშაო[1], საოხუნჯო, სასიმღერო[2].

ბ) აფორიზმები ლექსად, მაგ., „ჯირში გატეხა არ ვარგა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია", ანუ „კარგისა კარგიც მოკვდება და კარგიც დაიბადება".

II. ანდაზები.

III. გამოცანები.

— — — — —

1 ხვნის დროს რასა მღერიან, თესვის დროს, მკის დროს, ლეწვის დროს, ბარვის დროს, თოხნის დროს, რწყვის დროს, თიბვის დროს, ყურძნის წურვის დროს და სხვ.

2 ქორწილის დროს, ნიშნობის დროს და სხვა ამგვარი.

IV. ენის გასატეხი.

V. ზღაპრები და არაკები ყოველგვარი, ისეთიც კი, რომლებიც ღეებზეა ან პირუტყვებზე ანუ სხვა ზესთაბუნებითს და უსულო საგანზედ. რომელს ზღაპარსა თუ არაკშიაც ლექსი იქნება ჩართული, ზედმიყოლებით იმავე ალაგას უნდა დარჩეს და ცალკედ არ უნდა დაიწეროს.

VI. ლეგენდები ანუ იმგვარი ამბები, რომელნიც იპყრობენ სასწაულთ მოქმედებათა და ამაოდ მორწმუნებათა, ყოველივე ამბავი, ხალხისაგან თქმული, შესახები სხვადასხვა ადგილებისა, ციხეებისა, ეკკლესიებისა და მონასტრებისა, ანუ რომელიმე გამოჩენილის კაცისა, მაგალითებრ, ლეგენდა სურამის ციხის აშენებაზედ.

VII. ანეკდოტები ისტორიულნი და ყოფა-ცხოვრებითნი.

VIII. შელოცვანი სხვადასხვა სნეულებისა, პირუტყვისა, სიყვარულისა, სიძულვილისა, არშიყობისა და სხვ.

IX. ამაოდ მორწმუნებანი რომელსამე ბუნების მოვლინებაზედ, ადამიანის მოქმედებაზედ, პირუტყვზედ, ანუ უსულო საგანზედ, მაგ. იტყვიან: ვინც მაწვნის ქილას გამოლოკავს ქორწილში წვიმა მოუვაო; კურდღელმა რომ წინ გადაგირბინოს, გზა დაგეცრებაო და სხვა.

X. დაძლევა კაცისაგან რომელიმე პირუტყვისა, ანუ პირუტყვისაგან კაცისა. მაგ., ოფოფს რომ დაუვარცხნელი შეხვდე, იტყვიან, დაძლეული ხარ ოფოფისაგანაო.

XI. თქმულებანი შესახებ ალებისა, ქაჯებისა და სხვაგვარ კეთილ და მავნე სულებისა.

XII. ცერემონიები ანუ ჩვეულებანი სხვადასხვა შემთხვევაში, და რა წესს ასრულებენ სხვადასხვა უქმეების ნიშნად, მაგ., ახალწელიწადის წინა ღამეს აბრამიანით, სახლში უფროსი რომ დააღვიძებს სახლობას და „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი“ იტყვის, ან კიდევ შობის წინა დღეს ალილოზედ სიარული, ანუ ყველიერის ნიშნად ბერიკაობა და სხვა ამგვარნი; ჯონაზე სიარული კვერცხების მოსაგროვებლად დიდმარხვის უკანასკნელს კვირაში, აგრეთვე ცერემონიები შელოცვის დროს, როგორც, მაგ., „ლაზარეს“ ლექსის გალობის დროს წყლით დასველება და კარდაკარ ჩამოტარება, ან თვალის შელოცვის დროს ნახშირისა და შავ-ტარა დანის ხმარება; რა და რა ცერემონიას, რა რიგს და წესს ასრულებენ ქორწილის დროს, ნიშნობაში, რთველში, მკაში, სხვადასხვა ავადმყოფობის დროს სხვადასხვა მუშაობის, ჯირის.

თუ ლხინის დროს, სიკვდილის დროს, დასაფლავების დროს და სხვა ამგვარი: მკვდარის მოხსენება, ტაბლობა.

ყველა ესენი უნდა ვრცლად და დიდის სიმართლით აიწეროს.

სხოლიო: ამას გარდა, ვისაც სურვილი ექმნება და დრო და მოცალეობა ნებას მისცემს, კარგი იქნება საყდრების და მონასტრების ნანგრევებზე დაშთენილი ზედ წარწერანი გადმოიღონ და გამოგზავნონ".

ხალხური სიტყვიერების მთელი ის მასალა, რაც პ. უმიკაშვილის არქივში იყო და რომლის გამოცემა დავალებული მქონდა მისგან, მე დავაწყვე 8 ჯგუფად: I. ლექსები, II. ანდაზები, III. ენის გასატეხი, IV. გამოცანები, V. იგავ-არაკები, VI. ზღაპრები და ლეგენდები, VII. შელოცვები და სხვადასხვა ამაომორწმუნეობა. პირველი ოთხი ჯგუფი წინამდებარე წიგნშია შესული, ხოლო დანარჩენი სამი ჯგუფი — მეორე ნაწილში, რომელიც ამ პირველის შემდეგ დაიბეჭდება.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე მიზნად არ დამისახავს თითოეული აქ მოცემული ხალხური ნაწარმოების საბოლოო ტექსტის დადგენა, ე. ი. თითოეულის შედარება ყველა სხვა — დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ — ვარიანტთან და ამის შედარების საფუძველზე საბოლოო ტექსტის ჩამოყალიბება. ეს საქმე ვერც შესრულდება რიგიანად, ვიდრე ყველა შეკრებილი ვარიანტი არ დაიბეჭდება. დღესაც კიდევ ბევრია მასალა, რომელიც დაბეჭდვას ელოდება. საქართველოს „ეთნოგრაფიულ" და „წერა-კითხვის" საზოგადოებებს ბლომად ჰქონდათ მოგროვილი ხალხური სიტყვიერების ნაწარმოები, უკეთუ იგი მთლად დაცული არის. ამ საქმის ხელში აღება და მისი შესრულება პირველ რიგში ფოლკლორის სპეციალისტებს შეეფერება.

ჩემი მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ პ. უმიკაშვილისგან დარჩენილი მასალის წესრიგში მოყვანა და გამოცემა. და ამასთან — არა მხოლოდ საუკეთესო ან „რჩეული" ნიმუშების მოცემა, არამედ არარჩეულისაც, არა მარტო „უცნობი" მასალებისა, არამედ ისეთებისაც, რომლების ვარიანტები უკვე ცნობილია, მაგრამ რომლებიც თავისი განსხვავებულობით და ჩანაწერობის სიძველით მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად: „მოდი ვნახოთ ვენახი" ან „ავთანდილის ლექსი". ვინ არ იცის ეს? ყველამ, ვისაც კი უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სკოლა გაუვლია. მაგრამ მკითხველი ნახავს, რომ

აქ ამ ლექსების უძველესი ჩანაწერებია მოცემული და ისე „გაშალაშინებული“ არაა, როგორც დაბეჭდილში.

ასე შეზღუდული ამოცანაც ადვილი შესასრულებელი არ იყო. დიდი ხნის ნაგროვები მასალა არ იყო ყველა ერთგვარად გარჩევით და გარკვევით ნაწერი, ჩაწერილი იყო მრავალ სხვადასხვა პირთა მიერ, ზოგი — ფანქრით, ზოგი გადასული მელნით, ზოგი — რეულებში, ზოგი — ქაღალდის ნაკუწებზე. საჭირო იყო გადარჩევა, დალაგება, სისტემაში მოყვანა. გარდა ამისა, ბევრი ლექსის, გამოცანის თუ ოგავ-არაკისა ათი და თხუთმეტი ვარიანტი მოიპოვებოდა მასალებში. საჭირო იყო მათი შედარება, ტექსტში შესატანი ჩანაწერის არჩევა, ვარიანტების განსხვავებულობის აღნიშვნა, რამდენადაც ეს განსხვავებულობა ასე თუ ისე საყურადღებო იყო (ვარიანტების მთლად დაბეჭდვას აუარებელი ადგილი დასჭირდებოდა).

ამ გამოცემაში მე არ შემიტანია ის ხალხური ნაწარმოებნი (გარდა „არსენას ლექსისა“ და „გამოცანების“ ნაწილისა), რომელნიც პ. უმიკაშვილმა თავის სიცოცხლეშივე დაბეჭდა ცალკე გამოცემებად: „სახალხო ლექსების პირველი კრება“ (1874 წ, [?]. ეს წიგნაკი ვერსად აღმოვაჩინე, ვერც ბიბლიოთეკებში, ვერც ნაცნობებში), აგრეთვე „ქალვაჟიანი“, „ბეჟანიანი“, „ალექსიანი“ (ამათი დედნები არც აღმოჩნდა მის მასალებში). მე შევიტანე მხოლოდ ის, რისი ხელნაწერი დედნები მოიპოვებოდა.

ვცდილობდი ჩანაწერებში ცვლილება არა მომეხდინა რა, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ცხადი შეცდომა ან უსწორობა იყო. როდესაც ტექსტში შესატანად აღებულ ვარიანტს რაიმე (სტრიქონი ან სიტყვა) აკლდა, მაშინ ის იქ სხვა ვარიანტიდან შევიტანე და კუთხოვან ფრჩხილებში მოვაქციე. არის რამდენიმე შემთხვევა, რომ ლექსი სულ მთლად გამართული არაა, მაგრამ მე ის გამართვის მიზნით არ შემიცვლია და ისე დავტოვე, როგორც იყო.

როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი მოიპოვებოდა, ცალცალკე მოვიხსენიე თითოეული და აღვნიშნე განსხვავებაც, თუ ეს რამდენადმე ყურადღების ღირსი იყო.

საცა კი მოხსენებული იყო სხვა ჩამწერელი (არა პ. უმიკაშვილი), დრო და ადგილი, მე ეს ყველგან აღვნიშნე, ხოლო როდესაც ეს ცნობები არ იყო, ანდა თვითონ პ. უმიკაშვილს დრო და ადგილი არ ჰქონ-

და ჩაწერილი, მე ასეთი შემთხვევები აღვნიშნე (სიმოკლისათვის) ერთი სიტყვით: „უთარიღო“. ეს ცნობები შენიშვნებშია მოქცეული.

ადგილის დაზოგვის გულისთვის ლექსები უმრავლეს შემთხვევაში თექვსმეტ მარცვლოვანადაა მოცემული და შენიშვნები შემჯიდროვებულად და პეტიტით დაბეჭდილი.

ლექსები, თავის მხრივ, 7 ქვეჯგუფადაა დაყოფილი: 1. საგმირო, 2. საისტორიო, 3. რელიგიური, 4. ყოფაცხოვრებითი, 5. სატრფიალო, 6. სასიმღერო და 7. აფორიზმები. ეს დანაწილება უფრო პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან ძნელია ლექსებში ნამდვილი მიჯნის გავლება. ბევრი ლექსი სასიმღეროა, თუმცა სასიმღეროში არაა შეტანილი, ბევრი მუშაობის დროსაც იმღერება, თუმცა აქ სამუშაო ლექსებში არაა ჩარიცხული და სხვ. მაგრამ დაყოფა-დანაწევრება მაინც საჭირო იყო კითხვის და პოვნის გასაადვილებლად. გარდა ამისა, ზოგი ლექსი აქ ნაწყვეტ-ნაწყვეტებად როდია მოცემული, არამედ — ერთმანეთთან დაკავშირებით, რათა უფრო სასიამოვნო წასაკითხი ყოფილიყო. ასეთია სახელდობრ ქალ-ვაჟის სამიჯნურო ლექსები.

მასალებიდან მე თითქმის არა დამიტოვებია რა, რომ ტექსტში ან შენიშვნებში არ შემეტანოს ან არ აღმენიშნოს. ვამბობ „თითქმის“ მეთქი, ვინაიდან დავტოვე ძალიან მცირე ნაწილი. ეს იყო ისეთი მასალა, რომელიც ან ვერ გავარჩიე, ან ძალიან არეული იყო და უვარგისი, ანდა უშვერს ლექსს წარმოადგენდა და მის დაბეჭდვას ლიტერატურული ზრდილობა გვიკრძალავს. ამ უკანასკნელის მხრივ მე მაინც ისე შორს არ წავსულვარ, როგორც რაფ. ერისთავი, რომელიც თავისი ანდაზების (1879 წ.) წინასიტყვაობაში სწერს: „მე გამოვრიცხე ჩემის შეკრებულის გამოცანებიდგან ისეთნი, რომელნიც ანუ იგავით, ანუ ალლეგორიით და ან გამოხატულებით წარმოგვიდგენდნენ უმართებულო და უშვერს ლექსსა, ანუ მნიშვნელობასა, წინააღმდეგთა ზნეობისათა და ამით არ იყვნენ ღირსნი სტამბისაცა, მაგალითებრ, როგორათაც გამოცანაებია: პაჭიჭებზედ, ზღმარტლზედ, წამწამებზედ და სხვანი“. მე ასეთები არ გამომირიცხავს, მაგრამ ნაწილი მაინც გამოსარიცხი აღმოჩნდა.

წიგნში შეტანილი სვანური ლექსები მოცემულია სვანურად[1] და ქართულად. მათი განხილვის და შესწორების მხრივ დიდი დახმარება

1 სამწუხაროდ, სვანური ტექსტის დაბეჭდვა ვეღარ მოხერხდა.

გამიწია პროფ. ვარლ. თოფურიამ, რომელმაც დედანი გასინჯა და გაასწორა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუცხადებ გამომცემლობა „ფედერაცია“-ს, რომელმაც ამ მასალის გამოცემა შემაძლებინა და ჩემი ახალგაზრდობის ვალი სიბერეში შემასრულებინა.

(პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1937).
გვ. V — LIV.

1940

იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილს მე პირადად ვიცნობდი მისი სიცოცხლის უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში და ვიცნობდი, შეიძლება ითქვას, ახლოს: ვხვდებოდი ხშირად, ხშირი მსვლელობა მქონდა მასთან, მასაც — ჩემს ოჯახში და ჩემს ახლობლებთან, — ნიკოლოზ ცხვედაძის სიყრმის მეგობარი იყო, — გვქონდა ერთმანეთთან ახლო დამოკიდებულება, მისი ერთ ერთი ნების ამსრულებელიც ვიყავი, სიკვდილის დროსაც თავს ვადექი.

იგი განუწყვეტელი ბრძოლის მიუხედავად, რომელსაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა, თვითმპყრობელობის ბიუროკრატიასთან ქართული ენისა და ერის დასაცავად, თავისი ცხოვრების წესით „კაბინეტის კაცს“ წარმოადგენდა, ოთხ კედელს შუა იყო გამომწყვდეული და მისი ცხოვრება მოკლებული იყო გარეგან ეფექტებს. ამიტომაც მეც ვერ მოგითხრობთ აქ ასეთებს.

იაკობი განდეგილად ცხოვრობდა, განმარტოებულად, უოჯახოდ, უცოლშვილოდ. ამის მთავარი მიზეზი იყო, რამდენადაც ვიცი, მისი ავადმყოფობა; იგი ახალგაზრდობიდანვე ჭლექით იყო დაავადებული და ამიტომ მან ნება არ მისცა თავის თავს ცოლშვილისათვის მოეკიდნა ხელი, დასძლია სიყვარული, რომელიც, როგორც გამიგია, ერთ დროს უღვივოდა ერთი ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ქალის მიმართ[1].

1 ეს ქალი კონსტანტინე მამაცაშვილის ასული დარო უნდა ყოფილიყო.

ასეთმა, ჯლექით დაავადებულმა კაცმა 72 წელიწადს იცოცხლა და მაშინაც, როცა მოკვდა, ჯლექისაგან არ მომკვდარა. და ეს მოხდა იმის მეოხებით, რომ იაკობმა გასაოცრად იცოდა თავის მოვლა. თავის დღეში იგი მცირეოდენ უწესრიგობასაც კი არ შეიტანდა არც ჭამა-სმაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში, არც ამინდის გაფრთხილებაში. საარაკოდ იყო გადაქცეული მისი კალოშები, ქოლგა, თბილი პალტო და პლედი. კარგ დარშიაც კი უკალოშოდ არ გავიდოდა ქუჩაში — იქნებ გაავდრდესო. როგორც კი ამინდს მცირეოდენ არევა შეემჩნეოდა, მაშინვე შინ დაბრუნდებოდა. ორპირ ქარს თოფივით ერიღებოდა. და არა თუ ეს, თავის ბინაში არასოდეს იმ ოთახში არ გაჩერდებოდა, სადაც ფანჯარა ჰქონდა ღია. აბა რამდენჯერ ვყოფილვარ მასთან და არასოდეს არ მინახავს, რომ იგი ფანჯარაღია ოთახში ყოფილიყოს დამჯდარი. მხოლოდ ერთხელ ვიყავ მოწმე, რომ ამ წესს უღალატა: ზაფხულში, სრულიად წყნარ ამინდში, კარი გააღო აივნისაკენ და ესეც მოხდა მხოლოდ სტუმრების ხათრით: სადილად ვყავდით დაპატიჟებული რამდენიმე კაცი (ნიკ. ღოღობერიძე, ნიკ. ცხვედაძე, არტ. ლაისტი, ნიკ. ლომოური მასაც რომ იწვევდი, უეჭველად ყურადღება უნდა მიგექცია კარებისა და ფანჯრებისათვის, ყოველ შემთხვევაში ორპირი ქარი არასგზით არ უნდა მოხვედროდა. აგრეთვე ოთახში, თუ ზამთარი იყო, სითბოს ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო, ვინც ამას არ შეუსრულებდა, მეორეხელ აღარ ეწვეოდა და არც დაუმალავდა: „რა ვქნა, სიამოვნებით გეწვევოდი, მაგრამ მეშინიან — გამაციებთო“. ისე კი საერთოდ არ უყვარდა წვეულებაში ან სტუმრად წასვლა. ერთხანს ქართულ თეატრში სიარულსაც კი დაანება თავი ამის მიზეზით. ეს ასე მოხდა: ქართული თეატრის შენობა (არწრუნისეულ ქარვასლაში) თავადაზნაურობამ გადააკეთა, მაგრამ ეს გადაკეთებული შენობა, როგორც ი. გოგებაშვილი წერდა ერთხელ. „რაღაც დეევრხანა გამოდგა, წარმოდგენის დროს ქარი ისე ქშუტუნობდა, როგორც დიღმის მინდორში, და აფრთხობდა საზოგადოებას“. ყოველ შემთხვევაში იაკობის დასაფრთხობად ეს ქშუტუნი სრულიად საკმარისი იყო, და იგი აბონემენტს რეგულარულად იღებდა, მაგრამ წარმოდგენებს გაციების შიშით იშვიათად ესწრებოდა.

ᲩᲒᲝᲜᲘᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲪᲮᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ: ᲘᲡᲔᲗ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲜᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲐᲜ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ. ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

1904 ᲬᲔᲚᲡ Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐᲕᲑᲔᲭᲓᲔ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲨᲘ. ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ — ᲖᲝᲒᲘ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ — ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ „ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲔᲦᲐᲚᲐᲗᲜᲐ: ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲓᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲘᲗ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ, ᲑᲘᲣᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ. ᲓᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲡᲐᲮᲢᲐᲓ ᲓᲐᲕᲠᲩᲘ“, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ: „ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲛᲙᲐᲚᲘ, ᲐᲧᲝᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲰᲝᲝᲞᲣᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲪ ᲮᲣᲗᲡ ᲪᲐᲚᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲣᲨᲐᲡ ᲒᲐᲣᲭᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲧᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ, ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲜᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲡᲐ; — ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲔᲠᲗᲡ ᲧᲐᲘᲓᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲐᲥᲔᲖᲔᲑᲡ, ᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗᲐ, ᲐᲠᲗᲝᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲦᲚᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲰᲒᲕᲠᲘᲡ. ᲐᲡᲔ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲢᲐᲥᲢᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ“. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲢᲧᲓᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲕᲗᲥᲕᲘ: ᲠᲐ ᲦᲠᲛᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲓᲐᲖᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲛᲚᲕᲓᲔᲚᲡ ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡᲝ“! ᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲑᲘᲣᲮᲔᲠᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲐᲐᲒᲝ, ᲘᲐᲙᲝᲑᲡ ᲐᲒᲔᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲮᲐᲠᲢᲐᲓ �გᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲥᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ — ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲓᲐᲕᲑᲔᲭᲓᲔ ᲔᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ. ᲬᲘ�გᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲧᲠᲐ: ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ, ᲡᲐᲚᲐᲛᲡ ᲐᲠ ᲛᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ. ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲔᲒᲝ, ᲠᲐ ᲘᲬᲧᲘᲜᲐ ᲐᲜ ᲠᲐᲛ ᲐᲬᲧᲔᲘᲜᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ. ᲘᲐᲙᲝᲑᲛᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲡ ᲘᲬᲧᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲘᲛ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲑᲔᲭᲓᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲚᲘᲐᲡᲘ, ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲐ, ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐ ᲓᲐᲛᲔᲪᲕᲐ, ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ ᲐᲕᲐ-

---

1 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ, 1904, ᲕᲐᲚ. ᲒᲣᲜᲘᲐᲡᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ Ფ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. ᲒᲕ. 568—572 — ᲠᲔᲓ.

წყობინე სტამბას. რა ვიცოდი, რომ ეს მის რისხვას გამოიწვევდა. პეტრე უმიკაშვილმა კი მითხრა მაშინ დაუფარავად: „ასეთი დოყლაპიობა როგორ მოგივიდა იმერელ კაცს, როგორ არ იცოდი, რომ იაკობთან, არა თუ ეს, ღვთის წყალობაც სიფრთხილითაა სათქმელიო“.

ი. გოგებაშვილი მთელს ქართველობაში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ახალგაზრდობის შემდეგ სამსახურში არ შესულა და მხოლოდ თავისი ნაწერების ჰონორარით ცხოვრობდა. მისი ცხოვრების წყარო იყო ის შემოსავალი, რომელსაც მას აძლევდა უმთავრესად მისი სამი სახელმძღვანელო: „დედა — ენა“, „ბუნების კარი“ და Русское слово“ და ეს წყარო გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ი. გოგებაშვილი რომ დათანხმებულიყო ამ სახელმძღვანელოების ცოტაოდნავ გაძვირებაზე, ფასის გადიდებაზე. მაგრამ იგი ამას ყოველი საშუალებით ერიდებოდა. მაგალითად, ერთ დროს მან, „დედა-ენის“ პარალელურად, ქართული წერის „დედანი“ გამოსცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე გასაღდა, მან მისი გამოცემა აღარ განაახლა: ის „დედანი“ შემოკლებული სახით „დედა-ენაში“ შეიტანა და იმავე დროს „დედა-ენის“ ფასი არ გაუდიდებია. ცალკე „დედნის“ გამოცემაზე ხელის აღებას ი. გოგებაშვილი ასე ხსნიდა: „დედანი“ ღირდა ექვს შაურად, ყდით ჯდებოდა ორ აბაზად. „დედა-ენაშიაც“ ამდენივე უნდა მიეცათ მოსწავლეებს. ოთხი აბაზის გაღება კი ჩვენი ღარიბი ხალხისათვის სამძიმო იყო. ამიტომ იგი მინიმალურ ფასს ადებდა თავის სახელმძღვანელოებს, რის გამო შემოსავალსაც გაცილებით იმაზე ნაკლებს იღებდა, რისი მიღებაც შეეძლო ნამდვილად.

ლუარსაბ ბოცვაძე ი. გოგებაშვილის ახლობელი კაცი იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, იაკობის გარდაცვალების ხანებში ერთ-ერთ თავის წერილში ამბობდა, რომ იაკობს ცხრაას თუმნამდე ჰქონდა წელიწადში შემოსავალიო. ჩემი დაკვირვება კი იმას ამბობს, რომ მისი შემოსავალი ექვსას თუმანზე მეტი არ უნდა ყოფილიყოს წელიწადში. ყოველ შემთხვევაში, ცხრაასი იყო თუ ექვსასი, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თვითონ იგი ამ შემოსავლის ნახევარზე მეტს არ ხარჯავდა თავის თავზე. ძალიან სადად და უბრალოდ ცხოვრობდა: ეჭირა პატარა ბინა, — მართალია, ძალიან ნათელი და მზიანი, — რომელშიაც მხოლოდ ერთი ოთახი იყო მოზრდილი, დანარჩენი ორი — საწოლი და სამუშაო

ოთახი — პატარა იყო. ჰყავდა ერთი მოსამსახურე და ჯამა-სმის ხარჯებშიაც ძალიან ზომიერი იყო.

თავის შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწეობად. იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი. რომელსაც თავის მიმართ, ამათუიმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და რომლისათვის ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს. იგი ყოველთვის ჰკრებდა ცნობებს ასეთი ახალგაზრდების შესახებ და გარდა ამისა, რომ თვითონ უგზავნიდა შემწეობას, თავის ნაცნობ-მეგობრებს, ცეცხლს უნთებდა მათთვის სტიპენდიის გასაჩენად ან სისტემატური დახმარების დასანიშნავად.

რასაკვირველია, ყოველთვის არ უმართლებდნენ მას იმედებს ის ახალგაზრდები, რომლებსაც იგი მფარველობდა. და არც გასაკვირია, ვინაიდან იგი სხვებისაგან მიღებულ ცნობებს ეყრდნობოდა და თვითონ პირადად არც კი იცნობდა იმ ახალგაზრდებს. მაგალითად მახსოვს ასეთი ამბავი. პირველი რევოლუციის ხანებში ი. გოგებაშვილმა დიდი მფარველობა დაუწყო — ისევ სხვების ცნობების საფუძველზე — ერთ საშუალო სასწავლებლის კურსის დამსრულებელ მოწაფეს: აქებენო, სწავლა უნდაო, ქართულის სპეციალისტი გამოვაო, საშუალება მივცეთ უნივერსიტეტში წასასვლელადო, იქნებ საზღვარგარეთაცო. იმდენი უჩიჩინა ყველას, იმდენი ცეცხლი დაანთო ამის ირგვლივ, რომ თავისი გაიტანა: მოხერხდა იმ ყმაწვილის გაგზავნა სასწავლებელში.

განვლო რამდენიმე წელიწადმა; ბევრი არა გაგვიგია რა მის შესახებ სწავლის დროს, სულ არაფერი — სწავლის დასრულების შემდეგ. ამასობაში ი. გოგებაშვილიც გარდაიცვალა, რომელსაც აგრეთვე თავის სიცოცხლეში არა გაუგია რა თავისი „პროტეჟეს“ შესახებ. განვლო კიდევ მრავალმა წელმა. ერთ საღამოს არტურ ლაისტი შემოდის ჩემთან სამასლაათოდ და ძველი ამბების მოგონებაში გულის გადასაყოლებლად. გავერთეთ მოგონებებში: მასალა ყოველ შეხვედრისას ბევრი გვქონდა. 30 წლის ნაცნობობა გვქონდა ერთმანეთის. უცებ ლაისტი შეჩერდა, მომაჩერდა და მეუბნება:

— იცით, რას გეტყვით?

— ?

— გახსოვთ ი. გოგებაშვილის „პროტეუ“ ახალგაზრდა №, რომ-ლის სასწავლებელში გამგზავრების გამო იმდენი ლაპარაკი იყო თავის დროზე და მის მასწავლებელ სპეციალისტსაც რომ წერილებს ვწერ-დით აქედან?

— ძალიან კარგად.

— ახლა მეორე კითხვა. გინახავთ ვერის ხიდთან კონკებში გახვეუ-ლი დედაბერი რომ მათხოვრობს და ასე გაჰკივის: „ღვთისმშობელი შეგიბრალებთ, — შემიბრალეთ. გამიკითხეთო?“

— როგორ არა, თითქმის ყოველდღე.

— პო და — ეს დედაკაცი იმ №-ის მამიდა ყოფილა; ყოველ დილას გამოაგდებს თურმე ამ მამიდას სახლიდან: წადი, იმათხოვრე, მოინაგ-რე და შინ მოიტანეო. დედაკაცი მოდის იმ ადგილას, ზოგჯერ ზემელ-თან რომ ტრამვაი ჩერდება, იქაც ამოდის, გულის მომწველად გაჰკივის, აგროვებს სამოწყალოს და საღამოს შინ ბრუნდება ნამათხოვრალით.

ეს უკანასკნელი ამბავი ი. გოგებაშვილის სიცოცხლეში არ ყოფილა. მაგრამ რომც ყოფილიყო იგი მაინც მის რწმენას ოდნავაც ვერ შეარ-ყევდა. სწავლა-განათლება მას ჩვენი წარმატების ფუძედ და გა-კეთილშობილების საშუალებად მიაჩნდა და ამაში მას ვერ დააეჭვებდა ვერავითარი კერძო შემთხვევა. სწავლა-განათლება, დედა-ენა, ეროვ-ნება, სამშობლოსადმი სიყვარული, მამულიშვილობა — ყველა ეს მის-თვის იყო არა უბრალო იდეური პრინციპები, არამედ სულიერი არსე-ბობის პრინციპები, რომლებითაც იგი სუნთქავდა და რომელთა გარეშე მას პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. ამ სფეროში იყო მუდამ მისი აზრი და გონება გართული, მასთან იყო მთელი მისი არსება შეზრდილი და შესისხლხორცებული იმგვარად, რომ თავისი პირადი „მე“, თითქოს არც ჰქონდა იქიდან გამოცალკევებული. ეს იყო მისი სიმდიდრეც და სიღარიბეც. ლაპარაკი, მსჯელობა, აზროვნება მხოლოდ ამ საგნებზე ეხერხებოდა სიყვარულით, ხალისითა და გატაცებით. ეს იყო მისთვის ცოლშვილიც, ოჯახიც, გართობაც, პირადი ცხოვრებაც, ის არავის უნახავს თავის დღეში არც მოთამაშე, არც მოქეიფე, არც საზოგადოე-ბაში გამრთობი, არც რაიმე პირადი ხასიათის საქმით დაინტერესებუ-ლი. მთელი მისი გულისყური იმ იერიშის მოგერიებისაკენ იყო მიმარ-თული, რომელიც ცარიზმის ხელისუფლებას განუწყვეტლივ მოჰქონ-და საქართველოს საარსებო ეროვნულ ფუძეებზე. და აქ ი. გოგებაშ-ვილს ზოგჯერ ისეთ რამეზე უსდებოდა დარდი და ზრუნვა, რაც დღეს

იქნებ სასაცილოდ ჩანდეს, მაგრამ მაშინ როდი იყო აზრს მოკლებელი.

მაგალითად, მახსოვს ასეთი ამბავი, 1904 წელს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა: სინოდს განზრახვა აქვს საქართველოს ექსარხოსის ადგილი გააუქმოს და ნაცვლად ამისა ბაქოს სამიტროპოლიტო დააწესოსო. იმავე დღეს ი. გოგებაშვილი მეძახის და მეკითხება:

— წაიკითხე?

— რა?

— რომ საექსარხოსოს აუქმებენ?

— წინ წყალი, უკან მეწყერი!

— ასე იყოს, მაგრამ ჩვენ ამით რას მოვიგებთ? ისევ სჯობდა ეგ ოხერი აქ გდებულიყო, „საქართველოს ექსარხოსი" მაინც ერქვა, ახლა აქაც მოისპობა საქართველოს სახელი.

და ი. გოგებაშვილის გულისწუხილი გასაგები იქნება, თუ გაიხსენებთ, რომ ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმის ხელისუფლება საქართველოს ძეგლებზე წარწერებს ფხეკდა, ქართულ გვარებს მეტრიკებში და მეტრიკების გარეშეც რუსულ გვარებად აკეთებდა, ადგილებს რუსულ სახელებს აძლევდა, საქართველოს „ყოფილი საქართველოს" სახელწოდებით იხსენიებდა და ქართველებს სახელად „ტუზემცებს" გვეძახდა, და თუ საქართველო მხოლოდ წარსულში არსებობდა, თუ ქართველი „ტუზემცად" იყო გადაქცეული, ი. გოგებაშვილს როგორღა უნდა დაეცვა და ვისთვისღა უნდა დაეცვა ქართული ენა?

ი. გოგებაშვილის პიროვნების გასაგებად, აღნიშნულის გარდა, მგონია, ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ იგი მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებასა და წყენას ძალიან მწვავედ განიცდიდა. იყვნენ ჩვენში ზოგნი ისეთები, რომელნიც პირს უკან ლაპარაკობდნენ. რა გასაკვირია ი. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს იცავდეს მთავრობისა და სხვა ავტორების წინაშე, — ამით იგი თავის შემოსავალს იცავსო. რამდენჯერ უთქვამს მას ამის საპასუხოდ: „პირუტყვს სხვაც პირუტყვი ჰგონიაო". თვითონ იგი, მაგალითად, ასე ათავებდა ერთ თავის სტატიას კორხანიდის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ: „მე იმედი მქონდა, რომ ჩემს ადგილს შემდეგ ქართულს სკოლებში დაიჭერდა ქართველი პედაგოგი, რომელიც შეადგენდა უკეთეს სახელმძღვანელოებს ქართულისას და რუსულისას, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულს, და

ხალხის განათლებას წინ გადაადგმევინებდა ნაბიჯსა. ლამის ეს იმედი გამიცრუდეს, და ჩვენს სკოლაში შემოგვეჭრნენ მუნჯნი უცხონი და გაამეფონ მასში უკიდურესი, პოლიტიკანობა, — ქართული ყველაფერი გაქრეს და სახალხო სკოლა გახდეს კერად გონების დახშვისა და სიბნელისა".

განსაკუთრებით ულმობელი იყო ი. გოგებაშვილი იმ მოხელეების მიმართ, რომელნიც „ქართულის გაქრობას" გზას უკაფავდნენ სკოლებში და უპირატესად, როდესაც ასეთ მოხელეებში ქართველები გამოერეოდნენ, ამ შემთხვევაში ი. გოგებაშვილის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა და ვერავითარ საშელავათო გარემოებაზე მითითებას მას ვერ გააგონებდით. ასეთი ქართველი, თუგინდ სხვაფრივ დამსახურებულიც ყოფილიყო, მტერი იყო ხალხისაც და მისიც. ასეთი ბრალი დაედო ერთ დროს ისტორიკოსს თ. ჟორდანიას. სამრევლო სკოლების მეთვალყურედ იყო დანიშნული და, ადგილის დაკარგვის შიშით, ვოსტორგოვს დაემორჩილა და მისი პოლიტიკის გატარება იწყო სამეგრელოს სკოლებში. იმ ხანებში მეც მომიხდა ამის გამო უსიამოვნო წერილების წერა თ. ჟორდანიას შესახებ, რომელიც ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო, რომ შევხვდით ერთმანეთს, პირველად ეს მომახალა იაკობმა:

— მადლობა ღმერთს, რომ მიხვდი და დაინახე იმ არამზადას მოღალატეობა!

— ჰო, მაგრამ, — ვეუბნები, — რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავზე. თორემ ისე აბა როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ გულით იგი ღალატობდეს ქართულ ენასა და კულტურას, როდესაც მას ამდენი უმუშავნია ამ კულტურისათვის!

— რას ამბობ, რას! განა ეს რამეს ამტკიცებს? რამდენი ექიმია, რომ თავის ლაბორატორიაში სულ მუდამ ხელს ურევს განავალში. მერე რა, — უყვარს მას ეს განავალი? ეეჰ, თქვა რუქამ არაკი! — ხელი ჩაიქნია და გამშორდა.

იაკობი ძალიან ფიცხი იყო როგორც პირადს ურთიერთობაში, ისე პოლემიკაშიც, მაგრამ საკვირველია: ეს სიფიცხე იშვიათად სტოვებდა უკმაყოფილების კვალს, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის გულწრფელი იყო, შეცდომაშიც და ჯეშმარიტებაშიც. და ყველა პატივსცემდა ამ გულწრფელობისა და პირდაპირობისათვის. აბა აკაკი სიტყვას ვის შეარჩენდა ან მწარე და გესლიან სიტყვაში ვის ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ი. გოგებაშვილის წყენინებას ერიდებოდა. მა-

გალითად, 1894 წელს ი. გოგებაშვილი საგრამატიკო პოლემიკაში გაერთო. ამ პოლემიკაში აკაკიც ჩაერია, მაგრამ მალე კამათზე ხელი აიღო და განაცხადა: მე ი. გოგებაშვილს მეტისმეტად პატივს ვცემ და არ მინდა ცხარე კამათით ჩრდილი მივაყენო ჩვენს დამოკიდებულებასო.

სამაგიეროდ, ი. გოგებაშვილიც დიდად პატივსცემდა აკაკის და მისი აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო, ქართული პოეზიის იალბუზს უწოდებდა მას. ანდერძშიც შეიტანა, აკაკის ყოველ წელიწადს 100 მან. აძლიეთ იმ ლექსების ჰონორარად, რომლებიც ჩემს სახელმძღვანელოებში მაქვს მოთავსებულიო. სიცოცხლეში ივი, როგორც ვიცი, ყოველთვის უგზავნიდა აკაკის ჰონორარს.

პატივისცემით ი. გოგებაშვილი, იქნებ, ილიას სცემდა მეტ პატივს, ვიდრე აკაკის, მაგრამ აკაკი რომ მეტად უყვარდა, ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ მისი გულწრფელობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ საყვარელ კაცსაც არ დაუმალავდა იმ შენიშვნას ან საყვედურს, რომელიც გულში ჰქონდა სათქმელად, როდესაც ამას გარემოება მოითხოვდა. მხოლოდ აქ, ამ შემთხვევაში, იაკობი ჩვეულებრივ ცხარე, პილპილიანი იაკობი როდი იყო, არამედ მორიდებული, გულითადი, მოყვარული, გრძნობით აღსავსე მეგობარი. მე ამ სტრიქონებში მარტო ჩემს მოგონებას ვწერ და არ მინდოდა შიგ რაიმე ამონაწერები ჩამერთო ი. გოგებაშვილის სტატიებიდან. მაგრამ რახან სიტყვამ მოიტანა, აქ ამ წესს დავარღვევ და აღვნიშნავ ი. გოგებაშვილის ერთ წერილს, რომელიც მან აკაკის იუბილეს გამო დასწერა 1908 წელს. აკაკის იუბილეს მან რამდენიმე წერილი უძღვნა, მაგრამ მათში ერია განსაკუთრებით ერთი პატარა წერილი, რომელიც იყო ყოველმხრივ მშვენიერი და დამწერისათვის სასახელო და სადაც ავტორი ტკბილად, გულთბილად, სიყვარულით, მაგრამ ამავე დროს დაუფარავად საყვედურს ეუბნებოდა მთელი საქართველოს მიერ დაფნის გვირგვინით შემკობილ აკაკის.

ამ სტატიაში მას მოკლედ აღწერილი აქვს აკაკის საიუბილეო ზეიმზე დასწრება და შემდეგ განაგრძობს:

„დაზავდა აბობოქრებული ზღვა ძლიერ ეროვნულთა და კულტურულთა გრძნობათა, და მე ღამის პირველ საათზე თეატრიდან გავემართე ჩემი სადგურისაკენ.

„... მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით დამ-

ჩსაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა. მიეცა ჩვენ ხა-
გურში და სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ — ტკბილ
ბურანსა.

„უცებ ხელ-ახლად გავჩნდი თეატრში და ვიხილე უნეტარესი სუ-
რათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და ამ ლამაზს საზოგა-
დოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს, კიდევ მოითმინეთ.
ცოდოა დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილე ვაუ-
გვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყვე-
ლანი და სმენად გადაიქცნენ.

„ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამჟამად, მაგრამ ერთი რამ
სწამლავს ამ ბედნიერებას, სთქვა აკაკიმ.

„ — რა? რა? — სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერ-
თად, ერთხმივ.

„ — ის, რომ ჩვენ ვერ ველირსენით იმის იუბილეს, რომელიც იყო
დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელ-
საც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული საქმობლო.

„ეკრიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად
ეკითხნა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სის-
წრაფით ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული
სახელი.

„აკაკიმ გააგრძელა: დიაღ, ჩვენ ვერ ველირსენით ილია ჭავჭავაძის
იუბილეს, მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენ არამც თუ ვერ
შევამკეთ მისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი
ვერ შეეუშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის
გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუ-
ნე ილია და მე ტოლნათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს
სამსახურისას, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცა-
ლად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას
უკუნითი უკუნისამდე. — გაათავა აკაკიმ და მწუხარე თვალებიდან
მდულარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ“! — შესძახა სამგლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და
ფიხზე უმალ წამომდგარმა, თავი მოიხარა საერთოდ.

„ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლე-
ნა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ელირსნენ მოციქულნი სული წმინ-
დის მოფენის ჟამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეებერთელა აპრიალებული

კელეპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელეპტარებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელეპტარი და შუა თეატრში მაღლა ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სხვა კელეპტრები, გარს შემოეხვივნენ და შეჰქმნეს მომხიბლავი სურათი, ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელეპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა, კელაპტართა გუნდი წავიდა მაღლა, მაღლა ზეცაში.

„კელეპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელი ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა", შევძახე ისეთი მაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული, ამოვიკვნესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე, ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის, მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდამეცხრე წელს, იმ ჯირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჯირზე ძნელს ეძახის"...

სწორედ სამოცდამეცხრე წელში იყო მაშინ ი. გოგებაშვილი გადასული. ამის შემდეგ კიდევ ოთხი წელიწადი იცოცხლა მხნედ და შრომის უნარმქონედ, მხოლოდ უკანასკნელ წელიწადს მოტყდა ცოტათი.

სიკვდილის წინ ხანგრძლივად არ უავადმყოფნია, — სულ ერთ თვეს იყო ავად. გვამის განკვეთამ აღმოაჩინა ფილტვების დაზიანება და ნაწლავის კიბო, მაგრამ სიკვდილი გამოიწვია სხვა ავადმყოფობამ. მუცლის აპკის ანთებამ. ავადმყოფობის დროს ხშირად ვადექი თავს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როდესაც საგანგებო მოვლა და ყურადღება იყო საჭირო. უვლიდნენ, ჩემს გარდა, სხვებიც, სპეციალური მომვლელი ქალი არ აგვიყვანია, რადგან იაკობს უცხო ქალის ერიდებოდა და არ სურდა მომვლელად. ამიტომ მოვლას მისი ახლობლები

ვეწეოდით, განსაკუთრებით ნიკ. ცხვედაძის ასული[1], მკურნალობდა ექიმი ტიტე ქიქოძე. უკანასკნელ დღეებში ახალი რამ არა დაუბარებია და არც ჰქონდა დასაბარებელი, ვინაიდან ყველაფერი წინათ ჰქონდა ნათქვამი და დაწერილი. მახსოვს მხოლოდ ორი რამ, ჯერ ერთი ასეთი შეკითხვა: „ნეტა რას იქთ ჩემს შემდეგ, ჩაჰკლავ თუ აცოცხლებთ ჩემს სახელმძღვანელოებსო?“ და მეორე შემდეგი: სიკვდილის წინა დღეს პერანგს ვუცვლიდი, დიდი სიცხე ჰქონდა. ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ნიავი არ მოხვედროდა. მოვახერხე ეს საქმე მისდა მოსაწონად; ძალიან ეამა, მითხრა: „როგორ ეფისკოპოზივით შემმოსეო“ და დაუმატა: „ახლა რას იზამთ, როგორ დამმარხავთო?“ გამეცინა და ვუთხარი: „მაგის ფიქრი ნულარ გექნება. დამარხვაში დახელოვნებული სპეციალისტები ვართ“ მეთქი. მანაც გაიცინა: „ჰო, ეს კი იცითო“. თითქმის სულ უკანასკნელ საათებამდე სრულს გონებაზე იყო.

დამარხვა მართლაც დიდებული იყო, რაც დაწვრილებით აწერილია მაშინდელ გაზეთებში და „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“ გამოცემულ ცალკე წიგნშიც.

იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული,
1940, გვ. 271 — 281.

ლიტერატორთა წრეში ცხოველ ინტერესს იწვევს „ნუ თუ“-ს დაწერის ისტორია. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე მოგონება ნათელს ჰფენს ავტორის განწყობილებას „ნუ თუ“-ს გამოქვეყნების თაობაზე და საშუალებას მისცემს მკითხველს, თვით განსაზღვროს „იეერიის“ იმდროინდელი რედაქტორის — ფ. გოგიჩაიშვილის „შეცოდების“ თავიც და ბოლოც. (ნ. გამყრელიძე).

1 პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მეუღლე — ქ-ნი ელენე (— რედ.)

ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან

თბილისის სემინარიის მეხუთე კლასში ვიყავი გადასული. ეს იყო 1891 წელს. ჩვენი, მოწაფეობის, ტანჯვა, რასაც სწავლა ეწოდებოდა, ერთი თუ ორი თვის დაწყებული იყო. ეს ტანჯვა განსაკუთრებით მწვავე იყო მეხუთე-მეექვსე კლასელებისათვის, რადგან ამ ორი უკანასკნელი კლასის სასწავლო პროგრამა სემინარიაში სულ ღვთისმეტყველების საგნებით იყო გავსებული, რომელნიც ყველა სემინარიელს, მორწმუნესაც კი, ჯირივით ეჯავრებოდა და რომელთაც გულის ზიდილით იზეპირებდა.

დიდებული შემოდგომა იყო, უმშვენიერესი დრო ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც გაზაფხული სრულებით არ იცის, ხოლო ზაფხული მეტისმეტად ცხელი, ზამთარი კი — რაღაც გაყეყილი, არც ზამთარს ჰგავს და არც შემოდგომას. ბედმა გაგვიღიმა მოწაფეებს: გომილეტიკის მასწავლებელი, რომელიც წინათ მეთვალყურედ იყო და ახლახან ამ საგნის მასწავლებლად დანიშნეს, ავად გახდა და გაკვეთილებზე ველარ მოდიოდა. ნება მიბოძეთ ამ „გომილეტიკის“ ახსნა-განმარტებას ალარ გამოვუდგე, დღეს ვის რაღად უნდა იგი: იყო სემინარიაში ასეთი საღვთისმეტყველო „მეცნიერებაც“, რომელსაც სემინარიელებს გვაზეპირებინებდნენ, ყველას გვიხაროდა ამ „მეგომილეტიკე“ მასწავლებლის მოუსვლელობა, მაგრამ განსაკუთრებით — მე, რომელსაც მისი დანახვა ყოველთვის ბოღმას მომგვრიდა ხოლმე. როცა ავად გახდა და გაკვეთილის გაცდენა დაიწყო, ყველას გვესიამოვნა: მისი საგნის საათი თავისუფალი გვრჩებოდა. შეგვეძლო კლასში სხვა რამე „გარეშე“ წიგნების (ასე ეძახდნენ მაშინ არა სასემინარიო წიგნებს) კითხვით გავრთობილიყავით. მართალია, დიდი სიფრთხილის გაწევით: დერეფანში ვინმე ამხანაგი უნდა დაგვეყენებინა ყარაულად, რომელსაც უნდა ეთვალთვალებინა, რომ მოულოდნელად მეთვალყურე ან ინსპექტორი თავს არ წამოგვდგომოდა. საქმე მაინც სახიფათო იყო, ვინაიდან ჩვენი ყარაული ზოგჯერ ვინმე ამხანაგთან ლაპარაკში გაერთობოდა და ამ დროს ბერი (ინსპექტორი) შეუმჩნევლად შემოძვრებოდა და თავს დაგვეცემოდა. განგებ ატარებდა უქუსლო ფეხსაცმელს, რომ მოგვპარვოდა, ბრახაბრუხით არ შემოსულიყო. ამიტომ იმ თავისუფალ საათში მოწაფეე-

ბის მხოლოდ ნაწილი რჩებოდა კლასში, ხოლო სხვები ეზოში ჩადიოდნენ და ოთურმას გადადიოდნენ.

მაგრამ ეს სიხარული მალე წავკამწარა ინსპექტორმა, ბერმა ნიკანდრამ. მან გადასწყვიტა გომილეტიკის თავისუფალი საათი თავის საგნის — „პასტირიკისათვის" გამოეყენებინა დამატებით. ესეც ერთ-ერთი საღვთისმეტყველო „მეცნიერება" გახლდათ სემინარიაში. დაიწყო ამ ნიკანდრამ თავისი „პასტირიკით" იმ საათში ჩვენთან სიარული. მიუჯდებოდა კათედრას, ჩვენსკენ არცკი იხედებოდა, გადანაბავდა თვალებს და მოგვიყვებოდა წმინდანების ღა ღვთისმეტყველების ამბებს.

მობეზრდათ მოწაფეებს ეს ზედმეტი „დატვირთვა" (ე. ი. ამ თერმინის შინაარსი, ვინაიდან თვით ეს თერმინი მაშინ არ იყო ხმარებაში) და გადასწყვიტეს ერთსულოვნად გაფიცულიყვნენ: იმ საათში აქ, კლასში, ნუ დავრჩებით, ეზოში ჩავიდეთ, და როცა მოვა და არ გვნახავს უკან გაბრუნდებაო. სიმართლე უნდა ვთქვა, არ ვიყავი ასეთი „აჯანყების" მომხრე: რა გინდათ იმ დასაქცევ ეზოში, — ვეუბნებოდი ამხანაგებს, — ან რას გიშლით ეს ოხერი ბერი. — დაერჯობა კათედრასთან, ჩვენსკენ არც კი იხედება, ვისაც გსურთ, ყური უგდეთ, ვისაც არა, — იკითხეთ რაც გინდათ, დამშლელი არავინაა, საათიც გაირბენს და ბერიც წაშავდება მეთქი, ე. ი. დამშლელი როგორ არ იყო, მაგრამ ბერი აბა რას წარმოიდგენდა, რომ ვინმე მას თვალწინ სხვა რამ წიგნის კითხვას გაბედავდა! არ დამიჯერეს. მაშინ კი ვუთხარი: თუ გავდივართ, აღარ უნდა შემოვიდეთ მეთქი. ყველანი გავილალენით, თითქმის ყველანი ეზოში ჩავიდნენ და თამაშს მოჰყვნენ. მე ზემო მოაჯირიდან ვუცქეროდი. დარეკეს. ბერი კლასში შევიდა, ნახა, — არავინ იყო, და გააფთრებული გარეთ გამოვარდა. მეცა გზაში მე, ხელი წამავლო და ჩამძახა: „კლასში, კლასში!" „მამაო ინსპექტორო (ასე უნდა გვეთქვა: „მამაო ინსპექტორო"), კლასში არვინაა და მარტო მე რად გინდივართ მეთქი". „ახლავე, ახლავეო", მომაძახა და ეზოში ჩავარდა. იქ თავი მოუყარა ჩემს ამხანაგებს. გამოირეკა წინ თხებივით და ზევით ამორეკა. რომ მომიახლოვდნენ, ველარ მოვითმინე და ვუთხარი: „შეგირცხვათ თავი, ან გამოსვლა რა იყო, ან შესვლა რაღა არის მეთქი". ეს იყო და ეს. ამ სიტყვებზე ყველა ჩემი ამხანაგი ხელიდან დაუსხლტა ბერს და ისევ ეზოში გაიქცა. ბერმა გაიგონა, რომ მე რაღაცა ვთქვი ქართულად და მას საწმყსო შემოეფანტა. ცხადად ჩანდა, რომ აჯანყების მეთაური და წინამძღოლი მე ვიყავი. გაიქცა გაცოფე-

ბული, მაშინვე გამგეობა შეჰყარა (რექტორის თავმჯდომარეობით) და მოახსენა დაწვრილებით ამ საშინელი აჯანყების ამბავი. გამგეობამაც მიიღო სათანადო დადგენილება: ზოგს „ვიგოვორი“ ჩაუწერა ჟურნალში, ზოგს ნიშანი „ოთხი“ ყოფაქცევაში, ხოლო მე „ოთხიც“ მომაკრა და, როგორც ჯანყის „მეთაური“, სულ მთლადაც გამრიცხა სემინარიიდან.

შემდეგ მოხერხდა ამ დადგენილების გაუქმება. დავრჩი ისევ სემინარიაში, მაგრამ ეს ჩემი ბერი გაბუტული მყავდა, ჟურნალს რომ წაიკითხვდა, ჩემს გვარს არ ახსენებდა, არც არაფერს მეკითხებოდა, რომ შარი არ მოედვა რა, მის გაკვეთილებს არ ვაკლდებოდი. ერთხელ გაკვეთილის დროს გვერდით ამხანაგს ჩუმად რაღაცას ველაპარაკებოდი, თურმე შემამჩნია და ჩემი გვარი ამოიძახა. წამოვეყუდე გაკვირვებული. მკითხა რა ვთქვი მე ახლაო! მე არაფერი გამიგონია, მასლაათში ვიყავი გართული, აბა რას ვუპასუხებდი. უშველებელი „ერთი“ დამისვა ჟურნალში. ამის შემდეგ მთელი თვეების განმავლობაში არას მეკითხებოდა. ეყუდა ბოძივით ის ჩემი „ერთი“ ჟურნალში. მინდოდა ამის თაობაზე დავლაპარაკებოდი, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდებოდი, მაშინვე გარბოდა, თითქოს ეშმაკს გაურბისო. ბოლოს, როგორც იყო, ვუდარაჯე და კიბესთან დავიჭირე: „მამაო ინსპექტორო, — მივუხმატკბილე, წელში მოზნექით, თვალების დახრით, — პატიოსანო მამაო, თქვენ, ასეთ დიდებულ პედაგოგს, როგორ შეიძლება ჩემი „ერთი“ ჟურნალს გიუშნოებდეს, გამასწორებინე მეთქი. „მე შენ ჩემ მოწაფედ არ გთვლი, დაგტოვეს სემინარიაში, მაგრამ მე არ გთვლი ჩემ მოწაფედო“. არ მოვეშვი, ვიფიქრე, რახან დამელაპარაკა, იქნებ მოვთოკო მეთქი: „მამაო პატიოსანო, — ვეუბნები, — ეს ხომ ცოდვაა, ღმერთი იწყენს მეთქი“. ერთხანს მეჯანჯლა, ბოლოს დამთანხმდა: კარგი, გამოგკითხავ, მაგრამ იცოდე ყველაფერს, უკლებლივ ყველაფერსო. ამ მუქარამ შემაფიქრიანა, რამდენიმე ღამე გავათეთრე მის „პასტირიკაზე“. მაგრამ მიზანს მივაღწიე, — იძულებული გავხადე გადაესწორებინა ნიშანი. ამის მეოხებით იყო, რომ შემდეგ კლასში გადასვლის შესაძლებლობა მომეცა, თორემ, ბერი რომ მოუდრეკელი დარჩენილიყო, შეიძლებოდა მეორეხელ გამორიცხვა მხვდომოდა „მცირე წარმატებულობის“ მიზეზით. იმ „აჯანყების“ ნაშხეფი მაინც დამრჩა: სემინარიის გათავებისას ყოფაქცევის ის ნიშანი არ მომაშორეს დიპლომში, გამომისტუმრეს იმავე „ოთხით“, ე. ი. „სამგლე ბილეთით“, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში არსად შემეძლო შესვლა უმაღლეს სასწავლებელში.

ეს ყველაფერი — პო, მაგრამ ილია რა შუაშია, იტყვის ვინმე. შესცდება: თუ აქომამდე მონათხრობი გლახა ჯრიაშვილის ლაპარაკს ჰგავს, მაშ ილიას არ დავშორებივარ. ეს ერთი. და მეორე: ილია იმ „შუაშია", რომ სწორედ ის ამბავი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იყო იმის მიზეზი, რომ პირველად ვნახე ილია პირადად და მას ველაპარაკე. და იგივე ამბავი მიზეზი იყო არა თუ ამის, არამედ მეტისაც, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ.

მთელ კლასს ზურგი ეგვეწვა, როცა სემინარიის გამგეობის გადაწყვეტილება შეგვატყობინეს. მოწაფეები ღაფაცურდნენ. ყველაზე უფრო მე მომსვდა, მაგრამ ყველაზე ნაკლებ მე დავფაცურდი. იმიტომ, რომ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველთვის დონდლო და უფოლადო ვიყავი, რომ იტყვიან: „დატრიალება", „მიდგომ-მოდგომა" — არასოდეს არ მეხერხებოდა, ჩვენი დაფაცურება ის იყო, რომ ზაქარია ჯიქინაძეს მივადექით: ის იყო ჩვენი მკვებავი წიგნებით და ჩვენი გაჭირვების ტალკვესი. შევჩივლეთ ჩვენი გაჭირვება, სემინარიის რექომი, ბერების მხრივ მოყენებული ტანჯვა-ვაება.

ზაქარია წავიდა და ანტონ ფურცელაძეს შეატყობინა. ანტონი კიდევ ილიასთან წავიდა და ამგვარად ჩვენი ამბავი ილიამდე მივიდა. ილია ამ ამბით დაინტერესდა, გამოჰკითხა ყველაფერი ანტონ ფურცელაძეს და უთხრა, ეგზარხოსს ვინახულებო. სემინარიის გამგეობის დადგენილება ეგზარხოსის დამტკიცებას საჭიროებდა. და აი, ილია დაიძრა.

ეს იყო ის „მეტი", რაზედაც მე ზემოთ მოგახსენეთ. ეს მართალია მეტზე მეტი იყო. ჩვენ, მოწაფეებს, ერთ წამსაც არ მოგვსვლია აზრად, რომ ილია ასეთი პატარა საქმისთვის დაიძროდა და ეგზარხოსთან წავიდოდა. არც ჩვენ, ახალგაზრდობას, არც სხვა ვინმეს საქართველოში ილია ისეთ კაცად არ ეყავდა წარმოდგენილი, რომ იგი სასწავლებლიდან გამოგდებული ოვითეული მოწაფის გულისთვის მთავრობასთან სარბენად ყოფილიყო დასახურდაებელი. ჩვენ ვფიქრობდით მხოლოდ, რომ ილია რომელიმე ქართველ ეპისკოპოსს ეტყოდა თავის აზრს, მისი პირით შეუთვლიდა ან ეგზარხოსს ან სემინარიის მთავრობას, და ჩვენი საქმისთვის ესეც საკმარისი იქნებოდა. ილიას შეთვლილი სიტყვაც გასჯრიდა, ბერებს ჩაიფიქრებდა.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც გავიგეთ, ილია თვითონ წავა ამ საქმეზე ეგზარხოსთან და მოელაპარაკებაო. ამ ჩვენ პატარა საქმეს ილიამ თურმე უფრო ღრმად შეხედა: ჯერ იყო და —

რექტორის მოკვლა, მერე, სამი წლის შემდეგ დიდი „არეულობა“ სემინარიაში (მისი მეთაურები იყვნენ ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე), ახლა კიდევ ეს ამბავი მეხუთე კლასში, თანაც ის პოლიციური რეჟიმის სასწავლებელში, — ილიამ ყველა ეს დაალაგა თავისებურად, ჩაჯდა ეტლში და ეგზარხოსს მიადგა კარებზე. ჭიშკართან ალექსანდრე ეპისკოპოსი შეხვდა და, ილია რომ დაინახა, გაუკვირდა: „შენ აქ რა გინდაო?“ ილიამ უთხრა: ეგზარხოსთან მივდივარ სემინარიის საქმეებზე და მოდი შენც წამყეო. ალექსანდრემ იუარა, — შენ წადი, შენ უკეთ გააკეთებო. ილიამ ეგზარხოსს სადარბაზო ბარათი შეუგზავნა, და უმალვე მისმა კელენიკმა ორივე ცალი კარი გაუღო. ილია შევიდა, წინ უზარმაზარი ახმახი ბერი, არქიეპისკოპოსი (თუ მეხსიერება არ მღალატობს) ფლავიანე შემოეგება, რომელშიაც სამი ილია გამოიჭრებოდა. ფლავიანემ კმაყოფილება იგრძნო თავის თავმოყვარეობისათვის, რომ ასეთი დიდი კაცი ეახლა, მაგრამ თანაც აცბა, — არ იცოდა, რაზე იყო სტუმარი მისული. და ილია, თურმე, მოუყვა და მოუყვა. ეს ჩვენ ზოგი გავიგეთ ეგზარხოსის კელენკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიდან, ზოგიც ეპისკ. ალექსანდრეს მიერ ნაცნობებისთვის ნაამბობიდან. ილიამ გადმოულაგა, თურმე, — რბილად და ფრთხილად, მაგრამ მაინც გადმოულაგა — სემინარიის ამბები, სემინარიის რეჟიმი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთგანწყობილება, ყოვლად დაუშვებელი და უარსაყოფელი, გადავიდა ჩვენი მეხუთე კლასის ამბავზე, და იჩივლა სემინარიის ბერებზე, რომ მოსწავლეების აღზრდის საქმეში ხელმანკიანები არიან, რომ ბავშვების რაღაც ცელქობას (ასე მონათლა ჩვენი იმდროინდელი გაფიცვა) უდიდეს დანაშაულობად ხდიან, ბავშვებს სასწავლებლის გარეთ ჰყრიან, რომ ისინი იქნებ კეთილი მწყემსები და მოძღვრები გამოსულიყვნენ, ახლა კი ღვარძლით და სიბოროტით ივსებიან, ვინ იცის, კეთილი მოძღვრების ნაცვლად, ქვეყანას ავაზაკები და დამნაშავენი შეეძინონ, რომ ყველა ეს ასეთი მოპყრობის ბრალი იქნება, რომ ასეთ აღზრდაში არ სჩანს არც სათნოება, არც სიყვარული, არც დათმობა, არ სჩანს ქრისტეს სული, ქრისტეს მოძღვრება და სხვადა სხვა და სხვა. ეგზარხოსი, თურმე, გამოლენჩებული უსმენდა, საწინააღმდეგო ვერა უთხრა რა, მხოლოდ ჩემზე, ეთქვა, იმას ძალიან უჩივიან სემინარიაშიო, მეთაური ყოფილაო. აღუთქვა ილიას, რომ მეხუთეკლასელების წინააღმდეგ რეპრესიებს არ დაამტკიცებდა. ლაპარაკი რომ დასასრულს უახლოვდე-

ბოდა, ეგზარხოსთან, შესულა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელსაც ილიასთვის დახმარების გაწევა მოუნდომნია და ეგზარხოსისთვის უთქვამს: ვაპატიოთ მოწაფეებს, ცოტა რამ სასჯელი დაუნიშნოთო. მაგრამ ილიას წამოუძახნია: ახ, არა, ალექსანდრე, მისი მაღალმეუფება შემპირდა, რომ არავითარ სასჯელს არ დაუნიშნავსო. ამგვარად, ილიამ მოწმის წინაშეც დაადასტურებინა ეგზარხოსს თავისი დაპირება, მიანდო თავისი ეგზარხოსის მადლიან ლოცვა-კურთხევას, გამოემშვიდობა, ალექსანდრეს ეშმაკურად გადაჰხედა და იმავე ეტლით შინ დაბრუნდა.

მეხივით გავარდა ეს ამბავი სემინარიაში. ილია ჭავჭავაძეს აქაურ რუსობაში კიდევ უფრო დიდი სახელი ჰქონდა, ვიდრე ქართველობაში. სემინარიის ანაფორიანი და უანაფორო ბერები გაოცებულნი იყვნენ, თუ როგორ მოხდა, რომ ილია ჭავჭავაძე დაიძრა ასეთი საქმისთვის, და თანაც შეშინებულნიც იყვნენ, რომ ილიამ ეგზარხოსთან იჩივლა მათზე. შედეგი ამისა იყო ის, რომ სემინარიის გამგეობის დადგენილება ჩაფარცხეს, იგი არ დაუმტკიცებია ეგზარხოსს.

რამდენიმე დღის შემდეგ ზაქარია ჯიჯინაძემ გადმოგვცა შეგირდებს ანტონ ფურცელაძის ნაამბობი, რომ ილია იყო ეგზარხოსთან და ეგზარხოსმა აპატია მოწაფეებსო და შეგვატყობინა. ილიას სურს რამდენიმე მოწაფის ნახვა და გაცნობაო. დროც დაგვინიშნა.

უნდა გამოვტყდე, ამ ამბავმა უფრო ამიწვა ზურგი, ვიდრე სემინარიიდან ჩემი გამორიცხვის ამბავმა. მე ამ ჩვენი „საქმის“ შუაგულში ვიყავი ჩაფლული, როგორც მთავარი დამნაშავე, ამიტომ ილიასთან გასაგზავნი დელეგაციის წევრობა არ ამცდებოდა. და მეშინოდა, მერიდებოდა, არ ვიცი რის, მაგრამ ისეთ დიდ კაცთან მისვლა ძალიან მეშინოდა. ძნელია დღევანდელ ახალგაზრდებს გავაგებინოთ ის უსაზღვრო მორიდება და კდემამოსილება, რომელიც იმ დროის ახალგაზრდობას გვქონდა მწერლობისა და მწერლების მიმართ, და მით უფრო ისეთი კაცის მიმართ, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. მე სხვისას არას გეტყვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩემი საკუთარი სულიერი განწყობილება ხომ კარგად ვიცი. და ეს კდემა და მორიდება მქონდა მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მე როდი ვიყავი მთლად ბაიყუშად ჩასათვლელი. მე იმ ხანებში ნიღილისტი კაცი გახლდით, არა ერთი და ორი მოწინავე რუსი მწერლის ნაწერი „შეჭმული“ მქონდა,

სიარულითაც ტკეპნა-ტკეპნით დავდიოდი, კისერი და თავიც ისე მეჭირა, როგორც შეჰფერის ტვირთმძიმეს, ნაადრევად ცოდნა-მეცნიერებით დამძიმებულ ახალგაზრდას. ნაბეჭდი სიტყვისაც არ ვიყავი მთლად ხამი.

ჯერ კიდევ მეორე კლასში ვიყავი, რომ ზაქარია ჭიჭინაძემ ჩემს მიერ ნათარგმნი ერთი წიგნაკიც კი დაბეჭდა ქართულად (ჩემი გვარის დაბეჭდვის ნება არ მივეცი, მაგრამ მან მაინც მიაბეჭდა ნახევარ გამოცემას). „ივერიასაც“ ვუგზავნიდი ზაფხულობით, სხვადასხვა ფსევდონიმებს ამოფარებული, კორესპონდენციებს, რომელთაგან ზოგი, ჩემდა უსაზღვრო გასახარებლად, კიდევ იბეჭდებოდა. ყველა ამას მოგახსენებთ არა თავის საქებად (აქ საქები მაინც და მაინც არაფერია), არამედ იმისათვის, რომ გაგაგებინოთ იმდროინდელი ახალგაზრდობის განწყობილება პრესისა და მწერლობის მიმართ, რომ თუმცა მთლად ხამი არ ვიყავი მეთქი, მაგრამ რიდი და კდემა მაინც დიდი მქონდა. აი თუნდ ეს მაგალითი: სემინარიაში ჩემთან ერთად სწავლობდა იაკ. ცინცაძე (ია ეკალაძე). როგორც მახსოვს, მესამე კლასიდან დაითხოვეს, და ამ სემინარიიდან გაგდებულმა ჩემმა ამხანაგმა მალე იშოვნა ადგილი „ივერიის“ რედაქციაში, — წვრილ ამბებს ათარგმნინებდნენ. ამ გარემოებამ ცოტაოდნავ ძირს დასწია ჩემ თვალში რედაქციის შარავანდედი, გამბედაობა მომიმატა, და ერთ დღეს გადავწყვიტე რაღაცა ჩემი ნაწერი მიმეტანა რედაქციაში.

რედაქციას (კუკიაში) დიდი კიბე ჰქონდა ეზოდან შემოსასვლელი. კიბემდე გულმაგრად ვიარე, მაგრამ კიბის ძირს რომ მივატანე, ფეხები გამიჩერდა, წინ ვეღარ წავედი. მაღლა რედაქციის კარებთან დავინახე, რომ წერილების სარედაქციო ყუთი იყო მიკრული. ჩემს თავს ვუთხარი: მოდი ავალ იქამდე და ჩემს ხელნაწერს იმ ყუთში ჩავაგდებ მეთქი, ძალღონე მოვიკრიბე, შუა კიბემდე კი მივედი და მეტი ვეღარ შევძელი, ფეხები აღარ დამემორჩილა, გაჩერდა, უკან გავბრუნდი. უკან წასასვლელად კი ძალიან დამემორჩილა, სულ თრიხინ-თრიხინით წამიღო.

და, ამის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ წამოიდგინოთ, თუ რა გულისხეთქა უნდა გამომევლო ილიასთან წასვლის მოლოდინში. ილია რამდენჯერმე მყავდა სახით შორიდან ნანახი, მენახა კრებებზე, მოქმესმინა მისი ლაპარაკიც. და ამ ლაპარაკის მოგონება იყო, რომ მაფრთხობდა. მჭერმეტყველების მხრივ არაჩვეულებრივს თითქოს არას

წარმოადგენდა, არც ენესტი და მიმიკა ჰქონდა ტრიბუნის, არც მაღალი, მგრგვინავი ხმა; გარეგნულად არ ჰქონდა ისეთი არც მიხვრა, არც მოხვრა, რომ მაცქერალ-მაყურებელი დაეტყვევებია. მართალია, მისი ლაპარაკი კი იყო მწყობრი, არასოდეს არ ახლდა გაჭირვების „ყეე", არასოდეს სიტყვის ძებნა ან წაფორხილება. მისი ლაპარაკი იყო შეკრული, სიტყვა სიტყვას მოსდევდა თავის ადგილას. აზრი აზრს, არაფერი მეტი ან უადგილო ან სიტყვის ძებნისას სულისმოსათქმელად ჩამატებული, — შეგეძლო სიტყვა-სიტყვით ჩაგეწერა მისი ნათქვამი, და გასასწორებელ-გასაშალაშინებელი შიგ არა იქნებოდა რა. მაგრამ მას'ში იყო რაღაც იდუმალი, რაც ყველას ყურადღებას იპყრობდა, ყველას გულისყურს ხელში იპერდა და ნათქვამს გაფაციცებით ასმენინებდა. რაგინდ დიდი კრება ყოფილიყო, რაგინდ ნაირნაირი, რაგინდ ჭრელი ხალხი ყოფილიყო შიგ, ილია რომ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველა სმენად გადაიქცეოდა, ისეთი სიჩუმე შეიქმნებოდა, რომ ბუზის გაფრენა გაიგონებოდა, და ამიტომ ილიას დაბალი ხმით ლაპარაკი ყველას ესმოდა, ერთი სიტყვა არავის გამორჩებოდა, და ეს სიჩუმე დაურღვეველი რჩებოდა, ვიდრე იგი თავის სიტყვას არ გაათავებდა.

მგონია, იმ იდუმალებას თუ საიდუმლოებას შეადგენდა ეს ორი რამ, ერთი მეორესთან შედეღებული: მისი შეუდარებელი დიალექტიკა, ლოგიკური აზრთმიმდინარეობა და ის მწყობრი და უზადო ქართული ლაპარაკი, რომელიც მას ჰქონდა, დღეს ქართული ლაპარაკი, როგორც ქართული ლაპარაკი, არავის გაგაკვირვებთ, მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ ილიას დროს, როდესაც მთელი ჩვენი ნასწავლი თაობა მეტნაკლებ გადაგვარებული იყო, ენით მაინც, და რომ წინადადებას ვერ იტყოდა ქართულად, იმასაც ბლუკუნით, რომ შიგ თხუთმეტი რუსული სიტყვა და ოცი ჩიქორთული ქართული არ გაერია. ამ დროს გამოდიოდა ილია, ისევე რუსულზე აღზრდილი და ნამდვილი ქართულით ელაპარაკებოდა, ელაპარაკებოდა „თავისუფლად", ისე, რომ ენა ერთხელაც არ დაებმებოდა, არ წაუბორძიკდებოდა, ერთხელ სიტყვა არ შემოელეოდა, ერთხელ ფრაზის ძებნა არ დასჭირდებოდა. და, რაც მთავარია, თქვენ გრძნობდით, თვალნათლივ ხედავდით, რომ სიტყვა აქ არ იყო მარტოოდენ სიტყვის მასალა, არ იყო სიცარიელის ამომვსებელი, არც საპო-საარაო, ე. ი. ისეთი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილიყო, არამედ იყო აზრით გამოწ-

ვეული, აზრით ნაკარნახევი, აზრის შემმოსველი და — შემმოსველი ყოველთვის სათანადოდ, ფერადად, ნაირნაირად. ადამიანი იფიქრებდა, ასე მწყობრად ქართულ ლაპარაკს წინასწარ ამზადებსო. შესაძლებელია, მაგრამ მე ასეთი შემთხვევის მოწმეც ვყოფილვარ: მინახავს კრებაში ილიას თავისი სიტყვა რუსულად დაუწყია, მაშ, თუ მომზადებაა, ის სიტყვა მას რუსულად უნდა ჰქონებოდა მომზადებული. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ „დემოკრატიას“ შეუძახნია:

„ქართულადო“, და ილიაც მაშინვე ქართულზე გადასულა, და ეს სიტყვა ისევე მწყობრი, ისევე უნაკლო ქართულით განუგრძია და დაუსრულებია.

ჰოდა, ეს რომ ვიცოდი, მაფრთხობდა მასთან მისვლა. „რომ მკითხავს რამეს, როგორ ვუპასუხო შესაფერად, ჩემი ამბავი, რომ ვიცი, ხომ ენა დამებმება. და არ იტყვის ასეთი შტერისთვის ეგზარხოსთან რას მოვეხირებოდიო?“ ბევრ ამგვარ რამეს ვეუბნებოდი ჩემ თავს. ამას მარტო ჩემ ახალგაზრდობას ნუ დააბრალებთ, არამედ იმ შარავანდედს, რომლითაც ილია იყო მაშინ ჩვენში მოსილი. ფართო იერიშები მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ილია თავისი დიდების მწვერვალზე იდგა. და ეს მწვერვალი იყო ყველას მიერ მისდამი ნებაყოფლობით მიკუთვნებული. იყო მისი „კეთილშენაძენი“, იმით გამოწვეული, რომ იმ ბედკრულ ხანაში ილია იყო ცარიზმის შემოტევების წინააღმდეგ უძლიერესი ხმის ამომღები, ერის ქომაგი და მფარველი. ყოველთვის, როდესაც რაიმე მწვავე საკითხი წამოიჭრებოდა, ყველას ილიასკენ ჰქონდა თვალი მიპყრობილი, — ილია რას გვირჩევს, ილია რას იტყვისო. ამ შარავანდედს ხელს უწყობდა ისიც, რომ ბუნებით ილია არ იყო „მასის“ კაცი, არ უყვარდა მრავალ ადამიანში ტრიალი, არ იცოდა ადამიანის ნამეტნავად დაახლოება. ვამბობ „ნამეტნავად“ მეთქი და ვგულისხმობ ისეთ დაახლოებას, როდესაც ერთი მეორის სულსა და გულშია ჩამძვრალი, როდესაც წაშლილია, წარხოცილია მიჯნა და საზღვარი მათ შორის და კაცმა აღარ იცის, სად იწყება და სად თავდება ან ერთის ან მეორის პირადი სფერო და პირადი საკუთვნელი, რაგინდ დაახლოებული ჰყოლოდა ადამიანი, ილიას ყოველთვის ჰქონდა იმისა და თავის შორის ერთგვარი მიჯნა გავლებული, რომელსაც ვერ გადალახავდა ის მისი მახლობელი.

და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მე, მაშინ 19 წლის ყმაწვილს, გვარიანად მეშინოდა ილიასთან წასვლა. წასვლა არ ამცდა: ამხანაგებმა ილიას წინაშე წარსაგზავნად და მადლობის გამოსაცხადებლად 3 დელეგატი აირჩიეს, მათ შორის მეც, ის ორი იყო: ერთი — ალ. მაღალაშვილი (შემდეგში ექიმი, გარდაიცვალა ამ სამი წლის წინათ) და მეორე — სერ. დადუნაშვილი (ექიმი ამჟამადაც). წავედით საღამოს, შეპირებისამებრ, ანტონ ფურცელაძესთან, რომელმაც თავისი ბინიდან ილიასთან წაგვიყვანა. ილია იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც „იეერიის" რედაქცია ჰქონდა (კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე). ანტონი წინ გაგვიძღვა კიბეზე თავისი კოჭლი ფეხით, ჩვენ უკან მივყევით, — ჩემი ამხანაგები, ალბათ, გულის ფანცქალით, მე კი გულის ბაგა—ბუგით. დავრეკეთ, სასტუმრო ოთახში შეგვიყვანეს, ანტონი ილიას კაბინეტში შევიდა ჩვენი მისვლის შესატყობინებლად. ანტონს ცოტა შეაგვიანდა, ჩვენ დრო გვქონდა თვალი მოგვეველო სასტუმრო ოთახისათვის. ახლა რომ ვიგონებ, მდიდრული არა იყო რა შიგ. — რამდენიმე რბილი სავარძელი, სკამი, ფერადსაფარიანი მაგიდა, კედლებზე რამდენიმე სურათი, მაგიდაზე ფერადი აბაჟურიანი ლამპა და სხვა. გვერდით სასადილო ოთახის ცალი კარი ღია იყო და იქიდან ჩანდა სასადილო მაგიდაზე ზემოდან ჩამოკიდებული ლამპა, რომელზედაც ძირს მსხლისებური ელექტრონის ზარსარეკი იყო ჩამოშვებული, თუმცა ოთახის მოწყობილობაში შესანატრი და გასაკვირველი არა იყო რა, მაგრამ მე მაინც ყველაფერი მომწონდა და მაკვირვებდა.

უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ, სემინარიელები, მაშინ თუმცა მოწინავე იდეების და აზრების ხალხი ვიყავით, მაგრამ მატერიალური კულტურის მხრივ დიდი ბარბაროსები გახლდით. ალბათ, გახსოვთ რაფ. ერისთავის პიესიდან ხინჩლა, — ნამდვილი ხინჩლები ვიყავით. მე, მაგალითად, მანამდე ჩემ დღეში არ მენახა ლამპის ისეთი ფერადი აბაჟური. ჩვენი, მოწაფეების, აბაჟური ის იყო, რომ როცა ლამპას ავანთებდით, ზედ ქაღალდის ნაგლეჯს ჩამოვაცობდით. სიმხურვალისგან ქაღალდი იწოდა, აბოლდებოდა, ნახშირდებოდა, ბოლოს გამომწვარი სულ ძირს ჩამოცურდებოდა და ანთებული შუშა სვეტივით მაღლა აიმართებოდა. ეს მაშინ, როდესაც ასეთ აბაჟურს დაწვის გზით ბუნებრივი მიცვალება ეღირსებოდა. მაგრამ იყო არაბუნებრივიც: რადგანაც ერთ ლამპას რამდენიმე მოწაფე ვუსხედით, იმ ჩამოფარებულ

ქაღალდს ხან ერთი მისწევდა თავისკენ, ხან მეორე, და ამ გაწევ-გაშოწევაში კიდეც ჩამოიფხრიწებოდა.

გაგიძნელდებათ დამიჯეროთ, რომ პირველად ილიას სახლში ვნახე მე ისეთი ჩამოკონწიალებული მსხლისებური ელექტრონის ზარსაცეკი. ზარი კი მენახა, მაგრამ ის იყო მავთულზე მიმაგრებული; მავთულის სახელურს რომ ჩამოაჯანჯღარებდა, ზარის ღრიალი მთელ უბანს მოედებოდა. აქ კი თურმე, აუდგომლად, თითს რომ მიაჭერდი ღილს, ნაზად დარეკდა სხვაგან.

ერთი სიტყვით, ნამდვილი ხინჩლა გახლდით ამ მხრივ, ამიტომ ადვილად მიხვდებით, რომ ილიას სასტუმროს მოწყობილობამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. ილია მანამდის წარმოდგენილი მყავდა როგორც დიდი გონების კაცი. ახლა ამას ესეც მიემატა: რომ იგი ყოფილა დიდი ქონების კაციც.

შეგვიხმეს კაბინეტში. წინ ილია მოგვეგება, ხელი ჩამოგვართვა, შეგვიყვანა. პატარა კაბინეტი იყო, სულ წიგნებით და ქაღალდებით სავსე. წიგნები და ქაღალდები მაგიდაზეც, მავიდის გვერდითაც, მავიდის წინაც, კარადაშიც, ერთ სკამზედაც. სამნივე ერთ პატარა დივანზე დაგვსხა, და შეგვეკითხა.

„აბა როგორაა, ყმაწვილებო, თქვენი საქმეები? ძალიან გაწუხებენ ბერები? ჩვენც მოვუყევით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ მაინც მოვუყევით. უფრო მაღალაშვილს ვალაპარაკებდით, ის უფრო გაბედული იყო და ორატორობაც ბისთვის გექონდა მინდობილი. ხანდახან ანტონიც წამოგვეშველებოდა, ის ილიაზე უფრო იყო უშუალოდ სემინარიის საქმეების „კურსში", რადგან მასთან დროგამოშვებით სემინარიელები დადიოდნენ. ვუამბეთ, როგორ გვავიწროებდნენ ბერები, როგორ გეიშლიდნენ ყველაფრის კითხვას, როგორ იდევნებოდა და აღმოფხვრილი იყო იქ ყველაფერი ქართული, და ამას უფრო დავაწექით, — თუმცა არ ვეტყუოდით, სიმართლეს მოუთხრობდით, მაგრამ — არ ვმალავ — საღებავს კი ვამუქებდით. ილია ყურაღღებით გვისმენდა, ხანდახან თავს გაიქნევდა. ეს ჩვენი ლაპარაკი სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო: მაღალაშვილმა ბუნებით ნაწყვეტობით ლაპარაკი იცოდა, ჩვენ კი, მე და მესამე ამხანაგი, ჩვეულებრივ პირობებში თითქმის უფრო ვახერხებდით გაბმულ ლაპარაკს, მაგრამ აქ ორივეს გაბედულება გვაკლდა. პირადად მე ძალიან კარგად მქონდა მოფიქრებული, რასაც ვეტყოდი და როგორც ვეტყოდი, მომზადებული მქონდა

მადლობაც, რომ ყურადღება მოგვაქცია და ჩვენი გულისთვის გაისარჯა, მაგრამ იმ წამში ყველაფერი ეს საღღაც გამიქრა, სულ მთლად გამიქრა, მე მხოლოდ ილიას შევჩერებოდი თვალებში, იმ თვალების გამომეტყველებამ ყველაფერი დამავიწყა.

იქ ერთსა და იმავე დროს ღიმილიც იხატებოდა და დარდი-ნაღველიც. ილიამ გვითხრა, რომ იყო ჩვენს საქმეზე ეგზარხოსთან, ეგზარხოსმა დანაშაული გაპატიათო, და გვირჩია, თავდაჭერილი ვყოფილიყავით და გულს არ ავყოლოდით. „აბა რა გამოვა, ყმაწვილებო, ამგვარი აფეთქებიდან, სარგებლობას ვერას ნახავთ, უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არაა, და სწავლა დაასრულოთ. რომელია თქვენში გოგიჩაიშვილი? იმას ძალიან ემდურიან ბერები, არეულობის მოთავედ სთვლიანო". სიტყვა ვერ ამოვიღე, ჩემი „რეჩი", სადღაც გულის კოვზთან შეჩერდა და მარტო კისერი ღა წავყავ ინდოურივით წინ. ამ დროს კაბინეტში „ივერიის" თანამშრომელი ალ. ყიფშიძე (ფრონელი) შემოვიდა და სასემინარიო ლაპარაკი შესწყდა. ილიამ გაგვაცნო ალ. ყიფშიძეს: „ესენი არიან ბერების განაწამები სემინარიელებიო". რამდენიმე სიტყვა ყიფშიძემაც გვითხრა, მფარველობის და დარიგების ტონით (ასეთი ტონი ილიას სრულებით არ ჰქონებია, როდესაც გველაპარაკებოდა).

ლაპარაკი სხვა საგნებზე გადავიდა. ილიას წინ მაგიდაზე თავისი თხზულების კორექტურის ფურცლები ედვა (მაშინ მას ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა ბეჭდავდა) და ანტონს შესჩივლა: ჩემი ნაწერების კორექტურა ყოველთვის მიძნელდებაო, ვცდილობ, მაგრამ თვალი სიტყვებზე ისე გადადის, რომ ცალკე ასოებს ვერ ამჩნევს და შეცდომები მრჩებაო. ბევრგვარად ვცადე: ხან თავიდან წაკითხვა, ხან პოლოდან, ხან გვერდიდან, მაგრამ მაინც ბევრი არა გამოვიდა, რაო. ამასობაში გაზეთის სხვა თანამშრომლებიც შემოვიდნენ: გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ხიზანიშვილი, თუ არ ვცდები, შემდეგ არტემ ახნაზაროვიც, აგრეთვე ალ. ჭყონია. სხვების სახელები ჩემმა მეხსიერებამ ვერ შეინარჩუნა[1].

---

1. იქ არ იყო ილიას მეუღლე ოლღა, და მე ის იმ ღამეს არ გამიცანია. გაეცანი მხოლოდ ათი წლის შემდეგ და მინდა აქვე გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილება: თუ შეიძლება ადამიანი ანგელოზი იყოს, ის სწორედ იყო სულით და გულით ანგელოზი (ფ. გ.).

ხიზანიშვილი ჯამის საშინელი მოყვარული იყო, და ილიამ მაშინვე სასადილო ოთახში გაგვიწვია, — ჩვენც, სემინარიელები. ახლა ჩვენთვის ახალი წამება დაიწყო. უნდა იცოდეთ, რომ სემინარიელი იმ რასის წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც ტანჯულ — წამებული იყო ყველგან, როცა საჭირო იყო ეტიკეთი, ფორმის დაცვა, განსაზღვრული წესის მიყოლა. ჯამასაც ხომ ცოდნა უნდა. და აბა რა ვიცოდი, თუ როგორ უნდოდა ჯამა ილიას გვერდით. სამივე ბურსელი ერთად დავსხედით. ეს საღამო არ იყო ილიას წვეულების საღამო, არც მისი „ეურფიქსი" იყო, არამედ ჩვეულებრივი საღამო იყო, როდესაც მას გარს უსხდა გაზეთის რამდენიმე ახლობელი თანამშრომელი. საჭმელებიც არ იყო საწვეულებო. ცივი საჭმელები იყო სხვათა შორის, ლობიოც, სირსველად გაკეთებული, აგრეთვე გოჭიც, ეგოჭობა არ იქნებოდა, როცა ნიკ. ხიზანიშვილი იყო, — იგი გოჭის განსაკუთრებული მოტრფიალე იყო.

„მიირთვით, ყმაწვილებო", გულმხიარულად გვითხრა ილიამ: ხიზანიშვილი მაშინვე გოჭს ეცა. მე ამხანაგს ჩავულაპარაკე: „ჩვენ ლობიოს მივადგეთ, ამაში გაწაფულები ვართ მეთქი". ხიფათი მაინც არ აგვცდა. ჩემს გვერდით მაღალაშვილს, როცა ლობიოს თეფშზე იღებდა, კოვზიდან სუფრაზე გადმოუვარდა ლობიო. გული გამისკდა, არ დაინახონ მეთქი, აქედან მკლავი მივაფარე, რომ მას ფარულად დანით აეღო სუფრიდან, და წავჩურჩულე: „რა ღმერთი გაგიწყრა, სულ ამას ვხეთქავთ, და ამის აღება როგორ ვერ ისწავლე მეთქი". მადა სულ გამიქრა. არა მიჭამია რა, შინ მშიერი დავბრუნდი.

ჯამას რომ მორჩნენ (ხიზანიშვილი არა, ის ისევ განაგრძობდა თავის საქმეს), ილიას იქვე ერთი კორესპონდენცია წაუკითხეს დათიკო ვერმიცანაშვილის (ლავრენტი წულაძის), რომელიც იმ ხანებში ძალიან ცხარე და სუსხიან წერილებს იწერებოდა გურიიდან იქაური ადმინისტრაციის თავგასულობის შესახებ. და ილიას ეს კორესპონდენცია წაუკითხეს, რათა მისგან დასტური მიეღოთ. დაებეჭდათ თუ არა. კორესპონდენცია ყველას მიერ მოწონებული იყო, მხოლოდ აფიქრებდათ, ადგილობრივ ადმინისტრაციას შური არ ეძია დამწერზე. „გადაასახლებენო", იძახდა ალ. ყიფშიძე. ილიამ დაბეჭდვის დასტური მისცა, ამასობაშიც ხიზანიშვილმაც, როგორც იქნა, ჯამა გაათავა და სუფრიდან ავიშალენით. გამოვეთხოვეთ მასპინძელს და შეკრებილთ.

„კარგად, ყოჩაღად იყავით, ყმაწვილებოო“, — მოგვაძახა ილიამ და გამოგვისტუმრა.

წამოვედით. გზაში ჩუმად მივდიოდით. ალბათ, ყველანი თავ-თავის შთაბეჭდილებას ვაკვირდებოდით. მე ჩემ სხეულსაც დავაკვირდი და ცვლილება შევამჩნიე; წინათ კისერი და თავი მქონდა — ან მეგონა, რომ მქონდა — მეცნიერებით დამძიმებული, ახლა, მას შემდეგ რაც ილიამ ორჯერ ხელი ჩამომართვა, მარჯვენა ხელი მეჩვენა ძალზე დამძიმებული.

ეს იყო ჩემი პირველად ნახვა და გაცნობა ილიასი. მაგრამ ვამბობ „ჩემი“ მეთქი, ვინაიდან თვითონ ილიას, მგონია, მე არ დავმახსოვრებივარ და მეც არასოდეს არ მომიგონებია მისთვის ეს ამბავი.

მეორე და — ასე ვთქვათ — ნამდვილი გაცნობა იყო 10 წლის შემდეგ, როდესაც მას წარვუდექი, როგორც მისი გაზეთის თანამშრომელი (სტუდენტობის დროს „ივერიაშიც“ ვთანამშრომლობდი). შემდეგ 1902 წლიდან 1907 წლამდე (სიკვდილამდე), ბევრჯერ მინახავს ილია კრებებზეც, წვეულებებშიც, მის სახლშიც (თბილისშიც და საგურამოშიც). მაგრამ თუ დაღლილ მკითხველს ეშინია, რომ ამასაც ასე დაწვრილებით მოვუთხრობ, — ტყუილად ეშინია და შეუძლია დამშვიდდეს. ამას არ ვაპირებ, მარტო ის ადრეული ახალგაზრდობის ეპიზოდი მინდოდა მომეთხრო მისთვის ცოტაოდნავ გასაგებად.

* * *

მაგრამ არის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელსაც ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, და რომელიც მინდა აქ მოვიხსენიო, თუმცა იგი ამ ოცდახუთი წლის წინა მქონდა პრესაში აღნიშნული („სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 871). ეს ეპიზოდი შეეხება ილიას საპასუხო წერილს „ნუთუ?“-ს დაბეჭდვას 1905 წლის „ივერიაში“. მე აქ ჯერ გადმოგცემთ ძალიან შემოკლებით, მაგრამ უცვლელად, იმას, რაც მაშინ იყო დაბეჭდილი, და შემდეგ რამდენსამე დამატებას და განმარტებას დავურთავ.

ილიას საპასუხო წერილის დაბეჭდვის ამბავი ასეთია. 10 აპრილს 1905 წ. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ვიღაც ვ. ნ.-ის წერილი, რომელშიაც ილია ჯავჯავაძის შესახებ საშინელი ამბები იყო მოთხრობილი... საშინელ ბრალს სდებდნენ არა უბრალო ვინმეს, არამედ საქართვე-

ლოს უდიდეს ადამიანს, და ამიტომ ბრალდება გაურკვეველი არ უნდა დარჩენილიყო. ასეთი იყო „ივერიის“ რედაქციის აზრი. მე მაშინ „ივერიის“ რედაქტორი ვიყავი.

სამწუხაროდ, არც მე და არც სხვა ვინმემ რედაქციაში ილიას მამულისა და გლეხებთან მისი დამოკიდებულების შესახებ არა ვიცოდით რა, რომ ბრალდების გარკვევა და პასუხის გაცემა შეგვეძლებოდა. თუმცა გონებაც და გულიც შეუძლებლად რაცხდა, რომ მოთხრობილი ამბავი მართალი ყოფილიყო, მაგრამ ასეთი შინაგანი „გულის ხმა“ საპასუხოდ, რასაკვირველია, ვერაფერი საბუთი იქნებოდა მოპირდაპირესთან. ამიტომ გვინდოდა და მოუთმენლად ველოდით, რომ ვინმეს, — გარემოების მცოდნეს, ან თვითონ ილიას — სმა გაეცა და ბრალდება გაექარწყლებინა.

გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ არც ერთ გაზეთში არაფერი პასუხი არ დაბეჭდილა, არც ილიას შემოუთვლია რამე, ეტყობოდა — ილია, რაიმე მოსაზრებით, არ თვლიდა საჭიროდ პასუხის დაწერას. ჩვენ კი ეს ფრიად საჭიროდ მიგვაჩნდა, რადგან ბრალდების გაბათილებას მასზე უკეთ აბა ვინღა დასწერდა. მაშინ „ივერიის“ რედაქციამ გადაწყვიტა, ილიასთვის შეკითხვით მიემართნა და მისი პასუხი გამოეწვია. არ ვიცი, — რადა, მაგრამ ვფიქრობდი კი, რომ ილია „ივერიის“ შეკითხვას პატივს დასდებდა და პასუხის დაწერის საბაბად გაიხდიდა. ამიტომ იმ წერილის გამოსვლიდან 5 დღის შემდეგ „ივერიამ“ გადაბეჭდა „ბრალდების“ ნაწილი და ბოლოში თავის მხრით შემდეგი სიტყვები დაურთო: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

მართლაც „ივერიის“ მიმართვას ილიამ ყურადღება მიაქცია და მეორე დღეს (16 აპრილს) გამოგვიგზავნა „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც იმ დღესვე დავბეჭდეთ და 17 აპრილის ნომერში მოვათავსეთ.

ამ წერილში ილია, სხვათა შორის, წერდა: „მინამ მე ავტორის გამტყუენებისათვის ვრცელს, დასაბუთებულს წერილს მოგართმევდეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად, გთხოვთ ლონისძიება მომცეთ თქვენი გაზე-

თის შემწეობით გამოვაცხადო ჩემთა კეთილმყოფელთა სანუგეშოდ, რომ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვადასხვა ელფერით შეღებილი. ამის უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოკითხვა და შემოწმება სჭირია და ამას დრო უნდა; — დასასრულ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს უგულითადესი მადლობა მოგახსენოთ, რომ არ დაგიჯერიათ იგი ამბები, როცა ხსენებული ავტორი ჩემდა შესარცხვენად ჰღალადებს. იმედი მაქვს თავის დროზე დაგანახოთ, რომ თქვენს გულის თქმას და თქვენს წინათგრძნობას ამ შემთხვევაშიც თქვენთვის არ უღალატნია და პრესა ადამიანის სათელავად არ გაგიხდიათ განუკითხველად".

რახან ეს ქება ამოვწერე, სიმართლე მოითხოვს ისიც აღვნიშნო, რომ თვით ვრცელსა და დასაბუთებულს საპასუხო წერილში, რომელსაც ილია აქ ჰპირდება თავის კეთილმყოფელთ და რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა „ივერიაში", ილია, მადლობასთან ერთად, უკმაყოფილებასაც უცხადებს „ივერიას". „თუმცა ის ამბავი, სწერს იგი, რომ „ივერიამ" ეს კორესპონდენცია მთლად გადმობეჭდა და იმით ხელი მოუმართა ავტორს გაევრცელებინა საძაგელი მოთხრობა, თავის თავადაც, ასე თუ ისე, იკბინება, მაგრამ მე მაინც მადლობელი დავურჩი „ივერიის" რედაქციას. რაც გინდა იყოს, ზემოაღნიშნული დოსტალული პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია" სიფრთხილით და წინდახედულობით მოქცეულა" და სხვა.

ილია შეუდგა პასუხის წერას, რომლის დასრულება ცოტა დაუგვიანდა იმის გამო, რომ როგორც თვითონ ამბობს პირველ წერილში, ზოგი რამ ცნობა უნდა გამოეკითხნა და ამას დრო სჭიროდა. ხელნაწერი რომ გამომიგზავნა, მოითხოვა: ა) მის ნაწერში რედაქციას არავითარი ცვლილება არ მოეხდინა და ბ) კორექტურის ფურცლები უეჭველად მისთვის გამეგზავნა გასასინჯად. რასაკვირველია, ორსავე მოთხოვნაზე თანახმა გავუხდი, მის წერილში წავშალე მხოლოდ სამი სიტყვა, — ერთი პატივცემული პირის სახელი და გვარი, ერთიც მოწინააღმდეგის მიმართ მკვახე სიტყვა, რომელიც გაჯავრებულ ილიას კალმიდან მოსხლეტოდა და მის კალამს კი არ შეეფერებოდა, და ორ ადგილას მძიმე ნიშანი ჩავსვი, რომელიც ავტორს გამორჩენოდა. ამ სამი სიტყვის წაშლა ილიამ იწყინა. რა ნახა კორექტურაში, რომ ის

სიტყვები ამოშლილი იყო, შემომითვალა: წერილს თქვენთან აღარ ვბეჭდავო.

მაშინვე წავედი ბანკში მასთან ამბის გასაგებად და სათხოვნელად, რომ კორექტურის ფურცელი დაებრუნებინა. გამომიცხადა: ჩემი წერილი, წინააღმდეგ პირობისა, გაგისწორებია და ამიტომ თქვენთან აღარ ვბეჭდავო, — ან სხვაგან დავბეჭდავ, ან ცალკე წიგნაკად გამოვცემო. როცა ვკითხე, სად არის გასწორებული მეთქი, მიმითითა ამოშლილ სიტყვებზე. მაშინ მე წარვუდგინე ჩემი მოსაზრება და ეუმტკიცებდი, რომ იმ პატივცემული პირის სახელისა და გვარის აღნიშვნა ამ შემთხვევაში ზედმეტი იყო და რომ მოსწრებული, მაგრამ თანაც მკვახე სიტყვა, რომელიც მან გაჯავრებულ გულზე დასწერა, მის სახელსა და ავტორიტეტს არ შეეფერებოდა. კამათმა ნახევარ საათამდე გასტანა. ბოლოს ილია ჩაფიქრდა და რამდენიმე წამის შემდეგ გამომიცხადა: თანახმა ვარო და გაშინჯული კორექტურის ფურცელიც გადმომცა.

ამგვარად, მისი ნებართვა მივიღე, მაგრამ საჭირო იყო კიდევ შეთანხმება, თუ როგორ უნდა დაგვებეჭდა წერილი. ილიამ მოითხოვა, რომ პასუხი გაზეთში იმ ადგილას დამებეჭდა, სადაც „მოგზაურიდან" ამოღებული ბრალდება იყო დაბეჭდილი. მე ეს აზრი არ მომწონდა, რადგან ილიას პასუხი ძალიან დიდი იყო, იმ ადგილას რომ დაგვებეჭდა, ბევრ ნომერში უნდა გადაგვეტანა გაგრძელება და ამით მისი პასუხი ბევრჯერ უნდა გაწყვეტილიყო და შთაბეჭდილება დაეკარგებოდა, მე წინადადება მივეცი, წერილი დიდ ფელეტონებად გაგვეშვა გაზეთში, — მაშინ ოთხ ნომერში დაეტევოდა, — ანდა გაზეთის მეოთხე გვერდზე დაგვეწყო და მთელი წერილი დამატებად მიგვეყოლებინა გაზეთისთვის. ფელეტონებად დაბეჭდვაზე ილიამ გადაჭრილი უარი სთქვა, „პრესის" ადგილას ბეჭდვა მასაც აღარ მოეწონა, რადგან წერილი ძალიან დაიკუწებოდა, და ამიტომ აირჩია ისევ ერთად დაბეჭდილიყო.

მეც ასე მოვიქეცი. მხოლოდ მეოთხე გვერდზე დაწყება ილიას წერილისა და დანარჩენის გადატანა „დამატებაში" ტექნიკურად არ მოხერხდა. ამიტომ წერილი მთელ დამატებად წინა დღეს დავბეჭდეთ და ასე მომზადებული მეორე დღის (5 მაისის) გაზეთის ნომერთან შევაერთეთ და გამოვეცით.

აქედან მკითხველი ხედავს, თუ რა მიზეზით დავბეჭდეთ ეს წერილი „უჩვეულო დამატებად", ან — როგორც ამას გადაკვრით ამბობ-

და ია ეკალაძე გაზ. „თემში“ — მინდოდა თუ არა ილიასთვის უარის თქმა წერილის დაბეჭდვაზე. ილია „ივერიამ“ გამოიწვია საპასუხოდ, — თვითონ ილიასაც ხშირად უთქვამს (მაგალითად, დავ. სარაჯიშვილთან, რომ მე პასუხს არ გავცემდი, „ივერიას“ რომ შეკითხვით არ მოემართნაო, — და ამის შემდეგ რედაქციას აბა როგორ უნდა ჰქონოდა სურვილი, საპასუხოდ გამოწვეული კაცისთვის — და ისიც როგორი კაცისთვის? — უარი ეთქვა. უამისოდ აბა რა აზრი უნდა ჰქონებოდა ჩემს მისვლას გამწყრალ ილიასთან და თხოვნას, რომ გული მოელბო და შემოთვლილი უარი გადაეთქვა? პირიქით, „ივერიამ“ იმ აზრით გამოიწვია ილიას პასუხი, რომ იგი კიდეც დაებეჭდა.

„ივერიის“ რედაქციამ „ნუთუ?“-ს პატარა შენიშვნა გაუკეთა, სადაც ნათქვამი იყო „ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებითო“. ილიას წერილში მართლა იყო რამდენიმე ადგილი, მაგალითად, კლასობრივი უთანხმოების შესახებ, სადაც — გაკვრით — გატარებულია ასეთი საზოგადო ხასიათის მოსაზრება, რომელშიც ავტორს რედაქცია ვერ დაეთანხმებოდა, და რედაქციის შენიშვნას სწორედ ამ ორიოდე ზოგად ადგილს შეეხებოდა და არა ილიას მიერ ბრალდების „ფაქტების“ დარღვევას. შენიშვნაც სწორედ ამით იყო გამოწვეული და არა იმით, რომ ვითომ რედაქციამ წერილის დაბეჭდვა უშენიშვნოდ „ვერ გაბედა“, რადგან მაშინ „საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგი იყო ილიასი“, როგორც ამას გრ. დიასამიძე ამბობდა გაზეთ „თემში“.

იგივე გრ. დიასამიძე ამბობდა იქვე, რომ ილია უკმაყოფილო იყო „ივერიის“ შენიშვნით. „ამბობდაო, იმდენად ბუნდოვნადაა დაწერილი, თითქოს ეჯვს ჰბადებს ჩემს მიერ მოყვანილ ამბებისადმიო“. 1905 წელში მე ხშირად ვხვდებოდი ილია ჭავჭავაძეს. დავ. სარაჯიშვილთანაც, რომლის ხშირი სტუმარი იყო ილია, ხშირად დავდიოდი. მუდამ ვხედავდი აგრეთვე მაშინ და შემდეგაც ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, არტურ ლაისტს, რომელნიც ილიას ხშირად ხვდებოდნენ. არც ილიასგან, არც ამ პირთაგან არადროს გამიგონია, რომ „ივერიის“ შენიშვნა ილიას იმ აზრით გაეგოს, როგორც გრ. დიასამიძეს აქვს გადმოცემული. მგონია, რომ გრ. დიასამიძე ამ შემთხვევაში სხვის ნათქვამს დაეყრდნო და არა ილიასგან თავისი ყურით გაგონილს.

ამ წინანდელ ნათქვამს ცოტა რამეს დავუმატებ დღეს. ჯერ იმ კორესპონდენციის ავტორის შესახებ, რომლის საპასუხოდაც ილიას „ნუთუ?“-ა დაწერილი.

ზემოთ ასეა მოხსენებული: „ვილაც ვ. ნ.-ის წერილით“. ამ ინიციალებს იყო ამოფარებული იმ წერილის დამწერი. ამ თავის დამალვაზე ილიასაც აქვს მითითებული. იგი სწერდა: „ბატონი ავტორი თავის სახელსა და გვარს ჰმალავს და ამოჰფარებია ორს ასოსა: „ვ. ნ.“ მე არ ვიცი, ვინ არის ავტორი და არც მინდა ვიცოდე“.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ შემთხვევაში დამწერის სრული სახელი და გვარიც იმავე არაობის გამომსახველი იქნებოდა, რისი გამომსახველიც მისი ინიციალები არის. დღეს მე შემიძლია, რახან თვითონ მან გაამჟღავნა თავისი ვინაობა, ერთ თავის საჩივარში, რომელიც მან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას მიართვა 1926 წელს, ეს საჩივარი, რომელიც უმაღლესმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს გადაუგზავნა მაშინ (მომჩივანი ჩიოდა ჩემი შვილი უნივერსიტეტში არ მიიღესო) და, ალბათ, არქივშია დაცული, უაღრესად ახასიათებს მის დამწერს: მითითება საარქიეო მასალებზე მომუშავე მკვლევარებს. გითხრათ, რომ ეს დამწერი იყო ვინმე ვასილ ნაცვლიშვილი. ამ სრული გვარითაც იგი „ვილაც ვ. ნ.-ზე მეტის მთხრობელი არ არის[1].

---

1. ამ პროზა-საჩივარში მისი დამწერი, აცხადებს, როგორც თავის დამსახურებას, რომ ივი, ვასილ ნაცვლიშვილი, არის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ „ვ. ნ.“-ის ინიციალებით ხელმოწერილი კორესპონდენციის ავტორი. ეს ცნობა მას აქვს პროზის შესავალად მოცემული, რათა მისი ასეთი დამსახურება მხედველობაში იქნეს მიღებული და მთავრობამ ყურად იღოს ჩივილი.

ჩივილის საგანი ის არის, რომ მის ქალიშვილს 1926 წელს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე საკმაო ნიშნები ვერ მიუღია და ამიტომ იგი არ შეუტანიათ მიღებულთა სიაში და ამის გამო მამა, ე. ი. ვასილ ნაცვლიშვილი, საჩივარს სწერს მთავრობის სახელზე. რათა ისტორიას არ დაეკარგოს ეს მასალა ამ სუბიექტის პიროვნების დასახასიათებლად (მისი საჩივარი, რომელსაც მე თავის დროზე იძულებული ვიყავი გავცნობოდი, ალბათ, უნივერსიტეტის არქივშია დაცული), მე აქ ამ მისი ნაწერიდან გადმოგიწერთ უდიდეს ნაწილს, — სრულიად უკომენტაროდ იგი ასე ჩიოდა და ასე ასაბუთებდა თავის საჩივარს: „ჩემმა ქალიშვილმა წელს გაათავა ცხრაწლედი და წელს გამოცდები ჩააბარა უნივერსიტეტში. მიიღო საერთო რიცხვი ნიშნებისა 27, მაგრამ არ იქნა ჩარიცხული, ვინაიდან „როგორც უპარტიოს, დამაკმაყოფილებელი ნიშანი არ გაქვსო“. აი მთელი საკვირველებანი. . .

ზემოთ აღნიშნულია აგრეთვე ილიას მხრივ თავისი საპასუხო წერილის დასრულების ცოტათი დაგვიანება, და ამის მიზეზებიცაა ნათქვამი. მაგრამ არ არის მოხსენებული ერთი გარემოება, რომელსაც თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დაგვიანებაში. ესაა ის, რომ ილია არასოდეს არ გაუშვებდა ხელიდან თავის ნაწერს შავად, გადაუწერელს. თავის პასუხს იგი მე მაძლევდა ნაწილ-ნაწილ, სუფთად გადათეთრებულს, და მეუბნებოდა: „დანარჩენის გადაწერა ვერ მოვასწარიო", რომ ვუთხარი: „თქვე დალოცვილო, თქვენს დაწერილს ჩვენთვის რა გადაწერა უნდა" მეთქი, მოკლედ მომიჭრა: „არ შეიძლებაო".

უეჭველია, ილიას მე გული ვატკინე, ჯერ ერთი, იმით, რომ მის ნაწერში იმ რაღაც ორი სიტყვის წაშლა გავბედე. უეჭველია ისიც, რომ მას არა თუ საბუთი და საფუძველი ჰქონდა გული სტკენოდა, არამედ სრული უფლებაც ჰქონდა გული მოსვლოდა. მართალია, ჩემს ახსნა-განმარტებას იგი დაეთანხმა; მართალია, თავისი გაჯავრება გადათქვა და მე გამამართლა; მართალია, ეს გარემოება, მას არც მაშინ, არც შემდეგში გულში ხინჯად არ ჩარჩენია, მაგრამ ყველაფერი ეს მე ოდნავაც არ მამართლებს. ფაქტი ისაა, რომ მე, თუნდაც ერთი სიტყვა, მისდა დაუკითხავად წავშალე მის ნაწერში. განა, ვიდრე წითელ მელანს გავუსვამდი, მე არ მეკადრებოდა და არ შემეფერებოდა მასთან წავსულიყავი, მეკითხა და მისი თანხმობა მიმეღო? და თუ ასე არ გავისარჯე, ცხადია, ბრიყვულად მოვქცეულვარ, და ასეთ ჩემ საქციელს ჩემი ახალგაზრდობა თუ ბოდიშს მოჰხდის, თორემ გამართლებით ვერა გზით ვერ გაამართლებს. ცხადია, ჩემმა „რედაქტორობამ" ან რედაქტორობის ბაცილამ სძლია აქ გონიერებას. მართალია, ჩემს სიცოცხლეში, როგორც ახალგაზრდობაში, ისე მოხუცებ:ში, ყოველთვის ვცდილობდი თავში, რაც შეიძლება, ბევრი შემსვლოდა, ხოლო არაფერი არ ამევარდნოდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იმ ბაცილამ, ეტყობა, მაინც შესძლო ამ შემთხვევაში ფეხი წაეკვრევინებია ჩემთვის.

მაგრამ ეს, გულის ტკენის მხრივ, ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო და მას კვალი არა დაუტოვებია რა. ილიას, უეჭველია, უფრო ეტკინა გული იმის გამო, რომ „ივერიამ" იმ კორესპონდენციის ნაწილი გადაბეჭდა და მას შეკითხვით მიმართა. ამას მოწმობს ზემოთ აღნიშნული სტრიქონები და აგრეთვე კიდევ რამდენიმე სხვა ადგილი „ნუთუ?"-ში,

საცა ავტორს ნაწილობრივ „ივერიაც“ უნდა ჰყავდეს მხედველობაში. მაგალითად, იგი სწერს: „თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვეო. ეს ადვილი სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად... ნუთუ ის ყოვლად უსაბუთო, ყოვლად უგეშო ბრალდება უნდა დაბეჭდოს ან გაზეთმა, ან ჟურნალმა იმ იმედით, რომ თუ ეს ამბავი ტყუილია, ბრალდებული ამ ტყუილს დაამტკიცებსო... ან ვისა აქვს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლადა უფლება, იგი ყოვლად შეუწყნარებელი და ადამიანობის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს, თავისი არ დაუსაბუთებია იმდენად მაინც, რომ პირველი შეხედვით საბუთი — საბუთს ჰგვანდეს და არ ტყუილების გუდას?“

რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივია, რომ ილია გულნატკენი დარჩა „ივერიის“ მიმართ ამ შემთხვევაში. თვითონ მე მტკივოდა გული, როცა ამ ცნობას ვბეჭდავდი და შეკითხვას ვურთავდი, გული მტკივოდა ყოველთვის, როცა კი ამას მოვიგონებდი და დღესაც მტკივა, როგორც კი გამახსენდება, მაგრამ ეს გახლავთ „გულის“ საქმე და „გული“ ვერ გადაწყვეტს საკითხს. საქმე ის არის, რომ ილია პასუხის გაცემას არ აპირებდა, და კითხვა ესაა: ემჯობინებოდა, რომ ბრალდება უპასუხოდ დარჩენილიყო, თუ ის სჯობს, რომ ილიამ დასწერა ეს პასუხი და იგი ისტორიას აქვს გადაცემული?

მგონია, რომ ამ კითხვის პასუხი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. როგორც მაშინ, ისე დღესაც, — ვფიქრობ, რომ ილიას პასუხი საჭირო იყო და ამიტომ საჭირო იყო მისი გამოწვევაც ამ პასუხისათვის, და რომ მაშინდელ ჩემ ნაბიჯს ისტორიის ინტერესი ამართლებს.

(ჟურ. „მნათობი“, 1962, 12, გვ. 170—179).

3. ჩანტლაძე

ბატონი ფილიპე

(ზოგიერთი შტრიხი პორტრეტისათვის)

1. ოციან წლებში მთავრობამ მიიღო სიგნალი, რომ ჭიათურაში შარგანეცის დამმუშავებელ საზოგადოებას ჰქონდა ფინანსური დარღვევები. სთხოვეს ბატონ ფილიპე გოგიჩაიშვილს, ჩაეტარებინა რევიზია. მან ჩაატარა რევიზია ყველა წესის დაცვით. დაინტერესებულმა პირებმა მოინდომეს შეცვლილიყო სარევიზიო ოქმის დასკვნები. ამ მიზნით ბატონ ფილიპეს პატივსაცემად მოაწყვეს დიდი ბანკეტი. ბანკეტზე დაპატიჟეს ასამდე პიროვნება, ხელმძღვანელობა დააკისრეს ვარინკა წერეთელს, სიმღერა „სულიკოს“ ავტორს. სუფრაზე დადეს შემწვარი ძროხა, რომლის მუცლიდან გამოიღეს შემწვარი ცხვარი და ცხვრის მუცლიდან — შემწვარი გოჭი. ბანკეტი ჩატარდა დიდი მუსიკალური გაფორმებით და მჭერმეტყველური სადღეგრძელოებით, რომელთა უმრავლესობა ტრიალებდა ბატონ ფილიპეს პიროვნების გარშემო. რამდენიმე საათის შემდეგ ბატონმა ფილიპემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, ბოდიში მოიხადა, რომ გადაუდებელი საქმეების გამო იძულებული იყო დაეტოვებინა ასეთი მაღალი საზოგადოება და მშვენიერი სუფრა, ხელი დაავლო პორტფელს და წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ საზოგადოებამ ბატონ ფილიპესაგან მიიღო თანხა — ბანკეტის ხარჯის თავისი წილის ოდენობა, მადლობა და რევიზიის შეუცვლელი აქტი.

2. ეს იყო 1931 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაშალეს დარგობრივ ინსტიტუტებად. ერთ-ერთს დაარქვეს ეკონომიკურ-კოოპერატიული ინსტიტუტი, რომელიც მომდევნო წელს გადაა-

კეთეს საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტად. მის ხელმძღვანელობაში გაიყვანეს კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელმაც გადაწყვიტა სიახლის შეტანა სწავლებაში — სასწავლო გეგმების გამარტივება. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარემ განაცხადა: „სასწავლო გეგმა გადატვირთულია არასაჭირო საგნებით. მე ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია საგანი „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“. სტუდენტი წაიკითხავს მარქსის „კაპიტალს“ და ეცოდინება პოლიტიკური ეკონომია“. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა რამდენიმე ორატორმა. „აზრი გარკვეულია, წინადადებას ვუყაროთ კენჭი, დაიძახეს ადგილებიდან. ამ დროს მოითხოვა სიტყვა პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა. მან დაასაბუთა, რომ განათლებულმა ეკონომისტმა უნდა იცოდეს პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაც. მას პასუხი არ გასცეს. უყარეს კენჭი და მოხსნეს „ეკონომიკური აზრის ისტორია“, საგანი, რომელსაც კითხულობდა პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ახლა წამოდგა მეორე პიროვნება და მოითხოვა, „ეკონომიკური გეოგრაფიის“ მოხსნა — გეოგრაფიას სწავლობენ საშუალო სკოლაში და საკმარისიაო. მოხსნეს „ეკონომიკური გეოგრაფიაც“.

გამოვიდა მესამე, რომელმაც დააყენა საკითხი „სტატისტიკის“ საგნის მოხსნის შესახებ, მან დაასაბუთა, რომ საბჭოთა ეკონომისტს სტატისტიკა არ სჭირდება, ესეც არ იყოს, სტატისტიკის დამწყები მღვდელი ზიუსმილხიაო. უყარეს კენჭი. მოხსნეს სტატისტიკაც. ამ საგანსაც კითხულობდა პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

მეოთხემ დააყენა საკითხი „ფინანსური მეცნიერების“ საგნის მოხსნის შესახებ. მისი დასაბუთება ასეთი იყო: ხვალ კომუნიზმში ვიქნებით, სადაც საჭირო აღარ იქნება ფული და ბიუჯეტიო. სანამ კენჭს უყრიდნენ, ჩაქრა სინათლე. ჩამოვარდა სიჩუმე. გაისმა ბატონი ფილიპეს ხმა: „ნეტავ დიდხანს იქნება სიბნელე?“. ამას მოჰყვა ხმამაღალი სიცილი.

სინათლე მალე აინთო. ყველა იცინოდა და ფილიპეს მისჩერებოდა. ასეთი თამამი გამოთქმა იმ დროს ძალზე სახიფათო იყო, ეს იგრძნო ფილიპემ და დაუმატა: „ვიკითხე, თუ სიბნელე დიდხანს გაგრძელდებოდა, სახლში ხომ არ წავსულიყავითო“. ისევ სიცილი.

3. მაისის თვეა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მიმდინარეობდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა, ვჩქარობდი, არ დამგვიანებო-

და. პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი არასდროს იგვიანებდა. დერეფანში რომ შეეედი, დავინახე, აუდიტორიის კარები ღია იყო. გამეხარდა, მაშასადამე, სხდომა არ დაწყებულა—მეთქი. მინდოდა აუდიტორიაში შეუმჩნეველად შევსულიყავი, მაგრამ კარებთან ბატონი ფილიპე შემომხვდა და მითხრა: არის ერთი კაზუსი, მაინტერესებს თქვენი აზრი და ამიტომ გელოდებოდითო". ძალიან გამიკვირდა, რა კაზუსი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ თვითონ ვერ გადაწყვიტა და საბჭოს დაწყების წინ ფეხზე მდგარი კარებთან მელოდებოდა. ვიფიქრე, რაღაცაშია საქმე, მე მცდის—მეთქი და ძალზე დაძაბულმა მოვუსმინე.

ბატონმა ფილიპემ დაიწყო: იყო ორი კარგი მეგობარი, დაპატიჟეს ქორწილში, ერთს რიგიანი ფეხსაცმელები არ ჰქონდა და მეგობრისგან ინათხოვრა, რომელმაც გამოუტანა ახალი, უხმარი ჩექმები. წავიდნენ ქორწილში, გზაში მოუსწროთ კოკისპირულმა წვიმამ. მოუკირწყლავი გზა საშინლად ატალახდა. გაჩნდა გუბეები. ერთ ადგილას ჩექმებიანს ფეხი დაუცურდა, მეგობარს უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ იფიქრა, ვაითუ მეგობარს მოეჩვენოს, ჩექმები მენანება და ამიტომ ვშველიო და ხელი აღარ მოკიდა. ჩექმებიანმა თავი ველარ შეიკავა, გუბეში ჩაცურდა და წელამდე ამოითხუპნა. იბადება კითხვა: სწორად მოიქცა თუ არა ჩექმების პატრონი?".

ერთბაშად გამახსენდა, თუ რატომ მიამბო ბატონმა ფილიპემ ეს იგავი. იმავე წლის თებერვალია. მე და დოცენტი აკაკი კაკაბაძე გამოვდივართ უნივერმაღიდან (მარჯანიშვილის ქუჩაზე). კარებში შემოგვხვდა ბატონი ფილიპე, რომელსაც მოყავდა ხელჩაკიდებული შვილიშვილი, პატარა ნიკო. გვითხრა, წამოვიყვანე, სათამაშო უნდა ვუყიდოვო. შევბრუნდით და ნიკომ შეარჩია სათამაშო. მეორე განყოფილებაში რომ გამოვიარეთ, გამოფენილი იყო პორტფელები. ბატონმა ფილიპემ ფასი იკითხა, გამყიდველმა მიუგო — ორას ორმოცდაათი მანეთიო. ბატონი ფილიპე გამობრუნდა. მე გამახსენდა, რომ მას ძველი პორტფელი ჰქონდა, თოკშემოჭერილი. ვუთხარი, ეყიდა ახალი პორტფელი. მიპასუხა: მე თვითონ ძველი ვარ და ახალი პორტფელი რაში მინდაო. მე გავუმეორე, იყიდეთ თქვენ კიდევ ბევრ პორტფელს გაცვითავთ—მეთქი. ბატონმა აკაკი კაკაბაძემაც იგივე უთხრა. იგი შეყოყმანდა, მე ვუთხარი, თუ ფული არ გაქვთ საკმარისი წამოღებული, გასესხებთ—მეთქი. ჯერ შეჩერდა, მერე მომიგო, მაშ, მასესხე ასი მანეთი პირველ ხელფასამდეო. პორტფელი იყიდა.

მოხდა ისე, რომ მე სრულიად გადამავიწყდა სესხის ამბავი და გამახსენდა ახლა, როდესაც ბატონ ფილიპეს ხელში დავინახე უბის წიგნაკი, საიდანაც მოჩანდა ფულიც. ვუპასუხე, რომ ჩექმების პატრონს უნდა მოეკიდა ხელი მეგობრისათვის. „ჰო და თქვენ ხომ მასეთი მეგობრობა არ გაგიწევიათ ჩემთვის. ფული გესესხე თებერვალში პირველ ხელფასამდე და ახლა მე, მოხუცებულს გადამავიწყდა, თქვენ რატომ არ გამახსენეთ, რომ მომკვდარიყავ, უნდა გეფიქრათ, ფული წამართვაო. ვუპასუხე, მეც გადამავიწყდა—მეთქი. ვერ დავიჯერებ, თქვენ ახალგაზრდა ხართ. ესეც არ იყოს, სესხის გადახდა მსესხებელს უფრო ავიწყდება, ვიდრე გამსესხებელსო, გულწრფელად მოგახსენებთ, ბატონო ფილიპე, უნდა დამიჯეროთ“. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, რომც გამხსენებოდა, მაინც ვერ ვეტყოდი, ფული დამიბრუნე—მეთქი. მან ფული გადმომცა მადლობით, ხელი მომკიდა და მითხრა, წავიდეთ სხდომაზეო.

4. მინდა გავიხსენო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილთან. მას დასკვნისათვის გადასცეს ჩემი სტატია, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომებში უნდა დაბეჭდილიყო. ავადმყოფობის გამო ბატონ ფილიპეს მისი წარმოდგენა დაუგვიანდა. მთელი თვე ინსტიტუტში აღარ მოსულა. რედაქცია დასკვნას ელოდა. ამიტომ გავბედე და მასთან სახლში მივედი. საღამოს ცხრა საათი იყო. ბატონი ფილიპე ლოგინში იწვა. სკამებზე წიგნები და გაზეთები გადაეშალა. ჩემი მისვლა გაეხარდა. გადავწყვიტე, ჩემი სტატიის შესახებ არაფერი მეთქვა, რაკი ამ მდგომარეობაში ვიხილე. ერთხანს ვისაუბრეთ, და შემდეგ წამოსვლა დავაპირე, მაგრამ მან მთხოვა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩენილიყავი. კარგა ხანს შევრჩი. დავხედე საათს, პირველი იყო. ახლა უკვე მტკიცედ გადავწყვიტე წამოსვლა. ავდექი და მოვემზადე გამოსამშვიდობებლად. ბატონმა ფილიპემ შემაჩერა, მომაწოდა ორი პაკეტი და მითხრა: „ეს პირველი მიუტანე ინსტიტუტის შრომების რედაქციას, მეორე კი გეკუთვნით თქვენ“. როგორც გამოირკვა, პირველ მათგანში იდო დასკვნა ჩემი სტატიის შესახებ, რომლითაც რედაქციას ატყობინებდა მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობას, მეორე პაკეტში აღმოჩნდა შენიშვნები ჩემს შრომაზე წარწერით: რაც მიიჩნიოთ საჭიროდ, გაასწორეთ“. ეს იყო მისი სტილი. მან, რასაკვირველია, კარგად იცოდა, ყვე-

ა შუნიშვნა მისაღები იქნებოდა და მეც დიდი სიხარულით და მად-
ıიერ:ების გრძნობით გამოვიყენე ისინი. გადავწყვიტე მეორე დღესვე
ıვსულიყავი და მადლობა გადამეხადა ბატონი ფილიპესათვის. მაგ-
ამ ირა ვიცოდი, რომ ჩემს განზრახვას ასრულება არ ეწერა.

მეორე დღეს შევიტყვე, რომ ბატონი ფილიპე საავადმყოფოში და-
ÿვინთათ და სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინათ. მივედი სანახავად.
ıსმა ქალიშვილმა — ქალბატონმა თამარმა მითხრა, მძიმედ არის და
ÿინაესო. რამდენიმე საათის შემდეგ, მეორედ მისვლისას, ბატონი
ილ:იპე აღარ იყო. მისი ხელით დაწერილ იმ შენიშვნებს დღესაც მო-
იწუბით ვინახავ.

სარჩევი

1. ფილიპე გოგიჩაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა) 3
2. სატერიტორიო სტუმართ-მოყვარეობა 9
3. რა გამომჟღავნდა 11
4. მადაც ასეთი უნდა 13
5. ჩვენებური ლიბერალები 15
6. ძველი ჭირი 17
7. ტფილისი, 29 ნოემბერი 20
8. საქართველოს აკლება 22
9. ინგლისური აღზრდა 28
10. პოლიტიკა და კულტურა 31
11. დამოუკიდებელი სასამართლო . 35
12. რუს გოლიცინების „რუსული პოლიტიკა და ქართველ სოც. დემოკრატების ტაქტიკა 42
13. დიქტატურა 50
14. პატარა ფიქრები 55
15. კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის 59
16. ჩვენ და ცხოვრება 65
17. სიმცირის გაელენა 95
18. უკვდავი ბოროტება 103
19. პეტრე უმიკაშვილი 115
20. იაკობ გოგებაშვილი 178
21. ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან . 190
22. ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, შატონი ფილიპე (ზოგიერთი შტრიხი პორტრეტისათვის) 211

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ცაგარეიშვილი
მხატვარი ო. გარალევიჩი
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე
საბეჭდი ქაღალდი 80×84 1/16 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 13,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 11, 17
შეკვეთის № 3 ტირაჟი 10 00 ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.